

ბ. ბოდერმიშვილი, შ. ვოცხვერია,  
მ. ბზგაშვილი, ა. მოსიძე, ნ. სულაბერიძე

# სავატარიცაო პროტოზოოკომისი და კრიფთ-ცენომოკომისი

განკუთვნილია სავეტერინარო მედიცინის  
ფაკულტეტის სტუდენტებისა და ვეტერინარი  
სპეციალისტებისათვის

თბილისი  
2009

## აპტორები:

გუგული გოდერძიშვილი, შადიმან ფოცხვერია,  
მანანა ბუბაშვილი, მარინა მოსიძე, ნინელი სულაბერიძე

საგეთისარო კროტოზოლოგია და არაქო-პნეომოლოგია – სახელმძღვანელო განკუთვნილია სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებისა და ვეტერინარი სპეციალისტებისათვის. დისკიპლინაში შემავალი კლასების განხილვისას მოტანილია მონაცემები პროტოზოოლუ, არაქოზულ და ენტომოზურ დაავადებათა აღმმერელების მორფოლოგიისა და ბიოლოგიის შესახებ, აღწერილია პათოგენეზი, კლინიკური სიმპტომები, პათომორფოლოგიური ცვლილებები, აგრეთვე დიაგნოსტიკის, მკურნალობის, პროფილაქტიკისა და ბრძოლის სხვა ღონისძიებათა საკითხები, რომლებიც წარმოდგენილია აღნიშნულ დარგში მეცნიერებისა და პრაქტიკის თანამედროვე მიღწევათა გათვალისწინებით.

**მთავარი რედაქტორი** – საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტის დეპანი, ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი – **ლ. მაკარაძე**

### რეცენზენტები:

სსაუ სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტის ინფექციურ და ინგვაზიურ სწრულებათა დეპარტამენტის სრული პროფესორი, ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი – ჯ. ნაჭყებია

ს. ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ტრანსმისიულ სწრულებათა ეპიდემიოლოგიისა და სამედიცინო ენტომოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, პროფილაქტიკური მედიცინის მეცნიერებათა აკადემიკოსი – გ. გუგუშვილი

გამომცემლობა „გლობალ პრინტ“

ISBN 9 78-9 941-0-1285-3

## საკეთისარო კროტოზოლოგია

პროტოზოლოგია არის მეცნიერება უმარტივეს ერთუჯრედიან ცხოველურ ორგანიზმებზე. სავეტერინარო პროტოზოლოგია შეისწავლის უმარტივესებს, რომლებიც პარაზიტობენ ცხოველებში და იწვევენ მათ დაავადებებს – პროტოზოლებს. იგი შეისწავლის პარაზიტის მორფოლოგიას, ბიოლოგიას, აღმმდვრელის პათოგენურ ზეგავლენას ცხოველის ორგანიზმზე, დაავადების დიაგნოსტიკის მეთოდებს, სპეციფიკურ და პათოგენეტიკურ თერაპიას, აგრეთვე ამ დაავადებათა პროფილაქტიკას.

### პარაზიტულ უმარტივესთა მორფოლოგია და ბიოლოგია

პროტოზოლულ დაავადებათა აღმმდვრელები ერთუჯრედიანი ორგანიზმებია, რომლებიც შედგებიან ბირთვისა და ციტოპლაზმისაგან.

ბირთვი უჯრედის სიცოცხლეში ასრულებს გენეტიკურ და მეტაბოლურ ფუნქციებს. ჩვეულებრივ იგი განთავსებულია ციტოპლაზმის განსაზღვრულ ადგილას, მაგრამ ზოგჯერ გადაადგილდება. ბირთვი წარმოდგენილია გარსით და შეიცავს ბირთვის წვენს (ნუკლეოპლაზმა), ქრომატინს და ბირთვაკებს (ნუკლეოლები). ბირთვის გარსი ორი მემბრანისაგან შედგება. იგი უზრუნველყოფს ბირთვულ-ციტოპლაზმურ ცვლას. გარსი შეიცავს ფორებს საკვებ ნივთიერებათა შესაწოვად. ბირთვის წვენი უსტრუქტურო მასაა, რომელიც მთლიანად ავსებს ბირთვს. მის შემადგენლობაში შედის სხვადასხვა ცილა, მათ შორის ნუკლეოპროტეიდები, გლიკოპროტეიდები და ბირთვის უმრავლესი ფერმენტები. ქრომატინი შედგება ცილებისა და ნუკლეინის მჟავებისაგან, უმთავრესად დნმ-საგან. მას ბადისებრი ან მარცვლოვანი შეხედულება აქვს. გაყოფისას ქრომატინის ძაფები ქრომსომებს ქმნიან. ბირთვაკები უჯრედის ყველაზე მკვრივი

სტრუქტურაა. უჯრედში მათი რაოდენობა ერთიდან რამდენიმემდეა. ბირთვაკის ფორმა და სიდიდე დამოკიდებულია უჯრედის ფიზიოლოგიურ მდგომარეობაზე. ქიმიური შედგენილობის მხრივ იგი რნბ-ის მაღალი შემცველობით ხასიათდება.

ციტოპლაზმა უჯრედის შემადგენელი ნაწილია. იგი თხიერი ან ნახევრად თხიერი კონსისტენციისაა და გარედან დაფარულია ციტოპლაზმური მემბრანით (პელიკულით). ციტოპლაზმაში არჩევენ ორგანელებს (ორგანოდები): ციტოპლაზმურ ბადეს (რეტიკულუმი), რიბოსომებს, მიტოქონდრიებს, ლიზოსომებს, ფირფიტოვან კომპლექსს (გოლჯის აპარატი), აგრეთვე ზოგიერთ სხვა ორგანელას, რომელებიც მხოლოდ ერთუჯრედიანებს გააჩნიათ.

ციტოპლაზმური ბადე წარმოადგენს სუბმიკროსკოპული არხების, მილაკების, ბუშტუკების განმტოვებულ სისტემას და მნიშვნელოვან როლს ასრულებს უჯრედის სიცოცხლეში. იგი განაპირობებს ცირკულაციას ციტოპლაზმაში, მონაწილეობს ცვლის პროცესებში, რადგან შეიცავს მრავალ ფერმენტს. რეტიკულუმთან მჭიდრო კავშირში არიან რიბოსომები – ცილების სინთეზის ცენტრი. მიტოქონდრიები უჯრედის მნიშვნელოვანი ორგანელები არიან. მათ ოვალური, წაგრძელებული ან ჩხირისებრი ფორმა აქვთ. ისინი ფერმენტების რთული სისტემის მატარებლები არიან და მონაწილეობენ ნივთიერებათა ცვლასა და ჟანგვა-აღდგენით პროცესებში. ლიზოსომებს მცირე ტოპრაკების შეხედულება აქვთ. ისინი შეიცავენ ფერმენტებს, რომელთაც უნარი შესწევთ დაშალონ ცოცხალი მატერიის კომპონენტთა უმრავლესობა. ე.ო. ისინი წარმოადგენენ უჯრედის საჭმლის მომნელებელ სისტემას. ფირფიტოვანი კომპლექსი ციტოპლაზმის მაღალდიფერენცირებული ნაწილია, რომელიც შედგება ორმაგი მემბრანის პაკეტისა და დიდი რაოდენობით ბუშტუკებისმაგვარი ვაკუოლებისაგან. იგი განთავსებულია ბირთვის გარშემო. ამ ორგანელის ფუნქციაა სეკრეტორული მოქმედება, ციტოპლაზმის შიგნით ნივთიერებათა სეპარაცია და კონდენსაცია.

უმარტივესები მოძრაობები წამწამების, შოლტებისა და ფსევ-

დოპოლიების მეშვეობით. წამწამები და შოლტები დასაწყისს იღებენ ციტოპლაზმაში მდებარე ბაზალური სხეულაკის უჯრედის ზედაპირიდან.

უმარტივესების კვება ხორციელდება სპეციალური ორგანელის – ციტოსტომის მეშვეობით ფაგოციტოზისა და პინოციტოზის გზით. თუ საკვების ნაწილაკი მსხვილი და გაფორმებულია, მაშინ მოქმედებს ფაგოციტოზის პრინციპი; ხოლო თუ საკვები სითხის წვეთის სახით არის წარმოდგენილი – პინოციტოზის პრინციპი. ამასთან, ციტოპლაზმა ჩაიზინება და წარმოქმნის ღრმულს, რომელიც ღრმავდება. შემდეგ ღრმულის კიდეები ერთდება და ციტოპლაზმაში ჩნდება ვაჟული.

უმარტივესების სუნთქვა არის აერობული ან ანაერობული.

უმარტივესებს, ისევე როგორც ყველა სხვა ორგანიზმს, ახასიათებთ გალიზიანებადობა. გამღიზიანებლები შეიძლება იყოს ქიმიური, მექანიკური, თერმული და სხვა ფაქტორები. გამღიზიანებლის მოქმედებაზე უმარტივესების ძირითად რეაქციებს ტაქსისს ან ტროპიზმს უწოდებენ.

მრავალ უმარტივესს შესწევს უნარი არახელსაყრელ პირობებში მოხვედრისას მის ირგვლივ გარსი – ცისტა გაიკეთოს. ამ პროცესს ინცისტირება ეწოდება.

უმარტივესების გამრავლება ხდება უსქესო და სქესობრივი გზებით. უსქესო გამრავლება ხორციელდება:

ა). ერთი უჯრედის თანაბარი გაყოფა ორ შვილულ უჯრედად. ამ დროს ჯერ ბირთვი იყოფა, შემდეგ ციტოპლაზმა;

ბ). გამოკვირტვა ანუ არათანაბარი გაყოფა, რა დროსაც დედოსეული უჯრედიდან გამოიკვირტება ერთი ან რამდენიმე შვილული უჯრედი;

გ). ენდოდიოგენია, რა დროსაც ერთი დედისეული უჯრედის შიგნით წარმოიქმნება ორი შვილული უჯრედი, რომლებიც ერთ ხანს ასეთი სახით რჩებიან და შემდეგ იყოფიან;

დ). მრავლობითი გაყოფა, რა დროსაც ბირთვი ხდება მრავალ-ბირთვიანი, რომელთა ირგვლივ წარმოიქმნებიან ციტოპლაზმები და შემდეგ იყოფიან მრავლობით უჯრედებად.

სქესობრივი გამრავლება ხორციელდება კოპულაციისა და კონიუგაციის გზით. კოპულაციის დროს ორი სხვადასხვა სქესის უჯრედი ერთიანდება და ზიგოტას წარმოქმნის, რის შემდეგ ხდება ბირთვების გაერთიანება და ზიგოტაში მიმდინარეობს ქრომოსომების რედუქცია. კონიუგაციის დროს უჯრედები არ ერთიანდებიან, არამედ დროებით ერწყმიან ერთმანეთს, რა დროსაც ხდება ბირთვული აპარატისა და ციტოპლაზმის ნაწილების გაცვლა. შემდეგ უჯრედები ერთმანეთს შორდებიან.

## პათოგენური უმარტივესების სისტემატიკა

უმარტივესები გაერთიანებული არიან შვიდ ტიპში. მათგან ცხოველების დაავადებათა აღმძვრელები მიეკუთვნებიან სამ ტიპს. ესენია: Sarcomastigophora-ს ტიპი, რომელშიც შედის Mastigophora-ს ქვეტიპი. მისი წარმომადგენლები ცნობილი არიან შოლტიანების სახელწოდებით; Apicomplexa-ს ტიპი, რომლის წარმომადგენლებს სხეულის წინა ნაწილში ეგრეთ წოდებული აპიკალური კომპლექსი აქვთ, და Ciliophora-ს ტიპი ანუ წამწამიანები.

## პროტოზოულ დაავადებათა პათოგენეზი

ცხოველთა პროტოზოული დაავადებების პათოგენეზში განიხილება დაავადების აღმძვრელისა (მიკროორგანიზმი) და მასპინძლის (მაკროორგანიზმი) ურთიერთკავშირი. მხედველობაში იღებენ ცხოველის ორგანიზმის რეაქტიულობას, ბუნებრივ და შეძენილ რეზისტენტობას, დაცვის მძუნოლოვიური მექანიზმების ნერვულ რეგულაციას და ორგანოთა ფიზიოლოგიურ ფუნქციებს.

მასპინძლის ორგანიზმზე დაავადების აღმძვრელის ზეგავლენის ხარისხი პირველ რიგში დამოკიდებულია პარაზიტის პათოგენობაზე. ჩვეულებრივ, უმარტივესის ერთი სახეობა პათოგენურია მხოლოდ ერთი სახეობის ცხოველისათვის. მაგრამ არიან უმარტივესთა სახეობები, რომელთაც შეუძლიათ რამდენიმე სახეობის მასპინძლის დაინვაზიება. მაგალითად, ტოქსოპლაზმა პათოგენურია ძუძუმწოვართა მრავალი სახეობისა და ფრინველების მიმართ.

ყოველი პათოგენური უმარტივესის თვისებაა მეტად თუ ნაკლებად გამოხატული ვირულენტობა, რომელიც ცვალებადია. მისი შესუსტება შეიძლება ფიზიკური და ბიოლოგიური ფაქტორების ზეგავლენით. მაგალითად, გარემოს დაბალი ტემპერატურის დროს სისხლის პარაზიტული დაავადებების ზოგიერთი სახეობის აღმძვრელებს უსუსტდებათ ვირულენტობა. აღმძვრელის ვირულენტობის დაწევა აღინიშნება, აგრეთვე მაღალი რეზისტენტობის მქონე ცხოველის ხელახალი დაინვაზიების დროს. ამთვისებელ ცხოველთა ორგანიზმში პასაჟის შედეგად ზოგჯერ შესაძლებელია ვირულენტობის გადიდება.

აღმძვრელების ვირულენტური თვისებები განსხვავებულია სხვადასხვა სახეობის ტკიპების ორგანიზმში განვითარებიდან გამომდინარე. მაგალითად, Dermacentor-ის გვარის ტკიპებში განვითარებული ნუტალიებისგან განსხვავებით Hyalomma plumbeum-ის მიერ ინოკულირებული ტკიპები ნუტალიონზით ცხენების უფრო მძიმე დაავადებას იწვევს. რენტგენის სხივებით დასხივება იწვევს ზოგიერთი სახეობის უმარტივესის ინაქტივაციას, რაც მიუთითებს მაიონიზებელი რადიაციით მისი ვირულენტობის შესუსტებაზე.

უჯრედშიდა პარაზიტები, მაგალითად პიროპლაზმები, სწრაფად მრავლდებიან ერთოროციტებში და შლიან მათ. დაშლილი ერთოროციტებიდან ჰემოგლობინის ნაწილი გარდაიქმნება ბილირუბინად, მისი უმეტესი რაოდენობა კი გამოიყოფა თირკმელებით, რის გამო ვითარდება ჰემოგლობინურია.

სხვა უჯრედშიდა პარაზიტები, მაგალითად კოქციდიები, შეი-

ჭრებიან ნაწლავის ეპითელურ უჯრედებში. კვების პროცესში ისინი შლიან უჯრედის ციტოპლაზმას და შთანთქავენ მას. კოქციდიებით მასობრივი დაინვაზიების დროს ნაწლავის ლორწოვანი გარსი იშლება დიდ ფართობზე, რაც განაპირობებს კედლისმიერი საჭმლის მონელების ფუნქციის დარღვევას, იწვევს კაპილარულ სისხლდენას და ხელს უწყობს ორგანიზმში პათოგენური მიკროფლორის შეჭრას.

## იმუნიტეტი პროტოზოული დაავადებების დროს

პროტოზოულ დაავადებათა აღმძვრელების მიმართ ცხოველთა ორგანიზმის არაამთვისებლობა ბუნებრივი (მექანიზმით) ან შეძნილი იმუნიტეტის შედეგია.

ბუნებრივი იმუნიტეტი განპირობებულია ცხოველის ორგანიზმის თანდაყოლილი ბიოლოგიური თავისებურებებით და, როგორც წესი, წარმოადგენს მასპინძლის სახეობრივ ნიშანთვისებას. იგი ვლინდება მასპინძლის ასაკის, ჯიშის, ბუნებრივი რეზისტენტობის მდგომარეობისა და იმ პირობების მიხედვით, რომელშიც იმყოფება ცხოველი (მოვლა-შენახვა, კვება, გარემო არეს ტემპერატურა და სხვ.).

ბუნებრივი იმუნიტეტი შეიძლება იყოს აბსოლუტური და შეფარდებითი. აბსოლუტური იმუნიტეტი ვლინდება იმ შემთხვევაში, როდესაც ორგანიზმის რეზისტენტობის დაქვეითების ყველა პირობის მიუხედავად ორგზიზმი მაინც რჩება აღმძვრელის მიმართ მდგრადი. მაგალითად, ცხენი არ ავადდება მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის თეილერიოზით. შესაბამისად, ცხენს აქვს აბსოლუტური იმუნიტეტი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის თეილერიოზის აღმძვრელის მიმართ. შეფარდებითი იმუნიტეტი ცხოველებს უვითარდებათ იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია მისი ბუნებრივი რეზისტენტობის დაძლევა და დაავადების გამოწვევა. მაგალითად, მოზრდილი თაგვები არ ავადდებიან ცხ-

ენისა და ძალლის პიროპლაზმოზით, მაგრამ ახალშობილი წრუწუნები ამ დაავადებათა აღმძვრელების ამთვისებლები არიან.

შეძნილი იმუნიტეტი პროტოზოულ დაავადებათა აღმძვრელების მიმართ დამოკიდებულია მათ სახეობაზე და შეიძლება იყოს სტერილური და არასტერილური (პრემუნიცია). ორგანიზმიდან აღმძვრელის გამოსვლისთანავე პრემუნიცია მთავრდება.

ამთვისებელი ცხოველის ორგანიზმში აღმძვრელის შეჭრა ინგაზიური პროცესისა და იმუნიტეტის წარმოქმნის დასაწყისია. ინგაზიური პროცესი და გამლიზიანებელზე (აღმძვრელი) ორგანიზმის დაცვითი საპასუხო რეაქციები ვთარდება დაინვაზიებული ცხოველის ორგანიზმსა და აღმძვრელს შორის ურთიერთგანმაპირობებელი ზეგავლენის საფუძველზე. დაინვაზიებულ ორგანიზმში აღმძვრელის ცხოველმყოფელობა ან ითრგუნება და ცხოველი ინკუნება, ან აღმძვრელი განუსაზღვრელად მრავლდება და ცხოველი იღუპება.

პროტოზოულ დაავადებათა აღმძვრელების მიმართ ცხოველების უმრავლესობას არასტერილური იმუნიტეტი უვითარდება, რომელიც მით უფრო ძლიერი და ხანგრძლივია, რაც უფრო მძიმე ფორმით იავადმყოფებს ამა თუ იმ დაავადებით ცხოველი და მოიხდის მას.

## პროტოზოულ დაავადებათა ეპიზოოტოლოგია

ეპიზოოტოლოგიური ნიშნების მიხედვით პროტოზოები ენზოოტიური დაავადებებია, რომელთათვის დამახასიათებელია გავრცელების განსაზღვრული არეალი. პროტოზოოზები ასევე, ტრანსმისიული დაავადებებია, რომელთა წარმოშობა ხდება გარკვეული ეპიზოოტიური ჯაჭვის მიხედვით. ამ ჯაჭვში სამი რგოლია: პირველი – დონორი – ავადმყოფი ან პარაზიტმატარებელი ცხოველი, მეორე – გადამტანი, რომელიც აღმძვრელს მიიღებს დაინვაზიებული ცხოველისგან და გადასცემს ჯამბ-

რთელს, და მესამე – რეციპიენტი – ამთვისებელი ცხოველი. ტრანსმისიულ დაავადებათა არეალი ჩვეულებრივ, ემთხვევა ფეხსახსრიანთა არეალს. მეორე რგოლის გამოთიშვის შემთხვევაში დაავადება ქრება.

არატრანსმისიული დაავადებები გავრცელებულია სხვადასხვა კლიმატურ ზონაში. მათ ეპიზოოტიურ ჯაჭვში სამი ან ორი რგოლია. სამრგოლიანია ის დაავადებები, რომელთა შემთხვევაში პირველ რგოლს წარმოადგენს დონორი ავადმყოფი ან პარაზიტმატარებელი ცხოველი, მეორე რგოლია გარემო არე, სადაც აღმძვრელი ამთავრებს თავის განვითარების ციკლს და აღწევს ინგაზიურ სტადიას, ხოლო მესამე რგოლია რეციპიენტი – ამთვისებელი ცხოველი.

ეპიზოოტოლოგიურ ჯაჭვში ორი რგოლის მქონე არატრანსმისიული დაავადებები შედარებით მცირეა (კენტჩლიქიანთა დაგრილების დაავადება, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ტრიქომონოზი). ამ დროს პირველი რგოლია დონორი – ავადმყოფი ცხოველი, მეორე – რეციპიენტი – ამთვისებელი ცხოველი. ეს არის სქესობრივი ორგანოების დაავადებები, რომლებიც გავრცელებულია სხვადასხვა გეოგრაფიულ ზონაში და დაავადების გადატანა ხდება ავადმყოფი და ჯანმრთელი ცხოველების კონტაქტის პირობებში. ავადმყოფი ცხოველების დორულად გამოვლენა და მათი სწორად მკურნალობა იწვევს დაავადების შეწყვეტას.

არატრანსმისიული დაავადებების დროს ავადმყოფი ცხოველები გარემოში დიდი რაოდენობით აღმძვრელებს გამოყოფენ მაშინ, როდესაც პარაზიტმატარებლები მათ შედარებით მცირე რაოდენობით მიმოფანტავენ. ტრანსმისიული დაავადებების დროს ავადმყოფი ცხოველების სისხლში, პარაზიტმატარებლებთან შედარებით, აღმძვრელები დიდი ოდენობით მრავლდებიან. ამიტომ, ამ დაავადებათა ეპიზოოტოლოგიაში ავადმყოფი ცხოველების როლი განსაკუთრებით დიდია, რაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ეპიზოოტიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა გატარების დროს.

## პროტოზოილ დაავადებათა საეციფიკური და არასაეციფიკური თერაპიის საფუძვლები

პროტოზოილ დაავადებათა თერაპია მდგომარეობს მკურნალობის სპეციფიკურ, პათოგენეტიკურ და სიმპტომატიკურ საშუალებათა გამოყენებაში, რომლებიც თრგუნავენ აღმძვრელთა გამრავლებას და ცხოველმოქმედებას, ააქტიურებენ იმუნოგენურ მექანიზმებს და აღადგენენ დაინვაზიებული ორგანიზმის დარღვეულ ფუნქციებს.

პრეპარატების სპეციფიკური ზეგავლენა აღმძვრელებზე და მკურნალობის არასპეციფიკურ საშუალებათა მასტიმულირებელი ზეგავლენა ორგანიზმის დაცვით ფუნქციებზე პირდაპირ დამოკიდებულია დაინვაზიებული ორგანიზმების იმუნოგენური მექანიზმების აქტიურობის ხარისხთან და ხორციელდება ცენტრალური ნერვული სისტემის უშუალო წამყვანი მონაწილეობით.

სპეციფიკურ საშუალებებს მიეკუთვნება ქიმიოთერაპიული პრეპარატები და ანტიბიოტიკები.

სპეციფიკურ პრეპარატს ახასიათებს შერჩევითი ტოქსიკური მოქმედება ერთ (მონოტროპული) ან პათოგენურ უმარტივესთა სახეობების ჯგუფზე (პოლიტროპული). იგი უნდა იყოს მაქსიმალურად პარაზიტოტროპული და მინიმალურად ორგანიზროპული ცხოველებისათვის. რაც უფრო მეტია შეფარდება სპეციფიკური პრეპარატის პარაზიტოტროპულ და ორგანიზროპულ დოზებს შორის (სამკურნალო დოზა), მით უკეთესია პრეპარატი.

უმარტივესებზე პრეპარატების პარაზიტოტროპული მოქმედების მექანიზმი რთულია და საქმარისად არ არის შესწავლილი. მიჩნეულია, რომ უმარტივესებში სპეციფიკური პრეპარატების შეღწევის შედეგად ირლვევა ცილებისა და ამინომჟავების (ღნმ, რნმ) სინთეზი, იცვლება ბიოქიმიური პროცესები, მუხრუჭდება სუნთქვის ფუნქცია და ირლვევა მისი ფოლიკულა, რაც იწვევს პარაზიტის დაღუპვას ან გამრავლების შეჩერებას. ცნობილია

აგრეთვე, რომ ქიმიოპრეპარატი მოქმედებს უშუალოდ პარაზიტზე. სახელდობრ, აზიდინი, ქინაქინი იწვევენ მრავალი უმარტივესის ბირთვის დესტრუქციულ ცვლილებებს. აღნიშნული პრეპარატებით მკურნალობის დროს, დაინვაზიებულ ცხოველთა სისხლში გაყოფის ფაზაში მყოფ ბაბეზიდებში პოულობენ დეგენერირებულ ფორმებს, რომლებიც შემდგომ ლიზისს განიცდიან.

მრავალ შემთხვევაში პროტოზოული დაავადებების თერაპიისას უკეთეს შედეგს იღებენ არა ერთი, არამედ ორი პრეპარატის გამოყენებით, როდესაც ერთი პრეპარატი აძლიერებს მეორის მოქმედებას. ასეთი მოვლენა ცნობილია სინერგიზმის სახელით.

პარაზიტსა და ინვაზიურ პროცესზე სპეციფიკური პრეპარატ-ისა და თვით ორგანიზმის ყველა დამცავი მექანიზმის ზეგავლენის შედეგად ხდება ავადმყოფი ცხოველის გამოჯანმრთელება. ამას შეიძლება თან სდევდეს პარაზიტების მთლიანად განადგურება, ანუ მიიღწევა დაინვაზიებული ორგანიზმის სტერილუაცია. შესაძლოა მოხდეს პარაზიტების არასრული განადგურება, როდესაც პარაზიტები რჩებიან მცირე რაოდენობით. ამ დროს მათი გამრავლება კონტროლდება იმუნოგენური მექანიზმებით, ე.ი. დგება პრემუნიციის მდგომარეობა, რომელიც წარმოიქმნება იმ დროს თუ პრეპარატები ორგანიზმში შეჰყავთ ავადმყოფობის ინკუბაციური პერიოდის ბოლოს. ასეთმა მეთოდმა მიიღო მიტი-გირებული პროფილაქტიკის დასახელება.

არის ისეთი სპეციფიკური პრეპარატებიც, რომელთა მოქმედების შედეგად აღმძვრელები არ იღუპებიან, მაგრამ ფერხდება მათი გამრავლება, ანუ აქვთ პარაზიტებზე სტატიკური მოქმედების უნარი. ამ პრეპარატებს ფართოდ იყენებენ ფრინველის ეიმერიოზის საწინააღმდევოდ.

დაინვაზიებულ ორგანიზმში სპეციფიკური პრეპარატის მოქმედების გახანგრძლივება შესაძლებელია, თუ ერთდროულად შევიყვანთ ისეთ მეორე ნივთიერებას, რომელიც აკავებს ორგანიზმიდან პირველის გამოყოფას. ისინი ცნობილი არიან პროლონგატორების სახელით. მაგალითად, ნაგანინი აკავებს ორგანიზმიდან აზიდინის გამოყოფის პროცესს.

ორგანიზმში მყოფ პარაზიტებზე სპეციფიკური პრეპარატის მოქმედების ეფექტიანობა დამოკიდებულია ინვაზიური პროცესის მდგომარეობასა და დაავადების სტადიაზე. თუ სპეციფიკურ პრეპარატს გამოვიყენებთ ავადმყოფობის დასაწყისში, მაშინ მისი ეფექტიანობა გაცილებით მაღალი იქნება, ვიდრე ავადმყოფობის მეორე პერიოდში.

მკურნალობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის აუცილებელია ავადმყოფი ცხოველის რაც შეიძლება დროულად გამოვლენა. ამასთან, მხედველობაში უნდა მივიღოთ სხეულის ტემპერატურა, ლიმფური კვანძების გადიდება და სხვ. თუ პარაზიტი რეზისტენტულია გარკვეული სპეციფიკური პრეპარატის მიმართ, შეიძლება უარყოფითი შედეგი მოგვცეს მისმა გამოყენებამ ავადმყოფობის დასაწყისშიც კი. არსებობს აზრი, რომ აღმძვრელთა პოპულაციებზე სპეციფიკური პრეპარატების მრავალჯერადმა გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს უჯრედის პელიკულების შეღწევადობის შემცირება, შეცვალოს მისი მეტაბოლიზმი, რაც უმარტივესებს დაიცავს პრეპარატების ზემოქმედებისაგან.

არასპეციფიკური თერაპიის დანიშნულებაა ხელი შეუწყოს ორგანიზმის დარღვეული ფუნქციების რაც შეიძლება სწრაფად აღდგენას. ამიტომ არასპეციფიკური თერაპია პროტოზოულ დაავადებათა სამკურნალო ღონისძიებათა კომპლექსის განუყოფელი ნაწილია.

ბაბეზიდოზებითა და თეილერიდოზებით ავადმყოფი ცხოველების მკურნალობის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ცხოველების გათავისუფლება სამუშაოსგან, გადარეკვის შეწყვეტა და ავადმყოფი პირუტყვის გრილ, კარგად ვეზტილირებულ სადგომებში განთავსება ზრდის გამოჯანმრთელების მაჩვენებელს და მნიშვნელოვნად ამცირებს რეციდივების გამოვლენას.

პირუტყვის გამოჯანმრთელების პროცესი დამოკიდებულია ავადმყოფობის სიმძიმეზე. ორგანიზმის გამოჯანმრთელებისა და ნორმალიზაციის პროცესი განსაკუთრებით ხანგრძლივია პირობლაზმიდოზური დაავადებების დროს. მაგალითად, პირობლაზმოზით ნაავადმყოფარი ფურები, როგორც წესი, ლაქტა-

ციას აღიდგენენ მხოლოდ შემდგომი მოგების შემდეგ. ამ დაავადებამოხდილი ცხოველების სისხლში მცირდება ერთოროციტების რაოდენობა, წარმოქმნილი მიოკარდიტის გამო ირლვევა მათი გულის მუშაობა, ნაწლავების ლორწოვანი გარსები ჰიპერემიულია, რომელთა სხვადასხვა უბნებზე სისხლჩაქცევებია. ამიტომ მძიმე ფორმით დაავადებამოხდილ ცხოველებს აძლევნ წვნიან საკვებს, რომელიც ადვილად მოსანელებელია და შეიცავს დიდი რაოდენობით ცილებსა და ნახშირწყლებს (იონჯა, ჭარხალი და სხვ.), უნიშნავნ ვიტამინ B<sub>12</sub>, ასკორბინმჟავას, მიკროელემენტებს. გამოჯანმრთელებულ ცხოველებს საძოვარზე და საექსპლუატაციოდ უშვებენ გულის მუშაობის მდგომარეობის გათვალისწინებით.

პროტოზოული დაავადებების მკურნალობისას თვალყური უნდა ვადევნოთ ინვაზიური პროცესის მდგომარეობას და აღვრიცხოთ ყოველი პრეპარატის მოქმედების შედეგები. ისეთი მწვავე დაავადებების დროს, როგორიცაა ბაბეზიდოზები, სპეციფიკური პრეპარატების თერაპევტული უჯექტი ვლინდება 12-24 საათში; სახელდობრ, კლებულობს სხეულის ტემპერატურა, უმჯობესდება ორგანიზმის საერთო მდგომარეობა, შარდი ნორმალურ ფერს იღებს, მიკროსკოპიული გამოკვლევისას სისხლში აღარ ჩანან პარაზიტები ან მათი რაოდენობა უმნიშვნელოა. და პირიქით, ქონიგული ფორმით მიმდინარე ისეთი დაავადების დროს, როგორიცაა ცხენის დაგრილების დაავადება, სრული განკურნების დადგენა შესაძლებელია არაუადრეს ექვსი თვისა.

სპეციფიკური (პარაზიტოტროპული) პრეპარატების გამოყენების შემდეგ დადგითი შედეგების აღრიცხვა გვიჩვენებს თუ რამდენად სწორად განხორციელდა მკურნალობა. მკურნალობის უარყოფითი შედეგი დამოკიდებულია რამდენიმე მიზეზზე. მათ შორის მთავრია აღმძვრელის მიმართ მოცემული პრეპარატის არასპეციფიკურობა არასწორად დადგენილი დიაგნოზის გამო ან ორგანიზმის დაინფიცირება კიდევ სხვა აღმძვრელით. მაგალითად, თუ ცხოველი დაავადებულია ბაბეზიოზით, მას აღნიშნება ჰემოგლობინურია. ტრიპაფლავინით მკურნალობიდან 24 საათის

შემდეგ სისხლში პარაზიტები აღარ იქნება, მაგრამ შესაძლებელია გაგრძელდეს სისხლიანი შარდის გამოყოფა და გაძლიერდეს ლორწოვანი გარსების სიცვითლე. შემდგომი გამოკვლევებით დადგინდება, რომ ბაბეზიოზის გარდა ცხოველი დაავადებული ყოფილა ლეპტოსპიროზითაც. მკურნალობისას უარყოფითი შედეგის მიღება აგრეთვე შესაძლებელია იმ შემთხვევაში თუ იგი განხორციელდა აგონის წინა პერიოდში ან უმარტივესებს აქვთ შეგუება გამოყენებული პრეპარატის მიმართ.

## პრიმ პროტოზოლოგია

### სპორიანებით გამოზეული დაავადებები

Sporozoa-ს კლასი, რომელიც მიეკუთვნება Apicomplexa-ს ტიპს, მოიცავს რამდენიმე რაზმს. მათგან სავეტერინარო მნიშვნელობა აქვთ Piroplasmida-ს და Coccidiida-ს რაზმებს.

Piroplasmida-ს რაზმი შედგება Babesiidae-სა და Theileriidae-ს ოჯახებისაგან. Babesiidae-ს ოჯახში გაერთიანებულია Babesia-ს, Piroplasma-სა და Fransaiella-ს გვარები, ხოლო Theileriidae-ს ოჯახში – Theileria-სა და Nuttallia-ს გვარები.

Coccidiidae-ს რაზმში მრავალი ოჯახია გაერთიანებული, რომელთაგან სავეტერინარო მნიშვნელობა აქვს Eimeriidae-ს ოჯახს. ამ ოჯახში შედის Eimeriinae-ს ქვეოჯახი Eimeria-ს გვარით, აგრეთვე Isosporinae-ს ქვეოჯახი, რომელიც აერთიანებს Cystoisospora-ს, Toxoplasma-ს, Sarcocystis-ის, Besnoitia-ს და სხვა გვარებს.

## ცხოველთა პიროპლაზმიდოზები

სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა პიროპლაზმიდოზები დაავადებათა დიდი ჯგუფია, რომელთა აღმძვრელი უმარტივესები ბუდობენ ერთობრიტებში ან რეტიკულონდოთელური სისტემის უჯრედებში. ავადმყოფი ცხოველიდან ჯანმრთელისათვის მათი აღმძვრელის გადაცემა ხდება ტკიპების მეშვეობით, რის გამო ეს დაავადებები ტრანსმისიულ დაავადებათა ჯგუფს მიეკუთვნება. მათვის დამახასიათებელია სხეულის ტემპერატურის მომატება, ანემია, სიყვითლე, გულ-სისხლძარღვთა და კუჭ-ნაწლავის სისტემების ფუნქციათა მოშლა.

ცხოველთა პიროპლაზმიდოზურ დაავადებათა ეპიზოოტიურ ჯაჭვში სამი რგოლია. პირველი – დაინვაზიებული ცხოველი; მეორე – აღმძვრელის გადამტანი ტკიპი და მესამე – ამთვისებელი ცხოველი. პიროპლაზმიდები პირველი რგოლიდან – დონორი ცხოველებიდან გადაეცემა მეორე რგოლს – გადამტანებს, ხოლო მათი მეშვეობით მესამე რგოლს – ამთვისებელ ცხოველებს – რეციპიენტებს. ეს უკანასკნელი, მიიღებენ რა ინვაზიას, თავად ხდებან დონორები ჯერ გადამტანებისათვის, შემდეგ ამთვისებელი ცხოველებისათვის. ამრიგად, წლიდან-წლამდე აღმძვრელი ცირკულირებს ცხოველებსა და გადამტან ტკიპებს შორის, ვიღრე ეპიზოოტიური ჯაჭვის ერთ-ერთი რგოლი გამოითიშვილდეს. ამ ჯაჭვში ყველაზე სუსტი რგოლია იქსოდიდური ტკიპები, რომლებიც ბინადრობენ მხოლოდ განსაზღვრულ ბიოტოპებში, სადაც მათი არსებობისათვის ხელსაყრელი პირობებია. ამიტომ აუცილებელია ამ ბიოტოპების მოსპობა საძოვრის გადახვნით ან ტკიპების საწინააღმდეგო საშუალებათა გამოყენებით.

საქართველოში ფართოდ არის გავრცელებული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ცხვრისა და ცხენის პიროპლაზმიდოზები. ამ დაავადებათა არსებობა პირდაპირ დამოკიდებულებაშია გარკვეულ ეპიზოოტიურ პირობებთან მათ მიმართ არაკეთი-სამედო ტერიტორიებზე.

პიროპლაზმიდოზებზე არაკეთილსამედო კერებში ტერიტორია იყოფა ოთხ ზონად:

1. კეთილსამედო ზონა – ტერიტორია, სადაც არ არიან გადამტანი ტკიპები და ავადმყოფი ან პარაზიტარებელი ცხოველები;

2. საშიში ზონა – არ არიან პარაზიტარებელი ცხოველები, მაგრამ აქ ბინადრობენ იქსოდიდური ტკიპები. ამ ზონაში დაინვაზიებული ცხოველების შეყვანით ის შეიძლება გადაიქცეს ენზოოტიურად;

3. ენზოოტიური ზონა – ისეთი ზონაა, სადაც კლიმატური პირობებიდან გამომდინარე ტკიპების რაოდგობა ყოველწლიურად მკვეთრად იცვლება. ყოველ წელს ტკიპები არ ახდენენ ცხოველების „რევაქციიას“ აღმძვრელის ამა თუ იმ სახეობით და ცხოველები ამთვისებდებად რჩებიან. ამიტომ, აქ ყოველწლიურად აღრიცხავენ დაავადებულ ცხოველებს, როგორც აღგილობრივ, ისე შემოყვანილ პირუტყვს შორის. ენზოოტიური ზონის ტერიტორია მცირეა მთელ გასაძოვებელ ტერიტორიასთან შედარებით (მდინარეების ნაპირები, ბუჩქნარიანი აღგილები, რომლებიც მოუხერხებელია გადასახვნელად). ამიტომ, ასეთ ზონაში ყოველწლიურად შემორჩება დონორი და პიროპლაზმიდოზების მიმართ ამთვისებელი რეციპიენტი ცხოველების კონტიგენტი. მოცემულ ზონაში ტკიპების საწინააღმდეგო ღონისძიებათა განხორციელებით უფრო წარმატებულ შედეგებს აღწევენ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლაში;

4. ლატენტური ზონა – ეს არის მოუხნავი საძოვრების დიდი ფართობები, სადაც გადამტანი ტკიპებისათვის იქმნება კომპლექსური ხელსაყრელი პირობები. მაგალითად, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ბაბეზიდოზებისათვის, რომელთა აღმძვრელები გადაეცემა *Boophilus*-ის გვარის ტკიპებით, ლატენტურ ზონად ითვლება მოუხნავი, ტენიანი საძოვრები, ტყე-ბუჩქნარიანი აღილები, მდინარეთა ნაპირები. ასეთ ზონაში ცხოველების დაავადება კლინიკური ფორმით არ ვლინდება, არამედ იმყოფება ლატენტურ, ფარულ მდგომარეობაში, ანუ ყველა ცხოველს

პრემუნიცია აქს. ჩვეულებრივ, ახალშობილი ცხოველები დაავადებას უსიმპტომოდ იხდიან. ახლად შემოყვანილი ცხოველები, რომელთაც პრემუნიცია არ აქვთ, ბაბეზიდოზებით ავადდებიან.

პირობლაზმიდოზები სეზონური დაავადებებია, რომლებიც მხოლოდ წლის თბილ პერიოდში, ცხოველების საძოვრული შენახვის პირობებში ვლინდება. ამიტომ, მათ საძოვრულ დაავადებებს მიაკუთვნებენ.

სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის პერიოდში სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ეპიზოოტოლოგია იცვლება. მაგალითად, ყამირი და აუთვისებელი საძოვრების გადახვნის შედეგად მცირდება იქსოდიდური ტკიპების-გადამტანების ადგილსამყოფელიც, რასაც თან სდევს პირობლაზმიდოზების მხრივ არაკეთილ-სამედო – ლატენტური და ენზოოტიური ზონების შემცირება. გარდა ამისა, პირობლაზმიდოზების მკვეთრ შემცირებას აღწევნ თუ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და ცხვრის სულადობას კომპლექსებში საძოვრების გარეშე ინახავენ.

პირობლაზმიდოზების დროს სისხლში პარაზიტის პოვნა არ არის საკმარისი დიაგნოზის დასადგენად და ცხოველებისათვის სათანადო მკურნალობის დასანიშნად. ცნობილია, რომ პარაზიტი შეიძლება აღმოვაჩინოთ პარაზიტმატარებელი ცხოველებიდან აღებული სისხლის ნაცხებში, აგრეთვე ინვაზიის გამწვავებისას ან ინფექციურ დაავადებებთან მისი შერეული ფორმით მიღინარეობის დროს. ამიტომ, დიაგნოზს ადგენენ კომპლექსური მონაცემების საფუძველზე, კერძოდ, ანამნეზის, ეპიზოოტოლოგიური მდგომარეობის, დაავადების სიმპტომების, პათომიორგოლოგიური ცვლილებებისა და ლაბორატორიული გამოკვლევების შედეგების საფუძველზე.

ანამნეზის შეკრებისას ადგენენ თუ რა პერიოდში დაავადდა ცხოველი, მისი შენახვის ტიპს (ბაგური ან საძოვრული შენახვა), ცხოველის ქცევას ავადმყოფობის დროს, დაავადების მიმდინარეობის ხანგრძლივობას.

შემდეგ ანალიზებენ ეპიზოოტოლოგიურ მონაცემებს. ცნობილია, რომ პირობლაზმიდოზები შეიძლება ენზოოტიურად გამ-

ოვლინდეს იმ ტერიტორიაზე, სადაც ბინადრობენ სპეციფიკური გადამტანები, აგრეთვე წლის განსაზღვრულ სეზონში. ამიტომ, აზუსტებენ იყო თუ არა ამ ადგილებში მოცემული დაავადება წინა წლების განმავლობაში. როგორც აღვნიშნეთ ამ დაავადებებს ახასიათებთ სეზონურობა. მაგალითად, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის პირობლაზმობი ჯერ გაზაფხულის შუა პერიოდში ვლინდება, შემდეგ – ზაფხულის დასაწყისში. გარდა ამისა, პირობლაზმიდოზები მძიმედ მიმდინარეობენ უფროსი ასაკისა და მაღალპროდუქტიულ ცხოველებში. მოზარდეულს გააჩნია გარკვეული პრემუნიცია. ამიტომ ისინი შედარებით იოლი ფორმით ავადმყოფობენ. გამონაკლისია ლეკვები, რომლებიც პირობლაზმობის ძალიან მძიმე ფორმით ავადდებიან.

მრავალი დაავადებისათვის დამახასიათებელია საკუთარი სიმპტომები. მაგალითად, ჰემოგლობინურია და მაღალი ტემპერატურა ბაბეზიდოზურ დაავადებებზე მიუთითებენ. დიაგნოზის დადგენისას არანაკლები მნიშვნელობა აქს ლორწოვანი გარსების მდგომარეობას (ფერმკრთალობა, სუსტი სიყვითლე, სისხლჩაქცევები). ისეთი ნიშნები, როგორიცაა გულის გაძლიერებული ბიძგები ან ფაშვის ატონია, აღინიშნება ბაბეზიდების ყველა სახეობით მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაინვაზიების დროს. დაავადების სიმპტომატიკის შესწავლისას განსაკუთრებულ ფურადღებას აქცევნ ნიშნებს, რომლებიც დამახასიათებელია შერეული ან მსგავსი დაავადებების დროს. განსაკუთრებით ფურადღებაა საჭირო, როდესაც ცხოველს აქს ქოშინი, იგი დათრგუნულია ძლიერი ციებ-ცხელების დროს და მას არ აღნიშნება ჰემოგლობინურია. ამ შემთხვევაში ეჭვი მიაქვთ ჯილდებზე. სხეულის ნორმალური ტემპერატურის დროს სისხლიანი შარდის გამოვლენა დამახასიათებელია ლეპტოსპიროზისათვის.

პათომორფოლოგიურ გამოკვლევებს ატარებენ იმ შემთხვევაში თუ ყველა წინა გამოკვლევამ არ დაადასტურა დიაგნოზი ან ეჭვი მიაქვთ ორი დაავადების შერეულ მიმდინარეობაზე. გაკვეთისას ფურადღებას აქცევნ ელენთის ზომებს, სისხლჩაქცევებს სეროზულ გარსებზე, მაჭიქსა და გულში. შარდის

ბუშტში საზღვრავენ შარდის ფერს. ჯილების გამოსათიშად ადგენენ სისხლის ფერს და შედედების უნარს. გადიდებული ელენთა, სისხლის მოვარდისფრო-წითელი ფერი, ჰემოგლობინურია, გამოხატული სისხლჩაქცევები მიუთითებენ ბაბეზიიდოზურ დაავადებზე. დაავადების სახეობას აზუსტებენ სისხლის მიკროსკოპიული გამოკვლევით. ამასთან, უნდა ვიცოდეთ, რომ თუ სისხლი აღებულია ლეშისაგან, რომელიც წლის თბილ პერიოდში დიდხანს იმყოფებოდა გარემოში, იგი ან არ შეიცავს ბაბეზიიდებს, ან პარაზიტები დეფორმირებული იქნებიან (მრგვალი ფორმა). ასევე შეიძლება არ აღმოჩნდეს ბაბეზიიდები იმ ცხველთა სისხლის ნაცხებში, რომლებიც დაავადებული იყვნენ ბაბეზიიდოზებით და დაიღუპნენ სპეციფიკური პრეპარატების შეყვანის შემდეგ.

ლაბორატორიული მეთოდები მოიცავს სისხლის ნაცხის გამოკვლევას. ბაბეზიიდოზურ დაავადებათა აღმბრულების გამოსავლენად სისხლს იღებენ ავადმყოფობის დასაწყისში ან მისი გამწვავების პერიოდში. სპეციფიკური თერაპიის შემდეგ სისხლს არ იღებენ. ნაცხების მოსამზადებლად იღებენ პერიფერიული სისხლის პირველ წვეთს ყურის კანიდან. მომზადებულ ნაცხს აშრობენ, აფიქსირებენ, ღებავენ რომანოვსკის მეთოდით და იკვლევენ (უმეტესად მის კიდეებს) მიკროსკოპით. პარაზიტების აღმოჩნდისას ადგენენ ერითროციტების დაინვაზიების პროცენტს, პარაზიტების რაოდენობას ერითროციტებში, მათ სიდიდეს, ფორმას, მდებარეობას, მსხლისებრი ფორმების შეერთების კუთხეს, ბაზოფილურ მარცვლოვნებას, სხვა მორფოლოგიურ ნიშნებს, აგრეთვე შეფერგას. სისხლში ერთეული რაოდენობის პარაზიტების არსებობა, როდესაც შესაბამისი კლინიკური ნიშნები გამოვლენილი არ არის (ნუტალიოზი, პირობლაზმოზი), მიუთითებს არა მათ ეტიოლოგიურ მნიშვნელობაზე, არამედ პარაზიტარებლობაზე ან მის გამწვავებაზე. საჭიროების შემთხვევაში ატარებენ სისხლის დამატებით გამოკვლევას. კერძოდ, საზღვრავენ ერითროციტებისა და ლეიკოციტების რაოდენობას, ადგენენ ერითროციტების დალექვის რეაქციის სიჩქარეს და ა.შ.

## ცხოველთა ბაბეზიიდოზები

ბაბეზიიდოზებს იწვევენ Babesiidae-ს ოჯახის წარმომადგენელი პათოგენური უმარტივესები. ეს ოჯახი მოიცავს Piroplasma-ს, Fransaiella-ს და Babesia-ს გვარებს.

Piroplasma-ს გვარის წარმომადგენლებია: *Piroplasma bigeminum* (მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და კამების პარაზიტი), *P.caballi* (კენტრიქიან ცხოველთა პარაზიტი), *P.ovis* (ცხვრისა და თხის პარაზიტი), *P.canis* (ძაღლის პარაზიტი) და *P.trautmani* (შინაური და გარეული ღორის პარაზიტი). ამ გვარის პარაზიტებს მსხლისებრი, მრგვალი ან ოვალური ფორმა აქვთ. ერთეული და წყვილი მსხლისებრი ფორმების სიგრძე ერითროციტის რადიუსს აღემატება. წყვილი ფორმები ერთმანეთს მახვილი კუთხით უერთდებიან.

Fransaiella-ს გვარი წარმოდგენილია მრავალი უმარტივესით, რომელთაგან ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა *Fransaiella colchica* (მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის პარაზიტი). ფრანსაიელების სხეული ოვალური, მსხლისებრი ან ლანცეტისებრი ფორმისაა, რომლის სიგრძე დაახლოებით ერითროციტის რადიუსის ტოლი ან მასზე ოდნავ ნაკლება. მსხლისებრი ფორმები შეერთებული არიან ბლაგვი კუთხით.

Babesia-ს გვარს ორი აღმბრული მიეკუთვნება – *Babesia bovis* (მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის პარაზიტი) და *B.ovis* (ცხვრისა და თხის პარაზიტი). მათ მსხლისებრი, მრგვალი ან ოვალური ფორმა აქვთ. ბაბეზიების სხეულის ზომა ერითროციტის რადიუსზე ნაკლებია, ხოლო მსხლისებრი ფორმები ერთმანეთს უერთდებიან ბლაგვი კუთხით და უმეტესად ერითროციტის პერიფერიაზე არიან განლაგებული.

ბაბეზიიდების მორფოლოგია და ბიოლოგია. ცოცხალი ბაბეზიიდები მუდმივად მოძრაობაში არიან, ხოლო შეღებილი სახით (სისხლის ნაცხში) მათ ოვალური ან მსხლისებრი ფორმა აქვთ. შესაძლოა შეგვხვდეს ბეჭდისებრი, ჩხირისებრი, ამებისებრი და წერტილისებრი მათი ფორმებიც. სახეობიდან გამომდინარე

ბაბეზიდების სხეულის ზომა სიგრძეში მერყეობს 0,5-7 მიკ-რონის ფარგლებში.

განვითარების ყველა სტადიაზე ბაბეზიდები პარაზიტები არ-იან. ისინი გვხვდებიან სისხლში ან გადამტანი ტკიპების ორგა-ნიზმში. ამთვისებელ ცხოველს ბაბეზიდებს გადასცემენ ტკიპები განვითარების ნებისმიერ სტადიაზე (ლარვა, ნიმფა იმაგო). მათ ნერწყვთან ერთად ცხოველის ორგანიზმში იჭრება მეროზოიტი. ეს უკანასკნელი ხვდება ლიმფური ან სისხლის მიმოქცევის სისტემაში, გარდაიქმნება ტროფოზოიტად, იკვებება და მარ-ტივი გაყოფის გზით ორად მრავლდება. სასიცოცხლო ციკლის გაგრძელებისათვის ბაბეზიდები აუცილებლად უნდა მოხვდნენ ტკიპას ორგანიზმში, რაც ძირითადად ცხოველის დაავადების ბოლო სტადიაზე ხდება.

მდედრი ტკიპას მიერ სისხლწოვის შემდეგ ბაბეზიდები ხვდე-ბიან ტკიპას ნაწლავში, გადაინაცვლებენ სხეულის ღრუში და მიგრირებენ საკვერცხეში, სადაც ჩაიბუდებენ ფოლიკულებში. კვერცხდების შემდეგ კვერცხში ერთდროულად ხდება ტკიპას ლარვისა და ბაბეზიდების განვითარება. ლარვის მიერ კანის ცვლის შემდეგ პარაზიტი ხვდება ტკიპას ნიმფაში, ხოლო ნიმ-ფას კანის ცვლის შემდეგ – ტკიპას იმაგო ფორმაში. მდედრის მიერ მომავალი თაობებისათვის აღმძვრელის გადაცემის ასეთ გზას ტრანსოვარული ეწოდება. ზოგიერთი სახეობის ტკიპებს პარაზიტები გადაუცემათ მხოლოდ მათი მეტამორფოზის დროს. მაგალითად, იმაგოს შეუძლია ამთვისებელ ცხოველს აღმძვრელი გადასცეს იმ შემთხვევაში, თუ მან დაავადებულ ცხოველს მო-წოვა სისხლი მისი ლარვად ან ნიმფად ყოფნის დროს. აღმძვრე-ლის გადაცემის ასეთ გზას ტრანსფაზური ეწოდება.

პათოგენეზი ბაბეზიდოზების დროს. ამთვისებელი ცხოველების დაინგაზიება მათთვის სპეციფიკური ბაბეზიდებით ხდება ცხოველების ასაკის მიუხედავად. დაავადების განვითარების პროცესი განისაზღვრება არა მარტო აღმძვრელების ამთვისე-ბლობით, არამედ მათი ვირულენტობით, რაც ძირითადად გამ-ოხატება ცენტრალურ ნერვულ სისტემასა და ორგანიზმის სა-

სიცოცხლო ფუნქციებზე ტოქსიკური ზეგავლენით. ბაბეზიდებ-ით დაინგაზიებული ყველა ცხოველის ორგანიზმში მკვეთრად იცვლება სისხლის მაჩვენებლები. კერძოდ, ერთორციტების რაოდენობა მცირდება 2-2,5-ჯერ, ლეიკოციტების – 2-3-ჯერ, ჰემოგლობინის – 2-ჯერ და უფრო მეტად. დაავადების მძიმე ფორმით მიმდინარეობის დროს სისხლში ჩნდება ბაზოფილური მარცვლოვნების მქონე ერთორციტები, ხოლო ლეიკოციტურ ფორმულაში აღნიშნავნ გადახრას მარცხნივ, ახალგაზრდა და ჩხირდითვიანებამდე. ვითარდება ანერზინოფილია, შესაბამისად, მცირდება ნეიტროფილებისა და მატულობს ლიმფოციტების რაოდენობა.

პარაზიტების ტოქსიკური მეტაბოლიტების, ერთორციტების და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ქსოვილების უჯრედების დაშლის პროდუქტების ზემოქმედება იწვევს ნივთიერებათა ცვ-ლის პროცესების რღვევას.

ერთორციტების რაოდენობის შემცირების შედეგად ორგა-ნიზმში ვითარდება ფანგბადოვანი შიმშილი. მის საკომპენსაციოდ ძლიერდება გულისა და ფილტვების მუშაობა. სუნთქვის გახ-შირებას თან სდევს ქოშინი, შეგუბებები სისხლის მიმოქცევის მცირე წრეში. ქსოვილებში გროვდება ნივთიერებათა ცვლის შეალებური პროდუქტები. შედეგად, მატულობს სისხლძარღვე-ბის ფორმითობა, რის გამო ქსოვილებსა და ორგანოებში ვი-თარდება შეშუბებები. სისხლის მიმოქცევის ფუნქციის მოშლა და ორგანიზმის ინტოქსიკაცია იწვევენ თირკმელების ფუნქციის შესუსტებას (ალბუმინურია, ოლიგურია).

ერთორციტების დაშლის შედეგად გამოთავისუფლებული ჰე-მოგლობინის ნაწილი ხვდება თირკმელებში, რაც ჰემოგლობინ-ურით ვლინდება, ნაწილი კი გადამუშავდება ღვიძლის პიგმე-ტად (ბილირუბინი), რაც განაპირობებს კუნთქების, ლორწოვანი და სეროზული გარსების ყვითლად შეფერვას.

ამავდროულად, ირღვევა კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ფუნქცია. დაავადების საწყის ეტაპზე ნივთიერებათა ცვლის დარღვევის შედეგად წარმოქმნილი პროდუქტები მოქმედებენ ნაწლავის

ტრაქტის რეცეპტორებზე, რის გამო ძლიერდება პერისტალტიკა. აღნიშნება მაღის დაქვეითება, საკების გადამუშავებისა და შეწოვის პროცესების გაუარესება, სიგამხდრე. თანდათან ვითარდება კატარი, მეტეორიზმი, ფერხდება გაზების რეზორბცია, სუსტდება პერისტალტიკა. პროცესის სიმძიმიდან გამომდინარე ხშირია დაავადებული ცხოველის სიკვდილი.

## მსხვილფასანი პირუტყვის პიროპლაზმოზი

პიროპლაზმოზი მწვავე ფორმით მიმდინარე დაავადებაა, რომლის აღმმერელია *Piroplasma bigeminum*. ამ დაავადებისათვის დამახასიათებელია ტემპერატურის მომატება, ანემია, სიყვითლე, ჰემოგლობინურია, აგრეთვე გულ-სისხლძარღვთა, საჭმლის მომნელებელი და ნერვული სისტემების აშლილობა.

აღმმერელი. რომანოვსკის წესით შეღებილ პიროპლაზმებს მოცისფრო ციტოპლაზმა და მოწითალო ბირთვი აქვთ. ჩვეულებრივ, ერითროციტში განთავსებულია ერთი, ორი, იშვიათად მეტი პარაზიტი. მათ მსხლისებრი, მომრგვალო ან წაგრძელებულ-ოვალური ფორმა აქვთ. წყვილი მსხლისებრი ფორმები შეერთებული არიან ვიწრო ბოლოებით და ერთმანეთის მიმართ განლაგებული არიან მახვილი კუთხით. ერთული ფორმების სიგრძე 2,2-დან 6 მიკრონამდეა, მსხლისებრი ფორმების – 4,5 მიკრონამდე. ავადმყოფობის საწყის სტადიაზე უფრო მეტად ერთული ფორმები გავხდება, შემდეგ წყვილები ჭარბობს. ინვაზიური პროცესის განვითარებასთან ერთად სწრაფად იზრდება დაზიანებული ერითროციტების რაოდენობა, რომლის მაჩვენებელი 5-15 %-ს აღწევს, იშვიათ შემთხვევაში – 40%-საც.

აღმმერელის ბიოლოგია. ერითროციტებში პიროპლაზმები მრავლდებან ორად მარტივი გაყოფით ან გამოკვირტვით. აღმმერელის შემდგომი განვითარება მიმდინარეობს ტკიპას ორგანიზმში შიზოგონური გაყოფის გზით. პიროპლაზმების გად-


ამტანია ერთმასპინძლიანი ტკიპა – *Boophilus calcaratus*, სამასპინძლიანი – *Haemaphysalis punctata* და ორმასპინძლიანი – *Rhipicephalus bursa*, რომლებიც აღმმერელს გადასცემენ ტრანსოვარულად. *B.calcaratus*, როგორც წესი, პიროპლაზმებს გადასცემს ნიმუშობის ფაზაში, *H.punctata* და *R.bursa* – იმავეს ფაზაში.

ეპიზოოტოლოგიური მონაცემები. პიროპლაზმოზი ფართოდაა გავრცელებული სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის გარდა ამ პროტოზოოზით ავადდება კამეჩი და ზებუ, მაგრამ ამ შემთხვევაში დაავადებას უფრო კეთილთვისებიანი მიმდინარეობა აქვს.

პიროპლაზმოზი ენზოოტიური დაავადებაა, რომელიც განპირობებულია გადამტანი ტკიპების არეალით. *B.calcaratus*-ის ბიოლოგები ძირითადად იქმნება არასახნავ, ჭარბტენიანი ნიადაგის ქვეყნებში საძოვრებზე, რომლებიც დაფარულია ბალაზოვანი, ბუჩქნარი მცენარეებით ან მეჩერი ტყით.

პიროპლაზმოზი მიეკუთვნება საძოვრულ, ზაფხულის (სეზონურ) დაავადებებს. იგი ვლინდება გაზაფხულზე, ზაფხულში და შემოდგომაზე. პირველი აფეთქება, რომელიც გამოწვეულია გამოზამთრებული ლარვებით, იწყება აპრილში და გრძელდება მაისში. შემდეგ დაავადება არ ვლინდება. ეს პერიოდი ემთხვევა *B.calcaratus*-ის მიერ კვერცხდებისა და ლარვების გამოჩეკვის პერიოდს. მეორე აფეთქება ხდება ივნისში, მაგრამ თვის ბოლოსათვის დაავადებული ცხოველების რიცხვი კლებულობს. მას იწვევნ მიმდინარე წლის პირველი გენერაციის ტკიპები. მესამე აფეთქება აგვისტოს ბოლოს იწყება და ნოემბრიშედე გრძელდება. მას მიმდინარე წლის მეორე გენერაციის ტკიპები იწვევენ. ამ გენერაციის მდედრ ლარვებს შეუძლიათ გამოზამთრონ და მომდევნო წლის გაზაფხულზე დაანიგაზონ საძოვრზე გასული პირუტყვი.

პიროპლაზმოზით მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი ავადდება ბუნებრივ საძოვრებზე, თუმცა ეს შესაძლებელია ბაგური შენახვის პირობებშიც თუ ცხოველთა სადგომებში ტკიპები მოხვდებიან ბალაზთან ერთად.



სურ. 1. პიროპლაზმიდოზების აღმძვრელები: a. *Piroplasma calalli*; b. *Piroplasma canis*; c. *Piroplasma bigeminum*; d. *Piroplasma ovis*; e. *Piroplasma trautmanni*; f. *Nuttallia equi*; g. *Babesia bovis*; h. *Babesia ovis*.

პიროპლაზმოზით დაავადება არ ხდება ხელოვნურ ნათესებიან ფართობებზე, ბუნებრივად მშრალ, აგრეთვე მაღალმოთან (900-1200 მ ზღვის დონიდან) საძოვრებზე, სადაც ტკიპები არ ბინადრობენ.

მსხვილფეხა რქოსან პირუტყველი პიროპლაზმოზი უფრო ხშირად ფრანსაიელოზთან ერთად გვხვდება.

დაავადების სიმპტომები. პიროპლაზმებით ბუნებრივი დაინგვიების დროს ინკუბაციური პერიოდი 14-24 დღეს გრძელდება. ერთ წლამდე ასაკის მოზარდეულში და უფროსი ასაკის აბორიგენულ ცხოველებში პიროპლაზმოზი ატიპური ფორმით ვლინდება. გარდა ამისა, გაზაფხულზე, როდესაც აღმძვრელის გადაცემა ხდება გამოზამთრებული ლარვებით, დაავადება უფრო მსუბუქად მიმდინარეობს, ვიდრე ზაფხულის თვეებში. უფროსი ასაკის მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს, რომელსაც არ აქვს პრემუნიცია, პიროპლაზმოზის ტიპობრივი სიმპტომები უვითარდება. ავადმყოფობის პირველი დღე-დამის განმავლობაში სხეულის ტემპერატურა  $41-42,5^{\circ}$ -მდე მატულობს და ამ დონეზე რჩება ავადმყოფობის მთელი პერიოდის განმავლობაში. ცხოველი მკვეთრად დათრგუნვილია, საკვებს უხალისოდ იღებს. პირველ დღეს შესაძლებელია წყურვილის გაძლიერება.

ფურები მკვეთრად ამცირებენ წველადობას. პულსი აჩქარებულია 100-120-მდე. გულის ბიძგები შეიგრძნობა გულმკერდის არეში ხელის მიდებით. სუნთქვა აჩქარებულია. დაავადების დასაწყისში თვალის ლორწოვანი გარსები წითელია, შემდეგ – ანემიური, მოყვითალო ელფერით. ავადმყოფობის მეორე დღეს სიმპტომები უფრო კარგადაა გამოზატული. ცხოველი გარინდული, დახრილი თავით დგას. მას ხშირად სდის ცრემლი. იგი საკვებსა და წყალს უგუნებოდ იღებს ან საერთოდ უარს ამბობს საკვებზე. ნაწლავის პერისტალტიკა შეწელებულია, ფაშვის შეკუმშვა – გაიშვიათებული. დასაწყისში შარდი ყვითელია, მაგრამ პიროპლაზმოზის მწვავედ მიმდინარეობისას იგი უპვე მეორე დღიდან იღებს წითელ შეფერილობას. ჰემოგლობინურიას თან სდევს შარდის გახშირებული გამოყოფა.

ავადმყოფობის მესამე-მეოთხე დღეს დაავადების გამოვლენა კულმინაციურ დონეს აღწევს. ამ დროს ცხოველები გამხდრები არიან, მეტწილად წვანან, საკვებს და წყალს არ იღებენ, ზოგჯერ კბილებს აკრაჭუნებენ. ზილული ლორწოვანი გარსები უფერულია. მათ მოყვითალო ელფერი დაკრავთ და აღნიშნებათ წერტილოვანი სისხლჩაქცევები. ფაშვი საერთოდ არ იკუმშება ან მისი მოძრაობა ძალზე შენელებულია. გულის ბიძგები კაკუნის მაგვარია, ჩნდება არითმია. შარდი მუქი წითელი ფერისაა.

ამ სიმპტომებით დაავადება 5-7 დღეს გრძელდება და, როგორც წესი, ლეტალურად მთავრდება.

თვითგანკურნების დროს ავადმყოფობის მეორე პერიოდში იწყება ტემპერატურის თანდათანობითი შემცირება, შარდი ბაცდება და ცხოველს მადა უბრუნდება. საერთო მდგომარეობის გაუარესება შეიძლება გამოვლინდეს ავადმყოფი ცხოველების მზეზე ყოფნის ან ძოვებისას, აგრეთვე დიდ მანძილზე მათი გადარეკვითსას.

პათომორფოლოგიური ცვლილებები. გაკვეთისას ლორწოვანი და სეროზული გარსები უფერულია ან მოყვითალო ელფერი დაკრავთ. მათზე აღინიშნება სისხლჩაქცევები. ლიმფური კვანძები გადიდებულია. ელენთა მუქი წითელი ფერისაა და მნიშვნელოვანად გადიდებული. მის ზედაპირზე სისხლჩაქცევებია, ხოლო პულპას დუნე კონსისტენცია აქვს. ლვიძლი გადიდებულია. იგი მუქი წითელი ფერისაა, ზოგჯერ მოყვითალო ელფერით. თირკმელები გადიდებულია, ქერქოვან და ტვინოვან შრებს შორის საზღვარი წაშლილია. შარდის ბუშტი სავსეა მუქი წითელი, იშვიათად მუქი ყვითელი ფერის შარდით. წიგნარა, როგორც წესი, გამკვრივებულია, მისი შიგთავსი მშრალია და იფშვნება. აღინიშნება ფილტვების შეშუპება. ბრონქებში ქაფიანი ვარდისფერი სითხეა. გულის ზედაპირზე, განსაკუთრებით წინა გულისა და მისი წვერის არეში წერტილოვანი და ხაზოვანი სისხლჩაქცევებია. გულის კუნთი ადვილად იხევა. იგი მორუხო ფერისაა. ალაგ-ალაგ მასზე კეროვანი სისხლჩაქცევებია. ენ-

დოკარდიუმზე აღინიშნება მრავალრიცხოვანი სისხლჩაქცევები. სისხლი შედედებულია.

დიაგნოზს და დიფერენციალურ დიაგნოზს ადგენენ კომპლექსურად (ეპიზოოტოლოგიური მონაცემები, კლინიკური ნიშნები, ლაბორატორიული გამოკვლევისა და პათოლოგიურ-ანატომიური გაკვეთის შედეგები). პიროპლაზმოზის დროს ეპიზოოტოლოგიური მონაცემებიდან მნიშვნელოვანია ავადმყოფ ცხოველზე *Borophilus*-ის გვარის ტკიპების აღმოჩენა და გასულ წლებში მოცემულ საძოვრებზე პიროპლაზმოზით ცხოველების დაავადების შემთხვევები. კლინიკურად ავადმყოფ ცხოველებს აღნიშნებათ სხეულის მაღალი ტემპერატურა, ლორწოვანი გარსების ანემიურობა და სიყვითლე, ჰემოგლობინურია. ლეშისათვის დამახასიათებელია ანემია, ელენთის პიპერპლაზია, ჰემოგლობინურია, წიგნარას დახშობა. მკურნალობამდე აღებული სისხლის ნაცხების გასინჯვით ადგენენ აღმძვრელის სახეობას.

აუცილებელია პიროპლაზმოზის დიფერენცირება ჯილებისა და ლეპტოსპიროზისაგან. ჯილების დროს მკურნალობა უშედეგოა და ცხოველი სწრაფად კვდება. ლეპტოსპიროზისა და პიროპლაზმოზის საერთო ნიშანია ჰემოგლობინურია. მაგრამ ლეპტოსპიროზის დროს სიყვითლე მკვეთრად არის გამოხატული, ზიანდება ცხვირის სარკე, ელენთა არ არის გადიდებული. თუ მკურნალობის შედეგად სიყვითლე და ჰემოგლობინურია კვლავ აღინიშნება, ცხოველს იკვლევენ ლეპტოსპიროზზე.

მკურნალობა. ავადმყოფ ცხოველებს საძოვარზე არ უშვებენ. მათ უზრუნველყოფებ წყლით, ადვილად მოსანელებელი წვინანი საკვებით. სასურველია საკვებ რაციონში დაემატოს რძის შრატი ან ახალი რძე. პიროპლაზმებითა და ფრანსაიელებით ერთდროული ინვაზიის დროს იყენებენ აზიდინს (ბერენილი), დიამედინს.

აზიდინი რეკომენდებულია 7%-იანი წყალხსნარის სახით კანქვეშ ან კუნთებში, დოზით 3,5 მგ/კგ. დიამედინი შეპყავთ 7%-იანი ხსანრის სახით კანქვეშ ან კუნთებში, დოზით 1-2 მგ/კგ.

სპეციფიკური და არასპეციფიკური მკურნალობის ეფექტი 10-

14 საათში ვლინდება. კერძოდ, სხეულის ტემპერატურა ნორმას უბრუნდება, შარდი იწმინდება, ცხოველი იწყებს საკვებისა და წყლის მიღებას. თუ ცხოველის საერთო მდგომარეობა გაუმჯობესდა, მაგრამ ტემპერატურა არ კლებულობს, აუცილებლად იკვლევენ სისხლს. აღმძვრელების გამოვლენის შემთხვევაში მკურნალობას იმეორებენ იმავე მეთოდით.

პროფილაქტიკა და ბრძოლის ღონისძიებები. ავადმყოფ ცხოველებს მკურნალობენ. პირობლაზმოზის შემთხვევების გამოვლენისას დაუყოვნებლივ ატარებენ ქიმიოპროფილაქტიკას აზიდინით ან პემოსპორიდინით ნაგანინთან ერთად. თუ ცხოველები იმავე საძოვრებზე რჩებან, 10-14 დღის შემდეგ მკურნალობას იმეორებენ.

ენზონტიურ ზონაში პირობლაზმოზის ლიკვიდაციისათვის ახორციელებენ ღონისძიებათა კომპლექსს, რომელიც ქიმიოპროფილაქტიკასთან ერთად მოიცავს გადამტანი ტკიბების საწინააღმდეგო ღონისძიებებს, რომლებიც აღწერილია განაკვეთში „სავეტერინარო არაქნოლოგია“.

## ცხვრისა და თხის პიროგლაზმოზი

ცხვრისა და თხის პირობლაზმოზი მწვავე ფორმით მიმდინარე დაავადებაა, რომელსაც თან სდევს ციებ-ცხელება, ანემია, ლორწოვანი გარსების სიყვითლე, ჰემოგლობინურია. დაავადების აღმძვრელია – *Piroplasma ovis*.

აღმძვრელი. ცხვრის პირობლაზმებს მრგვალი ან მსხლისებრი ფორმა აქვთ. ისინი ერთორციტის ცენტრში არიან განლაგებული. წყვილი მსხლისებრი ფორმები ერთმანეთს მახვილი კუთხით უერთდებიან. დაავადების საწყის სტადიაზე სისხლში ჭარბობენ პარაზიტის ერთეული ფორმები, შემდეგ – წყვილი მსხლისებრი (60%-მდე). ხშირად, ცხვრის პირობლაზმოზის დროს, პირობლაზმებთან ერთად სისხლში პოულობენ ბაბეზიებსაც. მათ ერთმანეთისაგან განასხვავებენ ზომის, ერთორც-

იტში ადგილმდებარეობისა და წყვილი მსხლისებრი ფორმების შეერთების კუთხის მიხედვით.

აღმძვრელის გადამტანია ორმასპინძლიანი ტკიპა – *Rhipicephalus bursa*.

ეპიზოოტოლოგიური მონაცემები. ცხვრის პირობლაზმოზი ბუნებრივ-კერობრივ დაავადებებს მიეკუთვნება. ტერიტორიები, სადაც იგი გავრცელებულია, ეპიზოოტოლოგიური თვალსაზრისით მიჩნეულია ენზონტიურ და ლატენტურ ზონებად. ცხვრის პირობლაზმოზი სეზონურ-საძოვრული დაავადებაა. მისი პირველი შემთხვევები გაზაფხულზე აღინიშნება, ხოლო მაისიდან ივნისის ჩათვლით დაავადება მასობრივად ვლინდება. აგვისტოდან ოქტომბრის ჩათვლით დაავადების ერთეული შემთხვევები გვხვდება. გაზაფხულისა და ზაფხულის თვეებში დაავადების აღმძვრელის გადაცემა განპირობებულია ცხოველებზე *R.bursa*-ს იმავე ფორმების თავდასხმით, შემოღომაზე კი დაავადებას აღნიშნული ტკიპას ლარვები და ნიმფები ავრცელებენ.

დაავადების სიმპტომები. ინკუბაციური პერიოდი 9-14 დღეს გრძელდება. სხეულის ტემპერატურა სწრაფად მატულობს და შესაძლოა  $42^{\circ}$ -ს მიაღწიოს. ცხოველი დათრგუნულია, გრილ ადგილას წევს, აღარ იღებს საკვებს და წყალს. სუნთქვა გახშირებულია. დაავადების დასაწყისში კონიუნქტივა პიპერემიულია, 2-3 დღის შემდეგ კი მოყვითალო ელფერს იძენს. პირველ დღეებში ფაშვის მოძრაობა შენელებულია, შემდეგ კი ატონია ვითარდება. ფეკალი მკვრივია, დაფარულია ლორწოთი, ხოლო დაავადების მძიმე ფორმით მიმდინარეობისას – სისხლით. ჩვეულებრივ, შარდი მღვრიეა, მას ყვითელი ფერი აქვს. ხშირად ვლინდება ჰემოგლობინურია.

პათომორფოლოგიური ცვლილებები. ლორწოვანი და სეროზული გარსები ღია ყვითელი ფერისაა, ელენთა გადიდებული, გულზე, ფილტვებსა და ნაწლავებში სისხლჩაქცევებია. წიგნარა გადავსებულია საკვების მშრალი მასით. ღვიძლი გადავსებულია სისხლით. თირკმელები პიპერემიულია. შარდი წითელი ფერისაა.

დიაგნოზს ადგენტ კომპლექსურად ეპიზოოტოლოგიური მონაცემების (დაავადების სეზონურობა და ავადმყოფი ცხოველის სხეულზე ტკიპა R.bursa-ს აღმოჩენა), კლინიკური ნიშნების (ციებ-ცხელება, ლორწოვანი გარსების ანემია მოყვითალო შეფერილობით, ჰემოგლობინურია), პათომორფოლოგიური ცვლილებების (ელენთის გადიდება, სისხლჩაქცევები გულსა და სხვა ორგანოებში) საფუძველზე, აგრეთვე პიროპლაზმების აღმოჩენით ავადმყოფი ცხვრებისა და თხებისაგან აღიტულ სისხლის ნაცხებში.

აუცილებელია პიროპლაზმოზის დიფერენცირება ლეპტოსპიროზისა და ჯილდებისაგან. ლეპტოსპიროზი, რომელსაც ანალოგიური კლინიკური ნიშნები აქვს, ციებ-ცხელების გარეშე მიმდინარეობს. ჯილდების დროს დაავადება სწრაფად ვითარდება და ჩვეულებრივ, ლეპტალურად მთავრდება.

მკურნალობა. ავადმყოფ ცხოველებს ცალკე გამოყოფენ და თერმომეტრიას უტარებენ. იმ ცხოველებს, რომლებსაც ატონის ნიშნები აქვთ უნიშნავენ სასაქმებელ მარილებს ან მცენარეული ზეთების ემულსიებს. დასუსტებულ ცხოველებს უნიშნავენ საგულე საშუალებებს. ამის შემდეგ, ყველა ავადმყოფ ცხოველს კუნთებში უნიშნავენ აზიდინის (ბერენილი) 7%-იან წყალხსნარს დოზით 0,0035 გ/კგ ან დიამედინის 1-7%-იან ხსნარს დოზით 0,001-0,002 გ/კგ. მომდევნო დღეს დილით (სიცხის დადგომამდე) ავადმყოფ სულადობას კვლავ უტარებენ თერმომეტრიას. იმ ცხოველს, რომლის სხეულის ტემპერატურა  $40^{\circ}$ -ზე მეტი იქნება, განმეორებით მკურნალობენ იგივე პრეპარატებით და დოზებით. ცხოველებს, რომელთა სხეულის ტემპერატურა ნორმის ფარგლებში იქნება, 3-4 დღის განმავლობაში აკვირდებიან, უტარებენ თერმომეტრიას და თუ რაიმე ნიშანი არ გამოვლინდა, უშვებენ საერთო სულადობაში.

პროფილაქტიკა ხორციელდება ცხოველების შენახვის პირობებიდან გამომდინარე. მომთაბარე შენახვის პირობებში ცხოველი უნდა დავიცვათ დატკიპიანებისაგან გადასარეკ ტრასებზე. დაავადების პირველი ნიშნების გამოვლენისთანავე მთელი

არაკეთილსამედო ფარა უნდა განთავსდეს ისეთ ტერიტორიაზე, სადაც არ ბინადრობენ ტკიპები ან ახორციელებენ ტკიპების საწინააღმდეგო დამუშავებას, რათა შეწყდეს პიროპლაზმებით ცხვრის დაინგვაზიება.

თუ ცხვრებს სტაციონარულად აძოვებენ ისეთ საძოვრებზე, სადაც არის R.bursa-ს ბიოტოპები, მაშინ აუცილებელია ტკიპების საწინააღმდეგო ღონისძიებათა განხორციელება როგორც ცხოველის ორგანიზმზე, ისე საძოვარზე მთელი საძოვრული პერიოდის განმავლობაში. ამ დროს ნადგურდება ტკიპების ლარვულ-ნიმფური და იმავე ფორმები, რის შედეგად ცხვრის დაინგვაზიება მკვეთრად კლებულობს.

## პენტჩლიქიანთა პიროპლაზმოზი

ცხენის, სახედარი და ჯორის პიროპლაზმოზის აღმმდვრელია *Piroplasma caballi*. დაავადება მწვავე ფორმით მიმდინარეობს და თან სდევს ციებ-ცხელება, ანემია, სიყვითლე, ცენტრალური ნერვული, გულსისხლძარღვთა და საჭმლის მომნელებელი სისტემის აშლილობა.

აღმმდვრელი. კენტჩლიქიანთა ერითროციტებში პიროპლაზმები ქმნიან ერთულ ოვალურ და ამებისებრ, აგრეთვე წყვილ მსხლისებრ ფორმებს, რომელთა ზომა სივრცეში ერითროციტის რადიუსს აღემატება. წყვილი მსხლისებრი ფორმები ერთმანეთს წვეტიანი ბოლოებით და მახვილი კუთხით უერთდებან. ავადმყოფი ცხოველის სისხლში პიროპლაზმებით დაინვაზიებული ერითროციტების რაოდენობამ შეიძლება 6-10%-ს მიაღწიოს.

აღმმდვრელის ბიოლოგია. კენტჩლიქიანთა სისხლში პარაზიტი მრავლდება ორად გაყოფის გზით ან გამოკვირტვით, ხოლო იქსოდიდეს ოჯახის ტკიპების ქსოვილებში, ჰემოლიმფასა და კვერცხებში – შიზოგონის გზით. ტკიპების ორგანიზმში ინვაზიის გადაცემა ხდება ტრანსოვარული გზით. იმავე ფორმების ორგანიზმში პიროპლაზმები გააღწევენ სანერწყვენ ჯირკვლებში

და მათ მიერ ცხოველის სისხლის წოვის დროს ახდენენ პარაზიტების ინოკულირებას ამთვისებელი ცხოველის სისხლში.

ეპიზოოტოლოგიური მონაცემები. ჩვენს ქვეყანაში პირობლაზმებით კენტჩლიქიანთა დაინვაზიება ხდება *Dermacentor*-ის და *Hyalomma*-ს (*H.plumbeum*) გვარების ტკიპებით, რომელთა თითოეული სახეობის ეპიზოოტიური მნიშვნელობა განისაზღვრება მათი ბიოტოპების გეოგრაფიული გავრცელებით.

იმუნიტეტი. პირობლაზმოზის მოხდის შემდეგ ცხენები იმუნიტეტს იძენენ (პრემუნიცია). ავადმყოფობის მოხდის სიმძიმე განსაზღვრავს პრემუნიციის სიმყარესა და ხანგრძლივობას. პრემუნიციის მდგომარეობა სუსტდება ძლიერი ექსპლუატაციის, დაძაბუნების, აგრეთვე სხვა ინვაზიურ და ინფექციურ დაავადებათა თანდართვის შედეგად.

დაავადების სიმპტომები. ინკუბაციური პერიოდი 8-14 დღეს გრძელდება. დაავადება სხვადასხვა ხასიათის სიმძიმით ვლინდება. იგი უფრო მძიმე ფორმით მიმდინარეობს კულტურული ჯიშის ცხენებში, აგრეთვე იმ ცხოველებში, რომელთაც ინკუბაციური პერიოდის დროს სამუშაოდ იყენებდნენ.

პირობლაზმოზის მწვავე ფორმით მიმდინარეობა მზარდი ციც-ცხელებით ვლინდება. დასაწყისში აღინიშნება ლორწოვნი გარსების ჰიპერემია, რომელიც ანემით და სიყვითლით იცვლება. წერტილოვანი სისხლჩაქცევები ავადმყოფობის მეორე სტადიისთვისაა დამახასიათებელი. ამ დროს ირლვება გულის რითმი და ძლიერდება მისი ბიძების ძალა, აღინიშნება მსხვილი ნაწლავების მეტეორიზმი და პროგრესირებადი სიგამხდრე. ავადმყოფობა 3-6 დღეს გრძელდება და სიმპტომების გაძლიერების კვალობაზე პირობლაზმოზით მძიმედ დაავადებული ცხენების უმრავლესობა იღუპება.

პათომორფოლოგიური ცვლილებები. ლეშის გაკვეთისას აღნიშნავენ სეროზული, ლორწოვანი გარსებისა და კანქვეშა უჯრედისას ანემიას სუსტად გამოხატული სიყვითლით. დამახასიათებელია ელენთის გადიდება, რომლის პულპას მუქი წითელი ფერი აქვს. სისხლი შედეგებული და ღია წითელი ფერისაა. ენ-

დოკარდიუმზე მრავლობითი სისხლჩაქცევებია, ხოლო კუნთები – მოდუნებული. ლეშის გახრწნისას პირობლაზმები განიცდიან დეფორმაციას და ლიზის. ამიტომ, დიაგნოზის დასადასტურებლად აუცილებელია სისხლის დროულად აღება ჩლიქის გვირგვინის კანის ან ყურის კაპილარებიდან.

დიაგნოზის დადგენა ხდება დაავადების გამოვლენის სეზონის (საძოვრული პერიოდი) გათვალისწინების, ავადმყოფ ცხოველზე გადამტანი ტკიპების აღმოჩენისა და დაავადების კლინიკური გამოვლენის (ციც-ცხელება, ანემია, სიყვითლე, გულის მუშაობის დარღვევა) საფუძველზე. ცხოველის სიცოცხლეში დიაგნოზის დადასტურება ხდება სისხლის ნაცხებში ერთეული და წყვილი მსხლისებრი პირობლაზმების ნახვით, რომელთა რაოდენობა დამოკიდებულია დაავადების მიმდინარეობის სიმძიმეზე.

დიაგნოზის დადგენისას აუცილებელია პირობლაზმოზი განვასხვაოთ ლეპტოსპიროზისაგან, რომლის დროსაც ციც-ცხელება ან არ აღინიშნება, ან სუსტად არის გამოხატული, ჰემოგლობინურია აღენიშნება ავადმყოფი ცხოველების უმრავლესობას, ხოლო ელენთა ნორმის ფარგლებშია.

მკურნალობა. ეფექტიანი მკურნალობა მიიღწევა სპეციფიკური სამკურნალწამლო საშუალებების გამოყენებით, დამკველი იმუნობილოგიური მექანიზმების მობილიზებით და ორგანიზმის სხვადასხვა სისტემის მოშლილი ფუნქციების აღსაღენად პათოგენეტიკური მკურნალობით. გულსისხლძარღვთა სისტემის მოქმედების გასაუმჯობესებლად უნიშნავენ კოფენს, ქაფურს, ხოლო კუჭნაწლავის ტრაქტის ფუნქციის ნორმალიზებისათვის – საშუალო მარილების ხსნარებს მცირე დოზებით, სულფანილ-ამიდურ პრეპარატებს.

ვინაიდან კლინიკური ნიშნების მიხედვით რთულია პირობლაზმოზის დიფერენცირება ნუტალიოზისაგან, იყნებენ ისეთ ქიმიოთერაპიულ საშუალებებს, რომლებიც ეფექტურანები არიან ორივე დაავადების დროს. ასეთებია: აზიდინი (ბერენილი) და დიამიდინი. აზიდინის უნიშნავენ კუნთებში 7%-იანი ხსნარის სახით, დოზით 0,0035 გ/კგ. დამედინს უნიშნავენ კუნთებში 10%-იანი

ხსნარის სახით, დოზით 0,002 გ/კგ. თუ ცხენების ჯანმრთელობის მდგომარეობა არ გაუმჯობესდა აღნიშნული პრეპარატები განმეორებით შეჰყავთ კუნთებში 24 საათის შემდეგ.

პიროპლაზმებისაგან ცხენის სანაციის მიზნით დიამედინი შეჰყავთ კუნთებში 10%-იანი ხსნარის სახით დოზით 0,004 გ/კგ, ორჯერ 24 საათის განმავლობაში. ნუტალიებისაგან ცხენის სანაციის მიზნით დიამედინი შეჰყავთ კუნთებში 10%-იანი ხსნარის სახით დოზით 0,005 გ/კგ ოთხჯერად, 72 საათის შემდეგ, მორიგეობით მარჯვენა და მარცხენა გავის მიღამოში. თუ ცხენი მძიმედ რეაგირებს დიამედინზე (მოუსვენრობა, ოფლისა და შარდის გამოყოფის, აგრეთვე დეფექტების გახშირება), რეკომენდებულია მას შეუყვანით ატრიპინის ხსნარი დოზით 0,02-0,08 გ 5-8 მლ დისტილირებულ წყალში.

განკურნების შემდეგ რეციდივის თავიდან ასაცილებლად ცხოველებს ინახავენ გრილ შენობებში და სამუშაოდ უშვებენ 2-3 კვირის შემდეგ.

პროფილაქტიკა. იმის გამო, რომ პიროპლაზმებით და ნუტალიებით ცხენის დაინვაზიება ხდება ერთი და იგივე სახეობის ტკიპების მეშვეობით, ამდენად პროფილაქტიკური ღონისძიებები ერთგვაროვანია. კეთილსამედო ადგილებიდან შემოყვანილი ცხენები რომ დავიცვათ პიროპლაზმოზისა და ნუტალიოზისაგან, აუცილებელია საძოვარზე გასვლიდან და მათ სხეულზე ტკიპების აღმოჩნდიდან 4-6 დღის შემდეგ ცხენებს ყოველდღიურად ჩაუტარდეთ თერმომეტრია. ტემპერატურის მომატების შემთხვევაში მთელ სულადობას ამუშავებენ აზიდინით, თერმომეტრიას კი აგრძელებენ. ტემპერატურის მატებისა და პიროპლაზმიდოზების ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში აზიდინით მკურნალობას იმეორებენ. ორი კვირის შემდეგ, იმის მიუხედავად, ექნებათ თუ არა ცხენებს მომატებული ტემპერატურა, განმეორებით შეჰყავთ აზიდინი და 3-5 დღის შემდეგ თერმომეტრიას აღარ ატარებენ. პრეპარატის პირველი შეევანისას ხდება პიროპლაზმების კუპირება, მეორე შეევანისას – ნუტალიების. ცხენებზე ტკიპების პარაზიტების პერიოდში ცხოველებს ამუშავებენ ქლოროფოსის 1%-იანი ხსნარით.

## პალლის პიროპლაზმოზი

პალლის პიროპლაზმოზის აღმმვრელია *Piroplasma canis*. დაავადება მიმდინარეობს მწვავე ან ქრონიკული ფორმებით და გლინდება მაღალი ტემპერატურით, ლორწოვანი გარსების ანემიურობით და სიყვითლით, აგრეთვე ჰემოგლობინურით.

აღმმვრელი. სხვა სახეობის პიროპლაზმებისაგან განსხვავებით ძალლის პიროპლაზმები უფრო დიდი ზომის არიან. მათი ზომა სიგრძეში 7 მიკრონს აღწევს და ისინი თითქმის ავსებენ ერთორციტს. ავადმყოფობის საწყის სტადიაზე სისხლში უფრო მეტია ერთეული პარაზიტები. დაავადების განვითარების კვალობაზე სისხლში მატულობს წყვილი მსხლისებრი ფორმების რაოდენობა და ავადმყოფობის მეორე პერიოდში ერთეული და წყვილი ფორმების შეფარდება დაახლოებით თანაბარია. ჩვეულებრივ, ერთორციტში პოულობენ ერთ ან ორ პარაზიტს, მაგრამ ზოგ ერთორციტში შეიძლება იყოს 16 პარაზიტამდე.

აღმმვრელის ბიოლოგია. ძალლის ორგანიზმში მოხვედრილი პიროპლაზმები ჯერ შინაგან ორგანოებში მრავლდებიან, შემდეგ კი პერიფერიულ სისხლში ჩნდებიან. აღმმვრელის გადამტანები არიან *Dermacentor*-ისა და *Rhipicephalus*-ის გვარების ტკიპები. აღმმვრელის გადაცემა ხდება ტრანსვარული გზით.

ეპიზოოტოლოგიური მონაცემები. აღნიშნული დაავადება გავრცელებულია ყველგან. მისდემი მგრძნობიარე არიან ძალლები, ენოტისებრი ძალლები და მელიები. ამიტომ ძალლის პიროპლაზმოზი ბუნებრივ-კერობრივ დაავადებად ითვლება.

იმუნიტეტი. უპირატესად ავადდებიან ახალგაზრდა და ჯიშანი ძალლები. ავადმყოფობის მოხდის შემდეგ ცხოველი არასტერილურ იმუნიტეტს იძენს, რომლის ხანგრძლიობა 1-2 წლამდეა.

დაავადების სიმპტომები. ინკუბაციური პერიოდი 6-20 დღეს გრძელდება. დაავადების მწვავე ფორმით მიმდინარეობის დროს ძალლი აპათიური ხდება, იგი მძიმედ სუნთქვას და საკვებს არ ღებულობს. ლორწოვანი გარსები უფერული და ციანოზურია. მათ მოყვითალო ელფერი დაკრავს. სხეულის ტემპერატურა

41-42°-ის ფარგლებშია. ავადმყოფობის მეორე-მესამე დღეს შეიძლება გამოჩნდეს სისხლიანი შარდი, რაც არასასურველი პროგნოზის მაჩვენებელია. 3-7 დღის შემდეგ, ხშირ შემთხვევებში ძალლები იღუპებიან.

დაავადება ქრონიკული ფორმით მიმდინარეობს მაღალი ოეზისტენტობის მქონე ძალლებში ან ისეთ ძალლებში, რომლებმაც ადრე მოიხადეს პიროპლაზმოზი. საწყის სტადიაზე სიმპტომები არ ვლინდება. დაახლოებით მესამე დღიდან ძალლები მოდუნებულები არიან, სწრაფად იღლებიან, კარგავენ მაღას. სხეულის ტემპერატურა მატულობს  $40-41^{\circ}$ -მდე, მაგრამ მეორე დღეს შესაძლოა იგი ნორმას დაუბრუნდეს ან იყოს ნორმაზე ოდნავ მაღალი. დამახასიათებელი ნიშანია პროგრესირებადი ანემია და კახექსია.

დაავანოზი. მოცემულ ტერიტორიაზე გასულ წლებში პიროპლაზმოზის შემთხვევების არსებობა და ძალლის სხეულზე ტკიპების გამოვლენა საფუძველს გვაძლევს ეჭვი მივიტანოთ პიროპლაზმოზზე, ხოლო მაღალი ტემპერატურა და ლორწოვნი გარსების ანემია მიგვითითებს ლაბორატორიული გამოკვლევის აუცილებლობაზე. სისხლის ნაცენებში პიროპლაზმების აღმოჩენა ადასტურებს მათ მიერ გამოწვეულ დაავადებას. პიროპლაზმოზი უნდა განვასხვავოთ ძალლის ჭირისაგან, რომლისთვისაც დამახასიათებელია კატარული მოვლენები ნაწლავებსა და სასუნთქორგანებში, აგრეთვე ნერვული მოვლენები.

მკურნალობა. კუნთებში შეჰქავთ აზიდინის 7%-იანი წყალხსნარი დოზით 0,0035 გ/კგ. მომდევნო დღეს ინექციას იმეორებენ. ასევე შეიძლება დიამიდინის გამოყენება, რომლის 10%-იან წყალხსნას, დამზადებულს დისტილირებულ წყალზე, უნიშნავენ დოზით 0,001-0,002 გ/კგ კუნთებში. ამავდროულად, ძალლს უტარდება პათოგენეტიკური მკურნალობა, მას მოსვენებულ მდგომარეობაში ამყოფებენ. გაჯანსაღების შემდეგ ორი კვირის განმავლობაში ძალლს უზღუდავენ მოძრაობას.

პროფილაქტიკა. ყურადღება უნდა გამახვილდეს ძინადრობის ან მოძრაობის ადგილებში ტკიპების არსებობაზე.

ასეთ ადგილებში მიზანშეწონილია ყოველ 10 დღეში ჩატარდეს ძალლების ქიმიოპროფილაქტიკური დამუშავება აზიდინით, აგრეთვე განხორციელდეს ღონისძიებები ტკიპების გასანადგურებლად ცხოველის სხეულზე.

## მსხვილფასა რემსანი პირუტყვის ვრანსაიელოზი

ფრანსაიელოზი მწვავე ფორმით მიმდინარე დაავადებაა, რომლის გამომწვევაია *Fransaiella colchica*. დაავადება ვლინდება მაღალი ტემპერატურით, ანემიით, სიყვითლით და ჰემოგლობინურიით.

აღმძერელი. ფრანსაიელებს მომრგვალო და მსხლისებრი ფორმა აქვთ. მათი ზომა სიგრძეში 2,8 მიკრონამდეა. ისინი მეტწილად განლაგებული არიან ერთოროციტის ცენტრში, თითო ან ორ ეგზემპლარად. ფრანსაიელების მსხლისებრი ფორმები ერთმანეთს უერთდებიან წვეტიანი ბოლოებით, ბლაგვი კუთხით „სათვალის“ მსგავსად, რაც დამახასიათებელია ამ სახეობის აღმძვრელისათვის. ავადმყოფობის საწყის სტადიაზე ფრანსაიელების რაოდენობა სისხლში მცირეა, ხოლო დაავადების საშუალო და მძიმე ფორმით მიმდინარეობის დროს მათ მიერ ერთოროციტების დაინვაზიების მაჩვენებელი 4-5%-ს აღწევს.

აღმძერელის ბიოლოგია. ფრანსაიელების გადამტანია ტკიპა *B. calcaratus*. პიროპლაზმოზთან შედარებით ფრანსაიელოზის დროს ინკუბაციური პერიოდი მცირეა და 13-14 დღეს გრძელდება. დაავადების მოხდის შემდეგ ფრანსაიელების მიმართ წარმოიქმნება არასტერილური იმუნიტეტი, რომელიც უფრო მყარია ვიდრე პიროპლაზმოზის შემთხვევაში და ერთ წლამდე გრძელდება.

ეპიზოოტოლოგიური მონაცემები ისეთივეა, როგორც პიროპლაზმოზის დროს.

დაავადების სიმპტომები პირობლაზმოზის დროს გამოვლენილი სიმპტომების მსგავსია, თუმცა ფრანსაიელოზის უფრო მძიმედ მიმდინარეობის მიუხედავად ჰემოგლობინურია იშვიათად ვლინდება.

მკურნალობა და პროფილაქტიკა. ფრანსაიელოზის დროს სპეციფიკური პრეპარატია აზიდინი (ბერენილი). მისი გამოყენების დოზა და მეთოდიკა ისეთივეა, როგორც პირობლაზმოზის დროს. აღსანიშნავია, რომ ფრანსაიელოზის შემთხვევაში აზიდინის გამოყენებით განკურნების პროცესი ნელა მიმდინარეობს, თან აზიდინი ეფექტურიანია მხოლოდ ინკუბაციურ პერიოდში. ამიტომ, პროფილაქტიკური მიზნით მთელი სულადობის ამ პრეპარატით დამუშავებისას ფრანსაიელოზით დაავადებული ცხოველების გამოვლენა უფრო ხშირად ხდება. ამდენად აუცილებელია ცხოველების მკურნალობა ტრიპაფლავინით (ფლავაკრილინი), რომლის 1%-იან ხსნარს მსხვილფეხა რქოსან პირუტყებს უნიშნავენ ვენაში დოზით 0,003-0,004 გ/კგ ან 1-1,5 გრამს ერთ მოზრდილ ცხოველზე. დაავადების მძიმე ფორმით მიმდინარეობის შემთხვევაში დოზას ორად ყოფენ და ინიექციას აკეთებენ 3-4 საათის ინტერვალით. ტკიპებთან ბრძოლის ღონისძიებები და არასპეციფიკური მკურნალობა ისეთივეა, როგორიც პირობლაზმოზის დროს.

## ცხვრისა და თხის ბაბეზიოზი

ბაბეზიოზის გამომწვევია Babesia ovis. დაავადება მწვავე ფორმით მიმდინარეობს. მისთვის დამახასიათებელია ციებ-ცხელება, ანემია, ლორწოვანი გარსების სიყვითლე და ჰემოგლობინურია.

აღმძვრელი. ბაბეზიები გვხვდება ერთეული ბეჭდისებრი ან წყვილი მსხლისებრი ფორმების სახით. ისინი ერთოროციტის პერიფერიაზე არიან განლაგებული. წყვილი მსხლისებრი ფორმები ერთმანეთს წვეტიანი ბოლოებით და ბლაგვი კუთხით უერთდებიან, რა დროსაც იქმნება შთაბეჭდილება, რომ ბაბეზიები

ერთოროციტის ზედაპირზე არიან. ჩვეულებრივ, ერთოროციტში ნახულობენ ერთ, ორ, იშვიათად სამ პარაზიტს. დაავადების მწვავე ფორმით მიმდინარეობის დროს ბაბეზიებით დაინვაზიულია ერთოროციტების 15-45%.

აღმძვრელის გადამტანია ორმასპინძლიანი ტკიპა Rhipicephalus bursa.

ეპიზოოტოლოგიური მონაცემები. საქართველოში დანერგილია ცხვრის მომთაბარე პირობებში შენახვის პრაქტიკა. ზაფხულში ფარებს მაღალმოთაიან საძოვრებზე გადარევავენ, ზამთარში კი დაბლობ საძოვრებზე ამყოფებენ. მაღალმოთაიან საძოვრებზე აღმძვრელის გადამტანი ტკიპა არ ბინადრობს. ამიტომ ზაფხულის საძოვარზე ცხვარი არ ავადდება ბაბეზიოზით. ეს ხდება გადასარეკ ტრასებსა და დაბლობ საძოვრებზე, რომლებიც უხვად არიან დასახლებული ტკიპებით და, შესაბამისად, ხდება ცხოველთა დაინვაზიება.

იმუნიტეტი. ბაბეზიოზის მოხდის შემდეგ ცხვრის პრემუნიცია ერთ წლამდე გრძელდება. 8-12 თვის შემდეგ დაავადებამოხდილ ცხვრებში ბაბეზიებით სუპერინვაზია მსუბუქად მიმდინარეობს და ჩვეულებრივ, გამოჯანმრთელებით მთავრდება. პრემუნიციის პერიოდში პარაზიტები ცხოველის ორგანიზმში ორ წლამდე რჩებიან, მაგრამ ისინი ავირულენტური ხდებიან.

დაავადების სიმპტომები ისეთივეა, როგორიც პირობლაზმოზის დროს, მაგრამ ამჯერად ისინი უფრო მეტად არიან გამოხატული.

პათომორფოლოგიური ცვლილებები, დიაგნოზი და მკურნალობა ცხვრის პირობლაზმოზის ანალოგიურია.

პროფილაქტიკა და ბრძოლის ღონისძიებები. თუ მეურნეობა ცხვარს მომთაბარე პირობებში ინახავს, მაშინ პროფილაქტიკური ღონისძიებებიდან აუცილებელი პირობაა გადასარებ ტრასაზე ცხვრების დაცვა დატკიპიანებისაგან. დაავადების გამოვლენისთანავე არაკეთილსამედო ფარა გადაჰყავთ ტკიპებისაგან თავისუფალ ტერიტორიაზე ან ახორციელებენ ცხოველების დამუშავებას ტკიპების საწინააღმდეგოდ. თუ ცხვრის სულადო-

ბას სტაციონარულ პირობებში ინახავენ იქ, სადაც არის ტკიპების ბიოტოპები, მაშინ ტკიპების საწინააღმდეგო ღონისძიებებს მთელი საძოვრული პერიოდის განმავლობაში ატარებენ.

## ცხოველთა თეილერიიდოზები

თეილერიიდოზების აღმმდევლები მიეკუთვნებიან *Theileriidae*-ს ოჯახს, რომელიც აერთიანებს *Theileria*-ს და *Nuttallia*-ს გვარებს. თბილის სხლიანი ცხოველების ორგანიზმში თეილერიიდები ჯერ ლიმფოიდურ უჯრედებში ლოკალიზდებიან, შემდეგ – ერთოროციტებში.

აღმმდევლების ბიოლოგია. თეილერიიდები ვითარდებიან თბილის სხლიანი ცხოველებისა და გადამტანი ტკიპების ორგანიზმში. სისხლის წოვის დროს დაინვაზიებული ტკიპა ცხოველს გადასცემს ერთუჯრედიან სპოროზოიტს, რომელიც ჯერ ლიმფოციტში შეიჭრება, შემდეგ კი ახლომდებარე ლიმფურ კვანძში. ამ უკანასკნელში ისინი მრავლდებიან შიზოგონის გზით, რის შედეგად წარმოიქმნება მრავალბირთვიანი მაკროშიზონტები ანუ ბრონჟულის მარცვლისებრი სხეულები. მაკროშიზონტები მაკრომეროზოიტებად იყოფიან, შეიჭრებიან ჯანსაღ ლიმფოიდურ უჯრედებში და წარმოქმნიან ახალ მაკროშიზონტებს. შიზოგონის სტადია რამდენჯერმე მეორდება. ბოლოს წარმოიქმნება მიკროშიზონტები, რომლებსაც მაკროშიზონტებისაგან განსხვავებით მცირე ზომისა და მრგვალი ფორმის ბირთვები აქვთ. მიკროშიზონტებში დაყოფის შედეგად ხდება მეროზოიტების ფორმირება, რომლებიც იჭრებიან ერთოროციტებში და იქ მრავლდებიან დაყოფის გზით. ავადმყოფი ან ნაავადმყოფარი ცხოველების სისხლის წოვის დროს ტკიპა ერთოროციტებთან ერთად ყლაპავს თეილერიიდების მეროზოიტებს. ტკიპას ლარვას ან ნიმფას სხეულში მოხვედრიილი მეროზოიტები მრავლდებიან ნაწლავში, ჰემოლიმფასა და სანერწყვე ჯირკვლებში.

იმუნიტეტი. თეილერიოზით ან ნუტალიოზით ნაავადმყოფარი

ცხოველები იძენენ არასტერილურ იმუნიტეტს ანუ პრემუნიციას, რაც დაკავშირებულია ჰემორალურ ფაქტორებთან. ამ დროს ცხოველის ორგანიზმში გამომუშავდება ორი ტიპის, ლიმფური კვანძებისა (3-4 დღის შემდეგ ბრონჟულის მარცვლისებრი სხეულებიდან) და ერთოროციტების (ცხოველის კანზე ტკიპის მიმარცხებიდან 7-10 დღის შემდეგ) თეილერიების საწინააღმდეგო ანტისხეულები. მათი გამოვლენა შესაძლებელია კომპლექტის შებოჭვის რეაქციით. იმუნიტეტის სიმყარე და ხანგრძლივობა დამოკიდებულია დაავადების მიმდინარეობის სიმძიმესა და აღმდვრელის ვირულებობაზე. თუ არ ხდება ცხოველის რეინგაზია, მას იმუნიტეტი უნარჩუნდება 2-4 წლის განმავლობაში. რეინგაზის შემთხვევაში იმუნიტეტი ხანგრძლივდება.

პათოგენები განპირობებულია ჯერ რეტიკულოენდოთელურ სისტემაში, ხოლო შემდეგ ერთოროციტებში აღმმდევლის შეჭრით. შეჭრის ადგილზე ვითარდება ლიმფადენიტი. სისხლწარმოქმნელ ორგანოებში თეილერიიდების გამრავლების პროცესი ორგანიზმში მრავალმხრივ და ღრმა დარღვევებს იწვევს. აღმმდევლის მასობრივ გამრავლებას თან სდევს მათი ცხოველმოქმედების პროდუქტების მავნე გავლენა ორგანიზმზე, რაც, პირველ რიგში, ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე, განსაკუთრებით, თბორეგულირების ცენტრზე აისახება. თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლა ჯერ გაძლიერებულ აღგზნებადობას იწვევს, შემდეგ – ცხოველების ძლიერ დათორგუნვას.

სისხლწარმოქმნელ ორგანოებში თეილერიიდების გამრავლებისას ფერხდება ერთოროციტები, ამავდროულად ხდება ერთოროციტების დაშლა, ორგანიზმში ვითარდება ანემია. შიზონტების დაგროვების ადგილებში ზიანდება ძარღვების კედლები, ჩნდება გრანულისებრი წარმონაქმნები, მოგვიანებით – წყლულები. სისხლძარღვთა ფორმენების ზრდისა და წყლულების გამოშინაგანი ორგანოების ლორწოვან და სეროზულ გარსებზე ჩნდება მასობრივი სისხლჩაქცევები, შეშუპებები. ირღვევა საჭმლის მონელების პროცესი, ვითარდება კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ატონია, შიგთავსი მშრალი ხდება. ორგანიზმში ირღვევა ბიოქი-

მიური პროცესები. კერძოდ, სისხლის შრატის გამოკვლევისას ადგენენ ზოგადად ცილის რაოდენობის შემცირებას. სისხლში მატულობს გლუკოზის შემცველობა და კლებულობს გლიკო-გენის რაოდენობა. იცვლება ფერმენტების აქტიურობა. ავალ-მყოფი ცხოველის ორგანიზმი გროვდება თავისუფალი ამინომჟავები, მაქსიმალურად მატულობს აზოტის, პოლიპეპტიდების და ნარჩენი აზოტის რაოდენობა. თანდათან მცირდება რკინის რაოდენობა. ცხოველის გაჯანსაღების პერიოდში აღწერილი ცვლილებები თანდათან ნორმას უბრუნდება.

## მსხვილფარაოსანი პირუტყვის თეილერიზი

თეილერიზი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, კამეჩისა და ზებუს მწვავე ან ქვემწვავე ფორმებით მიმდინარე ტრანსმი-სიული დაავადებაა, რომელსაც იწვევს *Theileria annulata*. დაა-ვადებისათვის დამახასიათებელია ლიმფური კვანძების გადიდება, მაღალი ტემპერატურა, ანემია, გულ-სისხლძარღვთა და საჭ-ლის მომნელებელი სისტემების ფუნქციის მოშლა, დაუძლურება და სიკვდილიანობის მაღალი პროცენტი.


აღმძერულის მორფოლოგია დამოკიდებულია განვითრების სტადიაზე. ტკიპას ნერწყვთან ერთად ცხოველის ორგანიზმში მოხვედრილი სპოროზოიტი მრავლდება ლიმფურ კვანძებში და წარმოქმნის მაკრო- და მიკროშონიტებს. რომანოვსკის მიხედ-ვით შეღებილ ნაცხებში მათ სხვადასხვა ფორმა აქვთ, ხოლო ზომა სიგრძეში მერყეობს 8-დან 20 მიკრონამდე. შიზონტების ციტოპლაზმა იღებება ცისფრად, ბირთვი – მუქ ლალისფრად.

მიკროშიზონტები მიკრომეროზოიტებად იყოფიან, რომლებიც ერითროციტებში შეიჭრებიან. ერითროციტებში თეილერიები დაინვაზიებიდან 2-3 დღის შემდეგ ჩნდებიან, ზოგჯერ, უფრო მოგვიანებით, ტემპერატურის მომატების შემდეგ. მათ მრგვა-

ლი, ოვალური, ჩხირისებრი, მბიმისებრი, ჯვრისებრი ფორმა აქვთ. ისინი განლაგებული არიან უჯრედის კიდესთან. მრგვალი ფორმების დიამეტრი 0,5-1,5 მიკრონია, ოვალური ფორმების სიგრძე – 0,6-2,0 მიკრონი, ჩხირისებრების – 0,7-2,5 მიკრონი, მბიმისებრების – 0,6 მიკრონი. ჩვეულებრივ, ერთ ერითროციტ-ში 2-3 თეილერია, მაგრამ ზოგან შეიძლება შვიდიც იყოს. ერი-თროციტების დაინვაზიების მაჩვენებელი 80-90%-ს აღწევს.

გაიზოლოლოგიური მონაცემები. აღმძერულის გადამტანები არიან *Hyalomma detritum* (ორმასპინძლიანი ტკიპა) *H.anatolicum* (სამმასპინძლიანი ტკიპა). ტკიპების თავდასხმა საძოვარზე და ფერმის ტერიტორიაზე ხდება. დაავადება ძირითადად აპრილი-დან ოქტომბრის ჩათვლით ვლინდება (მაქსიმალურად – იგნის-ივლისში), მაგრამ, რადგან ეს ტკიპები შენობაშიც ბუდობენ, ამიტომ შესაძლებელია თეილერიოზის გამოვლენა ბაგური შენახვის პირობებშიც.

დაავადების სიმპტომები. დატკიპიანებულ ადგილებში პირუტყვის ძოვებისას ინკუბაციური პერიოდი 12-21 დღეს გრძელდება. დაავადების მწვავე ფორმით მიმდინარეობისას თავდაპირველად აღნიშნავენ წინამსრის, ცურისზედა და მუხლისზედა ლიმფური კვანძების (დამოკიდებულია ტკიპას მიმაგრების ადგილზე) 2-4-ჯერ გადიდებას, რომლებიც მკვრივი და ხელის დადებით მტკიცნეული ხდებიან. ლიმფური კვანძების გადიდებიდან 1-3 დღის შემდეგ სხეულის ტემპერატურა მატულობს  $41^{\circ}$ -მდე, ზოგჯერ, უფრო მეტად. ამავდროულად, უარესდება მაღა, კლებულობს წველადობა. დაავადების განვითარებისას, 3-4 დღის შემდეგ ცხოველი მთლიანად კარგავს მადას, წყვეტს ცოხნას. საკვების მიღების შეწყვეტის პარალელურად ნელდება ნაწლავის პერისტალტიკა. ფეკალი სქელია, შეიცავს დიდი რაოდენობით ლორწოს, ზოგჯერ, სისხლის მინარევებს. შარდის გამოყოფა გართულებულია. მას ჩვეულებრივი ან ოდნავ მუქი ფერი აქვს. ცხოველი სწრაფად ხდება, უძლურდება, მას მუცელი ჩამოშვებული აქვს და უძლიერდება წყურვილის გრძნობა (სვამს ხშირად და ცოტას).



სურ. 2. პიპოპლაზმიდოზებისა და ანაპლაზმოზის აღმძერელები: a. *Fransaiella colhica*; b. *Fransaiella caucasica*; c. *Fransaiella ovis*; d. *Theileria annulata*; e. *Theileria annulata* (ბროწეულის მარცვლების მაგვარი სხეულაკები) f. *Theileria mutans*; g. *Anaplasma marginale*

ტემპერატურის მატების პირველ დღეებში თვალისა და ცხვირის ღრუს ლორწოვანი გარსები ჰიპერემიულია, მათზე ცალკეული წერტილოვანი სისხლჩაქცევები აღინიშნება. შედგომში ისინი უფერულდებიან, იძნენ ოდნავ მოყვითალო ფერს და მათზე მრავლობითი სისხლჩაქცევებია. პროცესის განვითარების კვალობაზე სისხლჩაქცევები წერტილების ან ლაქების სახით შეიძლება გამოვლინდეს ყურის კანის შიდა ზედაპირზე, ცურზე, სათესლე ჯირკვლის პარკზე, კუდის ფუძეზე.

მაღალი ტემპერატურის დროს წუთში სუნთქვა ხშირდება 40-80 მოძრაობამდე, პულსი – 80-120 დარტყმამდე. ჩნდება მშრალი და წყვეტილი ხველა, ცრემლდენა. ხშირად ცრემლს ვარდისფერი შეფერილობა აქვს, რადგან ბროწეულის მარცვლებისებრ სხეულებს შეიცავს. ბეწვი აბურძენულია, იგი ბზინვარებას კარგავს. ცხოველები ფართოდ გაჩაჩხული ფეხებით დგანან, უფრო ხშირად წვანან და გაჭირვებით დგებიან. კიდურების კუნთებში ჩნდება კანკალი. მაკეობა შეიძლება აბორტით დამთავრდეს.

მწვავე ფორმის დროს ტემპერატურა მუდმივად ერთ დონეზე რჩება 6-11 დღის განმავლობაში. მოგვიანებით, არასასიკორო დასასრულის შემთხვევაში, იგი სწრაფად კლებულობს და ცხოველი იღუპება.

დავადების ქვემდიმე ფორმით მიმდინარეობის დროს ლიმფური კანძები გადიდებულია და ტემპერატურა  $41^{\circ}$ -მდე მომატებულია. 2-3 დღის შემდეგ იგი კლებულობს, შემდეგ კვლავ მატულობს და მცირე რყევებით ნარჩუნდება ავადმყოფობის ბოლომდე, რომელიც 2-4 კვირას გრძელდება. ხილული ლორწოვანი გარსები ჰიპერემიულია, შემდეგ, ანემიური და ბოლოს, მათზე წერტილოვანი სისხლჩაქცევები ჩნდება. სისხლჩაქცევებია აგრეთვე კანის არაპიგმენტირებულ ადგილებში. პულსი და სუნთქვა გახშირებულია. ცხოველები არ იღებენ საკვებს. დაავადების დასაწყისში პერისტალტიკა გაძლიერებულია, შესაძლოა იყოს ფალარათი, რომელიც ყაბზობით იცვლება, რადგან ნაწლავის ატონია ვითარდება. ცხოველები წვანან, კვნესიან,

გარემო ფაქტორების მიმართ სრულ გულგრილობას იჩენენ, ვითარდება გულის სისუსტე და ისინი იღუპებიან.

პათომორფოლოგიური ცვლილებები. ლეში კახექსიურია. კანის არაპიგმენტირებული ადგილები ღია მოყვითალო შეფერილობისაა, მათზე ლაქოვანი სისხლჩაქცევებია. ლორწოვანი გარსები მკრთალია, მოყვითალო შეფერილობით, მათზე სისხლჩაქცევებია. კანქვეშა უჯრედისი მოყვითალო ფერისაა, ადგილ-ადგილ ინფილტრირებულია სისხლჩაქცევებით. ლიმფური კვანძები გადიდებულია, მათზე სისხლჩაქცევებია.

მკერდის ღრუში მცირე რაოდენობით გამჭვირვალე სიოხეა. პლევრა მოყვითალო შეფერილობისაა, დაფარულია სისხლჩაქცევებით. ფილტვები ემფიზემურია. ბრონქების ლორწოვან გარსზე მრავლობითი სისხლჩაქცევებია. გული გადიდებული და მოდუნებულია, ეპიკარდიუმსა და ენდოკარდიუმზე მრავლობითი სისხლჩაქცევებია.

ღვიძლი გადიდებული და მოდუნებულია. მას მოწითალო-მოყვითალო შეფერილობა აქვს. კაფსულაზე სისხლჩაქცევებია. ნაღვლის ბუშტი გადიდებულია. იგი სავსეა ბლანტი ნაღველით. ელენთა გადიდებული და დარბილებულია, კაფსულის ქვეშ სისხლჩაქცევებია. თირკმელები გადიდებულია, საზღვარი ტვინოვან და ქერქოვან შრეებს შორის წაშლილია, შეიცავს მრავლობით სისხლჩაქცევებს. შარდის ბუშტში ღია ან მუქი ყვითელი ფერის შარდია. ბუშტის ლორწოვან გარსზე ჰემორაგიებია.

წიგნარაში მშრალი და მკვრივი საკვები მასაა. დამახასიათებელი ცვლილებებია მაჭიკში: ლორწოვან გარსზე 2-10 მმ დი-ამეტრის წყლულებია; აღინიშნება მრავლობითი სისხლჩაქცევები და კვანძები ფეტვის მარცვლიდან მუხუდოს მარცვლის ოდენობამდე. წვრილი ნაწლავის ლორწოვანი გარსი გაჯირჯვებულია, ჰიპერემიულია და დაფარულია ლორწოთი. თორმეტგოჯა ნაწლავში მრავლობითი კვანძებია, იშვიათად გვხვდება წყლულები. მსხვილი ნაწლავის ლორწოვანი გარსი გაჯირჯვებულია, დაფარულია ლორწოთი, მასზე სისხლჩაქცევებია.

დიაგნოზს ადგენენ კომპლექსურად ეპიზოოტოლოგიური მონაცემების, კლინიკური ნიშნების, პათომორფოლოგიური ცვლილებებისა და ლაბორატორიული გამოკვლევების შედეგების საფუძველზე. დაავადების საწყის სტადიაზე ბროწეულის მარცვლისებრი სხეულების აღმოსაჩენად იყენებენ ლიმფური კვანძების პუნქტატებს, ხოლო დაავადების კლინიკურად გამოვლენის პერიოდში ამზადებენ სისხლის ნაცხებს. გამოსაკვლევად იღებენ პერიფერიულ სისხლს.

დიფერენციულ დიაგნოზს ავლებენ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის პირობლაზმოზთან და ანაპლაზმოზთან.

მკურნალობა. ავადმყოფს ათავსებენ ჩრდილში. მას აძლევენ ადვილად მონელებად საკვებს (ახალი მწვანე ბალახი, ბოსტნეულის ფოჩები, წვრილად დაჭრილი ძირზენები, ახლად ჩამოწველილი 2-3 ლ რძე დღეში სამჯერ ან მოხდილი რძე). ავადმყოფ ცხოველს უნიშნავენ აზიდინის 7%-იანს ხსნარს კუნთებში, დოზით 3,5 მგ/კგ, ასევე სიმპტომატიკურ პრეპარატებს: კოფეინს შიგნით დოზით 3-5 გ, საფალარათო მცენარეულ ზეთებს დოზით 400-800 მლ, ქლორინი ნატრიუმის 10%-იან ხსნარს ვენაში, დოზით 0,5 მლ/კგ, კალციუმის გლუკონატს კუნთებში, დოზით 10 მლ 100 კგ მასაზე, ოქსიტეტრაციკლინს კუნთებში დოზით 2000-5000 ერთეული ერთ კგ მასაზე. აუცილებელია ცხოველს დაენიშნოს ვიტამინი  $B_{12}$  კუნთებში, დოზით 0,3-0,5 გ, ვიტამინები  $B_1$  და  $C$ , აგრეთვე მიეცეს მიკროელემენტები – ქლორინი კობალტი დოზით 0,05 გ და გოგირდმჟავა სპილენბი დოზით 0,5 გ სისხლწარმოქმნის ფუნქციის გასაძლიერებლად.

პროფილაქტიკა. აუცილებელია ცხოველების სრულფასოვნი კვება ზამთრის პერიოდში, ხოლო ზაფხულში მათი ძოვება მრავალწლიან კულტურულ საძოვრებზე. საჭიროა სისტემატიკური ბრძოლა ტკიბების წინააღმდეგ, რისთვისაც ცხოველებს ამუშავებენ აკარიციდული პრეპარატებით. რაღაც ჰიალომას გვარის ტკიბები ბინადრობენ ცხოველების სადგომებში აუცილებელია შენობების პერიოდულად დამუშავება ქლოროფილის 3%-იანი ხსნარით.

## ცხვირის ნუტალიოზი

ნუტალიოზით ავადდება ცხენი, სახედარი და ჯორი. დაავადება, რომლის აღმძვრელია *Nuttallia equi*, მიმდინარეობს მწვავე, ქერმწვავე, იშვიათად ქრონიკული ფორმებით და ხასიათდება ციებ-ცხელებით, ანემით, სიყვითლით, სისხლჩაქცევებით, ცენტრალური ნერვული, გულ-სისხლძარღვთა და საჭმლის მომნელებელი სისტემების აძლილობით.

აღმძვრელი. ნუტალიებს ოვალური, მსხლისებრი ან წერტილისებრი ფორმა აქვთ. მათი ნაწილი ერთორციტებში ოთხთხად ჯვრის სახით (მალტიური ჯვარი) ეწყობა. ნუტალიების ზომა სიგრძეში 1-4 მილიმეტრის ფარგლებში მერყეობს.

აღმძვრელის ბიოლოგია. ტკიბას ნერწყვთან ერთად ცხენის ორგანიზმში მოხვედრილი ნუტალიები ჯერ ლიმფურ სისტემაში მრავლდებიან, სადაც წარმოქმნიან შიზონტებს, ხოლო შემდეგ – ერთორციტებში, ოთხად დაყოფის გზით.

აღმძვრელის გადამტანები არიან *Dermacentor*-ისა და *Hyalomma*-ს გვარების ტკიპები.

ეპიზოოტოლოგიური მონაცემები ნუტალიოზის დროს ისე-თივე, როგორც ცხენის პირობლაზმოზის შემთხვევაში.

დაავადების სიმპტომები. ინკუბაციური პერიოდი 8-14 დღეს გრძელდება. მწვავე ფორმის დროს აღინიშნება მაღალი ტემპერატურა, ანემია, სიყვითლე, სისხლჩაქცევები ლორწოვან გარსებზე. ინტენსიური სისხლჩაქცევების დროს აღინიშნება ხველა. გულის ბიძგი გაძლიერებულია, სუნთქვა – გახშირებული. ვითარდება მეტეორიზმი. ჩვეულებრივ, დაავადება 3-6 დღეს გრძელდება, მაგრამ ხანდახან უფრო დიდხანს, რაც ავადმყოფი ცხოველის ექსპლუატაციით აიხსნება.

დაავადების ქვემწვავე ფორმით მიმდინარეობისას იგივე კლინიკური ნიშნები ვლინდება, მაგრამ ისინი ნაკლებად გამოხატულია. ქრონიკული მიმდინარეობა იმ შემთხვევაში გვხვდება თუ დაავადების მწვავე ან ქვემწვავე მიმდინარეობისას არ ჩატარდა სპეციფიკური მკურნალობა, ან ცხენის ექსპლუატაცია დაიწყეს

მის სრულ გაჯანსაღებამდე. ქრონიკული მიმდინარეობისათვის დამახასიათებელია სუსტი ციებ-ცხელება, რომელიც მუშაობის დროს ძლიერდება. ხილული ლორწოვანი გარსები ანემიურია და მათ მოყვითალო ელფერი დაკრავთ. ცხენები ხდებიან.

პათომორფოლოგიური ცვლილებები ისეთივეა, როგორიც პირობლაზმოზის დროს, მაგრამ პირობლაზმოზისაგან განსხვავებით ნუტალიოზის დროს სისხლჩაქცევები უფრო მასობრივია.

დიაგნოზი დადგენილად ითვლება იმ შემთხვევაში თუ დაავადებული ცხოველი იმყოფებოდა საძოვარზე, მის სხეულზე პარაზიტობდნენ გადამტანი ტკიპები, დაავადების მწვავე და ქერმწვავე მიმდინარეობისას აღინიშნებოდა ანემია, სიყვითლე, სისხლჩაქცევები და, რაც მთავარია, სისხლის ნაცხის მიკროსკოპიული გამოკვლევისას ერთორციტებში აღმოჩნდა ნუტალიები.

მკურნალობა და პროფილაქტიკა ისეთივეა, როგორიც ცხენის პირობლაზმოზის დროს.


## ცხოველთა პოპულაციიდობი

კოქციდიიდოზები აერთიანებენ უმარტივესებით გამოწვეულ ცხოველებისა და ადამიანების დაავადებათა ფართო წრეს, რომელთა აღმძვრელები მიეკუთვნებიან *Coccidiidae*-ს რაზმს, *Eimeriidae*-ს ოჯახს. ამ ოჯახში შედის *Eimeriinae*-სა და *Isosporinae*-ს ქვეოჯახები.

*Eimeriinae*-ს ქვეოჯახის წარმომადგენლები ცხოვრობენ ერთი მასპინძლის ორგანიზმში და იქვე, ძირითადად ნაწლავში, ამთავრებენ სასიცოცხლო ციკლს. მათი ოოცისტა შეიცავს ოთხ სპორას, ორ-ორი სპოროზოიტით თითოეულში. ეს ქვეოჯახი წარმოდგენილია *Eimeria*-ს გვარით.


*Isosporinae*-ს ქვეოჯახის წარმომადგენლებს სასიცოცხლო ციკლის დასამთავრებლად ესაჭიროებათ ორი მასპინძელი: დეფინიტური და შუალედური. ამ ქვეოჯახის უმარტივესთა

## ცხოველთა ეიმერიოზები



სურ. 3.

Eimeriinae-ს ქვეოჯახის ოოცისტას აგებულება 1. მიკროპილე; 2. ცისტას შიდა ნაწილი; 3. ცისტას გარსი; 4. სპოროცისტა; 5. ნარჩენი სხეული ოოცისტაში; 6. შენიდერის სხეული; 7. ნარჩენი სხეული ოოცისტაში; 8. სპოროზოიტი.



სურ. 4.

Isosporinae-ს ქვეოჯახის ოოცისტას აგებულება 1. ოცისტას გარსი; 2. სპოროცისტა; 3. სპოროზოიტი; 4. ოოცისტას შიდა ნაწილი; 5. შენიდერის სხეული; 6. ნარჩენი სხეული სპოროცისტაში.

ცისტები შეიცავენ ორ სპორას, რომლებშიც ოთხ-ოთხი სპოროზოიტი წარმოიქმნება. Isosporinae-ს ქვეოჯახში მრავალი გვარია გაერთიანებული. მათგან სავეტერინარო მნიშვნელობა აქვთ Cystoisospora-ს, Toxoplasma-ს, Sarcocystis-ისა და Besnoitia-ს გვარებს.

ეიმერიოზებით ავადდებიან სასოფლო-სამეურნეო და გარეული ძუძუმწოვრები, ფრინველები, აგრეთვე თევზები. ეიმერიები პარაზიტობენ ნაწლავის ეპითელურ უჯრედებში. გამონაკლისს წარმოადგენენ Eimeria stiedae, რომელიც პარაზიტობს ბოცვრის ნალვლის საღინარებში და E. Truncata – ბატის ღვიძლებში. ძირითადად ავადდება მოზარდეული.


ეიმერიოზები დიდ ეკონომიკურ ზარალს აყენებენ მეცხოველეობის დარგს. მოზარდეული ჩამორჩება ზრდა-განვითარებაში. ხბოები კარგავენ წონის 27 კგ-ს, ბატქნები – 8-9 კგ-ს, ხოლო ეიმერიოზით დაავადებული წიწილების წონა 2-2,5-ჯერ ნაკლებია ჯანმრთელთან შედარებით. მებოცვრეობის მეურნეობებსა და მეფრინველეობის ფაბრიკებში ბაჭიებისა და წიწილების დაინგაზიების მაჩვენებელი ხშირად 70-100%-ს აღწევს, ხოლო მათი გაწყვდომის – 100%-ს. გარდა ამისა, მცირდება წველადობის, კვერცხდებისა და მატყლის ნაპარსის საშუალო მაჩვენებლები, უარესდება ხორცის ხარისხი, ქვეითდება მისი ყუათიანობა. დიდია დანაკარგები პრეპარატების შეძენისა და პროფილაქტიკურ და სადეზინვაზიო ღონისძიებათა განხორციელებისათვის გაწეული ხარჯების გამო.

ეიმერიების ბიოლოგია. ეიმერიების განვითარების ციკლი სამი სტადიისაგან შედგება. ესენია: შიზოგონია, გამეტოგონია და სპოროგონია.

შიზოგონია და გამეტოგონია განვითარების ენდოგენური სტადიებია და მიმდინარეობენ ნაწლავის ეპითელურ უჯრედებში. სპოროგონია მიმდინარეობს გარემოში.

შიზოგონია. კოქციდიების მომწიფებული (სპორულირებული) ოოცისტები ცხოველის ორგანიზმში ხვდებიან საკებეთან ან წყალთან ერთად. ნაწლავში ოოცისტებიდან გამოდიან სპოროზოიტები, რომლებიც შეიჭრებიან ეპითელურ უჯრედებში. აქ ისინი მატულობენ ზომაში, მრგვალდებიან და წარმოქმნიან მრავალბირთვიან უჯრედებს – პირველი გენერაციის შიზონტებს, რომლებშიც ვითარდებიან წაგრძელებული ფორმის მერო-

ზოიტები. მომწიფების შემდეგ პირველი გენერაციის შიზონტების მთლიანობა ირღვევა, ნაწლავის სანათურში გამოსული მეროზოიტები შეიჭრებიან ჯანსაღ ეპითელურ უჯრედებში და წარმოქმნიან ძეორე, შემდეგ მესამე, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში ძეოთხე და ძეხუთე გენერაციის შიზონტებს.



სურ. 5. *Eimeria media*-ს განვითარების ციკლი (A) ბოცვერის ნაწლავში და (B) გარემოში 1. სპოროზოიტი; 2-4. პირველი და შემდგომი გენერაციის შიზონტების განვითარება; 5. სამი გენერაციის მეროზოიტები; 6. მიკროგამეტების განვითარება და 6 – მაკროგამეტები; 7. მიკროგამეტები; 8. ზიგოტა (ოოცისტა); 9. ბოცვერის ორგანიზმიდან გამოსული, არასპორულირებული ოოცისტა; 10-12. სპოროგონია.

**გამეტოგონია.** ეს არის სქესობრივი პროცესი, რომელიც მოსდევს უსქესო გამრავლებას. ბოლო გენერაციის შიზონტებიდან ვითარდებიან გამონტები, რომლებიც შემდგომში წარმოქმნიან

მსხვილ, ნაკლებად მოძრავ მდედრობითი სქესის მაკროგამეტებს და მომცრო ზომის, ნამგლისებრი ფორმის, ორშოლტიან მამრობითი სქესის მიკროგამეტებს. მაკროგამეტები და მიკროგამეტები ერთმანეთს ერწყმიან, წარმოქმნიან ახალ უჯრედს – ზიგოტას, რომელიც გადაიკრავს გარს და გარდაიქმნება ოოცისტად. სახეობიდან გამომდინარე ოოცისტა შესაძლოა იყოს მრგვალი, ოვალური, მსხლისებრი, რომბისებრი ფორმის. შემდეგ, ოოცისტები ფეკალთან ერთად გამოიტანება გარემოში.

**სპოროგონია.** გარემოში, სათანადო ტენიანობისა და სითბოს პირობებში ოოცისტა ბურთისებრ ფორმას იძენს და მისი შიგთავსი ოთხ სპორობლასტად იყოფა. ყოველი მათგანის ირგვლივ იქმნება გარსი და ისინი გარდაიქმნებიან სპოროცისტებად. ყოველ სპოროცისტაში ყალიბდება ორ-ორი ნამგლისებრი წარმონაქმნი – სპოროზოიტი. ამგვარად, თითოეულ ოოცისტაში რვა სპოროზოიტია. აქ მთავრდება სპოროგონის სტადია და მასთან ერთად კოქციდიების განვითარებაც. თუ მომწიფებული (სპორულირებული) ოოცისტები მოხვდებიან ცხოველის საჭმლის მომნელებელ ტრაქტში, ციკლი მეორდება.

**პათოგენეზი.** ეიმერიების პათოგენური ზემოქმედება ცხოველის ან ფრინველის ორგანიზმშე იწყება ნაწლავის ეპითელურ უჯრედებში პარაზიტების შეღწევისთანავე. შიზოგონიის სტადიის დროს ხდება ეპითელური უჯრედების მასობრივი დაშლა. ეიმერიების ზოგიერთი სახეობა შეიჭრება არა მარტო ზედაპირულ უჯრედებში, არამედ აღწევს უფრო ღრმად და აზიანებს ნაწლავის სისხლძარღვებს, რის გამო ფეკალში ნახულობენ სისხლს. ნაწლავის დაზიანებულ კედელში შეიჭრება მიკროფლორა, რაც იწვევს ანთებითი კერის წარმოქმნას, შემდეგ კი – ნეკროზს. ნაწლავის ასეთი უბანი აღარ მონაწილეობს საჭმლის მომნელებელ პროცესში. მასში მრავლდება ჩირქმბადი მიკროფლორა, რომლის ცხოველმოქმედების პროდუქტები აძლიერებენ ორგანიზმის ინტოქსიკაციას. ნაწლავის კედლის ანთების გამო რთულდება ნაწლავის სანათურიდან სითბის შეწოვა, რაც იწვევს პერისტალტიკის გაძლიერებას და ფალა-

რათის განვითარებას. საყუათო ნივთიერებათა შეწოვის ფუნქციის დარღვევის გამო ვითარდება ორგანიზმის შიმშილი. განვითარებული მოვლენების გამო ირღვევა წყლის ბალანსი, იცვლება სისხლის ფიზიკურ-ქიმიური შემაღებლობა, მატულობს მისი სიბლანტე, რომელდება გულის მუშაობა, იშლება ნერვული სისტემის ფუნქცია.

## მსხვილფეხა რქოსანი პირზე გვირჩევის ემთხვეობის

აღმძვრელი. მსხვილფეხა რქოსანი პირზე გვირჩევის ემთხვეობის აღმძვრელია ემერიების 10 სახეობა. მათგან განსაკუთრებული მნიშვნელობით გამოირჩევიან *E.zuernii*, *E.bovis* და *E.ellipsoidalis*.


*E.zuernii*-ს ოოცისტა თითქმის მრგვალია, ზომით – 17,1-20,9x14,6-15,6 მიკრონი. მას გლუვი, უფერო, ოკონტურიანი გარსი აქვს. ენდოგენური განვითარება ხდება ბრმა და მსხვილ ნაწლავებში და 18-21 დღეს გრძელდება. სპორულაცია 2-3 დღეში მთავრდება.

*E.bovis* ოვალური ფორმის ოოცისტაა ღია ყავისფერი გარსით. მისი ზომებია 27,7x20,3 მიკრონი. პირველი გენერაციის შიზონტები ყალიბდება წვრილი ნაწლავის უკანა ნაწილში, მეორე, მესამე გენერაციის შიზონტები და გამეტები – ბრმა ნაწლავებში, რაც 12-18 დღეს გრძელდება. სპორულაცია 2-3 დღეში მთავრდება.

*E.ellipsoidalis* ელიფსური ან ცილინდრული ფორმის ოოცისტაა სქელი ან ოდნავ მოყვითალო გარსით. მისი ზომებია 23,4x15,9 მიკრონი. სპორულობისა 2-3 დღეს გრძელდება, ხოლო ენდოგენური განვითარება, რომელიც წვრილ ნაწლავში მიმდინარეობს, – 10 დღეს.

ეპიზოოლოგიური მონაცემები. დაავადება გვხვდება ყველა

ქვეყანაში. ინვაზიის გავრცელების წყაროა ავადმყოფი ან დაავადებამოხდილი ცხოველი, რომელიც ოოცისტებს გამოყოფს. ოცისტების მექანიკური გადამტანები შეიძლება იყვნენ მწერები, ფრინველები, მომვლელი პერსონალი. უპირატესად ავადდებიან 1-4 თვის ხბოები და ორ წლამდე ასაკის მოზარდეული. დაინვაზიება ხდება საკვებთან ან წყალთან ერთად სპორულირებული ოოცისტების გადაყლაპვით, უპირატესად წლის მთელი თბილი პერიოდის განმაღლობაში, თუმცა ზამთარში ოოცისტებს შეუძლიათ სპორულირება დათბუნებულ სახბორებშიც. ხბოების დიდხანს ყოვნა საძოვრის გარკვეულ ფართობზე იწვევს მის დანაკელიანებას, ტენიანობის ზრდას და ოოცისტების დაგროვებას. მებუქურ ხბოებში ეიმერიოზი უფრო ხშირად გაზაფხულზე ვლინდება, ხოლო 6-12 თვის ასაკის მოზარდეულში – შემოდგომის თვეებში.



სურ. 6. მსხვილფეხა რქოსანი პირზე გვირჩევის ემთხვეობის აღმძვრელები: 1. *E.bovis*; 2. *E.zuernii*; 3. *E.ellipsoidalis*.

დაავადების სიმპტომები. ინკუბაციური პერიოდი 1-3 კვირას გრძელდება. დაავადებისათვის დამახასიათებელია მწვავე, ქემწვავე და ქრონიკული მიმდინარეობა.

მწვავე მიმდინარეობის პირველ დღეს ხბო მოდუნებულია, მას მადა უქვეითდება და ეწყება პროფუზული ფალარათი. მეორე დღეს ფეკალში ჩნდება სისხლი და ლორწო, რომელთა რაოდენობა მომდევნო დღეებში მატულობს, ხოლო ფეკალს მყრალი სუნი ეძლევა. დეფეკაცია უნებლიერა, უკანა კიღურები, კუდი, შორისის მიდამო დასვრილია სისხლშერეული მუქი ფერის ფეხალით. ცოხნისა და რუმინაციის აქტები შესუსტებულია,

ხოლო პერისტალტიკა – გაძლიერებული. ლორწოვანი გარსები ანემიურია. ზოგჯერ აღინიშნება ნერვული მოვლენები. ცხოველი იღუპება დაავადების მე-2-6 დღეს. სიკვდილიანობის მაჩვენებელმა შესაძლოა 50%-ს მიაღწიოს. თუ ცხოველი გადარჩა, მისი გამოჯანმრთელების პროცესი ნელა მიმდინარეობს, ხოლო წონის მატების მაჩვენებლები ძალზე დაბალია.

ქვემწვავე მიმდინარეობით ავადდებიან უფროსი ასაკის ხბოები. მათ აღნიშნებათ ფალარათის მონაცემებით, მაღის დაქვეითება, მოდუნება, წონის დაბალი მატება.

ქრონიკული მიმდინარეობა ვითარდება მწვავე ფორმის შემდეგ ან დაავადების დასაწყისშივე. ამ დროს ხბო დაბეჩავებულია, მას მადა დაქვეითებული აქვს, ბალანი აბურძგნული, თვალები ჩაწეული, აღნიშნება ფალარათი. ფეკალი სისხლიანია. სიკვდილიანობა იშვიათია.

პათომორფოლოგიური ცვლილებები. ბალანი აბურძგნული და ჭუჭყიანია, განსაკუთრებით სხეულის უკანა ნაწილში. მეზენტერიული ლიმფური კვანძები გადიდებულია, განაჭერზე მათ რუხი ფერი აქვთ. ჯორჯლის სისხლძარღვები სისხლით არის გადავსებული. განსაკუთრებით ღრმა ცვლილებებია მსხვილ ნაწლავში, რომლის შიგთავსი მუქი ყავისფერია და შეიცავს სისხლსა და ლორწოს. მის ლორწოვან გარსზე, რომელიც შესივებული და დანაოჭებულია, ანთების კვალია ფიბრინული ნადებით და მრავლობითი სისხლჩაქვებით. თუ ცხოველი დაინგაზიებული იყო ეიმერიებით, რომლებიც წვრილ ნაწლავში ლოკალიზებუნ, ცვლილებები განვითარებულია თორმეტგოჯა და მლივ ნაწლავებში, რომლებიც შეშუბებული, ჰიპერემიულია. მათ ლორწოვან გარსებზე წერტილოვანი და ხაზოვანი სისხლჩაქვებია. ნაწლავის ლორწოვანი გარსიდან აღებული ანაფეხების მიკროსკოპიის დროს პრეპარატში ნახულობენ ემერიების ენდოგენური განვითარების ფორმებს და მოუმწიფებელ ოცისტებს.

დიაგნოზი დგინდება კომპლექსურად. ცხოველის სიცოცხლეში ფეკალს იკვლევენ კოპროლოგიურად. თუ მასში ნახულობენ ჩამოფცენილი ლორწოვანი გარსის ნაფლეთებს, ისინი

გადააქვთ სასაგნე მინაზე, უმატებენ წყლის რამდენიმე წვეთს, შეურევენ, აფარებენ საფარ მინას და სინჯავენ მიკროსკოპით ცისტების აღმოსაჩენად.

მკურნალობა. ვაღმყოფ ცხოველებს ცალკე გამოყოფენ. აუმჯობესებენ მოვლა-შენახვისა და კვების პირობებს. რაციონიდან გამორიცხავენ უხეშ საკვებს. ხბოებს უნიშნავენ ქიმკოქციდ-7-ს დოზით 0,430-0,570 გ/კგ, სულფადიმეზინს ან ფტალაზოლს დოზით 0,1 გ/კგ, კოქციდინს – 0,08, ამპროლიუმს – 0,01-0,02, ამპროლიმიქს – 0,02-0,04, კოქციდიოვიტს – 0,02-0,04, კლოპიდოლს – 0,02 და ბიომიცინს – 0,02 გ/კგ. ავადმყოფებს ამ პრეპარატებს აძლევენ რძესთან ერთად ყოველდღიურად ოთხი დღის განმავლობაში, ინდივიდუალურად. 4-5-დღიანი ინტერვალის შემდეგ აღნიშნულ კურსს იმეორებენ. გარდა სპეციფიკური საშუალებებისა, რეკომენდებულია საგულე და კუნ-ნაწლავის ტრაქტის ფუნქციის დამრეგულირებელ საშუალებათა გამოყენებაც.

პროფილაქტიკა. ხბოებს ათავსებენ სუფთა, მშრალ სადგომებში. საკვები და წყალი მათ ეძლევათ შხოლოდ სუფთა საკვებურებიდან და სარწყულებლებიდან. სეირანებს ყოველდღიურად ასუფთავებენ ნაკელისაგან. აუცილებელია საერთო ნახირისაგან მოზარდეულის განცალკევებითი ძოვება, თანაც მშრალ საძოვრებზე, რომლებიც წინა წელს არ გამოიყენებოდა პირუტყვის გასაძოვებლად. იმ მეურნეობებში, სადაც ყოველწლიურად აღინიშნება ეიმერიოზი, რეკომენდებულია 2-3 კვირის ასაკიდან ხბოებისათვის ქიმიოპროფილაქტიკური კურსის ჩატარება. ამ მიზნით მათ უნიშნავენ ქიმკოქციდ-7-ს დოზით 0,285 გ/კგ კომბინირებულ საკვებთან ერთად (შეიძლება ჯგუფურადაც) 10 დღის განმავლობაში. 10 დღის შემდეგ კურსს იმეორებენ. ამ სქემას მიმართავენ 3-4 თვის განმავლობაში. გარდა ამისა, იყნებენ კოქციდიოვიტს (დოზა 0,03 გ/კგ) ლევომიცეტინთან (0,02 გ/კგ) ან კოქციდინს (0,08 გ/კგ) ბიომიცინთან (0,02 გ/კგ) ერთად 15 დღის განმავლობაში, აგრეთვე ნორსულფაზოლს (0,02 გ/კგ), სულფადიმეზინს (0,1 გ/კგ), ფტალაზოლს (0,1 გ/კგ) და სხვა პრეპარატებს.

## ცხვრის ეიმერიოზი

ცხვრის ეიმერიოზის მრავალ აღმძვრელთა შორის განსაკუთრებით პათოგენურები არიან: *E.faurei*, *E.intricata*, *E.ninaekohljakimovae*, *E.arloingi* და *E.parva*.

*E.faurei* – ყვითელი ფერის კვერცხისებრი ოოცისტაა, ზომით –  $30,5 \times 22,5$  მიკრონი. სპოროგონია ოთხ დღეს გრძელდება.


*E.intricata* – ყვითელი ფორმისტაა ელიფსური ფორმის, ხორქლიანი ზედაპირით, ზომით –  $47 \times 32$  მიკრონი. ერთ-ერთ პოლუსზე მას პოლარული ჭუდი აქვს. სპოროგონია 3-4 დღეს გრძელდება. ენდოგენური განვითარება მიმდინარეობს წვრილ ნაწლავებში 22-27 დღის განმავლობაში.

*E.ninaekohljakimovae* – უფერო ან სუსტად მოყვითალო ფერის ელიფსური ან ოვალური ფორმის ოოცისტაა, ზომით –  $22 \times 18$  მიკრონი. სპოროგონია 1-2 დღეს გრძელდება. ენდოგენური განვითარება მიმდინარეობს წვრილ და მსხვილ ნაწლავებში 14-15 დღის განმავლობაში.

*E.arloingi* – უფერო ან სუსტად მოყვითალო ფერის ელიფსური ან ოვალური ფორმის ოოცისტაა, ზომით –  $27 \times 18$  მიკრონი. სპოროგონია 2-3 დღეს გრძელდება. ენდოგენური განვითარება მიმდინარეობს წვრილ ნაწლავებში 18-20 დღის განმავლობაში.

*E.parva* – ყვითელი ან ყვითელი, მრგვალი ან თითქმის მრგვალი ოოცისტაა, ზომით –  $14 \times 12$  მიკრონი. ენდოგენური განვითარება წვრილ და მსხვილ ნაწლავებში 14-15 დღეს გრძელდება.

ეპიზოოტოლოგიური მონაცემები. დაავადება უპირატესად გავრცელებულია დაბლობი ზონის რაიონებში, სადაც უგულვებელყოფნ ცხოველების მოვლა-შენახვისა და კვების ნორმებს. უარყოფითი ტემპერატურა ოოცისტებზე დამლუპველად მოქმედებს,  $0-5^{\circ}\text{C}$  ტემპერატურაზე ისინი სიცოცხლის უნარს ინარჩუნებენ 10 თვის განმავლობაში, ხოლო  $20-25^{\circ}\text{C}$  – ოთხი თვის განმავლობაში.



სურ. 7. ცხვრის ეიმერიოზების აღმძვრელები: 1. *E.arloingi*; 2. *E.ninaekohljakimovae*; 3. *E.parva*; 4. *E.faurei*; 5. *E.intricata*; 6. *E.ahsata*

განსაკუთრებით ამთვისებელია მოზარდეული 2-3 კვირიდან 3-5 თვის ასაკამდე, რომლის დახოცვის მაჩვენებელმა შესაძლოა 40%-ს მიაღწიოს. მიუხედავად იმისა, რომ უფროსი ასაკის ცხვრებში ეიმერიოზი უფრო იოლად მიმდინარეობს, მასობრივი დაავადებისას ხშირია მათი დახოცვის შემთხვევებიც.

ბატქნების ეიმერიოზი ძირითადად წლის თბილი პერიოდის დაავადებაა, მაგრამ იგი შეიძლება ზამთარში, დათბუნებულ ფარებებშიც გამოვლინდეს. მეტუმრი ბატქნების დაინვაზიება ხდება ნებისმიერ დროს ოოცისტებით დაბინძურებული დედის ცურის მეშვეობით.

დაავადების სიმპტომები. ინკუბაციური პერიოდი 2-3 კვირას გრძელდება. დაავადება შესაძლოა მიმდინარეობდეს მწვავე, ქვემწვავე ან ქრონიკული ფორმებით. მწვავე ფორმის დროს, რომელსაც იწვევს *E.ninaekohljakimovae*, ბატგნები დაბეჩავებულები არიან, მაგან გაუარესებულია, სხეულის ტემპერატურა მატულობს  $40\text{--}41^{\circ}$ -მდე, ლორწოვანი გარსები ანემიურია, პულსი და სუნთქვა, შესაბამისად, – აჩქარებული და გახშირებული. დაავადების გამოვლენიდან 2-3 დღის შემდეგ ვითარდება ფალარათი. ფეკალი შეიცავს ლორწოს, სისხლს და ლორწოვანი გარსების ნაფლეთებს. მას მყრალი სუნი აქვს. დაავადების ბოლო სტადიაში ბატკნები უმტესად წვანან, თუ დგებიან, მოძრაობა უჭირთ, საკვებს არ იღებენ, მაგრამ წყალს ხშირად სვამენ. ფეკალი სისხლიანია. 1-2 კვირაში დაავადება სიკვდილით მოავრდება.

ქვემწვავე მიმდინარეობის დროს, რომლის გამომწვევები არიან სხვა ზემოთ ჩამოთვლილი ეიმერიების სახეობები, კლინიკური ნიშნები შედარებით ნაკლებად არის გამოხატული, ტემპერატურა ძირითადად ნორმის ფარგლებშია. ცხოველი დაბეჩავებულია. მას აღნიშნება კონიუნქტივიტი და რინიტი. ფეკალი თხიერია და შეიცავს სისხლის ძაფებს.

ქრონიკული ფორმით ავადდება წინა წელს დაბადებული მოზარდეული და უფროსი ასაკის ცხვარი. მაგან დაქვეითებულია, ცხოველი დასუსტებულია და უმტესად წევს. მოგვიანებით ვითარდება ფალარათი. ფეკალში სისხლი არ არის, მაგრამ მას მყრალი სუნი აქვს. ცხოველი ნელ-ნელა ხდება და კახექსიისა-გან იღუპება.

პათომორფოლოგიური ცვლილებები. ხილული ლორწოვანი გარსები მკრთალია, უკანა კიდურები და კუდი ფეკალით არის დასვრილი. თორმეტგოჯა და მლივი ნაწლავების ლორწოვანი გარსი გასქელებული და ინფილტრირებულია, მასზე სისხლჩაქცევებია. ზოგჯერ ლორწოვან გარსში მოჩანან მოთეთრო-მორუხო ფერის ქინძისთავის ზომის კვანძები, რომლებიც გან-

ვითარების სხვადასხვა სტადიაზე მყოფი პარაზიტების გროვებს წარმოადგენენ. მსხვილი ნაწლავის ლორწოვანი გარსები გაფაშარავებულია, მათზე ანთების სურათი და სისხლჩაქცევებია. ნაწლავის შიგთავსი შეიცავს სისხლს, ლორწოს და ლორწოვანი გარსის ნაფლეთებს.

დიაგნოზი დგინდება კომპლექსურად. ცხოველის სიცოცხლეში ოცოსტების გამოსავლენად ფეკალს იკვლევენ ფიულებორნის ან დარლინგის მეთოდებით. ცხოველის სიკვდილის შემდეგ იკვლევენ ნაწლავის ლორწოვანი გარსიდან აღებულ ანაფზებს, მასში განვითარების სხვადასხვა სტადიაზე მყოფი ეიმერიებისა და მათი ოცისტების არსებობაზე.

მკურნალობა. ავადმყოფ ცხოველებს ამყოფებენ მოსვენებულ მდგომარეობაში და აძლევენ ადვილად მოსანელებელ საკვებს, რომელსაც უმატებენ A ვიტამინს, რკინის სულფატს – 0,1 გ/კგ საკვებზე, რაციონში შეაქვთ 3 გ მეთიონინი და 4 გ ლიზინი. ცხოველებს უნიშნავენ ქიმკოქიდ-7-ს დოზით 0,430 გ/კგ იმავე სქემით, როგორც ხბოების შემთხვევაში, კლობიდოლს – 0,01-0,015 გ/კგ, სულფადიმეზინს, ნორსულფაზოლს – 0,03-0,05, სულფაბირიდაზინს – 0,03, ამპროლიუმს – 0,005-0,01, კოქციდიოვიტს – 0,02-0,03 გ/კგ ყოველდღიურად, ინდივიდუალურად საკვებთან ან წყალთან ერთად 2-3-4-დღიანი კურსით, სამი დღის ინტერვალით. ამავდროულად ავადმყოფებს ენიშნებათ ისეთივე სიმპტომატური მკურნალობა, როგორც მსხვილფეხარქოსანი პირუტყვის კოქციდიოზის შემთხვევაში.

პროფილაქტიკა. დაუშვებელია უფროსი ასაკის ცხვრებისა და მოზარდეულის ერთად ძოვება, განსაკუთრებით დატენიანებულ საძოვრებზე. დოლი უნდა ჩატარდეს მხოლოდ მშრალ, სუფთა შენობებში. წყალი და საკვები ცხოველებს უნდა მიეცეთ მხოლოდ სუფთა სარწყულებლებიდან და საკვებურებიდან. აუცილებელია ნაკელის ყოველდღიურად გატანა ნაკელსაცავებში.

მაგრავ ცხვრებს იკვლევენ ეიმერიების მატარებლობაზე და საჭიროების შემთხვევაში უნიშნავენ ქიმიოთერაპიულ პრე-

პარატებს. ეიმერიოზზე არაკეთილსაიმედო მეურნეობებში იყენებენ: ქიმკოქციდ-7-ს დოზით 0,430 გ/კგ იმავე სქემით, როგორც ხსოვების შემთხვევაში, კოქციდიოვიტს – 0,2 გ/კგ საკვებზე ყოველდღიურად 7-10 დღის განმავლობაში, სულფადიმეზინის 0,2%-იან ან ნორსულფაზოლის 0,3-0,5%-იან წყალხსნარებს ყოველდღიურ სასმელად 7-9 დღის განმავლობაში.

## პოცვის ეიმერიოზი


ეიმერიოზით ავადდებიან მემუძური ბაჭიები და 4-5 თვემდე ასაკის მოზარდეული. ცნობილია ბოცვრის ეიმერიოზის რვა აღმძვრელი. მათგან უმეტესად გავრცელებული არიან *E.stiedae*, *E.perforans* და *E.magna*.

*E.stiedae* ლოკალიზობს ნაღვლის სადინარების ეპითელიუმში. იგი მოყვითალო ფერის ოვალური ოოცისტაა, ზომით – 30-40x16-25 მიკრონი. სპორულაციის სტადია 3-4 დღეს გრძელდება.

*E.perforans* ლოკალიზობს წვრილ ნაწლავში. იგი ოვალური ან ცილინდრული ფორმის უფერო ოოცისტაა, ზომით – 20-25x12-15 მიკრონი. სპორულაციის სტადია 1-2 დღეს გრძელდება.

*E.magna* ლოკალიზობს წვრილ ნაწლავში. იგი მოყვისფრო, ოვალური ფორმის ოოცისტაა, ზომით – 32-37x21-25 მიკრონი. სპორულაციის სტადია 3-5 დღეს გრძელდება.

ეპიზოოტოლოგიური მონაცემები. ეიმერიოზით მეურნეობებში ავადდება ბოცვრის სულადობის 70-100%. ბაჭიების დაინვაზიება ხდება სიცოცხლის პირველსავე დღეებში ძუძუს წოვის დროს. დაინვაზიების ინტენსიურობას განაპირობებს შემჭიდროვებული შენახვა, ნესტიანი შენობები, უვარგისი საკვები, სხვადასხვა დაავადება, აგრეთვე დედა-ბოცვერის დაინვაზიების ხარისხი. ოოცისტების მექანიკური გადამტანებია მღრღნელები, ფრინველები, მომსახურე პერსონალი. ბოცვერი ძირითადად წლის თბილ პე-



სურ. 8. ბოცვრის ეიმერიოზების აღმძვრელები: 1. *E.stiedae*; 2. *E.perforans*; 3. *E.magna*.

განვირებულია. ზოგჯერ აღინიშნება რინიტი, კონიუნქტივიტი, ნერწყვის გაძლიერებული გამოყოფა. დაავადების როტული ფორმით მიმდინარეობისას აღინიშნება კრუნჩხვები, კისრისა და უკანა კიდურების კუნთების დამბლა. სიკვდილიანობის მაჩვენებელი 70%-ს აღწევს.

დიაგნოზი დგინდება კომპლექსურად. ფეკალს იკვლევენ ფილებორნის ან დარლინგის მეთოდებით.

მკურნალობა. დაავადებულ ბოცვრებს ცალკე გამოყოფენ და აძლევენ ნახშირწყლებით მდიდარ საკვებს. მათ უნიშნავენ სულფადიმეტოქსინს. პირველ დღეს 100 კგ საკვებს ურევენ 320 გ პრეპარატს, მოდევნო ოთხ დღეს – 160 გ-ს. ხუთდღიანი შეს-

რიოდში ავადდება, მაგრამ თუ შენობა დათბუნებულია, ეიმერიოზი ზამთარშიც შეიძლება გამოვლინდეს.

დაავადების სიმპტომები. ინკუბაციური პერიოდი 4-12 დღეს გრძელდება. დაავადებისათვის დამახსასიათებელია მწვავე, ქვემწვავე და ქრონიკული მიმდინარეობა. საწყის სტადიაში თვალის, ცხვირისა და პირის ღრუს ლორწოვანი გარსები ანემიურია, მოგვიანებით ისინი მოყვითალო ელფერს იძენენ. მადა გაუარესებულია, ბოცვრები მოდუნებულები არიან და უმეტესად მუცელზე წვანან. მუცელი გადიდებულია და პალპაციის დროს – მტკიცნეული. ფეკალის კონსისტენცია ძირითადად შენარჩუნებულია, მაგრამ შესაძლოა იგი გათხირდეს. შარდის გამოყოფა

– მტკიცნეული. ფეკალის კონსისტენცია ძირითადად შენარჩუნებულია, მაგრამ შესაძლოა იგი გათხირდეს. შარდის გამოყოფა

ვენების შემდეგ კურსს იმეორებენ. გარდა ამისა, 100 კგ საკვებს ურევენ 480 გ ნორსულფაზოლს და 160 გ ფტალაზოლს. ამ ნარევს ბოცვრებს აძლევენ ხუთი დღის განმავლობაში და ხუთ-დღიანი შესვენების შემდეგ მკურნალობის კურსს იმეორებენ. რეკომენდებულია ფურაზოლიფონი – 50 გ 100 კგ საკვებთან შერეული შვიდი დღის განმავლობაში. ბოცვრებს ასევე უნიშნავენ ქიმკოქციდს დოზით 0,03 გ/კგ საკვებთან შერეულს 2-5-დღიანი კურსით და სამდლიანი შესვენებით.

პროფილაქტიკა. უმჯობესია ბოცვრების შენახვა მავთულბადიანი იატაკის მქონე გალიებში, რომლებსაც დგამენ დაუთბუნებელ შენობებში. აუცილებელია ყოველდღიურად ქვეშსაფენის გამოცვლა, აგრეთვე საკვებურებისა და სარწყულებლების დამდუღვრა. საკვები უნდა იყოს სრულფასოვანი და შეიცავდეს ვიტამინებსა და მიკროლემნებებს. ასხლეტის პერიოდში ბაჭიებს ქიმიოპროფილაქტიკის მიზნით აძლევენ სულფადიმეტოქსინს დოზით 0,1 გ და მონომიცინს დოზით 25 000 მოქმედი ერთეული/კგ საკვებთან ერთად 2-5-დღიანი კურსი და სამდლიანი შესვენებით; ნორსულფაზოლს – დოზით 0,4 გ მონომიცინთან დოზით – 25 000 მე/კგ საკვებთან ერთად 2-5-დღიანი კურსით და სამდლიანი შესვენებით; ფურაზოლიფონს – დოზით 0,02 გ/კგ საკვებთან ერთად იგივე სქემით.

## ფრინველის ეიმერიოზი

ეიმერიოზით ავადდებიან 2-3 თვის ასაკამდე წიწილები. დაავადების აღმძვრელებია ცხრა სახეობის ეიმერია. მათგან განსაკუთრებით კირულენტურები არიან: *E.tenella*, *E.necatrix*, *E.maxima* და *E.acervulina*.

*E.tenella* – ოვალური ფორმის უფერო ოოცისტაა, ზომით – 22,9x19,1 მიკრონი. ერთ-ერთ პოლუსზე გრანულაა. იგი ლოკალიზობს ბრმა ნაწლავში.

*E.necatrix* – ოვალური ფორმის ან კვერცხისებრი უფერო

ოოცისტაა, ზომით – 16,7x14,2 მიკრონი. იგი ლოკალიზობს წვრილ ნაწლავებში.


*E.maxima* – მოყვითალო-მოყავისფრო ფერის ოდნავ დახორცილი გარსის მქონე კვერცხისებრი ოოცისტაა, ზომით – 20x30 მიკრონი. იგი ლოკალიზობს ნაწლავის წინა და შუა ნაწილებში.

*E.acervulina* – უფერო კვერცხისებრი ფორმის ოოცისტაა, ზომით – 16,4x12,7 მიკრონი. იგი ლოკალიზობს თორმეტგოჯა ნაწლავში. ოთხივე ოოცისტას სპოროგონიის სტადია 1-2 დღეს გრძელდება.

ეპიზოოტოლოგიური მონაცემები. დაავადება გავრცელებულია ყველა კონტინენტზე. ინვაზიის წყაროა ავადმყოფი ან ნაავად-მყოფარი წიწილები, მოზრდილი ასაკის პარაზიტმატარებელი

ქათმები, სეირანები, ოოცისტებით დაბინძურებული საკვებურები და სარწყულებლები, ქვეშსაფენი, ნიადაგი. ინვაზიის აღმძვრელის მექანიკური გადამტანები არიან მღრღნელები, გარეული ფრინველები, მწერები, აგრეთვე მომსახურე პერსონალი. ეიმერიოზის გავრცელებაში დიდი მნიშვნელობა აქვს ფრინველის შენახვის სიმჭიდროვეს, სინესტეს, არასრულფასოვან კვებას, მოზარდის გამოზრდის არასწორ ტექნოლოგიას. დაავადების აფეთქება აღინიშნება გაზაფხულსა და შემოდგომაზე, მაგრამ მეურნეობებში, განსაკუთრებით ფრინველის იატაკზე შენახვისას, შეიძლება გაჩნდეს წლის ნებისმიერ დროს.

დაავადების სიმპტომები. ინკუბაციური პერიოდი 4-7 დღეს გრძელდება. დაავადება შეიძლება მიმდინარეობდეს



სურ. 9. ქათმის ეიმერიოზის აღმძვრელები: 1. *E.tenella*; 2. *E.necatrix*; 3. *E.maxima*; 4. *E.acervulina*.

მწვავე, ქვემწვავე, ქრონიკული ფორმებით და უსიმპტომოდ. დაავადების დასაწყისში მაღა ქვეითდება, ხოლო 2-3 დღის შემდეგ სრულიად ქრება. გამოხატულია წყურვილი. წიწილები სწრაფად ხდებან. ისინი სითბოსკენ მიისწრაფიან, ერთმანეთს ეკვრიან და მეტწილად აბუზულები სხედან. მათ ბუმბული აბურძნული, ხოლო ფრთები დაშვებული აქვთ. ვითარდება სისუსტე, წიწილები მოძრაობის დროს ბარბაცებენ. ვლინდება ფალარათი. სკორე თხელია. დაავადების დასაწყისში მას მომწვანო ფერი აქვს, შემდეგ – მუქი ყავისფერი, და ბოლოს, იგი სისხლიანია. ბიბილო და საყურები უფერულია. კლოაკის გარშემო ბუმბული თხიერი სკორეთია დასვრილი. დაავადების მძიმე ფორმით მიმდინარეობის დროს მოსალოდნელია კიდურებისა და ფრთების დამბლა. ავადმყოფობა 7-8 დღეს გრძელდება და მთავრდება სიკვდილით, რომლის მაჩვენებელი 70%-ს აღწევს. ქრონიკული მიმდინარეობის დროს დამახასიათებელია ფალარათი და სიგამხდრე, ხშირია კიდურებისა და ფრთების ჰარეზი.

პათომორფოლოგიური ცვლილებები. წიწილას ლეში კახექ-სიურია. ხილული ლორწოვანი გარსები და კუნთები უფერულია, კიდურები დასვრილია სკორეთი. ძირითადი ცვლილებები განვითარებულია ნაწლავებში. მისი სანათური ამოვსებულია მოთეთრო ხაჭოსმაგვარი მასით და სისხლით. ბრძა ნაწლავის ლორწოვან გარსზე ჰემორაგიული ანთებაა. იგი მუქი წითელი ფერისაა და დაფარულია ნეკროზული კერებით და წყლულებით. თორმეტგოჯა ნაწლავის ლორწოვანი გარსი გასქელებული და დანაოჭებულია. მასზე წერტილოვანი და ხაზოვანი სისხლჩაქცევებია. გარდა ამისა, ლორწოვანი გარსის ზედაპირზე შეიმჩნევა ქინძისთავის ზომის კვანძები, რომლებიც შეიცავენ განვითარების სხვადასხვა სტადიაზე მყოფ ემერიებს.

დიაგნოზი დგინდება კომპლექსურად. სკორეს იკვლევენ დარღინგის ან ფიულებორნის მეთოდებით.

ძკურნალობა. ფრინველებს უნიშნავენ კოქციდიოვიტს, არდინონს დოზით პრეპარატის ერთი კგ ერთ ტონა საკვებზე. სანაშენე და მეკვერცული მიმართულების მეურნეობებში იყენებენ

სულფადიმეტოქსინს, სულფამონომეტაქსინს, სულფადიმეზინს და სხვა პრეპარატებს.

პროფილაქტიკა. ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს ფრინველის სრულფასოვან კვებას. დაუშვებელია წიწილების განთავსება ნესტიან, სკორეთი დაბინძურებულ შენობებში. ასევე დაუშვებელია წიწილების მჭიდროდ შენახვა, როგორც გალიებში, ისე იატაკზე. საკვებურები და სარწყულებლები უნდა იყოს სუფთა. სასურველია პერიოდულად მათვის ადგილის მონაცემები. ეიმერიოზზე არაკეთილსამედო მეურნეობებში ქიმიოპროფილაქტიკისათვის იყენებენ იგივე პრეპარატებს, ოღონდ შემცირებული ღოზებით.

## სორცისმჯამელთა ცისტოზოსკოროზი

ძაღლის ცისტოიზოსპოროზის აღმბვრელებია *Cystoisospora canis* და *Cyst.ohioenensis*, კატისა – *Cyst.felis* და *Cyst.rivolta*. ისინი პარაზიტობენ ნაწლავის ეპითელურ უჯრედებში.

*Cyst.canis* – უფერო, გლუვი გარსის მქონე, კვერცხისებრი ოცისტაა, ზომით – 34-42x28-32 მიკრონი.


*Cyst.ohioenensis* – უფერო, გლუვი გარსის მქონე, ელიფ-სური ფორმის ოცისტაა, ზომით – 19-27x18-23 მიკრონი.

*Cyst.felis* – უფერო, კვერცხისებრი ოცისტაა, ზომით – 36-48x30-36 მიკრონი. სპოროცისტებში განვითარების სტადიის ნარჩენი სხეულია.

*Cyst.rivolta* – უფერო, გლუვი გარსის მქონე, კვერცხისებრი ან თითქმის მრგვალი ოცისტაა, ზომით – 21-28x18-23 მიკრონი.

აღმბვრელის ბიოლოგია. დაავადებული ცხოველი ფეკალთან ერთად გამოყოფს ცისტოიზოსპორის ოცისტებს. გარემოში ხელშემწყობი პირობების (ტემპერატურა 20-25°C, ტენიანობა, ჟანგბადიანი არე) არსებობის შემთხვევაში ოცისტებში მიმდინარეობს სპორულაციის პროცესი, რომელიც 56-68 საათ-

ში მთავრდება. ყოველ სპორულირებულ ოოცისტაში ორ-ორი სპოროცისტაა, რომლებშიც თავის მხრივ ოთხ-ოთხი სპოროზოფიტია. საკვებთან ან წყალთან ერთად ცხოველის საჭმლის მომნელებულ ტრაქტში მოხვედრილი სპორულირებული ოოცისტებიდან თავისუფლდებან სპოროზოფიტები, რომლებიც შეიჭრებიან ნაწლავის ეპითელურ უჯრედებში, სადაც მიმდინარეობს მათი განვითარების შიზოგონიისა და გამეტოგონიის სტადიები. ენდოგენური განვითარების დასასრულს ფეკალთან ერთად გარემოში გამოიყოფა ოოცისტები, რომლებმაც სპოროგონის სტადია უნდა გაიარონ.




სურ. 10. ხორცისმჭამელთა ცისტოზოსპოროზის აღმძღვრების 1. *C. felis*; 2. *C. rivolta*; 3. *C. canis*; 4. *C. ohioensis*

ცისტოზოსპოროზის განვითარების ციკლში მონაწილეობენ რეზერვუარული მასპინძლებიც, რომელთა როლში მღრღნელები გვევლინებიან. მათ ორგანიზმში სპორულირებული ოოცისტებიდან გამოდიან სპოროზოფიტები, რომლებიც იბუდებენ ლიმფურ კვანძებსა და პარენქიმულ ორგანოებში. სპოროზოიტებით დაინვაზიებული მღრღნელების შეჭმის შემთხვევაში სპოროზოიტები ამთავრებენ განვითარებას ძალის, კატის ან სხვა დეფინიტური მასპინძლის ორგანიზმში და იწვევენ მის დაავადებას ცისტოზოსპოროზით.

ეპიზოოტოლოგიური მონაცემები. ცისტოზოსპოროზი ყველგან. ძი-

რითადად ავადდებიან ლეკვები და კნუტები, იშვიათად მოზრდილი ცხოველები. ინვაზიის გავრცელების წყაროს წარმოადგენენ დაავადებული ცხოველები ან პარაზიტარებლები. სპორულირებული ოოცისტები გარემოში დიდხანს ძლებენ.



სურ. 11. ხორცისმჭამელთა ცისტოზოსპოროზის აღმძღვრების განვითარების ციკლი: I. მასპინძლები; II-III-IV მეროგონიის სამი გენერაცია ხორცისმჭამელთა ნაწლავებში; V. გამეტოგონია; VI. ოოცისტების განვითარება გარემოში; 1. სპოროზოიტები; 2-4. პირველი და მომდევნო გენერაციების განვითარება; 5. მეროზოიტები; 6. მიკროგამეტების განვითარება; 7. მაკროგამეტების განვითარება; 8. არასპორულირებული ოოცისტები; 9. ოოცისტა ორი სპორით; 10. ოოცისტა რვა სპოროზოიტით.

პათოგენები. ცისტოზოსპორების უჯრედშიდა განვითარების პერიოდში ირღვევა ნაწლავის ლორწოვანი გარსის მთლიანობა, შემდეგ – ნაწლავის ფუნქციაც. დაზიანებული უბნიდან სისხლში შეიწოვება დაღუბული ეპითელიუმის დაშლის შედეგად წარმოქმნილი ტოქსიკური პროდუქტები, ორგანიზმში შეიჭრება პათოგენური მიკროფლორა.

დაავადების სიმპტომები. მოზრდილ ცხოველებში დაავადება უსიმპტომოდ მიმდინარეობს. ლეპვები და კნუტები, განსაკუთრებით ძლიერი დაინვაზიების დროს, კარგავენ ჭამის მადას. მატულობს სხეულის ტემპერატურა, შეინიშნება უკანა კიდურების კანკალი, სისუსტე, ძლიერი ფალარათი, ფეკალი შეიცავს სისხლიან ლორწოს. ცხოველი ძლიერ ხდება და ასეთ დროს ხშირია სიკვდილი.

პათომორფოლოგიური ცვლილებები. ლეში ძლიერ გამხდარი, ანემიური და შეშუპებულია. ნაწლავის ლორწოვან გარსზე აღინიშნება კატარული ანთების მოვლენები. იგი დაფარულია ეროზიებით და წყლულებით.

დიაგნოზი დგინდება კომპლექსურად. ლაბორატორიული მეთოდებიდან ფეკალს იკვლევენ ფიულებორნის ან დარლინგის მეთოდებით.

მკურნალობა. ეფექტიანი პრეპარატებია სულფადიმეტოქსინი ან სულფადიმეზინი დოზით 0,1 გ/კგ დღეში ერთხელ ხუთი დღის განმავლობაში; სულფამონომეტოქსინი – დოზით 0,1-0,2 გ/კგ დღეში ერთხელ, ერთი კვირის განმავლობაში.

პროფილაქტიკა. აუცილებელია სამოსამსახურო, ოჯახის ძალლის ან კატის მოვლა-შენახვისა და ჰიგიენური პირობების დაცვა, აგრეთვე მღრღნელების საწინააღმდეგო ღონისძიებათა განხორციელება.


## ტოქსოპლაზმოზი

ტოქსოპლაზმოზი ზოოანთოპოზოონოზური დაავადებაა, რომლის გამომწვევია *Toxoplasma gondii*.

აღმძვრელი. დეფინიტური მასპინძელი (კატა, კატისებრთა ოჯახის წარმომადგენლები) ფეკალთან ერთად გამოყოფს უფერო, გლუვი გარსის მქონე მომრგვალო-ოვალური ფორმის ოოცისტებს, ზომით – 10-14x9-11 მიკრონი.

შუალედური მასპინძლების (ძუძუმწოვრები, ფრინველები, აგრეთვე ადამიანი) ორგანიზმში აღმძვრელი წარმოდგენილ-

ია ცისტოზოიტების სახით. რომელთაც ფორთოხლის წილის ფორმა აქვთ, ზომით – 4-7x2-4 მიკრონი. ისინი წარმოქმნიან ქსოვილოვან ცისტებს (ზომით – 50-70 მიკრონი), რომლებიც შეიცავენ რამდენიმე ათას ცისტოზოიტს.



სურ. 12. *Toxoplasma gondii*-ს განვითარების ციკლი: A - დეფინიტური მასპინძელი – კატა; B - შუალედური მასპინძლები; I-II-III - ტოქსოპლაზმების პირველი და მომდევნო გენერაციების განვითარება; IV - გამეტოგონია; 1. მომწიფებული ოოცისტა; 2. სპოროზოიტები; 3-4-6. მეროგონია; 7. მაკროგამეტების წარმოქმნა; 7ა - მიკროგამეტების წარმოქმნა; 8. მიკროგამეტები; 9. მოუმწიფებული ოოცისტა; 10. მომწიფებული ოოცისტა ორი სპორით და რვა სპოროზოიტით; 11. ღორის ნაყოფი საშვილოსნოში, დაინვაზიებული ტოქსოპლაზმებით; 12. ტოქსოპლაზმები შუალედური მასპინძლის თავის ტკინში, კუნთებსა და სხვა ორგანოებში.

აღმძვრელის ბიოლოგია. დეფინიტური მასპინძელი ტოქსოპლაზმოზით ავადდება ცისტოზოიტებით და ცისტებით დაინვაზიებული შუალედური მასპინძლების (თაგვი) შეჭმით,

საკვებთან და წყალთან ერთად ტოქსოპლაზმების სპორული-რებული ოოცისტების გადაყლაპვით. კატის ნაწლავში გამოთ-ავისუფლებული ცისტოზოიტები შეიჭრებიან ეპითელურ უჯრე-დებში, საღაც მრავლდებიან დაყოფის გზით. შიზოგონისა და გამეტოგონის სტადიების გავლის შემდეგ ხდება ოოცისტების ფორმირება, რომლებიც ფეკალთან ერთად გამოიტანებიან გარე-მოში, სპოროგონის სტადია 3-5 დღეს გრძელდება.

შუალედური მასპინძლების – ბუმუმწორების, ფრინველების, აგრეთვე ადამიანის დაინვაზიება ხდება სპორულირებული ოო-ცისტების გადაყლაპვით, ცისტოზოიტებით და ცისტებით და-ინვაზიებული შუალედური მასპინძლების ან თერმულად არა-საკმარისად დამუშავებული მათი ხორცის შეჭმით. ნაწლავში გამოთავისუფლებული ცისტოზოიტები შეიჭრებიან ქსოვილებსა და ორგანოებში, მათ შორის, საშვილოსნოშიც, საღაც მრავლდე-ბიან დაყოფის გზით და გარდაიქმნებიან ქსოვილოვან ცისტებად. მათი შემდგომი განვითარება ნაწლავური ცისტების სტადიამდე შესაძლებელია მხოლოდ დეფინიტური მასპინძლის ორგანიზმში, როდესაც ეს უკანასკნელი შექმნები ტოქსოპლაზმების ქსო-ვილოვანი ცისტებით დაინვაზიებულ შუალედურ მასპინძლებს (თაგვები, ფრინველები).

ეპიზოოფოლოგიური მონაცემები. დაავადება გავრცელებულია ყველაგან, რაც განპირობებულია ამთვისებელი ცხოველებისა და ფრინველების ფართო წრით, აგრეთვე ტოქსოპლაზმების ოოცისტების უნარით დიდი ხნის განმავლობაში გაუძლონ გა-რემოს არახელსაყრელ პირობებს. დაავადების მწვავე ფორმით მიმდინარეობს დროს ტოქსოპლაზმები ავალმყოფი შუალედური მასპინძლის ორგანიზმიდან გამოიყოფიან რძესთან, ცრემლოან, ნერწყვთან, შარდთან ან ფეკალთან ერთად.

პათოგენეზი. დეფინიტური და შუალედური მასპინძლების ორგანიზმში მოხვედრილი ტოქსოპლაზმები ლიმფოგენური და ჰემატოგენური გზებით ხვდებიან ნერვულ, ლიმფოიდურ ქსო-ვილებში, პარენქიმულ და სხვა ორგანოებში, საღაც იწვევენ ანთებით პროცესებს.

დაავადების სიმპტომები ტოქსოპლაზმოზი შეიძლება იყოს თანდაყოლილი და შეძნილი. თანდაყოლილი ტოქსოპლაზმოზის დროს დაინვაზიება ხდება საშვილოსნოში, რის გამო მაკეობა აბორტით მთავრდება ან იბადება სიცოცხლისუუნარო ნაყოფი სხვადასხვა სიმახინჯით.

დაავადების მწვავე მიმდინარეობის დროს ინკუბაციური პე-რიოდი 2-5 დღეს გრძელდება. მატულობს სხეულის ტემპერა-ტურა, პულსი აჩქარებულია, ჩნდება ქოშინი, მადა დაქვეითებუ-ლია, ვითარდება ფალარათი, არის პირღებინების შემთხვევები. ვითარდება ნერვული სისტემის დაზიანების ნიშნები, კერძოდ, ქვეითდება მხედველობა, აღინიშნება კიდურების პარეზი. ცხ-ვირიდან და თვალებიდან ცხოველს სდის ლორწოვან-ჩირქოვანი გამონადენი. ლიმფური კვანძები გადიდებულია. ზოგჯერ და-გადება სიკვდილით მთავრდება.

ქვემწვავე მიმდინარეობის დროს ინკუბაციური პერიოდი 10 დღემდე გრძელდება. კლინიკური ნიშნები იგივეა, ოღონდ, ნა-კლებად გამოხატული. ცხოველები ხდებიან. ბევრს აღნიშნება კიდურების პარეზი.

ქრონიკული ფორმის დროს შესაძლოა გამოვლინდეს ხანმოკ-ლე ციებ-ცხელება, პერიოდულად განვითარდეს ნერვული და საჭმლის მონელებელი სისტემის აშლილობა. დაავადების ამ ფორმით მიმდინარეობის დროს ხდება აბორტი, ასევე, ცხოველი შეიძლება დაიღუპოს. ზოგიერთ ცხოველს კლინიკური ნიშნები აღარ აღნიშნება, მაგრამ იგი დიდი ხნის განმავლობაში რჩება პარაზიტმატარებლად.

პათომორფოლოგიური ცვლილებები. დაავადების მწვავე ფორ-მით მიმდინარეობის დროს დაღუპული ცხოველების (შუალე-დური მასპინძელი) ლიმფური კვანძები, ელენთა და ლვიძლი გა-დიდებულია, მათზე სისხლჩაქცევებია. ფილტვებში განვითარე-ბულია ანთებითი პროცესები და შეშუპება. ზოგჯერ თავისა და ზურგის ტვინში ნახულობენ ნეკროზულ კერებს.

ქვემწვავე და ქრონიკული მიმდინარეობის დროს სისხლი ცუ-

დად დედობა, კანში ნახულობენ შეგუბებით მოვლენებს. ლიმფური კვანძები, ელენთა და ღვიძლი გადიდებულია, მათ ზედაპირზე ნახულობენ ნეკროზულ კერებს. თავის ტვინის გარსზე სისხლჩაქცევებია.

დიაგნოზი დგინდება კომპლექსურად, მაგრამ ეპიზოოტოლოგიური მონაცემები და კლინიკური ნიშნები მხოლოდ ეჭვს აღძრავნ ტოქსოპლაზმოზზე. ამდენად აუცილებელია ლაბორატორიული გამოკვლევების ჩატარება. ამ დროს მიკროსკოპის მეშვეობით იკვლევენ ნაცხებს, რომლებიც მომზადებულია სისხლისაგან ან პარენქიმული ორგანოებისაგან. ასევე თეთრ თაგვებზე ატარებენ ბიოცდას, მიმართავნ კომპლემენტის შებოჭვის ან აგლუტინაციის რეაქციებს, რისთვისაც იყენებენ ტოქსოპლაზმებისაგან მომზადებულ ანტიგენს.

ტოქსოპლაზმოზზე ეჭვმიტანილი ცხოველის ლეშიდან ლაბორატორიაში აგზავნიან ღვიძლის, ელენთის, ფილტვის, გულის, ლიმფური კვანძების ნაჭრებს, თავის ტვინს, თვალს, აგრეთვე აბორტირებულ ნაყოფს (აბორტიდან 24 საათის განმავლობაში) ან მის პარენქიმულ ორგანოებს. რომანოვსკის წესით შედებილ ნაცხებში, მომზადებულს სისხლისაგან ან მკვრივი მასალისაგან, პოულობენ ფორთოხლის წილის მსგავს ცისტოზოიტებს, რომელთა ბირთვი შედებილია წითლად, ხოლო ციტოპლაზმა – ცისფრად.

ბიოცდის ჩატარების მიზნით თეთრი თაგვების (3-5 სული) მუცლის ღრუში შეჰქავთ მკვდარი ცხოველის ან აბორტირებული ნაყოფის ორგანოებისაგან ფიზიოლოგიურ ხსნარზე მომზადებული 0,5 მლ სუსაბზია. ტოქსოპლაზმოზის შემთხვევაში თაგვები იღუპებიან 4-8 დღეში, ხოლო მათი პერიტონიალური ექსუდატისაგან მომზადებულ ნაცხებში მიკროსკოპის მეშვეობით პოულობენ ცისტოზოიტებს (იმერსიული სისტემის ობიექტივით) ან ცისტებს (მცირე გადიდების ობიექტივით).

კატების შემთხვევაში ფეკალს კოპროლოგიური მეთოდით იკვლევენ, რა დროსაც საკვლევ მასალაში პოულობენ ოთვისტებს.

მკურნალობა. კატებს უნიშნავენ ქიმკოქციდს დოზით 0,024 გ/კგ საკვებთან ერთად დღეში ერთხელ, სამი დღის განმავლობაში, რის შემდეგ დოზას ანახევრებენ და აძლევენ 25 დღის განმავლობაში.

ძალებს უნიშნავენ ქლორიდინს დოზით 0,001 გ სულფალიმეზინთან კომბინაციაში დოზით 0,2 გ/კგ საკვებთან ერთად, 10 დღის განმავლობაში. 10-დღიანი შესვენების შემდეგ მკურნალობის კურსს იმეორებენ, რომელსაც ატარებენ 2-4-ჯერ ცხოველის მდგომარეობიდან გამომდინარე.

პროფილაქტიკა. დაავადებული ცხოველი გამოიწუნება და იკვლება. მისი ხორცი გამოიყენება მხოლოდ კარგად მოხარუშვის შემდეგ. დაუშვებელია კატების ყოლა მეცხოველეობის ფერმებში, მათი მოხვედრა საკვების შესანახ ადგილებსა და საკვებშემამზადებელ საამერიოებში, რათა არ მოხდეს საკვების დაინგაზიება ტოქსოპლაზმების ორცისტებით.

მკურნალობას უტარებენ მხოლოდ სამოსამსახურო და მონადირე ძაღლებს. დანარჩენებს დიაგნოზის დადგენის შემდეგ ანადგურებენ, ხოლო მათ ლეშებს წვავენ. დაუშვებელია ძაღლების კვება თერმულად არასაკმარისად დამუშავებული ტოქსოპლაზმოზით ავადმყოფი ცხოველების ხორცით. შენობებში, სადაც იყვნენ ავადმყოფი ძაღლები, სხვა ცხოველები, ახორციელებენ სადეზინფექციო ღონისძიებებს მწვავე ტუტის 3%-იანი ხსნარით, ქლორამინის 2%-იანი ხსნარით, ფენოლის ან ლიზოლის 5%-იანი ხსნარებით.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს თაგვისებრი მძრღნელების, აგრეთვე მაწანწალა კატების – ტოქსოპლაზმოზის ძირითადი გამავრცელებლების განადგურებას. პერსონალმა, რომელიც უვლის ავადმყოფ ცხოველებს, ატარებს პათოლოგიურ-ანატომიურ გაკვეთას ან ამუშავებს დაავადებული სასოფლო-სამეურნეო ცხოველების ნაკლავს და ორგანოებს, აუცილებლად უნდა დაიცვას პირადი პიგინა, კანის საფარველი დაზიანებისაგან.

## ცხოველთა სარკოცისტოზები

სარკოცისტოზები სასოფლო-სამეურნეო ცხოველების, გარეული ძუძუმწოვრების, აგრეთვე ადამიანის დაავადებაა, რომელსაც იწვევს *Sarcocystis* გვარის უმარტივესები.


აღმძვრელი. დეფინიტური მასპინძლი (ძაღლი, კატა, ადამიანი) ფეკალთან ერთად გამოყოფს სპორულირებულ ოოცისტას, რომელიც შეიცავს ორ-ორ სპოროცისტას, ხოლო თითოეული მათგანი – ოთხ-ოთხ სპოროზოიტს. ოოცისტას გარსი თხელია და სპოროცისტების ირგვლივ – ერთგვარად ჩაღუნული.

სარკოცისტების სახეობათა დასახელება შედგება შუალედური და დეფინიტური მასპინძლების ლათინური დასახელებისაგან. მაგალითად, *Sarcocystis bovicanis* არის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა (შუალედური მასპინძლი) და ძაღლის (დეფინიტური მასპინძლი) დასახელებათა ნაერთი. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სარკოცისტოზის აღმძვრელებია – *S.bovicanis* (სპოროცისტას ზომებია – 16,3x10,8 მიკრონი), *S.bovifelis* (12,5x7,8 მიკრონი), *S.bovihominis* (14,7x9,3 მიკრონი). ცხვრის ორგანიზმში ლოკალიზობენ – *S.ovicanis* (14,8x9,9 მიკრონი) და *S.ovifelis* (12,4x8,1 მიკრონი), ღორის ორგანიზმში – *S.suicanis* (12,6x9,9 მიკრონი), *S.suifelis* და *S.suihominis* (13,5x10,0 მიკრონი).

ცისტები ლოკალიზობენ შუალედური მასპინძლის კუნთებში. მათ მრგვალი ან ოვალური ფორმა აქვთ. ზოგიერთის ზომა 20 მმ-ს აღწევს (*S.ovifelis*), ზოგიერთი მათგანი მიკროსკოპიული ზომისაა.

აღმძვრელის ბიოლოგია. დეფინიტური მასპინძლის დაინვაზიება ხდება სარკოცისტებით დაინვაზიებული ცხოველის ხორცის შეჭმით. სარკოცისტების ცისტები შეიცავს მრავლობით სპოროზოიტებს, რომლებიც ძლივი და თებოს ნაწლავების ეპითელურ უკრედებში მოხვედრის შემდეგ გაივლიან განვითარების შიზოგონიისა და გამეტოგონიის სტადიებს. შედეგად, ყალიბდებინ ოოცისტები. სარკოცისტების განვითარების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ოოცისტები სპოროგონიის სტადიას გადიან ნაწლავში და გარემოში გამოიყოფიან სპორულირებული (ინვაზიური) ოოცისტების ან თვით სპოროცისტების სახით,


რომლებიც ზოგჯერ გამოთავისუფლდებიან ოოცისტებისაგან გარემოში. თუ ისინი საკვებთან ან წყალთან ერთად მოხვდებიან შეალედური მასპინძლის ორგანიზმში, სპოროცისტებისაგან გამოთავისუფლდებიან სპოროზოიტები, რომლებიც შეიჭრებიან სისხლძარღვების, თირკმელების, კუჭჭევებშა ჯირკვლის ენდოთელურ უკრედებში, სადაც მრავლდებიან მრავლობითი დაყოფის გზით და 15-16 დღის შემდეგ წარმოქმნიან პირველი გენერაციის მერონტებს. დაინვაზიებიდან 24-33 დღის შემდეგ წარმოიქმნება მერე გენერაციის მერონტები (*S.ovicanis*-თვის დამახასიათებელია მესამე გენერაციის მერონტები), რომლებიც გადაინაცვლებენ თითქმის ყველა ორგანოს სისხლძარღვებში. ბოლო გენერაციის მერონტები სისხლის გზით მიიტანებიან კუნთებში, სადაც ჩამოყალიბდებიან კუნთოვანი ცისტების სახით. 2,5-3 თვის შემდეგ ისინი შეიცავენ ინვაზიურ სპოროზოიტებს.



სურ. 13. *Sarcocystis ovicanis*-ის განვითარების ციკლი: A. განვითარება ძაღლის ნაწლავებში; B. განვითარება ცხვრის ორგანიზმში; 1-4. მიკროგამეტების განვითარება; 4 მაკროგამეტების განვითარება; 5. მაკროგამეტა; 6. მიკროგამეტები; 7-9. სპოროგონია; 10. სპორულირებული ოოცისტა. 11. ოოცისტებისაგან გამოთავისუფლებული სპოროცისტები. 12. ა.ბ.გ. მერონტების პირველი, მეორე და მესამე გენერაციები სისხლძარღვებში. 13. ცისტები შუალედური მასპინძლების კუნთებში.

კუნთოვანი ცისტების მეშვეობით ხდება მხოლოდ ადამიანის, ძაღლის და კატის დაინვაზიება, ოოცისტები და სპოროცისტები აინვაზიებენ სასოფლო-სამეურნეო და გარეულ ცხოველებს.

ეპიზოოტოლოგიური მონაცემები. სარკოცისტოზი ფართოდ გავრცელებული დაავადებაა. სეზონური გამოვლინება მისთვის დამახასიათებელი არ არის. უპირატესად დაინვაზიებული არიან უფროსი ასაკის ცხოველები. დადგენილია, რომ ძაღლის სარკოცისტები უფრო პათოგენურები არიან. დაავადების ფართოდ გავრცელებას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ მისი სპოროცისტები დიდი ხნის განმავლობაში ინარჩუნებენ სიცოცხლის უნარს გარემოში, ხოლო ძაღლების გარდა ამ დაავადების აღმდევლის დეფინიტური მასპინძლებია მგელი, მელა, ტურა, ენოტი, რომლებიც უხვად აინვაზიებენ გარემოს სარკოცისტების ოოცისტებით და სპოროცისტებით.



სურ. 14. *Sarcocystis ovi felis*  
ცვერის საყლაბავზე

პათოგენეზი. მერონტების მეტაბოლიზმის პროდუქტები ტოქსიკურია მასპინძლის ორგანიზმისათვის. სისხლში მოხვედრილი ტოქსინი – სარკოცისტინი მოქმედებს ორგანოებსა და ქსოვილებზე, იწვევს ბიოქიმიური პროცესების დარღვევას უჯრედებში, ხელს უშლის ნაღვლის წარმოქმას, აფერხებს ორგანიზმი ნახშირწყლების ცვლას. გარდა ამისა ხდება ერთორციტების ჰემოლიზი, რის გამო ვითარდება ჟანგბადის უკმარისობა. მასობრივი სისხლჩაქცევები ხელს უწყობენ სისხლის მიმოქცევის დიდ და მცირე წრეებში შეგუბების, ხოლო ფილტვებში შეშუბების განვითარებას. ნაწლავის კატარუ-

ლი ანთება და ნაღვლის წარმოქმნის დარღვევა იწვევს საჭმლის მონელების ფუნქციის მოშლას და სიგამხდრეს. ორღვევა თირკმელების ფუნქცია. თავის ტვინში მრავლობითი სისხლჩაქცევები განაპირობებენ ხერვულ აშლილობებს, ხოლო ჩონჩხის კუნთებში ანთებითი მოვლენები ართულებენ ცხოველის მოძრაობას.

პირველი გენერაციის მეტაბოლიზმის პროდუქტები იწვევენ ორგანიზმის სენსიბილიზაციას და სტიმულირებენ ალერგიული რეაქციის განვითარებას ბოლო გენერაციის მერონტების მიერ გამოყოფილ ტოქსინზე. ამრიგად, სარკოცისტები იმ მაღალპათოგენური პარაზიტების რიცხვს მიეკუთვნებიან, რომელთა პარაზიტობის გამო შეიძლება ცხოველი დაიღუპოს.

დეფინიტური მასპინძლის ორგანიზმში პათოლოგიური პროცესი ძირითადად ნაწლავებში მიმდინარეობს, რა დროსაც ვითარდება ანთება.

დაავადების სიმპტომები. დაავადება უმეტესად ქრონიკული ფორმით მიმდინარეობს, იშვიათად – მწვავედ. ამ დროს მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს აღნიშნება ზომიერი ციებ-ცხელება, წველადობის შემცირება, მაღის დაქვეითება, ნერწყვდენა, ეროზიები პირის ღრუს ლორწოვან გარსზე. დაავადების ხანგრძლივად მიმდინარეობის დროს ლორწოვანი გარსები ანემიური ხდება, აღინიშნება ყბათაშორისი არის შეშუბება, კუნთების კანკალი, წველადობა წყდება, ცხოველი უკიდურესად ხდება. მაგრე ცხოველებში შესაძლოა აბორტი.

პათომორფოლოგიური ცვლილებები. მწვავე მიმდინარეობის დროს კანქვეშა უჯრედისსა და ჩონჩხის კუნთებში მრავლობითი სისხლჩაქცევებია, ლიმფური კვანძები, განსაკუთრებით ჯორჯლის, გადიდებულია, ღვიძლი მკვრივია, თირკმელები მოყვითალო შეფერილობისაა. საჭმლის მომნელებელი ტრაქტის ლორწოვან გარსზე კატარული ანთება. მუცელისა და გულმკერდის ღრუებში სისხლიანი სითხეა. გულის კუნთებში მრავლობითი სისხლჩაქცევებია. ფილტვები შეშუბებული და პიპერემიულია. ქრონიკული მიმდინარეობის დროს ლემი კახექსიურია, კუნთები მოდუნებული, პიდრემიული და ბაცი შეფერილობისაა.

დიაგნოზი ცხოველის სიცოცხლეში არ ისმება, რადგან სარკოცისტოზის დროს კლინიკური ნიშნები არადამახასიათებელია, ხოლო სეროლოგიურმა მეთოდებმა ვერ ჰპოვეს ფართო გამოყენება.

ცხვრის ნაკლავის ვეტერინარიულ-სანიტარიული გამოკვლევის დროს საყლაპავის, ენის, მუცლის, დიაფრაგმის, აგრეთვე გულისა და ჩონჩხის კუნთებში ნახულობენ 0,5 დან 10 მმ-მდე ზომის მოთეთრო ან მოყვითალო ფერის ცისტებს. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ნაკლავის დათვალიერებისას ცისტებს უფრო ხშირად ნახულობენ საყლაპავის, გულის, ენის, დიაფრაგმისა და ჩონჩხის კუნთებში, ხოლო ღორის ნაკლავში – საყლაპავის, დიაფრაგმისა და ბარძაყის კუნთებში. არჩევნებლიერი, საშუალო და სუსტი დაინვაზიების ხარისხებს. ძლიერი დაინვაზიებისას კომპრესორიუმში გამოკვლეული კუნთების 24 ანათალში ნახულობენ 40-ზე მეტ ცისტას; საშუალო დაინვაზიებისას – 10-დან 40 ცისტამდე; სუსტი დაინვაზიებისას – ერთიდან ცხრა ცისტამდე.

სარკოცისტების ცისტები უნდა განვასხვაოთ ტრიქინელების ლარვებისა და ცესტოდების ცისტიცერკებისაგან. ტრიქინელას კაფსულაში სპირალურად დახვეული ლარვა, ცესტოდების ცისტიცერკების შიდა გარსზე კარგად ჩანს ჩაბრუნებული სკოლექსი, ხოლო სარკოცისტების ცისტების შიგთავსი ჰომოგენურ მასას წარმოადგენს.

დეფინიტური მასპინძლების შემთხვევაში ფეკალს იკვლევენ ფილულებორნის ან დარღინგის მეთოდით.


მკურნალობა შემუშავებული არ არის.

პროფილაქტიკა. დაუშვებელია ძაღლების მოხვედრა საკვების შესანახ საწყობებში, საკვების შემამზადებელ საამქროებში. აუცილებელია ადამიანმა დაიცვას პირადი ჰიგიენის წესები. საჭიროა ლეშის დროულად უტილიზება. ფერმაში სისტემატურად უნდა ხორციელდებოდეს დეზინსექციისა და დერატიზაციის ღონისძიებები.

## შოლტიანებით გამოჯვეული დაავადებები

შოლტიანი უმარტივესები მიეკუთვნებიან Mastigophora-ს ქვეტიპს. სავეტერინარო მნიშვნელობა აქვთ Trichomonas-ს, Trypanosoma-ს, Leishmania-სა და Histomonas-ს გვარების წარმომადგენლებს.

## მსხვილფეხა რქოსანი აირუტყვის ტრიქომონოზი



სურ. 15. ტრიქომონადების აგებულება: 1. წინა შოლტები; 2. უკანა შოლტი; 3. მეშბრანა; 4. კიდურა ძაფი; 5. ციტოსტომი (პირის სვრელი); 6. ბირთვი; 7. გაკული პროტოპლაზმაში; 8. საყრდენი ღერო; 9. ჩანართვები ციტოპლაზმაში.

დაავადების აღმმდვრელია Trichomonas foetus, რომელიც ლოკალური ზომისა და საშვილოსნოს ლორწოვან გარსებში, ნაყოფსა და მის ირგვლივ სითხეში. მამრ ინდივიდებში ისინი პარაზიტობენ პრეპუციუმში, სასქესო ასოს ლორწოვან გარსებსა და წინამდებარე ჯირკვლებში.

აღმმდვრელი. ტრიქომონებს მსხვილისებრი ფორმა აქვთ. მათი სხეულის ზომა სიგრძეში 8-25 მიკრონია, სიგანეში – 3-15 მიკრონი. სხეულის წინა კიდესთან ბაზალური სხეულებია, რომელთაგან 3-4 შოლტი გამოდის წინ, ხოლო ერთი – უკან, ტალღისებრი მეშბრანის გასწვრივ. ბაზალური სხეულების გროვა წარმოქმნის ბლეფაროპლაზმასტს. მისგან სათ-

ავეს იღებს აქსოსტილი, რომელიც გადის მთელ სხეულზე და მთავრდება მის გარეთ ბორცვის სახით. ტრიქომონები მოძრაობენ შოლტებისა და ტალლისებრი მემბრანის მეშვეობით საკუთარი სხეულის გრძივი ღერძის გარშემო და წინ. ტრიქომონები მრავლდებიან მარტივი გაყოფით ორად. ჯერ იყოფა ბაზალური სხეული, ბირთვი და შემდეგ მთელი უჯრედი. არახელსაყრელ პირობებში ტრიქომონები ზომებში მცირდებიან, მრგვალდებიან, კარგავენ შოლტებს და უმოძრაონი ხდებიან.

ტრიქომონებს გააჩნიათ ორტაქსისის უნარი ანუ შეუძლიათ იმოძრაონ დინების საწინააღმდეგოდ, რაც უზრუნველყოფს საშვილოსნოს ყელში მათ განვლადობას სპერმასთან ერთად.

ეპიზოტოლოგიური მონაცემები. ტრიქომონოზით ძირითადად ავადდება უფროსი ასაკის პირუტყვი. დაავადების გამავრცელებულია ავადმყოფი ან ტრიქომონამატარებელი ცხოველი. დაინვაზიება ხდება ბუნებრივი შეწყვილებისას ან დაავადებული კუროს სპერმით ხელოვნური განაყოფიერებისას, ან არადეზინფიცირებული გინეკოლოგიური ინსტრუმენტების გამოყნებისას.

ტრიქომონები გარემოში ნაკლებად გამძლენი არიან. ბუნებრივ პირობებში ოთახის ტემპერატურაზე ისინი ძლებენ 1-5 დღეს, გამოშრობისას სწრაფად იღუპებიან, ხოლო სხვადასხვა სადეზინფექციო ხსნარების ზემოქმედებისას სიცოცხლის უნარს ერთიდან ხუთ წუთამდე ინარჩუნებენ.

პათოგენეზი. პირუტყვის სასქესო ორგანოებში მოხვედრილი ტრიქომონები სწრაფად მრავლდებიან. მათი მეტაბოლიზმის პროცესები არღვევენ ნაყოფის ემბრიონული განვითარების მიმდინარეობას, გასაკუთრებით მის ადრეულ სტადიაზე. ტრიქომონებით დაინვაზიებულ საშვილოსნოში დიდი რაოდენობით გროვდება პათოგენური მიკროფლორა, რომლის ცხოველ-მოქმედების შედეგად ნაყოფი იღუპება. კუროს პრეპუციუმსა და სასქესო ასოს ლორწოვან გარსზე, უფრო მოგვიანებით წინამდებარე და სათესლე ჯირკვლებში ანთება ვითარდება.

დაავადების სიბტომები. დაინვაზიებულ კუროსთან შეწყვილებიდან რამდენიმე დღის შემდეგ ფურების სხეულის ტემ-

პერატურა  $41^{\circ}$ -მდე მატულობს. ცხოველი დათოგუნვილია, უკანი იხდება, უკანა კიდურებს ხშირად დგამს მონაცვლეობით. მადა დაქვეითებულია, წველადობა მცირდება. საშოს ლორწოვან გარსზე ანთება. საშვილოსნოს ყელის გარშემო წარმოიქმნება მუხულის მარცვლის ოდენობამდე მკვრივი კვანძები, რომლებიც უწესრიგოდა განლაგებული. საშოში ხელის შეტანისას იგრძნობა მისი ხორკლიანობა, რაც დამახასიათებელია ამ დაავადებისათვის. ლორწოვანი გარსი იფარება ლორწოვან-ჩირქოვანი ექსუდატით, რომელიც წარმოადგენს ტრიქომონების საკვებ არეს, რადგან დიდი რაოდენობით შეიცავს ლეიკოციტებსა და ეპითელურ უჯრედებს. ეს ნიშნები დამახასიათებელია ტრიქომონური კატარულ-ჩირქოვანი ვესტიბულოვაგინიტისათვის. ვაგინიტის მწვავე პერიოდი 3-5 კვირას გრძელდება და შეიძლება დასრულდეს გამოჯანმრთელებით (სათანადო მკურნალობის შემდეგ) ან გადადის ქრონიკულ ფორმაში.

საშვილოსნოში ნაყოფის განვითარების პარალელურად სწრაფად მრავლდებიან ტრიქომონები. საშვილოსნოში ვითარდება ანთება, მატულობს გამონადენი, რომელიც შემძლვრულია და შეიცავს ჩირქს. ეს ნიშნები დამახასიათებელია კატარულ-ჩირქოვანი ენდომეტრიტისათვის. ასეთ შემთხვევაში, მაკეობის მე-2-3 თვეზე, ნაყოფი იღუპება. ადრეული აბორტი ზოგჯერ შეუმჩნეველია, არ ხდება ნაყოფის გამოდევნა, რის გამო ვითარდება პიომეტრა, საშვილოსნოს ღრუში ჩირქის დაგროვებით.

ამრიგად, ტრიქომონოზის განვითარების პროცესისათვის ოთხი ფორმაა დამახასიათებელი: 1. კატარულ-ჩირქოვანი ვესტიბულოვაგინიტი. 2. კატარულ-ჩირქოვანი ენდომეტრიტი. 3. აბორტი. 4. პიომეტრა.

დაავადების ქრონიკული მიმდინარეობის დროს ფურების საუროო მდგომარეობა თითქოს ნორმალურია, მცირდება წველადობა, კლინიკური ნიშნები სუსტად არის გამოხატული.

კუროების დაავადების საწყის სტადიაზე ტრიქომონები ბინადრობენ პრეპუციუმში და სასქესო ასოს ლორწოვან გარსზე, შემდეგ ისინი შეიჭრებიან წინამდებარე ჯირკვლებში. დაინვაზიე-

ბიდან რამდენიმე დღეში შეინიშნება პრეპუციუმის შეშუპება. მისგან წვეთებად გამოედინება ლორწოვან-ჩირქოვანი სეკრეტი, რომელიც აწებებს ბეწვს და წარმოქმნის ქერქებს. შარდვისას ცხოველი წუხს. სასქესო ასოს ლორწოვანი გარსი შეშუპებული და ჰიპერემიულია. მასზე წარმოიქმნება ფეტვის მარცვლისოდენა კვანძები, რომლებიც ჯერ წითელია, შემდეგ წვრილდებიან და უფერულდებიან. პრეპუციალურ ლორწოში ტრიქომონებს ხშირად ვერ ნახულობენ, მაგრამ ისინი შეიძლება გამოიყონ ეკულატან ერთად. 12-14 დღის შემდეგ კლინიკური ნიშნები ქრება და გარეგნულად კურო ჯანსაღად გამოიყურება.

პათომორფოლოგიური ცვლილებები. საშოს და საშვილონოს ლორწოვანი გარსი გაჯირჯვებული და შეშუპებულია. მასზე სისხლჩაქცევებია. აღინიშნება ვესტიბულიტი, კატარულ-ჩირქოვანი ვაგინიტი, ცერვიტი, საშვილოსნოში – კატარულ-ჩირქოვანი ექსუდატი, ზოგჯერ პიომეტრიტი. ხშირად, საშვილოსნოს რქებში გროვდება ფანტელებისებრი მასის შემცველი სითხე. კვერცხსავლები გასქელებულია, მათ სანათურში ხაჭოსმაგვარი მასაა. საკვერცხებზე შეიძლება იყოს კისტები.

კუროს სასქესო ასოს ლორწოვანი გარსი შესქელებული და დანაოჭებულია. იგი მოფენილია მცირე ზომის კვანძებით. წინამდებარე ჯირკვლებში, სათესლე ჯირკვლების დანამატებში, თესლგამტარებში, სათესლე პარკებში ანთების ნიშნებია.

დიაგნოზი დგინდება ეპიზოოტოლოგიური მონაცემების, კლინიკური ნიშნებისა და ლაბორატორიული გამოკვლევების შედეგების საფუძველზე. აბორტები მაკეობის პირველ ნახევარში, ბერწიანობის მაღალი მაჩვენებელი, ახურების პერიოდის ხშირი გადაცილება ეჭვს ბაღებს ტრიქომონზე. გამოკვლევის ლაბორატორიული მეთოდებიდან იყენებენ ავადმყოფი ან დაავადებაზე საეჭვო ცხოველების სასქესო ორგანოების ლორწოვანი გარსებიდან ჩამონარეცხის საკვებ ნიაღაგებზე დათესვის კულტურალურ მეთოდს. კულტურის ზრდას აკვირდებიან ათი დღის განმავლობაში. საკვები არედან აღებულ სინჯს სინჯავენ მიკროსკოპით, რა დროსაც უნდა აღმოჩნდეს მოძრავი ტრიქომონები.

მკურნალობა. ავადმყოფობის ადრეულ სტადიაზე ფურები შედარებით ადვილად ექვემდებარებიან მკურნალობას. მას შემდეგ, რაც ტრიქომონები შეაღწევენ საშვილოსნოში, რეკომენდებულია კომბინირებული თერაპია, განსაკუთრებით ორგანიზმში განვითარებული მნიშვნელოვანი ცვლილებების დროს. აუცილებელია არა მარტო აღმძვრელის მოსპობა, არამედ აგრეთვე სასქესო ორგანოების ნორმალური მდგომარეობის აღდგენა. ამ მიზნით აუმჯობესებენ ცხოველის მოვლა-შენაზვისა და კვების პირობებს, სპეციალური საშუალებების (პიტუიტრინი, სინესტროლი) გამოყენებით ასტიმულირებენ საშვილოსნოს შეპუმშვას, რათა მოხდეს უცხო შიგთავსის გამოდენა.

პირველადი დაავადების დროს ცხოველს უნიშნავენ სასქესო ორგანოების გამორეცხვას იქთიოლის 8-10%-იანი ხსნარით, რომელიც დამზადებულია წყალზე და გლიცერინზე; იოდის წყალზნარით (1:500); ფლავაკრიდინის წყალზნარით (1:1000). კუნთებში სამჯერ შეჰქავთ მეტრონიდაზოლის 1%-იანი ხსნარი დოზით 80-150 მლ. შესაძლებელია საშოს გამორეცხვა ნიტროფურანის ნარევით (ფურაზოლიდონი – 0,1 გ, ფურაცილინი – 0,2 გ და ფიზიოლოგიური ხსნარი – 1000 მლ). გამოყენების წინ ნარევს აღუღებენ და იყენებენ გაგრილებულს.

ქრონიკული მიმდინარეობისას რეკომენდებულია კომბინირებული მკურნალობა, რისთვისაც შეჰქავთ პროზერინის 0,5%-იანი ხსნარის 2 მლ ან სინესტროლის 1%-იანის ხსნარი დოზით 3-4 მლ ორჯერ დღეგამოშვებით, რის შემდეგ საშვილოსნოს გამორეცხავენ 500-600 მლ ოდენობის სადეზინფექციო საშუალებებით. გარდა ამისა, პიომეტრისა და ენდომეტრიტის დროს ატარებენ საშვილოსნოს მასაუს. მკურნალობის კურსი 5-7 დღეს და მეტ ხას გრძელდება.

კუროებში ეფექტიანია მკურნალობის 6-დღიანი კურსი, რა დროსაც 48 საათის ინტერვალით კანქვეშ შეჰქავთ ფურამონის 1%-იანი ხსნარი, დოზით 1,5-2 მლ და ამავე დროს კუნთებრიქომონები.

ში ოთხჯერ შეჰყავთ ფურაზოლიდონის 10%-იანი სუსპენზია, დამზადებული ზეითუნის ზეთზე ან თევზის ქონზე დოზით 10 მლ 100 კგ ცხოველის მასაზე. ამავდროულად, პრეპუციალურ არეს ყოველდღიურად ამუშავებენ ნიტროფურანის ნარევით (60-70 მლ). 10-12 წუთის შემდეგ პრეპუციუმში შეჰყავთ ფურაზოლიდონის 5%-იანი ზეთოვანი ემულსია დოზით 25-30 მლ, რის შემდეგ ატარებენ ხანგრძლივ მასაუს.

კარგ შედეგს იძლევა მეტრონიდაზოლით (ტრიქოპოლი, ფლაგილი) მკურნალობის 5-დღიანი კურსი. პრეპარატი შეჰყავთ კუნთებში ან კანქვეშ (დოზა – 0,05 გ/კგ) გახსნილი ფიზიოლოგიურ ხსნარში ან წყალ-გლიცერინიან ნარევში (1:3), ხოლო პრეპუციუმს ამავდროულად გამორცხავენ ტრიქოპოლის 3%-იანი ემულსით, დამზადებულს დისტილირებულ წყალზე.

მკურნალობის შემდეგ ხუთჯერად, ყოველი 10 დღის ინტერვალით იკვლევენ კუროს პრეპუციუმიდან ჩამონარეცხს ან სპერმას, ხოლო ფურის საშვილოსნოს ჩამონარეცხს – სამჯერად.

პროფილაქტიკა. მთავარია არ დავუშავთ მეურნეობაში ინგვაზის შეღწევა. იმის გამო, რომ ტრიქომონებით დაინვაზიება ხდება სქესობრივი გზით, ხელოვნური განაყოფიერებისას ავადმყოფი კუროს სპერმის გამოყენებითა და მოვლის საგნებით, აუცილებელია მკაცრი კონტროლის დაცვა მეურნეობაში ახალი ცხოველების შემოყვანისას. ხელოვნური დათესვლისას გამოსაყენებელი ყველა ინსტრუმენტი ან მოვლის საგანი ყოველი კუროსათვის უნდა იყოს ინდივიდუალური. თუ მეურნეობაში დაავადება გაჩნდა, რეკომენდებულია მხოლოდ ხელოვნური დათესვლის მეთოდის გამოყენება. ავადმყოფ ფურებსა და კუროებს გამოყოფენ და დაავადების ხანგრძლივობის ან განვითარებული პროცესის მიხედვით მკურნალობენ ან გამოიწუნებენ და აბარებენ სახორცელ. ნამკურნალევი კუროს სპერმას იყენებენ მხოლოდ ხუთგზის შემოწმების შემდეგ. აუცილებელია სადგომების დამუშავება სადეზინფექციო საშუალებებით.


## ცენტის დაგრილების დაავადება

დაავადების აღმძვრელია *Trypanosoma equiperdum*, რომელიც ლოკალიზობს სასქესო ორგანოების ლორწოვანი გარსების კაპილარებში.

აღმძვრელი. ტრიპანოსომას სხეულს წაგრძელებული ფორმა და წვეტიანი ბოლოები აქვს. მისი ზომებია სიგრძეში 22-28

მიკრონი, სიგანეში – 1,4-2,6 მიკრონი. სხეულში არჩევენ ბირთვს, ციტოპლაზმას, კინეტოპლასტს და ერთ შოლტს, რომელიც გარს ეკვრის ტალღისებრ მემბრანას და თავისუფლად ბოლოვდება. ბირთვი განთავსებულია სხეულის შუა ნაწილში. შოლტი სათავეს იღებს ბაზალური სხეულისაგან. ტრიპანოსომები მოძრაობენ შოლტის, აგრეთვე სხეულის შეკუშვა-გაფართოების მეშვეობით. ისინი მრავლდებიან მარტივი და მრავლობითი დაყოფის გზით. გაყოფისას ჯერ წარმოიშვება ბაზალური სხეული, რომლიდანაც იზრდება შოლტი, შემდეგ იყოფა ბირთვი, ბოლოს – ციტოპლაზმა.

ეპიზოტოლოგიური მონაცემები. ცხენების დაინვაზიება ძირითადად ხდება ბუნებრივი შეწყვილებისას, ზოგჯერ – დაინვაზიებული სპერმით ხელოვნური განაყოფიერებისას. ტრიპანოსომოზით უფრო მძიმედ ავადდებიან სუფთასისხლიანი ცხენები. ტრიპანოსომები მერძნობიარენი არიან ტემპეტურატურის მიმართ. კერძოდ, 45°C ტემპერატურაზე ისინი სწრაფად იღუპებიან, ხოლო მინუს 196°-ზე ძლებენ ხუთი წლის განმავლობაში და, ამასთან, არ კარგავენ ვირულენტობას.



სურ. 16. *Trypanosoma ninaekohljaki-movae* 1. კინეტოპლაზტი; 2. ბირთვი; 3. შოლტი; 4. ტალღისებრი აპენი.

პათოგენები. დაინტიგების საწყის სტადიაში ტრიპანოსომები მრავლდებიან შარდსასქესო გზების ლორწოვან გარსებში და იწვევენ მათ ანთებას. შეძლებ ისინი შეიჭრებიან სისხლში, და მისი მეშვეობით, ქსოვილებსა და ორგანოებში. ტრიპანოსომების მეტაბოლიზმის პროდუქტები შეიცავენ ტრიპანოფოქსინებს, რომლებიც შლიან ერთოროციტებს და სისხლძარღვთა კედლებს. მათი ზემოქმედების შედეგად შინაგან ორგანოებსა და ნერვულ სისტემაში ვითარდება დასტროფიული და ანთებითი პროცესები. ნერვული სისტემის დაზიანება გამოიხატება წელის არისა და თავის ნერვების პარეზით და დამბლით.

ტრიპანოსომების შეჭრის საპასუხოდ ცხოველის ორგანიზმი გამოიმუშავებს ანტისხეულებს – ტრიპანოლიზინებს. მათი მეშვეობით სისხლში პერიოდულად ხდება ტრიპანოსომების ლიზისი, მაგრამ შინაგან ორგანოებში დარჩენილი ტრიპანოსომები კვლავ მრავლდებიან, რაზეც ორგანიზმი ტრიპანოლიზინების წარმოქმნით პასუხობს. ამგვარად, ტრიპანოსომების ლიზისი ორგანიზმში მრავალჯერადია. გარდა ამისა, მათ წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობენ ფაგოციტებიც.

დაავადების სიმპტომები. ინკუბაციური პერიოდი ორ-სამ თვეს გრძელდება. არჩევენ დაავადების სამ სტადიას. თავდაპირველად ზიანდება სასქესო ორგანოები. ულაფებს უშუალებათ სათესლე პარკი, სასქესო ასო და პრეპუციუმი, ფაშატებს – ცური, მუცლის ქვედა არე და სასქესო ბაგები. ხელით შეხებისას შეშუპებული ადგილები გრილი, ცომისებრი და უმტკივნეულოა. კანსა და შარდსასქესო ორგანოების ლორწოვან გარსებზე ხშირად წარმოიქმნება კვანძები, რომლებიც წყლულებად გარდაიქმნება. მოგვიანებით ისინი ხორცდებიან და მათ ადგილას დეპიგმენტაციის გამო რჩება თეთრი ლაქები. საშოდან გამოიყოფა ლორწოვანი გამონადენი, რომელიც უფერულია ან მოყვითალოა და შეიცავს სისხლს. ამ პერიოდში ცხენების ზოგადი მდგომარეობა ნორმალურია, ისინი ჩვეულებრივ ღებულობენ საკვებსა და წყალს, მაგრამ დროდადრო მატულობს სხეულის ტემპერატურა.

დაავადების მეორე სტადია ხასიათდება კანის დაზიანებით.

ცხოველის სხეულზე პერიოდულად ჩნდება ჭინჭრისციების მაგვარი გამონაყარი. გავის მიღამოში, მკერდისა და მუცლის გვერდებზე ვითარდება მრგვალი შემსივნებები, ე.წ. ტალერის ბალთები ზომით 4-დან 20 სმ-დე. ჯიშიან ცხოველებს ისინი უფრო მკვეთრად ეტყობათ. დამახასიათებელია მათი უეცრად გაჩენა და გაქრობა. ბალთების წარმოქმნაზე გავლენას ახდენენ ტრიპანოტოქსინები, რომლებიც იწვევენ კანის დვრილოვანი ფენის ანთებას. ამ სტადიის ბოლოს მომატებულია კანის მგრძნობელობა ზურგის, წელის, საჯდომი და სხვა ნერვების მიდამოებში. ცხოველი ხდება, შესაძლოა განვითარდეს აბორტი.



სურ. 17. ტალერის ბალთა დაგრილების დაავადების დროს



სურ. 18. სახის ნერვის დამბლა (ცურის ჩამოკიდება, ტუჩის ასიმეტრია) დაგრილების დაავადების დროს

მესამე სტადიაში ვითარდება ცალკეული მამოძრავებელი ნერვის პარეზი ან დამბლა. დამახასიათებელია სახის ნერვის ცალმხრივი პარეზი – ცურის ჩამოკიდება, ქუთუთოს ჩამოშვება, ტუჩების მოღრეცა. წელის არის დაზიანებისას მოძრაობის კოორდინაცია დარღვეულია, ვითარდება გავისა და უკანა კიდურების კუნთების ატროფია. ცხენი კოჭლობით მოძრაობს,

ხოლო გატარებისას თითქოს დაჯდომას ცდილობს. შესაძლოა განვითარდეს კონიუნქტივიტი, რქოვანას შემღვრევა, სახსრების შეშუპება, სასუნთქი გზების კატარი. გამზღვობა პროგრესირებს. ცხენი წვება, ვითარდება დამბლა და ცხოველი კვდება.

პათომორფოლოგიური ცვლილებები. ლეში გამხდარია, ლორწოვანი გარსები ანემიური, შარდსასქესო ორგანოების მიდამოში შესაძლებელია იყოს შეშუპებები, წყლულები, დეპიგმენტაცია. ლიმფური კვანძები გადიდებულია, დაავადების მწვავე მიმდინარეობის დროს გადიდებულია ელენთაც. ნერვული სისტემის პისტოლოგიური გამოკვლევის დროს დგინდება განგლიოზური უჯრედების დისტროფიული ცვლილებები, წვრილწერტილოვანი სისხლჩაქცევები და პერიგასკულური შეშუპებები თავისა და ზურგის ტვინში. გაკვეთის შედეგად დიაგნოზის დადგენა როტულია.

დიაგნოზი. ტრიპანოსომებით დაინვაზიებაზე საეჭვო ცხოველებს იკვლევენ სამჯერად თითო თვის ინტერვალით კლინიკურად და ლაბორატორიული მეთოდებით (მიკროსკოპიული გამოკვლევა, კომპლემენტის შებოჭვის რეაქცია), რის შემდეგ ცხენებს ოთხ ჯგუფად ყოფენ.

I. ავადყოფებად ითვლებიან ცხენები, რომელთაც: 1. კომპლემენტის შებოჭვის რეაქციის (კშრ) დროს ერთხელ მაინც აღმოაჩნდათ დაღებითი რეაქცია (++ და უფრო მაღალი) ან გამოუვლინდათ ტრიპანოსომები; 2. კშრ-ზე ორჯერ ან სამჯერ მისცეს საეჭვო შედეგი (+); 3. აქვთ დამახასიათებელი კლინიკური ნიშნები: ტალერის ბალთები, პარეზი, დამბლა; 4. აქვთ კლინიკური ნიშნების კომპლექსური სურათი კშრ-ზე საეჭვო შედეგის დროს.

II. დაავადებაზე საეჭვოდ ითვლებიან ცხენები, რომელთაც: 1. კშრ-ის სამჯერად უარყოფითი შედეგის მოუხედავად აქვთ, რომელიდაც გაურკვეველი კლინიკური ნიშანი; 2. სამჯერად კშრ-ზე ერთხელ მაინც მისცეს საეჭვო შედეგი, მაგრამ არ ავლენენ კლინიკურ ნიშნებს; 3. კახექსიური ცხენები არაკეთილ-საიმედო ჯგუფიდან.

III. დაინვაზიებაზე საეჭვოდ ითვლებიან ცხენები, რომლებსაც არაკეთილსაიმედო ჯგუფში ყოფნისას ჰქონდათ შეწყვილება.

IV. ცხენები, რომლებიც არ ყოფილან არაკეთილსაიმედო ჯგუფში და არ შეწყვილებულან დაავადებაზე საეჭვო ან დაავადებულ ცხენებთან, ითვლებიან ჯანმრთელებად.

მკურნალობა. იყენებენ ფიზიოლოგიურ ხსნარზე დამზადებულ ნაგანინის 10%-იან ხსნარს, რომელიც შეჰყავთ ვენაში დოზით 0,01-0,015 გ/კგ. 30-40 დღის შემდეგ ინიქციას იმეორებენ. მოსალოდნელი გართულების თავიდან ასაცილებლად, მკურნალობამდე 1-2 დღით ადრე და მკურნალობიდან 7-10 დღის შემდეგ, ცხენებს დღეში სამჯერ მსუბუქად გაასეირნებენ ოფლის გამოსვლამდე.

კარგ შედეგს იძლევა გლუკოზის 5%-იან ხსნარზე დამზადებული აზიდინის 7%-იანი ხსნარის ერთი დღის ინტერვალით ორჯერადი ინიქცია, რომელიც შეჰყავთ კუნთებში, დოზით 3,5 გ/კგ.

მკურნალობიდან 4-6 თვის შემდეგ ცხენებს იკვლევენ ყველა სადიაგნოსტიკო მეთოდით. უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში ისინი ჯანმრთელად ითვლებიან. რეციდივების შემთხვევაში მკურნალობას იმეორებენ.

სპეციფიკური მკურნალობის გარდა ავადყოფ ცხოველებს უნიშნავენ საგულე საშუალებებს, აუმჯობესებენ მათი მოვლა-შენახვისა და კვების პირობებს.


პროფილაქტიკა. ინგაზის გაჩენის შემთხვევაში დაავადებულ ცხენს მკურნალობენ, ხოლო ყველა დანარჩენს ამუშავებენ ნაგანინით (სამკურნალო დოზა).

## ეალლის ლეიშმანიოზი

ლეიშმანიოზი ძალლების, მღრღნელების და ადამიანის დაავადება. განასხვავებენ კანის (გარეგან) და ვისცერულ (შინაგან) ლეიშმანიოზს.

აღმბვრელი. კანის ლეიშმანიოზის აღმბვრელია Leishmania

tropica, რომლის გადამტანია მოსკიტი – *Phlebotomus papatasii*. ვისცერული ლეიშმანიოზის აღმძვრელია *L.donovani*, რომლის გადამტანია მოსკიტი – *Phlebotomus caucasica*. ლეიშმანიები პარაზიტობენ კანის ქსოვილებში, ელენთის, ლიმფური კვანძების, ლვიძლის, ძვლის ტვინის უჯრედებში, იშვიათად – პერიფერიულ სისხლში.



სურ. 19. ლეიშმანიები:  
ა. სერხემლიანი მასპინძლის ორგანიზმში; ბ. გადამტანის ორგანიზმში.

მორფოლოგიურად ორივე სახეობა იდენტურია. ძალის ან ადამიანის ორგანიზმში ლეიშმანიებს ოვალური ან მსხლისებრი ფორმა აქვთ. მათი ზომა სიგრძეში შეადგენს 2-5 მიკრონს, სიგანეში – 1-3 მიკრონს. მოსკიტების ორგანიზმში ლეიშმანიებს თითისტარისებრი ფორმა აქვთ (სიგრძით 10-15 მიკრონი, სიგანით – 2-4 მიკრონი). აქ მათ ეზრდებათ 20 მიკრონამდე სიგრძის ერთი შოლტი. რომანოვსკის წესით შეღებილ ნაცხებში როგორც შოლტიანი, ისე უშოლტო ფორმების ციტოპლაზმა ცისფრად, ხოლო ბირთვი წითლად იღებება.

აღმძვრელის ბიოლოგია. ავადმყოფ ძალებზე, მღრღნელებსა და ადამიანზე თავდასხმისას სისხლის ან ქსოვილოვანი სითხის წივის დროს მოსკიტების ორგანიზმში გადაიან უშოლტო ლეიშმანიები. მოსკიტების ნაწლავებში ისინი მრავლდებიან ორად გაყოფის გზით, ეზრდებათ შოლტი და ერთი კვირის შემდეგ გადანაცვლებენ მწერის პირის დრუში. დაინვაზიებიან 8-9 დღის შემდეგ, განმეორებითი სისხლწოვის დროს, მოსკიტები ძალლებსა და სხვა დეფინიტურ მასპინძლებს გადასცემენ ლეიშმანიებს, რომელთა ორგანიზმში პარაზიტები კარგავენ შოლტს, შეიჭრებიან რეტიკულო-ენდოთელურ უჯრედებში, სა-

დაც სწრაფად მრავლდებიან და შემდეგ, არღვევენ რა მათ მთლიანობას, გადადიან ახალ უჯრედებში.

გაზომოტოლოგიური მონაცემები. ლეიშმანიოზი ძირითადად გავრცელებულია თბილი და ცხელი კლიმატის მქონე ქვეყნებში, მათ შორის – სამხრეთ კავკასიაში. უპირატესად ავადმყოფობენ ორ წლამდე ასაკის ძალლები, განსაკუთრებით მოკლე ბეწვის მქონენი. დაინვაზიება ხდება ზაფხულობით მოსკიტების ცხოველმოქმედების მაქსიმალურად აქტიურ პერიოდში. როგორც წესი, დაავადებამოხდილი ხელმეორედ არ ავადმყოფობენ ლეიშმანიოზით.

ლეიშმანიოზი ბუნებრივ-კერობრივი დაავადებაა. გარემოში მისი აღმძვრელის შენარჩუნებას ხელს უწყობს მოსკიტების დაინვაზიება ლეიშმანიოზით ავადმყოფი მღრღნელებისაგან, რომელთა სოროებშიც ბუდობენ მოსკიტები.

პათოგენები. ლეიშმანიები არღვევენ რეტიკულო-ენდოთელური სისტემის უჯრედების მთლიანობას, რის შემდეგ ხდება ლვიძლის, ელენთის, ლიმფური კვანძების ჰიპერტონია. კანის კაბილარებში ლეიშმანიები წარმოქმნიან პაცულებს, რომლებიც შემდეგ წყლულდებიან. გარდა ამისა, დაავადების აღმძვრელის ნივთიერებათა ცვლის პროდუქტები ნერვულ სისტემაზე ახდენენ გავლენას.

კლინიკური ნიშები. დაავადება მიმდინარეობს მწვავე ან ქრონიკული ფორმებით.

კანის ლეიშმანიოზისათვის დამახასიათებელია ქრონიკული მიმდინარეობა. ცხვირზე, ყურებზე, თვალების ირგვლივ, თითებზე, ზურგზე ჩნდება წყლულები, რომლებიც დიდხანს არ ხორცდება. კანის დაზიანება ვლინდება მისი აქტერცვლით, სხეულის სხვადასხვა ადგილებში ბალნის გაცვენით. სხეულის ტემპერატურა ნორმის ფარგლებშია. რამდენადმე გადიდებულია ლიმფური კვანძები.

ვისცერული ლეიშმანიოზი მიმდინარეობს მწვავედ ან ქრონიკულად.

მწვავე ფორმა ხასიათდება ცხოველის დაბაბუნებით, სხეულის ტემპერატურის მომატებით, მაღის დაქვეითებით, პრო-

გრესირებადი სიგამხდრით. არცოუ იშვიათად ვითარდება კონიუნქტივიტი, ცხვირის ღრუს ლორწოვანი გარსი შესიებულია, რის გამო რთულდება სუნთქვის პროცესი. თავისა და ზურგის მიღამოში კანი ინტენსიურად იქერცლება, ბალანი ცვივა. ცხოველები ხშირად წვანან. შესაძლებელია განვითარდეს პარეზი, დამბლაც კი. ასეთი მდგომარეობა რამდენიმე დღეს გრძელდება და სიკვდილით მთავრდება.

ვისცერული ლეიშმანიოზის ქრონიკული მიმდინარეობისას კლინიკური ნიშნები ნაკლებად დამახასიათებელია. დაავადება გრძელდება სამ წლამდე და ხშირად მთავრდება ცხოველის გამოჯანმრთელებით.

დაავადების მწვავე ფორმა ვლინდება ზაფხულში, მოსკოტების მასობრივი ფრენის დროს, ქრონიკული – წლის ნებისმიერ დროს.

პათომორფოლოგიური ცვლილებები. ვისცერული ლეიშმანიოზისაგან დაღუპული ძალის ლეში გამხდარი და ანემიურია. გაკვეთის შედეგად ადგენენ ღვიძლის, ელენთის, ლიმფური კვანძების ორ-სამჯერ გადიდებას, ძვლის ჭვინის ჰიპერემიას, ხანდახან კატარულ ანთებას კუჭისა და ნაწლავის ლორწოვან გარსებზე. კანისა და ცხვირის ღრუს ლორწოვან გარსზე ნახულობენ წყლულებს.

დიაგნოზი. ლეიშმანიოზის დროს დიაგნოზი ისმება კომპლექსურად, ეპიზოოტოლოგიური მონაცემების, კლინიკური ნიშნების, პათოლოგიურ-ანატომიური გაკვეთისა და ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგების გათვალისწინებით. ბალანგაცვენილი ადგილებიდან, კანზე გაჩენილი წყლულებიდან, ძვლის ჭვინისა და ლიმფური კვანძების პუნქტუატებიდან მომზადებულ, რომანვსკის წესით შეღებილ ნაცხებში ლეიშმანიოზის დროს ნახულობენ პარაზიტის უშოლტო ფორმებს.

მკურნალობა. ლეიშმანიოზის შემთხვევაში მკურნალობა უტარდება ძვირფასი ჯიშის ძალებს. დანარჩენებს, როგორც ინვაზიის გამავრცელებლებს, ანადგურებენ.

კანის ფორმის დროს კანის სისქეში წყლულების ირგვლივ შეჰყავთ აკრიზინის 4-5%-იანი ხსნარი, დამზადებული ნოვოკა-

ინის 1%-იან ხსნარზე. დაზიანებულ ადგილებს ამუშავებენ სინტომიცინის ემულსიით ან ვიშნევსკის მალამოთი. ასევე შესაძლებელია სულფატონის დანიშვნა დოზით 0,5-1 აბი დილას და საღამოს 7-14 დღის განმავლობაში. გარდა ამისა, რეკომენდებულია ამინოქინოლის გამოყენება დოზით 0,5 აბი სამჯერ დღეში 10-15 დღის განმავლობაში; შვიდი დღის შემდეგ ამინოქინოლით მკურნალობის კურსს იმეორებენ.

ვისცერული ლეიშმანიოზის დროს ყოველდღიურად 10-15 დღის განმავლობაში ვენაში, კუნთებში ან კანქვეშ შეჰყავთ სოლუსურმინის 10-20%-იანი წყალხსნარი დოზით 0,04 გ/კგ (პირველი ინიექცია) და 0,07 გ/კგ (მეორე ინიექცია), შემდეგ – 0,1-0,2 გ/კგ.

ბოლო ხანებში ლეიშმანიოზის საწინააღმდეგოდ რეკომენდებულია გლუკანტიმი, რომელიც წარმოადგენს საინიექციო ხსნარს. კანის ლეიშმანიოზის დროს დაზიანებული კერის კუნთებში შეჰყავთ პრეპარატის 1-3 მლ. თუ შედეგი არ არის ორი დღის შემდეგ ინიექციას იმეორებენ. ასე იქცევიან მანამ, სანამ კანის დაზიანებული ადგილიდან აღებულ სითხეში არ გაქრება ლეიშმანიები. ვისცერული ლეიშმანიოზის დროს გლუკანტიმს უნიშნავენ დოზით 20 მგ/კგ (ერთ ინიექციაზე არაუმეტეს 850 მგ-სა), კუნთებში, დღეში ერთხელ, 20 დღის განმავლობაში. საჭიროების შემთხვევაში მკურნალობას აგრძელებენ.


პროფილაქტიკა. ლეიშმანიოზზე არაკეთილსაიმედო ადგილებში ვეტერინარიულმა, სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიურმა სამსახურებმა და სხვა ორგანოებმა აუცილებლად უნდა განახორციელონ ერთობლივი კომპლექსური ლონისძიებები მოსკიტების, თაგვების გასანადგურებლად. საჭიროა მაწანწალა ძალლების იზოლირება, ხოლო ავადმყოფი ძალლების განადგურება. მოსკიტების წინააღმდეგ საბრძოლველად რეკომენდებულია ინსექტიციდების გამოყენება დუსტების, ემულსიებისა და აეროზოლების სახით.

## ცრინველის პისტომონიზი

პისტომონიზი ინდაურის ჭუკებისა და ქათმის წიწილების, აგრეთვე ზოგიერთი გარეული ფრინველის დაავადებაა, რომლის აღმძვრელია – *Histomonas meleagridis*.

აღმძვრელი. პისტომონებს განვითარების ორი ფაზა აქვთ: შოლტიანი და ამებისებრი. შოლტიანების სხეული ოვალური ფორმისაა ( $21 \times 15$  მიკრონი), რომლის ერთ პოლუსზე ოთხი შოლტია. მათ არ აქვთ აქსოსტილი და ტალლისებრი მემბრანა. ისინი ბიძგებით მოძრაობენ საკუთარი ღერძის გარშემო. ამები-სებრების სხეული მრგვალი ფორმისაა (ზომით 30 მიკრონამდე). მოძრაობისას ისინი გამოისვრიან ცრუ ფეხებს. ეს ფაზა ინვაზიურად ითვლება. პისტომონების სხეული დაფარულია მკვრივი გარსით (სისქე 5 მიკრონამდე). ისინი ლოკალიზობენ ბრძან ნაწლავის სანათურსა და ლორწოვან გარსში, აგრეთვე ღვიძლში.

აღმძვრელის ბიოლოგია. ბრძან ნაწლავის სანათურში მოხველრილი პისტომონები იძენენ შოლტიან ფორმას, მრავლდებიან და არსებობენ იქ 9-12 თვის განმავლობაში ან იძენენ ამებისებრ



სურ. 20. *Histomonas meleagridis*  
1. შოლტიანი ფორმა; 2. უშოლტო ფორმა.

ფორმას, შეიფრებიან უჯრედშეა არეში, მრავლდებიან ორად გაყოფით და გადაინაცვლებენ ჯორჯლის სისხლძარღვებში და სისხლის გზით მოხვდებიან ღვიძლში.

პისტომონების გარემოში შენარჩუნებასა და გავრცელებაში დიდი მნიშვნელობა აქვს ნემატოდა *Heterakis gallinarium*-ს, რომელიც ნაწლავის სანათურში ყლაპავს პისტომონებს. ეს უკანასკნელი შეაღწევენ ნემატოდას საკვერცხებში, შემდეგ კვერცხებში,

რომელთანაც ერთად ხვდებიან გარემოში. ასეთი კვერცხების გადაყლაპვისას ფრინველი ერთდროულად ავადდება ჰეტერაკი-დოზით და პისტომონიზით.

ეპიზოოტოლოგიური მონაცემები. პისტომონიზი გავრცელებულია მრავალ ქვეყანაში. უპირატესად მისი ამოვისებელია მოზარდეული ორი კვირიდან სამი თვის ასაკამდე. დაავადების გავრცელებას ხელს უწყობს ფრინველის მჭიდრო შენახვა, არასრულფასოვანი კვება და მრავალი სხვა დარღვევა გამოზრდის პერიოდში. ფრინველის დაინვაზიება ხდება სეირანზე, თუ არ არის მოწყობილი სარწყულებლები და ისინი წყალს სვამენ გუბეებიდან, ჰეტერაკისების კვერცხებით დაბინძურებული საკვების მიღებისას ან დაინვაზიებული ჭიაყელების (რეზერვუარული მასპინძელი) შეჭმისას. დაუშვებელია მოზარდეულის გამოზრდა უფროსი ასაკის ფრინველთან, რომელიც შეიძლება პარაზიტმატარებელი იყოს.

პათოგენეზი. პისტომონები გამოყოფენ ფერმენტებს, რომლებიც შლიან მასპინძლის ქსოვილებს. პარაზიტის ლოკალიზების ადგილზე ლორწოვან გარსზე ჯერ ანთებითი, შემდეგ ნეკროზული პროცესები ვითარდება. ნაწლავის კედელში შეჭრილი პისტომონები აღწევენ კუნთოვან გარსში, ზოგჯერ სეროზულშიც. ღვიძლში მოხვედრილი პისტომონები იწვევენ მისი უჯრედების ანთებას, დაშლას და წარმოქმნას მუხუდოს მარცვლის ოდენობამდე ნეკროზულ კერებს. ნაწლავის დიდი ფართობისა და ღვიძლის დაზიანება იწვევს საჭმლის მომნელებელი ფუნქციის, აგრეთვე ნივთიერებათა ცვლის მოშლას. ავადმყოფი ფრინველის სისხლის შრატში მცირდება ცილის რაოდენობა, მკერდისა და გულის კუნთებში ქრება გლიკოგენი და იგი იღუპება.

დაავადების სიმპტომები. ინკუბაციური პერიოდი 7-30 დღეს გრძელდება. პისტომონიზისათვის დამახასიათებელია მწვავე და ქრონიკული მიმდინარეობა.

მწვავე ფორმის დროს ჭუკები კარგავენ მაღას, ერთმანეთს ეკვრიან და სითბოსკენ ისწრაფვიან. 2-4 დღის შემდეგ მათ ემჩნევათ სისუსტე, ფრთები ჩამოშვებული აქვთ. ვითარდება ფა-

ღარათი. სკორე ჯერ ღია მოყვითალო ან მომწვანო ფერისაა და ქაფიანია, მას მძაფრი სუნი აქვს, შემდეგ იგი ყავისფერი ხდება. სისხლის მიმოქცევის დარღვევით გამოწვეული შეგუბებების გამო თავზე კანი მუქ ლურჯ შეფერილობას იძენს. ამიტომ ამ დაავადებას ასევე „შავ თავს“ უწოდებენ. სისხლში მნიშვნელოვნად მცირდება ერითროციტების რაოდენობა და ჰემოგლობინის შემცველობა.

უფროსი ასაკის ჭუკებსა და მოზრდილ ინდაურებში დაავადება ქრონიკულად მიმდინარეობს, კლინიკური ნიშნები იგივეა, ოღონდ, ნაკლებად გამოხატული. ზოგიერთი ფრინველი იღუპება 1-2 თვის შემდეგ კახექსიის აშკარად გამოხატული ნიშნებით. გამოჯანმრთელებულები შესამჩნევად ჩამორჩებიან თავიანთი ასაკის ფრინველებს ზრდა-განვითარებით და წონამატის მაჩვენებლებით.

წიწილებისათვის დამახასიათებელია დაავადების ქვემწვავე და ქრონიკული ფორმებით მიმდინარეობა. კლინიკური ნიშნები ისეთივეა, როგორიც აქვთ ინდაურის ჭუკებს, ოღონდ, ნაკლებად გამოხატული. მათში უფრო ანერია ვლინდება.

პათომორფოლოგიური ცვლილებები. ბიბილო და კანი თავის მიღამოში მუქი ფერისაა, ბუბბული, განსაკუთრებით კლოაკის მიღამოში დასვრილია სკორეთი. მუცლის ღრუში ფიბრინული მასაა. დაავადების საწყის სტადიაში ბრმა ნაწლავი გაღიდებულია და გადავსებულია მოყვითალო ან მუქი შიგთავსით. მოგვიანებით, ბრმა ნაწლავი გასქელებულია, მის სანათურში ნახულობენ „საცობებს“, რომლებიც შედგება ერითროციტებისაგან, ლეიკოციტებისა და ჰისტომონებისაგან. ნაწლავის ლორწოვნი გარსი ჰიპერემიულია, მასზე წყლულებია. ღვიძლი გადიდებულია. მის ზედაპირზე და განაჭერზე ჩანს სხვადასხვა ზომისა და ფორმის ჩირქოვან-ზეპროზული კერები. ზოგჯერ ასეთი კერები გვხვდება თირკმელებსა და ელენთაზე.

დიაგნოზს ადგენენ კომპლექსურად. ცოცხალ ჰისტომონებს ნახულობენ ახალი სკორებიან ან დიაგნოზის დადგენის მიზნით დაკლული ფრინველის ნაწლავის ლორწოვანი გარსიდან აღე-

ბული ანაფეხეკიდან მაშინვე მომზადებულ გაჭყლებილ წვეთში, რადგან ლეშში ჰისტომონები სწრაფად განიცდიან ლიზის. ჰისტომონოზი უნდა განვასხვავოთ ეიმერიოზისაგან, რომლის დროსაც სკორესა და ლორწოვანი გარსიდან აღებული ანაფეხეკიდან დამზადებულ სინჯში ნახულობენ ეიმერიების ოოცისტებს.

ძკურნალობა. მეურნეობაში ჰისტომონოზის გაჩენის შემთხვევაში სუსტ ფრინველს ანადგურებენ, დანარჩენს ძკურნალობენ, რისთვისაც იყენებენ მეტრონიდაზოლს (ტრიქოპოლი) დოზით 0,05% საკვებთან შერეულს არაუმტეტს ცხრა დღის განმავლობაში. შემდეგ პრეპარატი ეძლევა პროფილაქტიკური მიზნით, განახევრებული დოზით. ასევე იყენებენ ნიტაზოლს დოზით 1% საკვებთან შერეულს ხუთი დღის განმავლობაში, რის შემდეგ დოზას 0,3%-მდე ამცირებენ; ჰისტომონს – დოზით 0,2% საკვებთან შერეულს, დაინვაზიების შესაძლო პერიოდში; ემალს (საკვებ ფქვილთან შერეული შეფარდებით 1:4-თან) დოზით 1 გ 8-10 დღის განმავლობაში; ოსარსოლს – დოზით 0,15 გ/კგ საკვებთან 3-4-დღიანი კურსით, 4-5-დღიანი ინტერვალით 2-3-ჯერ; ფურაზოლიდონს – დოზით 0,02-0,04% საკვებთან.

9-11 კვირის ასაკის მოზარდეულს აძლევენ ფენოთაზინს დოზით 0,5 გ ფრინველზე ორი დღის განმავლობაში. ერთი დღის გამოტოვების შემდეგ აძლევენ კოქციდიოვიტს დოზით 0,12 გ 1 ლ წყალზე 10 დღის განმავლობაში. ორი დღის გამოტოვების შემდეგ აძლევენ მეტრონიდაზოლს დოზით 0,5% საკვებთან შერეულს 10 დღის განმავლობაში.


პროფილაქტიკა. აუცილებელია მოზარდეულის იზოლირებულად გამოზრდა უფროსი ასაკის ფრინველისაგან. დაუშვებელია მისი შემჭიდროვებულ და ნესტიან ჰირობებში შენახვა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სრულფასოვან კვებას და საკვებში ვიტამინების შემცველობას. ქიმიოპროფილაქტიკისათვის იყენებენ: ფურაზოლიდონს – დოზით 0,006 გ ფრინველზე საკვებთან, ენტეროსეპტოლს – დოზით 0,02 გ/კგ საკვებთან, ბიომიცინს – 3-5 გ ათას ფრთა ფრინველზე დღეში ერთხელ ხუთი დღის განმავლობაში.

# ბალანტიდიუმის გამოფენები და ავალებები

## ლორის ბალანტიდიოზი

ბალანტიდიოზს იწვევს ინფუზორია *Balantidium coli*, რომელიც ლოკალიზობს ლორის, მღრღნელების, აგრეთვე ადამიანის მსხვილ ნაწლავებში.

აღმძვრელი. ლორის ნაწლავში ბალანტიდიები არსებობენ მოძრავი ტროფოზოიტებისა და უძრავი ცისტების სახით. ტროფოზოიტები ოვალური ფორმისაა, ზომით –  $40-150 \times 20-70$  მიკრონი. მათი სხეული დაფარულია წამწამებით, რომელთა მეშვეობით ბალანტიდიები გადაადგილდებიან. უჯრედის შიგნით, ციტოპლაზმაში, არჩევენ მაკრონუკლეუსს, მიკრონუკლეუსს და მრავლობით ჩანართებს. ცისტები მრგვალი ფორმისაა ( $40-85$  მიკრონი). მათი უჯრედი დაფარულია სქელი გარსით.



სურ. 21. *Balantidium coli*. 1. მაკრონუკლეუსი; 2. მიკრონუკლეუსი; 3-4. გაკუოლები; 5. საჭმლის მომნელებელი გაკული; 6. პირის ხერელი.

ბალანტიდიები მრავლდებან მარ-

ტივი გაყოფით ორად და სქესობრივი გზით – კონიუგაციით. არახელსაყრელ პირობებში ისინი ინცისტირდებიან. ავადმყოფი მოზარდეული ფეკალთან ერთად გამოყოფს ტროფოზოიტებს, რომლებიც არამდგრადები არიან და 2-3 საათში იღუპებიან. უფროსი ასაკის ცხოველები, რომელთაც დაავადების ნიშნები არ ეტყობათ, ფეკალთან ერთად უფრო ხშირად ცისტებს გამოყოფენ, რომლებიც გარემოში სამი თვიდან ერთ წლამდე ძლებენ, მაგრამ მზის პირდაპირი სხივების მოქმედების შედეგად მალე იღუპებიან. ცისტები გამძლენი არიან სადეზინფექციო საშუალებათა მიმართ.

ეპიზოოტოლოგიური მონაცემები. ბალანტიდიოზი ფართოდ გავრცელებული დაავადებაა. ავადდება მოზარდეული 2-3 დღის ასაკიდან (დედა-ლორებიდან) 6-7 თვის ასაკამდე. დედა-ლორები ბალანტიდიოზით იშვიათად ავადმყოფობენ, მაგრამ ინვაზიის გამავრცელებლები არიან. ლორები უმეტესად შემოდგომაზამთრის პერიოდში ავადდებიან.

პათოგენური ბი. ლორის ნაწლავებში ბალანტიდიების ცხოვრების ნირი ხშირად კომენსალური ხასიათისაა და ისინი არ იწვევენ რაიმე პათოლოგიას. მაგრამ მოვლა-შენახვის რეჟიმის, კვების პირობების დარღვევისას და ლორის ორგანიზმისათვის სხვდასხვა სტრესის (ასხლეტა, გადაყვანა და სხვ.) დროს ისინი შეიჭრებიან ნაწლავის ლორწოვან გარსში, სადაც ინტენსიურად მრავლდებიან და სტიმულირებენ ანთებითი პროცესის განვითარებას. დაზიანების კერებში ჩნდება სისხლჩაქცევები და ზედაპირული ეროზიები, რაც როგორდება მიკროფლორის შეჭრით. ნაწლავის სეკრეტორული და მოტორული ფუნქციების დარღვევის გამო ვითარდება ინტოქსიკაცია და ცხოველი იღუპება.

დაავადების სიმპტომები. ინკუბაციური პერიოდი 3-17 დღეს გრძელდება. ბალანტიდიოზისათვის დამახასიათებელია მწვავე, ქრონიკული და ლატენტური მიმდინარეობა.

მწვავე მიმდინარეობის დროს ცხოველი დაძაბუნებულია, მას მაღა დაქვეითებული აქვს, ზოგჯერ მატულობს სხეულის ტემპერატურა  $0,5-1^{\circ}$ -ით, ვითარდება ფალარათი. ფეკალის ფერი

იცვლება რუხიდან ყავისფრამდე, იგი ჯერ გაწყლოვანებულია, მოგვიანებით, ლორწოს, სისხლს შეიცავს და მყრალი სუნი აქვს. პალპაციისას მუცლის კედელი მტკივნეულია, ცხოველს ფერდები ჩაცვენილი აქვს, სუნთქვა – აჩქარებული. კანი დანაოჭებულია, ჯაგარი – აჯაგრული. გოჭები უფრო მეტად წვანან, ფეკალის გამოყოფა უნებლიერ ხდება. დაავადების მე-5-6 დღეს ძლიერდება წყურვილის გრძნობა, მადა გაუკულმართებულია. კლინიკური ნიშნების გამოვლენიდან ერთი კვირის შემდეგ, დაავადების მწვავე მიმდინარეობისას, ცხოველი კვდება. შესაძლებელია ცალკეული ცხოველი გამოჯანმრთელდეს.

ქრონიკული მიმდინარეობა 2-3 თვეს გრძელდება. ამ დროს დიარეა ფაცისმაგვარი ფალარათთ იცვლება. ფეკალი დიდი რაოდენობით ლორწოს შეიცავს. მადა გაუკულმართებულია.

ლატენტური მიმდინარეობის დროს დაავადების კლინიკური ნიშნები არ ვლინდება, მაგრამ ცხოველი ფეკალთან ერთად გამოყოფს დიდი რაოდენობით ცისტებსა და ტროფოზოიტებს.

პათომორფოლოგიური ცვლილებები ძირითადად მსხვილ ნაწლავებშია განვითარებული. ჯორჯლის სისხლძარღვები სისხლით არის გადავსებული. კოლინჯის, ბრმა და სწორი ნაწლავების ლორწოვანი გარსები გაწითლებული, გასქელებული და დანაოჭებულია. მათ მთელ ზედაპირზე წერტილოვანი და ხაზოვანი სისხლჩაქცევებია, ხოლო ზოგიერთ ადგილას, განსაკუთრებით ნაოჭების თავზე – წყლულები. ლიმფური კვანძები გადიდებულია. გულში განვითარებულია დისტროფიული ცვლილებები.

დიაგნოზი დგინდება კომპლექსურად. ლაბორატორიული გამოკვლევისას იყენებენ ნატიური ნაცხის მეთოდს, რა დროსაც საკვლევ მასალაში ნახულობები ბალანტიდიების ცისტებსა და ტროფოზოიტებს. გაკვეთის დროს მათ ნახულობენ ნაწლავის ლორწოვანი გარსიდან აღებული ანაფსეკის გაჭყლებილი წვეთის გამოკვლევისას, რაც დროულად უნდა ჩატარდეს, რადგან ცხოველის სიკვდილიდან სამ საათში ბალანტიდიები ლეშში განიცდიან ლიზისს.

მკურნალობა. დაავადებულ გოჭებს ცალკე გამოყოფენ და იკვლევენ კოპროლოგიურად. ბალანტიდიოზთან ერთად ჰელმინთოზების გამოვლენის შემთხვევაში ჯერ ატარებენ დეპელმინთიზაციას, მაგალითად პანაკურით (დოზა 0,015 გ/კგ), შემდეგ იწყებენ ბალანტიდიოზის საწინააღმდეგო მკურნალობას.

მაღალი თერაპიული მოქმედებით გამოირჩევა ტილანი, რომელსაც ცხოველს აძლევენ დოზით 0,00125 გ/კგ ორჯერ დღეში სამი დღის განმავლობაში. პრეპარატს ხსნიან წყალში და შემდეგ ურევენ საკებას. ვეტდიპასფენი 30 დღის ასაკამდე გოჭებს ეძლევა დოზით – 0,125 გ/კგ, 31-60 დღის ასაკისას – 0,250, 61-120 დღისას – 0,375 და 120 დღეზე უფრო ხნიერ მოზარდეულს – 0,725 გ/კგ დღეში ერთხელ ორი დღის განმავლობაში. შვიდი დღის შემდეგ პრეპარატს განმეორებით აძლევენ იგივე დოზებით სამი დღის განმავლობაში. ოსარსოლი გოჭებს ეძლევა დოზით 0,03 გ/კგ ორჯერ დღეში; იოდინოლი 4 თვემდე ასაკის გოჭებს – დოზით 3-15 მლ, 4 თვეზე უფროსი ასაკის მოზარდეულს – 20-25 მლ ორჯერ დღეში; ნიფულინი – გაანგარიშებით, 5 კგ პრეპარატი შერეული 1 ტონა საკებთან ორჯერ დღეში; ტრიქოპოლი (მეტრონიდაზოლი) – 40 კგ-მდე გოჭებს – 0,25 გ, 40 კგ-ზე მეტი წონის მოზარდეულს – 0,5 გ ცხოველზე ორჯერ დღეში; ფურაზოლიდონი – მეტუმურ გოჭებს – 0,1 გ/კგ, ასხლეტილებს – 0,3 და უფროსი ასაკის მოზარდეულს 0,5 გ/კგ ორჯერ დღეში. ჩამოთვლილ პრეპარატებს გოჭებს აძლევენ 3-5-დღიანი კურსით. საჭიროების შემთხვევაში 7-10 დღის შემდეგ მკურნალობის კურსს იმეორებენ.

პროფილაქტიკა. მეურნეობაში ახლად შემოყვანილ გოჭებს ამყოფებენ კარანტინში და იკვლევენ დაავადებებზე. დაავადებულებს, მათ შორის ბალანტიდიოზით, გამოყოფებ და მკურნალობები. თუ დაავადებულთა რაოდენობამ 20%-ს გადაჭარბა, მკურნალობებ მთელ სულადობას.

პროფილაქტიკურ ღონისძიებათა შორის უმთავრესია მოვლა-შენახვის ვეტერინარიულ-სანიტარიული მოთხოვნებისა და კვების ნორმების დაცვა. იმ დოლფარების კედლებსა და იატაკს,

სადაც იმყოფებოდნენ ბალანტიდიოზით დაავადებული გოჭები, ამუშავებენ მწვავე კალიუმის ან მწვავე ნატრიუმის 4%-იანი ხსნარით. სეირანებს, მათი მექანიკური დასუფთავების შემდეგ, გადახნავენ, მოასწორებენ და უხვად აყრიან კირს. ბალანტიდიოზზე არაკეთილსაიმედო მეურნეობაში გოჭების ასხლეტამდე 2-3 დღით ადრე მათ უნიშნავენ სამკურნალო პრეპარატებს (ფურაზოლიდონი, ტრიქოპოლი, ვეტდიპასფენი და სხვ.) განახევრებული დოზით.

## დაუზუსტებელი სისტემატიკური მდგრადარღის აღმავრელებით გამოფენები დაავადებები

### ანაპლაზმი

ანაპლაზმები ერთუჯრედიანი ორგანიზმებია, რომელთაც არ გააჩნიათ ბირთვი და სხვა ორგანელები. ისინი ცხოველებში იწვევენ ისეთივე ხასიათის პათოლოგიებს, როგორსაც პარაზიტული უმარტივესები, და ძირითადად გადაეცემიან მათ *Ixodidae*-ს ოჯახის ტკიპების, აგრეთვე სისხლმწოვი მწერების – ბუზანკალებისა და კოლოების მეშვეობით.

მსხვილფეხა რქოსანი პირუტკების ანაპლაზმოზის აღმძვრელია *Anaplasma marginale*, ცხვრისა – A.ovis. ისინი პარაზიტობენ ერითროციტებში და განლაგებულები არიან პერიფერიაზე. მორფოლოგიურად ორივე სახეობის ანაპლაზმა იდენტურია. მათი სხეული მრგვალია (ზომა – 0,2-2,2 მიკრონი), მუქი წითელი ფერის, მოშავო ელფერით.

აღმძვრელის ბიოლოგია. ერითროციტებში ანაპლაზმები მრავლდებიან მარტივი დაყოფით ან გამოკვირტვით, რა დროსაც წარმოქმნიან 2-8 ინდივიდისაგან შემდგარ კოლონიებს. ანაპლაზმები ასევე მრავლდებიან მათი გადამტანების – *Dermacentor*-ის, *Rhi-*

*picephalus*-ის, *Ixodes*-ს და *Haemaphysalis*-ს გვარების ტკიპების სხეულში, რომლებიც აღმძვრელს გადასცემენ ტრანსოვარული და ტრანსფერაზური გზებით. ბუზანკალებისა და კოლოების სხეულში ანაპლაზმები არ მრავლდებიან, რის გამო სისხლმწოვი მწერები ანაპლაზმების მექანიკურ გადამტანებად ითვლებიან. გარდა ამისა, ანაპლაზმებით ცხოველის დაინვაზიება შეიძლება მოხდეს სისხლის აღებისას ან ოპერაციების დროს გაუსტერილებელი ინსტრუმენტების გამოყენების გამო.

ეპიზოოტოლოგიური მონაცემები. ანაპლაზმოზი გავრცელებულია ყველგან. იგი ძირითადად ზაფხულისა და შემოდგომის თვეებში ვლინდება. ანაპლაზმები კარგად იტანენ უარყოფით ტემპერატურას. მაგალითად, მინუს 70-196 °C ტემპერატურაზე ისინი ძლებენ წლების განმავლობაში, მაგრამ 50 °C ტემპერატურაზე სწრაფად იღუპებიან.

პათოგენური. ანაპლაზმოზის დროს პათოლოგიური პროცესი იწყება ანაპლაზმების ერითროციტებში შეჭრისა და მათი ცხოველმოქმედების პროდუქტების გამოყოფის პარალელურად, რის გამო ირლვევა ერითროციტების ფუნქცია და მათი ჰემოპოეზი, ნერვული სისტემის ფუნქცია, ვითარდება პათოლოგიები შინაგან ორგანოებში. დაინვაზიებული ერითროციტების სიცოცხლის ხანგრძლივობა 20 დღემდე მცირდება, ხოლო მათი რაოდენობა და ჰემოგლობინის შემცველობა – 2,5-ჯერ. ორგანიზმში ვითარდება ჰიპოქსია, ძლიერდება სიგამხდრე, ქვეითდება ორგანიზმის რეზისტენტობა და შეიძლება ცხოველი დაიღუპოს.

დაავადების სიმპტომები. ინკუბაციური პერიოდი 6-70 დღეა. სხეულის ტემპერატურა მატულობს 41 °-მდე. ლორწოვნი გარსები უფერულია, ზოგჯერ მათ მოყვითალო ელფერი გადაკრავთ. გულის მუშაობა დარღვეულია, მაღა – დაქვეითებული. ცხოველი სწრაფად ხდება, ვითარდება ნაწლავის ატონია, ზოგჯერ – დიარეაც. ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციის მოშლის გამო შეიძლება დაირღვეს მოძრაობის კოორდინაცია, განვითარდეს უკანა კიდურების პარეზი. 5-10 დღეში ცხოველი შეიძლება დაიღუპოს.

ქრონიკული მიმდინარეობის დროს ლორწოვანი გარსები უფერულია, ნაწლავის პერისტალტიკა – შენელებული, ვითარდება ფაშვისა და ნაწლავის ატონია. ერთ კუბ.მმ სისხლში ერთორციტების რაოდენობა 420-850 ათასამდე მცირდება.

პათომორფოლოგიური ცვლილებები. ანაპლაზმოზის მწვავე მიმდინარეობის დროს მკვდარი ცხოველის ლეშის ლორწოვანი და სეროზული გარსები მკვეთრად ანემიურია. ჩონჩხის მუსკულატურა ღია წითელი ფერისაა. სისხლი გაფერმკრთალებული და თხიერია, გული – გადიდებული, ფილტვები – ემფიზემური. ღვიძლი, ელენთა და თირკმელები გადიდებულია, ნაღვლის ბუშტი გადავსებულია ბლანტი ნაღველით, შარდის ბუშტი – მდგრადი შარდით. ყველა ორგანოში სისხლჩაქცევებია.

დიაგნოზი დგინდება კომპლექსურად. ლაბორატორიული გამოკვლევისათვის ამზადებენ სისხლის ნაცხებს.

მკურნალობა. ორივე შემთხვევაში იყენებენ ტეტრაციკლინის რიგის ანტიბიოტიკებს, რომლებსაც ხსნიან ნოვოკაინის 1-2%-ან ხსნარში და შეჰქავთ კუნთებში, 4-6 დღის განმავლობაში დოზით 5-10 ათასი მოქმედი ერთეული კგ ცხოველის მასაზე. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისათვის ეფექტურია სულფა-პირიდაზინ-ნატრიუმი დოზით 0,05 გ/კგ, გახსნილი დისტილირებულ წყალში კონცენტრაციით 1:10-თან, რომელიც შეჰქავთ კუნთებში სამი დღის განმავლობაში. ცხვრებს უნიშნავენ დიბიო-მიცინს ან დიტეტრაციკლინს, რომლებიც შეჰქავთ წინამხრის კუნთებში დოზით 50 ათასი მოქმედი ერთეული კგ ცხოველის მასაზე ერთხელ ან ორჯერ დღის განმავლობაში. პირობლაზი-დოზებთან შერეული ინგაზის დროს ცხვრებს კუნთებში ან კანქეშ, ერთხელ ან ორჯერ უნიშნავენ აზიდინის 7%-იან ხსნარს დოზით 0,0035 გ/კგ, დამზადებულს დისტილირებულ წყალზე.

პროფილაქტიკა. ეპიზოოტიურ კერებში ცხოველებს ამუშავენ ტკიპების საწინააღმდეგო საშუალებებით. აუმჯობესებენ ცხოველების მოვლა-შენახვისა და კვების პირობებს.

## ფრინველის პორელიოზი (საიროქატოზი)

ბორელიოზი ფრინველის მწვავე ან ქრონიკული ფორმებით მიმდინარე დაავადებაა, რომლის აღმბვრულია *Borrelia anserinum* (*Spirochaeta gallinarium*). ბორელიები ძაფისებრი სპირალის ფორმის ორგანიზმებია. მათი ზომა სიგრძეში 3-30 მიკრონის ფარგლებში მერყეობს, ხოლო ხევულების რაოდენობა – 9-დან 12-მდე. ბორელიები კარგად ჩანან რომანოვსკის წესით შეღებილ სისხლის ნაცხებში.

აღმბვრულის ბოლოვა. ბორელიების გადამტანება არგასი-დური (*Argas persicus*) და გამასოიდური (*Dermanyssus gallinae*) ტკიპები, აგრეთვე – ბალლინჯო (*Cimex lectralis*). ტკიპების

ნიმუშები და იმავე ფორმები ფრინველის ორგანიზმში ბორელიების ინოკულირებას ახდენენ სისხლწოვის დროს. ბორელიები ფრინველისა და ტკიპას ორგანიზმში მრავლდებან განივი გაყოფის გზით.

ეპიზოოტოლოგიური მონაცემები. ბორელიოზი ფართოდაა გავრცელებული თბილი კლიმატის მქონე ქვეწებში. ტკიპები ფრინველს თავს ესხმიან 15-20°C ტემპერატურის პირობებში. ამიტომ დაავადება ზაფხულში ვლინდება.

პათოგენეზი. ფრინველის ორგანიზმში ბორელიები ჯერ ძვლის ტკინში, ღვიძლებში, ელენთაში, სხვა შინაგან ორგანოებში მრავლდებან, შემდეგ – სისხლის პლაზმაში. დაავადების მეორე პერიოდში პარაზიტები გროვებად იყრიან თავს. ფრინველის ორგანიზმში ბორელიების მასობრივად გამრავლებას თან სდევს მათ მიერ ტოქსიკური პროდუქტების გამოყოფა, რომლებიც მოქმედებენ ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე, არღვევენ ნივთიერებათა ცვლისა და სისხლწარმოქმნის პროცესებს, იწვევენ ერი-



სურ. 22. *Borrelia anserinum*  
ფრინველის სისხლში

თროციტების ლიზის. სისხლის კაპილარებში ყოფნისას მათ შეუძლიათ თრომბოზის გამოწვევა, რაც ხშირად ფრინველის სიკვდილის მიზეზი ხდება.

დაავადების სიმპტომები. ოკუპაციური პერიოდი 2-7 დღეს გრძელდება. დაავადების მწვავე მიმდინარეობისათვის დამახა-სიათებელია ციებ-ცხელება, მძინარობა, ლორწოვანი გარსებ-ის ანემიურობა, ჭუჭყიანი-მომწვანო ფერის სკორეს გამოყოფა. დაავადების ქრონიკული მიმდინარეობა დამახასიათებელია უფროსი ასაკის ფრინველისათვის. იგი მოწყენილია, უმეტესად ზის, საკვებს ცუდად იღებს. ამ დროს ბუმბული აბურძგნულია, ლორწოვანი გარსები ანემიური, ჩნდება დიარეა. თუ 2-3 კვირის განმავლობაში დაავადების კლინიკური ნიშნები არ გაქრა, ფრინ-ველი იღუპება გამჭლევებისაგან. სიკვდილიანობის მაჩვენებელმა შეძლება 90%-ს მიაღწიოს.

პათომორფოლოგიური ცვლილებები. აღინიშნება ლორწოვანი და სეროზული გარსების ანემია, ღვიძლი ღია ყავისფერია, ელენთა 2-3-ჯერ არის გადიდებული. შინაგან ორგანოებში დიდი რაოდენობით სისხლჩაქცევებია.

დავნოზი დგინდება კომპლექსურად. მიკროსკოპიული გამოკვლევისათვის ნაცხს ამზადებენ ძვლის ტვინიდან, ღვიძლიდან ან სისხლიდან და ღებავენ რომანოვსკის წესით.

ბორელიოზისათვის დამახასიათებელი კლინიკური ნიშნები (მძინარობა, ჭუჭყიანი-მომწვანო ფერის სკორეს გამოყოფა) ვლინდება ფრინველის ჭირის დროს, მაგრამ ჭირისაგან განსხვავებით ბორელიოზის შემთხვევაში სასუნთქი ორგანოები არ ზიანდება.

მკურნალობა. ფრინველს უნიშნავენ ნოვარსენოლის 1%-იან ხსნარს კუნთებში, დოზით 0,02-0,05 გ/კგ ან ოსარსოლს – დოზით 0,03 გ/კგ, ორჯერ დღეში, სამი დღის განმავლობაში.

პროფილაქტიკა. აუცილებელია საფრინველები აშენდეს ტკიპების ბინადრობის ადგილებიდან მოშორებით. საფრინვე-

ლის კედლებს, ხისაგან დამზადებულ მოწყობილობას არ უნდა ჰქონდეთ ღრეჩოები, ნაპრალები, სადაც ტკიპები იბუდებენ. ფერმაში ფრინველის შემოყვანისას ყურადღება უნდა იქნეს გამახვილებული, რომ ისინი არ იყვნენ ტკიპების ლარვებითა და ნიმფებით დაინგაზიებული. აუცილებელია საფრინველებ-ში პერიოდულად განხორციელდეს ტკიპების საწინააღმდეგო საერთო ღონისძიებები.

## სავატერინარო არაქნოლოგია

არაქნოლოგია (arachne – ბერძნულად ობობა, logos – სწავლება) არის მეცნიერება ობობასნაირების შესახებ.

ობობასნაირები (კლასი – Arachnoidea) მწერებსა (კლასი – Insecta) და კიბოსნაირებთან (კლასი – Crustacea) ერთად გაერთიანებულები არიან Arthropoda-ს (ფეხსახსრიანები) ტიპში.

ობობასნაირების სხეული შედგება თავმკერდისა და მუკლისაგან (ობობა) ან გაერთიანებულია (ტკიპი). მათ ოთხი წყვილი კიდური აქვთ. სავეტერინარო არაქნოლოგია შეისწავლის ტკიპებს, რომლებიც მიეკუთვნებიან Parasitiformes (პარაზიტიფორმული ტკიპები) და Acariformes (აკარიფორმული ტკიპები) რაზმებს. პარაზიტიფორმული ტკიპები არიან ინფექციურ და ინვაზიურ დაავადებათა აღმძვრელების გადამტანები და ექტოპარაზიტები. აკარიფორმული ტკიპები არიან ქავანა დაავადებების აღმძვრელები.

## პარაზიტიფორმული ტკიპები

პარაზიტიფორმული ტკიპების რაზმი აერთიანებს Ixodoidea-ს (იქსოდოიდური ტკიპები) და Gamasoidea-ს (გამასოიდური ტკიპები) ზეოჯახებს.

## იქსოდოიდური ტკიპები


იქსოდოიდური ტკიპების ზეოჯახი აერთიანებს Ixodidae-ს (იქსოდიდები) და Argasidae-ს (არგასიდები) ოჯახებს.

## იქსოდიდური ტკიპები

იქსოდიდური (ოჯახი – Ixodidae) ტკიპების სხეული გაერთიანებული და ოვალურ-წაგრძელებული ფორმისაა. სხეულის წინა ნაწილში ხორთუმია (გნატოსომა), რომელიც შედგება ფუძის, ორი პალპის, ორი ჰელიცერისა და ერთი ჰიპოსტომისაგან. პალპები ასრულებენ შეგრძების (სენსორულ) ფუნქციას. მათი მეშვეობით ტკიპი ირჩევს აღვილს მასპინძლის კანზე მისამაგრებლად. პალპებს შორის განთავსებულია კბილებით აღჭურვილი ჰელიცერები. მათ ქვემოთ ჰიპოსტომია. იგი დაფარულია კბილებით, რომელთა მეშვეობით ტკიპი ფიქსირდება ცხოველის კანზე. ხორთუმის ფორმები და ზომები სხვადასხვაგარია.

ტკიპის ტანის (იდიოსომა) ზომები იცვლება განვითარების ფაზისა და სისხლით მაძღვობისაგან გამომდინარე. მშიერი ტკიპის იდიოსომა გაბრტყელებულია, მაძღვისა – ოვალურ-მრგვალი ფორმის. ზურგის ზედაპირზე მკვრივი ქიტინოვანი ფარია, რომელსაც სკუტუმი ეწოდება. იგი მთლიანად ფარავს მამრის ზურგს, ხოლო მდედრ ინდივიდებში – დორსალური ზედაპირის მხოლოდ წინა ნაწილს. იქსოდიდების ზოგიერთი გვარის წარმომადგენელს სხეულის წინა ნაწილში, სკუტუმის კიდესთან თვალები აქვს. სხეულის ლატერალურ ზედაპირზე მეოთხე წყვილი კიდურის უკან ბადისებრი ფირფიტები – პერიტორებია, რომლებიც გარს ეკვრიან ტრაქეის ხვრელებს. იდიოსომის ვენტრალურ ზედაპირზე სასქესო და ანალური ხვრელებია. იქსოდიდებს კარგად აქვთ გამოხატული სქესობრივი დიმორფიზმი – მორფოლოგიური განსხვავება მამრ და მდედრ ინდივიდებს შორის. მშიერი მდედრის სხეული მამრის


სხეულის ტოლია. მაძღარი მდედრის სხეული ზომებში რამდენჯერმე მატულობს, მამრის – არა.



სურ. 23. იქსოდიდური ტკიპების მორფოლოგია მარცხნივ – დორსალური მხარე, მარჯვნივ – ვენტრალური მხარე 1. ბალპა; 2. ჰელიცერა; 3. ხორთუმი; 4. მისაწვარი და ბრჭყალი; 5. თვალი; 6. ჰიპოსტომი; 7. თათი; 8. წინათათი; 9. წვივი; 10. ბარძაყი; 11. ტაბუზი; 12. კოქსა; 13. სასქესო ხვრელი; 14. სასქესო ლარი; 15. პერიტორება; 16. ანალური ხვრელი; 17. ანალური არხი.

იქსოდიდების გეოგრაფიული გავრცელება განპირობებულია ბიოტოპური და აბიოტოპური ფაქტორებით. დიდი მნიშვნელობა აქვს ცხოველების არსებობას, რომელთა სისხლითაც იკვებიან ტკიპები. გარემოში იქსოდიდური ტკიპების არსებობის აუცილებელი ფაქტორებია ოპტიმალური ტემპერატურა, შესაბამისი ტენიანობა და ფლორის შემადგენლობა. ზაფხულში ოპტიმალური ტემპერატურისა და დღის სინათლის (ფოტოპერიოდული პირობები) ხანგრძლივობა განსაზღვრავს ცხოველის სხეულზე ტკიპების პარაზიტობის დროს. ფოტოპერიოდულ პირობებზეა დამოკიდებული ტკიპების მიერ კვერცხდების ხანგრძლივობა,

ლარვების გამოჩეკვა და მათი განვითარების სხვადასხვა ფაზაში კანის ცვლის პირობები. ზაფხულში ოპტიმალური კლიმატური პირობების ხანგრძლივობაზეა დამოკიდებული იქსოდიდების სასიცოცხლო ციკლების ხანგრძლივობა. ფეხსახსრიანების ბინადრობის ადგილებს ბიოტოპებს უწოდებენ.



სურ. 24. იქსოდიდური ტკიპების პარაზიტიზმის ტიპები 1. სამმასპინძლიანი ტკიპები 2. ორმასპინძლიანი ტკიპები 3. ერთმასპინძლიანი ტკიპები

განსხვავებულ ბიოტოპებში იქსოდიდების პოპულაციების სასიცოცხლო ციკლებში სხვადასხვა პერიოდების არსებობა განპირობებულია დიაპაუზებით ანუ მოსვენების პერიოდებით. დიაპაუზა ვლინდება მდედრებში ონტოგენეზისა და მაძლარ ლარვებსა და ნიმფებში მეტამორფოზის შეჩერებით.

ბიოტოპებში იქსოდიდური ტკიპების რაოდენობა უცვლელი არ არის. ადამიანის ჩარევა ბუნებაში იწვევს ფლორისა და

ფაუნის ცვლას. განსაკუთრებით მგრძნობიარები არიან იქსოდოფაუნის ის სახეობები, რომელთა სასიცოცხლო ციკლები დაკავშირებულია სასოფლო-სამეურნეო ცხოველების სხეულზე პარაზიტობასთან, ხოლო მათ ბიოტოპებს ყამირი და ნასვენი მიწები წარმოადგენენ. ასეთი მიწების გადახვნა, ნათესი ბალახების ფართობების ზრდა იწვევს ბიოტოპების ფართობებისა და შესაბამისად, ცხოველების სხეულზე ტკიპების რაოდენობის შემცირებას.

იქსოდიდური ტკიპების განვითარების პროცესი (ონტოგენეზი) შედგება კვერცხის, ლარვის, ნიმფისა და იმაგოს ფაზებისაგან, რა დროსაც ისინი ერთმანეთისაგან განსხვდებიან მორფოლოგიურად და ბიოლოგიურად. ტკიპები პარაზიტობენ გარკვეულ მასპინძელზე ან თავს ესხმიან იმ ცხოველებს, რომლებიც იმყოფებიან ბიოტოპებში. ამიტომ, ბიოტოპებში იქსოდიდების ბინადრობა დამოკიდებულია, იქ, შინაური და გარეული ცხოველების არსებობაზე. მდედრები კოპულირებენ მარებთან სისხლწოვის პერიოდში. შემდეგ ისინი ცვივიან მიწაზე და იწყებენ კვერცხდებას.

იქსოდიდები აქტიურდებიან დღელამის გარკვეული, მათი სასიცოცხლო ციკლისათვის განსაკუთრებით ხელშემწყობი პერიოდის დროს. მაგალითად, *Hyalomma anatomicum*-ის მდედრები ცხოველს თავს ესხმიან ან ცვივიან მიწაზე სიბნელეში. ზაფხულში, ნიადაგზე მოხვედრილი მაძლარი მდედრები არჩევენ მზის სივებისაგან, აგრეთვე ტემპერატურისა და ტენიანობის ცვალებადობისაგან დაცულ ადგილებს და ოპტიმალური პირობების არსებობის შემთხვევაში 2-10 დღის შემდეგ იწყებენ კვერცხდებას. იქსოდიდების ზოგიერთი სახეობების მდედრები დებენ 3-15 ათასამდე კვერცხს. კვერცხდების შემდეგ მდედრები იღუპებიან. გარკვეული დროის შემდეგ კვერცხებიდან იჩეკუბინ ექვსფეხა ლარვები, რომელთათვის აუცილებელია ხერხემლიან ცხოველთა სისხლით კვება 2-4 დღის განმავლობაში. იქსოდიდების ზოგიერთი სახეობის მაძლარი ლარვები რჩებიან ცხოველის სხეულზე, სადაც მიმდინარეობს მათი ნიმფებად გარდაქმნის მეტამორფოზი.

იქსოდიდების სხვა სახეობებისათვის ეს პროცესი მიწაზე მიმდინარეობს. ნიმუშა ასევე იკვებება ცხოველის სისხლით 4-6 დღის განმავლობაში. შემდეგ ის სცილდება მასანიძელს და გარდაიქმნება იმავე ფორმად. ნიმუშებიდან ვითარდებიან მდედრები და მამრები. სხვადასხვა სახეობათა ტკიპების განვითარების სრული ციკლი რამდენიმე თვეს გრძელდება.

აქტიურ ფაზებში ცხოველზე თავდასხმის რაოდენობის მიხედვით იქსოდიდებს ყოფებ ერთ, ორ და სამმასპინძლიან ტკიპებად. ერთმასპინძლიანებს მიეკუთვნებიან ის ტკიპები, რომელიც განვითარების ყველა ფაზის დროს ერთსა და იმავე ცხოველზე იკვებებიან. ორმასპინძლიანები ლარვისა და ნიმუშის სტადიაში იკვებებიან ერთ ცხოველზე, მათი იმავე ფორმები – მეორეზე. სამმასპინძლიანია ტკიპი, რომლის ლარვა, ნიმუშა და იმავე სამი სხვადასხვა მასპინძლის სხეულზე პარაზიტობენ.

სისხლწოვის დროს ტკიპი ხორთუმით აზიანებს კანს. ჭრილობაში ხორთუმი ფიქსირდება ჰიპოსტომის კბილებისა და სპეციფიკური სეკრეტის – „ცემენტის“ მეშვეობით. ტკიპების ჩამოცვენის შემდეგ „ცემენტი“ რჩება მასპინძლის კანში, რაც იწვევს რეაქტიულ ცვლილებებს ეპიდერმულ ფენაში. გარდა ამისა, კბენის დროს ჭრილობაში ნერწყვთან ერთად ხდება ჭოქსიკურ ნივთიერებათა ინოკულირება, რის გამო ჭრილობის მიდამოში ვითარდება შეშუპება, ხოლო ცხოველს გამოხატული ალერგიული ძღვომარეობა აქვს. ასეთ შემთხვევაში ცხოველი დაძაბუნებულია, მცირდება ერთოროციტების რაოდენობა და ჰემოგლობინის შემცველობა, უარესდება პროდუქტიულობის მაჩვენებლები (მცირდება წველადობა) და სხვ.

Ixodidae-ს ოჯახში გაერთიანებულია ექვსი გვარი. ესენია: *Boophilus*, *Hyalomma*, *Rhipicephalus*, *Dermacentor*, *Ixodes* და *Haemaphysalis*.

*Boophilus*-ის გვარიდან საქართველოში გავრცელებულია ერთი სახეობა – *Boophilus calcaratus*, რომელიც არის *Piroplasma bigeminum*-ისა და *Fransaiella colchica*-ს გადამტანი. პიროპლაზმოზისა და ფრანსაიელოზის აღმძვრელებს ტკიპი გა-

დასცემს ტრანსოვარიული გზით. *Boophilus*-ის გვარის ტკიპებს აქვთ ბრტყელი თვალები, აგრეთვე, მოკლე ხორთუმი, რომლის ფუძე ექვსკუთხოვანია.

*B.calcaratus*-ის გავრცელების არეალი ზღვის დონიდან 1000-1200 მეტრამდე შემოიფარგლება. მისი ბიოტოპების ფართობი მუდმივად იცვლება საძოვრის გადახვისა და ტკიპების საწინააღმდეგო სხვა ღონისძიებათა განხორციელების გამო. დროთა განმავლობაში, თუ გადახნული ფართობი გაყამირდა, იგი კვლავ გადაიქცევა ტკიპების ბიოტოპად. *B.calcaratus* მასობრივად გვხვდება ტყებუჩქნარიან ადგილებში, სადაც მისი ბინადრობისათვის ოპტიმალური პირობებია: – ნიადაგის ტენიანობა, მცენარეული საფარის სიხშირე, მასპინძლის – მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ყოფნა.

*B. calcaratus* თავს ესხმის ყველა სახეობის ჩლიქიან შინაურ და გარეულ ცხოველს, მაგრამ უპირატესად პარაზიტობს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სხეულზე, იშვიათად – ცხვარსა და ცხენზე. იგი ერთმასპინძლიანი ტკიპია. *B.calcaratus* ცხოველის სხეულზე 25-30 დღის განმავლობაში იმყოფება, მაგრამ თუ ჰაერის ტემპერატურა შემცირდა, პარაზიტობის ვადა ხანგრძლივდება. მაძღარი მდედრები მიწაზე ცვივინ, შეციცლებიან დაფარულ ადგილებში და 2-3 დღის შემდეგ იწყებენ კვერცხდებას. ინკუბაციის პერიოდის გავლის შემდეგ, რომლის ხანგრძლივობა გარემო პირობებზე დამოკიდებული, კვერცხებიდან იჩეკებიან ლარვები, რომლებიც თავს ესხმიან მასპინძელს. ისინი წოვენ სისხლს ან ლიმფას და 4-6 დღის შემდეგ გარდაიქმნებიან ნიმუშებად. ეს უკანასკნელი აგრძელებენ სისხლის წოვას და 5-10 დღის შემდეგ გარდაიქმნებიან იმავე ფორმებად (მდედრ და მამრ ინდივიდებად). ლარვები სიცოცხლის უნარს ინარჩუნებენ 6-7 თვის განმავლობაში.


*B. calcaratus*-ით ცხოველის პირველი დატკიპიანება აღინიშნება მარტ-აპრილში. მაძღარი მდედრი ტკიპები ცილდებიან მასპინძელს და იწყებენ კვერცხდებას. მეორე დატკიპიანება, უფრო ინტენსიური, აღინიშნება ივნის-ივლისში, მესამე – აგვის-

ტოს ბოლოს-სექტემბერში. ოქტომბერ-ნოემბერში, თბილი ამინდების შემთხვევაში, შეიძლება მოხდეს მეოთხე დატკიპიანებაც.

*Hyalomma*-ს გვარიდან ჩვენთვის საყურადღებოა სახეობები *Hyalomma anatomicum*, *H.detritum* და *H.plumbeum*. აღსანიშნავია, რომ საძოვრების გარდა ეს ტკიპები ბინადრობენ პირუტყვის საღვომებშიც. *Hyalomma*-ს გვარის ტკიპებს აქვთ თვალები, გრძელი და მსხვილი კიდურები, ავრეთვე – გრძელი ხორთუმი.


*H.anatomicum* არის *Theileria annulata*-ს და *Th.mutans*-ის გადამტანი. მისი გავრცელების არეალი ზღვის დონიდან 500 მეტრამდე შემოიფარგლება. იგი სამმასპინძლიანი ტკიპია და უპირატესად მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სხეულზე პარაზიტობს, თუმცა გვხვდება სხვა სახეობის სასოფლო-სამურნეო ცხოველებზეც. იმაგო ფორმები ცხოველის სხეულზე ჩნდებიან აპრილის დასაწყისში. მისი ლარვები მსხვილფეხა რქოსან პირუტყვზე პარაზიტობენ ივლის-აგვისტოში, ხოლო მაძღარ ნიმფებს ნახულობენ შემოდგომასა და ზამთარში. გაზაფხულზე ნიმფები კანს იცვლიან, გარდაიქმნებიან იმაგო ფორმებად და აპრილში თავს ესხმიან ცხოველებს. წლის განმავლობაში ამ სახეობის ტკიპი ერთ გენერაციას იძლევა.

*H.detritum* არის *Theileria annulata*-ს და *Th.mutans*-ის გადამტანი. იგი ორმასპინძლიანი ტკიპია, რომლის ლარვები და ნიმფები უმთავრესად მსხვილფეხა რქოსან პირუტყვზე პარაზიტობენ, ხოლო იმაგო ფორმები – ყველა დანარჩენ სასოფლო-სამურნეო ცხოველზე. წლის განმავლობაში *H.detritum* ერთ გენერაციას იძლევა. მისი იმაგო ფორმებით ცხოველის დატკიპიანება მაისში იწყება. მდედრები კვერცხებს დებენ შენობის კედლების ნაპრალებში, მღრღნელების სოროებში, გამზმარი ნაკელის ქვეშ, დაფარულ ადგილებში. აგვისტოდან მოყოლებული ცხოველებზე ნახულობენ ლარვებსა და ნიმფებს. ზამთარში, თბილი ამინდის პირობებში, ლარვები შეიძლება თავს დაესხან ცხოველს შენობაშიც, ხოლო ნიმფების ნაწილი იზამთრებს და მაისში იმაგოს სტადიას აღწევს.



სურ. 25. *Ixodes* გვარის ტკიპები (1 და 2) და *Dermacentor*-ის გვარის ტკიპები (3 და 4): მარცხნივ – მამრი, მარჯვნივ – მდედრი.

სურ. 26. *Haemaphysalis* გვარის ტკიპები (5 და 6) და *Rhipicephalus*-ის გვარის ტკიპები (7 და 8): მარცხნივ – მამრი, მარჯვნივ – მდედრი



სურ. 27. *Boophilus*-ის გვარის ტკიპები (9 და 10) და *Hyalomma*-ს გვარის ტკიპები (11 და 12): მარცხნივ – მამრი, მარჯვნივ – მდედრი

სურ. 28. *Argas*-ის გვარის ტკიპები (13 და 14) და *Alveonanus*-ის გვარის ტკიპები (15 და 16): მარცხნივ – მამრი, მარჯვნივ – მდედრი

*H.plumbeum* არის *Piroplasma caballi*-ს, *Nuttallia equi*-სა და *Anaplasma ovis*-ის გადამტანი. ტყიან და მთიან ზონებში ტკიპის ეს სახეობა არ გვხვდება. მის მიერ ცხოველები დატკიპიანებულები არიან წლის მთელი თბილი პერიოდის განმავლობაში, მაქსიმალურად – მაის-ივნისში. ლარვები და ნიმფები იკვებებიან ივნისიდან ოქტომბრამდე ჩათვლით. შემოდგომაზე მაძღარი ნიმფები კანს იცვლიან და გარდაიქმნებიან იმაგო ფორმებად, რომლებიც თავს ესხმიან ცხოველს მომდევნო წლის გაზაფხულზე.

*Rhipicephalus*-ის გვარიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია *Rhipicephalus bursa*, რომელიც არის ცხვრის ბაბეზიოზისა და პიროპლაზმოზის, აგრეთვე მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ანაპლაზმოზის აღმძვრელების გადამტანი. ეს ტკიპი უმთავრესად ბინადრობს გაყამირებულ და ბუჩქარიან საძოვრებზე. იგი ორმასპინძლიანი ტკიპია. მისი იმაგო ფორმები ცხვარსა და მსხვილფეხა რქოსან პირუტყვის თავს ესხმიან მარტიდან, ლარვები – ზაფხულის მეორე ნახევარსა და შემოდგომაზე, ნიმფები – ზამთარში. ლარვები ცხვარს ფურზე ემაგრებიან, იმაგო ფორმები – მატყლისაგან თავისუფალ ადგილებში. იმაგო ფორმები აქტიურობას 11 თვის განმავლობაში ინარჩუნებენ, ლარვები – არაუმეტეს სამი თვისა. *R.bursa* წლის განმავლობაში ერთ გენერაციას იძლევა. *Rhipicephalus*-ის გვარის ტკიპებს მოკლე ხორთუმი აქვთ, რომლის ფუძე ექვსკუთხოვანია.

*Dermacentor*-ის გვარიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია *Dermacentor marginatus* და *D.pictus*. პირველი სახეობა არის ცხენის პიროპლაზმოზისა და ნუტალიოზის, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და ცხვრის ანაპლაზმოზების აღმძვრელების გადამტანი. იგი სამმასპინძლიანი ტკიპია. მისი იმაგო ფორმები შემოდგომაზე ჩნდებიან, მაგრამ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს, ცხვარს, თხას, ცხენს თავს ესხმიან გაზაფხულზე. ლარვები და ნიმფები თაგვისებრი მღრღნელების სისხლით ზაფხულის განმავლობაში იკვებებიან. ეს სახეობა წლის განმავლობაში ერთ გენერაციას იძლევა. *Dermacentor*-ის გვარის ტკიპებს აქვთ

თვალები, აგრეთვე მოკლე ხორთუმი, რომლის ფუძე მართკუთხედის ფორმისაა.

*D.pictus* სამმასპინძლიანი ტკიპია. იგი არის ცხენის პიროპლაზმოზისა და ნუტალიოზის, ძაღლის პიროპლაზმოზის და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ანაპლაზმოზის აღმძვრელების გადამტანი. იმაგო ფორმები თავს ესხმიან მსხვილფეხა რქოსან პირუტყვის, ცხენს, ცხვარს, თხას, ღორს, ძაღლს მარტ-მაისის განმავლობაში. ლარვები და ნიმფები პარაზიტობენ ზღარბის, კურდღლის, თაგვისებრი მღრღნელების სხეულზე წლის მეორე ნახევარში. ნიმფების უმრავლესობა იზამთრებს. წლის განმავლობაში იგი ერთ გენერაციას იძლევა.

იქსოდიდოფაუნიდან ყველაზე გავრცელებულია *Ixodes*-ის გვარის წარმომადგენლები. მათგან განსაკუთრებით საყურადღებოა *Ixodes ricinus*, რომელიც არის ცხვრის ბაბეზოზისა და ანაპლაზმოზის, აგრეთვე მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ანაპლაზმოზის აღმძვრელების გადამტანი. *I.ricinus* ბინადრობს ტყებში, ბუჩქარიან საძოვრებზე. მისი იმაგო ფორმა პარაზიტობს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ცხვრის, თხის, ცხენის, გარეული ძუძუმწოვრებისა და ფრინველის სხეულზე, ხოლო ლარვები და ნიმფები – ყველა მცირე ზომის ძუძუმწოვარზე, განსაკუთრებით – ზღარბებზე. ხშირად, ამ სახეობის ზრდასრული ფორმები და ნიმფები თავს ესხმიან ადამიანს. დატკიპიანება ხდება შემოდგომა-ზამთარ-გაზაფხულის პერიოდში. ლარვებსა და ნიმფებს შეუძლიათ გამოიზამთრონ. *Ixodes*-ის გვარის ტკიპებს აქვთ წვრილი კიდურები და გრძელი ხორთუმი.

*Haemaphysalis*-ის გვარიდან სამხრეთ კავკასიაში გავრცელებულია სახეობა *Haemaphysalis otophila*, რომელიც არის ცხვრის პიროპლაზმოზისა და ანაპლაზმოზის გადამტანი. იგი უპირატესად ბინადრობს შამბნარით უხვად დაფარულ გაფამირებული და წინამთის ზონის საძოვრებზე. ამ სახეობის მიერ დიდი ინტენსივობით დატკიპიანების შემთხვევაში ბატკნები იღუპებიან სისხლნაკლებობისაგან. იმაგო ფორმები პარაზიტობენ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ცხვრისა და თხის სხეულზე მირითა-

დად შემოდგომის თვეებში, ნაკლებად – გაზაფხულზე. ლარვები და ნიმფები იკვებებიან მცირე ძუძუმწოვრების სისხლით ზაფხულში. წლის განმავლობაში ეს სახეობაც ერთ გენერაციას იძლევა. *Haemaphysalis*-ის გვარის ტკიპებს აქვთ მოკლე ხორთუმი, რომლის ფუძე მართკუთხოვანია.

იქსოდიდების საწინააღმდეგო ღონისძიებებს ახორციელებენ ტკიპების ბინადრობის ადგილებში და თვით ცხოველის სხეულზე.

ბინადრობის ადგილებში ტკიპების საწინააღმდეგო ღონისძიებათა განხორციელება უფრო მიზანშეწონილია, ვიდრე აკარიციდული საშუალებებით ცხოველის დამუშავება. დიდი მნიშვნელობა აქვს ტკიპების განადგურებას მიწის ზედაპირზე, სანამ ისინი თავს დაესხმიან ცხოველებს. ტკიპების უმრავლესობა კვერცხებს დებს მიწაზე. ასევე მიწაზე ხდება ლარვების გამოჩენა, აგრეთვე მათ და ნიმფების მიერ კანის ცვლა. ამიტომ იქსოდიდეს ოჯახის ტკიპებთან ბრძოლის ყველაზე ეფექტური ღონისძიებაა საძოვრების გადახვნა და კულტურული საძოვრების შექმნა. ამ ღროს ნიადაგში ნადგურდება ტკიპების უმეტესობა, იცვლება მცენარეული საფარის შემადგენლობა, ნიადაგის ტემპერატურა და ტენიანობა, რაც თავის მხრივ, ხელს უშლის ტკიპების არსებობას. ასეთი ღონისძიებების განხორციელება უზრუნველყოფს *B.calcaratus*-ისა და *Rh.bursa*-ს სახეობათა ტკიპების ლიკვიდაციას.

ალპურ ზონებში საუკეთესო საძოვრებია. ზღვის დონიდან ასეთ სიმაღლეზე იქსოდიდები არ ბინადრობენ. უფრო დაბლა ტყის სარტყელია, სადაც ტკიპები ნაკლებად არიან. იქსოდიდებით ჭარბად არის დასახლებული მთისწინები და დაბლობები. ამიტომ, გაზაფხულზე ცხოველების გადარეცვა მთის საძოვრებზე და შემოდგომით მათი ჩამოყანა დაბლობ საძოვრებზე უნდა განხორციელდეს მაშინ, როდესაც ნიადაგის ტემპერატურა დაბალია, რის გამო ტკიპები აქტიურები აღარ არიან. იმ შემთხვევაში თუ გადარეცვა აუცილებელია ცხოველებზე ტკიპების თავდასხმის პერიოდში, ცხოველებს აბანებენ ტრასაზე, სპე-

ციალურ ტკიპებსაწინააღმდეგო აბაზანებში. დაუშვებელია აკარიციდული პრეპარატებით ტკიპების ბიოტოპების დამუშავება. საქართველოს პირობებში პრაქტიკული გამოყენება ვერ ჰპოვა ტკიპების საწინააღმდეგოდ საძოვრების ცვლის მეთოდმა.

Hyaloma-ს გვარის ტკიპების წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა აქვს სათანადო ღონისძიებათა განხორციელებას მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სადგომებში. ამ მიზნით აუცილებელია შენობის გედლების ჭრილების ამოვსება, მღრღნელების სოროების ამოქოლვა, შენობის კედლების ირგვლივ მცენარეული საფარის განადგურება. ამის შემდეგ ატარებენ შენობის იატაკის, კედლებისა და ჭერის დეზაკარიზაციას, რისთვისაც იყენებენ აეროლ-2-ს განგარიშებით 20 მლ ერთ მ<sup>3</sup>-ზე, ქლოროფონის 1,5%-იან ხსნარს, ბენზოფონფატის 0,2%-იან წყლის ემულსიას გაანგარიშებით 200-400 მლ ერთ მ<sup>2</sup> ფართობზე. ცხოველების განთავსებამდე შენობას 3-4 საათის განმავლობაში ანიავებენ, რის შემდეგ საკვებურებს ჩამორცხავენ მდუღარე წყლით. ტკიპების აღმოჩენის შემთხვევაში ცხოველებს ამუშავებენ აკარიციდული პრეპარატებით. სადგომების დეზაკარიზაციას ატარებენ ადრე გაზაფხულზე, ვიდრე დაიწყება ცხოველებზე ტკიპების იმავრ ფორმების თავდასხმის პერიოდი. შემდეგ ამ ღონისძიებას ატარებენ ზაფხულში, კერძოდ, ივლისში ან აგვისტოში, როდესაც გარემოში ჩნდებიან ლარვები და ნიმფები.

იქსოდიდურის განადგურება ცხოველის სხეულზე. აკარიციდებით ცხოველებს ამუშავებენ მათზე ტკიპების თავდასხმამდე. საამისოდ იყენებენ ისეთ პრეპარატს, რომელიც გამოირჩევა ნარჩენი მოქმედების ხანგრძლივობით. ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ერთი და იგივე აკარიციდი სხვადასხვაგვარად მოქმედებს ლარვებზე, ნიმფებსა და იმაგო ფორმებზე. აკარიციდის ეფექტიანობაზე მსჯელობენ მოძღვნო დამუშავების დროისათვის ცხოველის სხეულზე ლარვების, ნიმფებისა და ტკიპების არსებობით ან არარსებობით.

აკარიციდების გამოყენების შედეგად შესაძლოა განვითარდეს ტოქსიკოზი. საყურადღებოა, რომ მოზარდეულს, კახექსიურ

ცხოველებს, აგრეთვე ხანგრძლივი გადარეკვის შემდეგ ცხოველებს აქვთ მომატებული მგრძნობელობა აკარიციდული პრეპარატების მოქმედების მიმართ. გარემოს მაღალი ტემპერატურა ასევე ხელს უწყობს ცხოველის კანიდან ზოგიერთი პრეპარატის შეწოვას. ამიტომ არ არის რეკომენდებული სამ თვემდე ასაკის მოზარდეულის, აგრეთვე მოგებამდე ერთი თვე დარჩენილი მაკე ცხოველების დამუშავება ტკიპების საწინააღმდეგო პრეპარატებით. ტოქსიკოზების თავიდან ასაცილებლად უმჯობესია ეს ღონისძიება განხორციელდეს დღის გრილ პერიოდში.

ყველა პრეპარატს თან უნდა ახლდეს პასპორტი აქტიურად მოქმედი ნივთიერების (ამნ) მითითებით. მის გარეშე აკარიციდის გამოყენება დაუშვებელია. იმის გამო, რომ აკარიციდები მიეკუთვნებიან საშუალო და მაღალი ტოქსიკურობის შხამებს, მათ ინახავენ განსაკუთრებულ შენობებში, სათანადო დაცულობით და ზედმიწევნით აკონტროლებენ მისი ხარჯვის მდგომარეობას. ცხოველების დამუშავების დროს აუცილებელია პირადი უსაფრთხოების დაცვა (სპეცტანსაცმელი, ტოქსიკური ნივთიერებების ზემოქმედებისაგან ადამიანის დაცვის ტექნიკური და სხვა საშუალებები).

იქსოდიდური ტკიპების განადგურებისათვის იყენებენ ცხოველებზე აკარიციდული ნივთიერებების შესხურების ან ამ ნივთიერებებში მათი გაბანების მეთოდებს. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და ცხვრის გასაბანებლად იყენებენ სპეციალურ გასაცურ აბაზანას, რომელიც წარმოადგენს აგურის, ქვის ან რკინა-ბეტონის კაპიტალურ ნაგებობას, აშენებულს სპეციალური პროექტის მიხედვით. აბაზანასთან აუცილებლად უნდა იყოს სპეციალური ჭა გამოყენებული ხსნარისათვის, რომლის დაღვრა ნიადაგზე დაუშვებელია. აბაზანა და გამოყენებული ხსნარის მიმღები ჭა უნდა აშენდეს ფერმის მახლობლად, მაგრამ დასახლებული პუნქტისა და სასმელი ან სარწყავი წყლის სათავესაგან მოშორებით.

აკარიციდულ ხსნარებად იყენებენ ხსნარებსა და ემულსიებს. იქსოდიდეს ოჯახის ტკიპების საწინააღმდეგოდ მსხვილ-

ფეხა რქოსან პირუტყვის ასხურებენ ბენზოფონფატის 0,2%-იან წყლიან ემულსიას, ციოდრინის 0,5%-იან წყლიან ემულსიას, დურსბანის 0,15%-იან წყლიან ემულსიას შვიდ დღეში ერთხელ, რომელთა ხარჯვის ნორმა შეადგენს 1-3 ლიტრს ცხოველზე. პირუტყვი შეიძლება დაგამუშავოთ დერმატოზოლით (აეროზოლი ბალონებში) გაანგარიშებით 60-80 გრამი ცხოველზე.

ცხვრებს ყოველ 9-10 დღეში აბანებენ გასაცურ აბაზანებში, რომელშიც ჩასხმულია ბენზოფონფატის 0,2%-იანი წყლიანი ემულსია, ნეოცედოლის 0,05%-იანი წყლიანი ემულსია ან დურსბანის 0,1%-იანი წყლიანი ემულსია.

ყველა ემულსის ტემპერატურა 15-20°C უნდა იყოს. წლის ცივ პერიოდში, როდესაც მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სხეულზე *Hyaloma*-ს გვარის ტკიპები იმყოფებიან, მათ გასანადგურებლად იყენებენ სევინის დუსტებს. ცხოველის დამუშავება ხდება შენობის გარეთ, ხოლო პირი, რომელიც ამ ღონისძიებას ახორციელებს, უნდა იცნობდეს სათანადო ინსტრუქციას, უნდა იყოს გამოწყობილი სპეციალურ კომბინიზონში და აღჭურვილი ხელთათმანებით, სათვალეებითა და რესპირატორით. დუსტს ჯერ მოაფრქვევენ დატკიპიანებულ ადგილებზე, შემდეგ კი – შეაზელენ. თითოეულ ცხოველზე 300-400 გრამ დუსტს ხარჯავენ. იმისათვის, რომ ზედმეტი დუსტი ჩამოცვიდეს, ცხოველებს 1-2 საათის განმავლობაში ამყოფებენ დაბმულ მდგომარეობაში გარეთ, რის შემდეგ მათ უშვებენ შენობაში და აძლევენ საკვებს.

## არგასილური ტკიპები

*Argasidae*-ს ოჯახის ტკიპებს *Argasinae*-სა და *Ornithodorinae*-ს ქვეოჯახებად ყოფენ. არგასილები პარაზიტობენ ძუძუმწოვრებსა და ფრინველებზე. მათ ბრტყელი სხეული აქვთ, რომლის ვენტრალურ ზედაპირზე განთავსებულია ხორთუმი. *Argasinae*-ს ქვეოჯახის ტკიპებს გვერდებზე კარგად გამოხატული

რანტები აქვთ. მათი სხეულის წინა კიდე მომრგვალებულია. ამ ქვეოჯახიდან საყურადღებოა სახეობა – *Argas persicus* (სპარსული ტკიპი). *Ornithodorinae*-ს ქვეოჯახის ტკიპებს გვერდითი რანტები არ ეტყობათ. მათი სხეულის წინა კიდე კუთხოვანია. ამ ქვეოჯახიდან საყურადღებოა სახეობა *Alveonasus lahorensis* (ბინის ტკიპი).

*Argas persicus* არის ფრინველის ბორელიოზის, ტუბერკულოზისა, ტიფისა და პარატიფის გადამტანი. დიდი რაოდენობით დატკიპიანებისას ხდება ფრინველის გამჭლევება, ხოლო მოზარდეული შესაძლოა დაიღუპოს. იმაგოს ფაზაში ტკიპის სხეული კვერცხისებრი მოყვანილობისაა და მშენებ მდგომარეობაში რუხი ფერი აქვს. მისი ზომებია: სიგრძეში – 5-9 მმ, სიგანეში – 3-6 მმ. მას თვალები არ აქვს. ამ სახეობის ტკიპები ბინადრობენ მიწის ნაპრალებში, ხის ქერქებში, შენობის ჭრილებში.

სპარსული ტკიპის განვითარება წლის თბილ პერიოდს უკავშირდება, რადგან მის მიერ სისხლწოვა, კვერცხება, აგრეთვე ლარვების გამოჩეკვა, ყველა ფაზის მეტამორფოზი ხდება არა ნაკლებ 20°C ტემპერატურის პირობებში. ამ ტკიპის ნიმფები და იმაგო ფრინმები უფრთხიან სინათლეს. ამიტომ შენობებში ისინი ფრინველს თავს ესხმიან დამის განმავლობაში. საბუდარში თავდასხმა ხდება დღისითაც. ტკიპები მრავალჯერად იკვებებიან. ყოველი სისხლწოვის შემდეგ მდედრი დებს 130-მდე კვერცხს. ლარვის ემბრიონული განვითარება ორ კვირას გრძელდება. ლარვები ფრინველს თავს ესხმიან როგორც დღისით, ასევე – ღამით. მასპინძელს ისინი მიეწოვებიან ფრთხებქვეშ, კლოაკისა და კისრის მიდამოში, სადაც რჩებიან 3-10 დღის განმავლობაში. შემდეგ ისინი ტოვებენ ფრინველის სხეულს, გარდაიქნებიან პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე სტადიის ნიმფებად. ბოლო სტადიის ნიმფები გარდაიქმნებიან იმაგო ფორმებად. მეტამორფოზის ეს პროცესი 1-2 წელს გრძელდება. სპარსულ ტკიპს შეუძლია 2-3 წლის განმავლობაში იშიმშილოს.

სპარსული ტკიპის წინააღმდეგ საბრძოლველად საჭიროა

კომპლექსურ ღონისძიებათა განხორციელება. ამისთვის საფრინინველებს მთლიანად ათავისუფლებენ. შენობებში საჭიროა ნაპრალებისა და ზვრელების ამოქოლვა. საფრინველების დასამუშავებლად იყენებენ ქლოროფოსის 1,5%-იან, ნეოციდოლის, დიკრეზილის, კარბოფოსის ან ციოდრინის 1%-იან, ნატრიუმის ფენოლატის 4-5%-იან წყლიან ემულსიებს – გაანგარიშებით 100-200 მლ 1 მ<sup>2</sup> ფართობზე. შესხერება ხდება ჰიდროპულტების ან ისეთი დანადგარების მეშვეობით, როგორებიცაა: დუკ, ვდმ ან ლსდ. 3-5 დღის ინტერვალით შენობას კიდევ ორჯერ ამუშავებენ. ფრინველის სხეულიდან სპარსული ტკიპის ლარვების მოცილების ეფექტიანი საშუალებაა დატკიპიანებული შენობიდან ფრინველის გაყვანა 11-12 დღით. ფრინველს შენობაში აბრუნებენ მისი საგულდაგულო დეზაკარიზაციისა და რემონტის შემდეგ.

*Alveonasis lahorensis* ბინადრობს ცხვრის ფარების კედლების ნაპრალებში, ჭრილებში, კედელშუა სივრცეში, ქვებქვეშ, მღრღნელების სოროებში. მის მიერ ცხვრის მასობრივი დატკიპიანება იწვევს ცხოველის გამჭლევებას, ზოგ შემთხვევებში – დამბლას. ძღედრი დებს კვერცხს, საიდანაც 14-15 დღეში იჩეკება ლარვა, რომელიც მშიერ მდგომარეობაში 11 თვემდე ძლიერს. ლარვა ცხვარს თავს ესხმის სექტემბერიდან დეკემბრამდე ჩათვლით. პვების დამთავრების შემდეგ, შემოდგომაზამთრის პერიოდის ლარვები ცხოველის სხეულზე იცვლიან კანს და გარდაიქმნებიან პირველი სტადიის ნიმუშებად. კანის შემდგომი ცვლის დროს ისინი გარდაიქმნებიან მეორე და მესამე სტადიის ნიმუშებად. ეს პერიოდი 3-6 კვირას გრძელდება. მესამე სტადიის ნიმუშები ცილდებიან ცხვარს, კანს იცვლიან და რამდენიმე თვეში გარდაიქმნებიან იმაგო ფორმებად, რომელთაც შეუძლიათ იშიმშილონ 7-10 წლის განმავლობაში.

ფარების ტკიპის გასანადგურებლად იყენებენ დილორის 1%-იან სუსპენზიას, ანომეტრინ Н-ის 0,025%-იან ემულსიას, დიაზინონის (ნეოციდოლი) 0,05%-იან წყლიან ემულსიას, ჰექსაქლორეთან-კრეოლინის ემულსიას, რომელიც შეიცავს

ჰექსაქლორეთანის 0,03% გამა-იზომერს. ხსნარის ხარჯვის ნორმაა 200-400 მლ 1 მ<sup>2</sup> ფართობზე. შემოდგომით, ფარებში შერევამდე, ცხვარს განმეორებით ამუშავებენ.

ცხოველის სხეულზე ტკიპების მოსასპობად იყენებენ პროლონგირებული მოქმედების მქონე პრეპარატებს – სულფიდოფოს-20-ს და დიოქსოფოსს დოზით, შესაბამისად, 0,025 და 0,040 გ/კგ. 40 კგ წონის ცხვარს ზურგზე, ხერხემლის გასწვრივ დოზატორით უსვამენ სულფიდოფოსის 5 მლ-ს ან დიოქსოფოსის 10 მლ-ს. თუ ფარებში შერევამდე ცხვრები განაბანეს ჰექსაქლორეთან-კრეოლინიან აბაზანაში, მაშინ ამ პრეპარატებით დამუშავებას ახდენენ ორი თვის შემდეგ. თუ ცხვრები არ არიან გაბანებული, მაშინ ფარებში დაყენებამდე მათ ასხურებენ სულფიდოფოსს ან დიოქსოფოსს. განმეორებით დამუშავებას ატარებენ 30 დღის შემდეგ. დიოქსოფოსით ან სულფიდოფოსით დამუშავებული ცხვრის დაკვლა შესაძლებელია დამუშავებიდან შესაბამისად, სამი და ექვსი კვირის შემდეგ.

## გამასოიდური ტკიპები


გამასოიდური ტკიპები მიეკუთვნებიან Gamasoidea-ს ზეჯახს. მასში გაერთიანებულია მრავალი სახეობა, რომელთაგან სავეტერინარო მნიშვნელობა აქვს სახეობას – *Dermanyssus gallinae*-ს. იგი არის ექტოპარაზიტი, აგრეთვე ბორელიოზის, ორნიტოზის, ფრინველის ქლორერისა და ჭირის აღმძვრელების გადამტანი. მასობრივი დატკიპიანების შემთხვევაში ფრინველი ამცირებს კვერცხდებას, კარგავს მასას და შეიძლება დაიღუპოს კიდეც.

*D.gallinae* მცირე ზომის (მშიერ მდგომარეობაში სხეულის ზომა სიგრძეში 0,75 მმ-ია) ძლიერ მოძრავი ტკიპია. მშიერი დერმანისუსების სხეული ღია მოყვითალო ფერისაა, მაძლრების – წითელი, რომელიც მოგვიანებით ყავისფერს იძენს. სხეული რამდენიმე ფარისაგან შედგება, რომელთა შორის ჭიმვადი კუ-

ტიკულაა. ამის გამო სისხლწოვის შემდეგ იგი ზომებში ორჯერ იზრდება. კიდურები ძლიერ განვითარებულია, ისინი ბრჭყალებით და მისაწოვრებით ბოლოვდებიან. კიდურების პირველი წყვილი შეგრძნების ფუნქციას ითავსებს. პირის აპარატი მჩხვლეტავ-მწოველი ტიპისაა. სქესობრივი დიმორფიზმი კარგად არის გამოხატული. მდედრის სხეულის ზომები მამრისას აღემატება. ლარვა სისხლს არ წოვს. იგი დაფარულია გამჭვირვალე მოთეთრო გარსით.

დერმანისუსები ბინადრობენ საფრინველებში, სინანთროპული და გარეული ფრინველების ბუდეებში. ისინი თავს აფარებენ სხვადასხვა ჭრილებსა და ნაპრალებში, ნაგავში. ტკიპები ფრინველს თავს ესხმიან მთელი წლის განმავლობაში საფრინველებში, სადაც ტემპერატურა შეადგენს  $20-25^{\circ}\text{C}$ . ისინი სწრაფად მრავლდებიან ზაფხულში. ტკიპები აქტიურები არიან დამით. მათ შეუძლიათ იშიმშილონ 11 თვის განმავლობაში.  $5^{\circ}\text{C}$  დაბალ ტემპერატურაზე ისინი იღუპებიან.

დერმანისუსების წინააღმდეგ ბრძოლა განსაკუთრებით ეფექტურია დაცლილ საფრინველებში. შენობიდან გააქვთ ზისგან დამზადებული ყველა კონსტრუქცია, საფრინველებს გულდასმით ასუფთავებენ სკორესაგან და ამავდროულად ატარებენ შენობის დერატიზაციას. საფრინველებს ამუშავებენ ქლოროფილის 1-2%-იანი ზსნარით, კარბოფონის 0,5%-იანი ემულსიით, ტრიქლორმეტაფონს-3-ის 0,5-1%-იანი ემულსიით, ციოდრინის ან დიკრეზილის 0,25-0,5%-იანი ემულსიით.



სურ. 29. ქათმის ტკიპი *Dermatophagoides gallinae*

## აკარიფორმული ტკიპები

აკარიფორმული ტკიპები მიეკუთვნებიან Acariformes რაზმს. ისინი თავისუფლად მცხოვრები ან პარაზიტული ტკიპებია. მათი სხეული, რომლის ზომა 0,1-3 მმ, განივი ნაჟდევით გაყოფილია ორ ნაწილად: პროტეროსომად, რომელშიც პირის აპარატი და ორი წინა კიდურია, და გისტეროსომად, რომელშიც განთავსებულია ორი უკანა კიდური, სასქესო და ანალური ხვრელები. ტკიპებს სხეულზე არ აქვთ დორსალური და ვენტრალური ფარები, აგრეთვე სასუნთქი ხვრელები. ისინი მთელი ტანით სუნთქვავენ.

აღნიშნული რაზმი წარმოდგენილია სამი ქვერაზმით. ესენია: Sarcoptiformes, Trombidiformes და Oribatei.


Sarcoptiformes ქვერაზმში გაერთიანებულია ზეოჯახები Sarcoptoidea (სარკოპტოიდური ანუ ქავანა ტკიპები), Analgesoidea (ბუმბულის ტკიპები) და Tyroglyphoidea (ტიროგლიფოიდური ტკიპები).

## სარკოპტოიდური (ქავანა) ტკიპები

Sarcoptoidea-ს ზეოჯახის ტკიპები ცხოველთა სარკოფტოიდოზურ დავადებათა აღმბვრელებია და გაერთიანებული არიან Psoroptidae-სა და Sarcoptidae-ს ოჯახებში.

## ცხოველთა ფსორიფორული ტკიპები

ფსოროფტიდები უფრო დიდი ზომის არიან ვიდრე სარკოფტიდები. ისინი პარაზიტობენ კანის ეპიდერმულ ფენაზე. Psoroptidae-ს ოჯახი აერთიანებს სამ გვარს. ესენია: Psoroptes, Chorioptes და Otodectes.



სურ. 30. *Psoroptes* გვარის ტკიპი

ის ფსოროფტოზების აღმძვრელებია: *Psoroptes ovis* (ცხვარი), *P.bovis* (მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი) *P.equi* (ცხენი, სახედარი, ჯორი) და *P.cuniculi* (ბოცვერი). არასპეციფიკური მასპინძლის სხეულზე ისინი არ მრავლდებიან.



სურ. 31. ფსოროფტებით დაზიანებული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის კანი

*Psoroptes* გვარის ტკიპების (კანზედა ტკიპები) სხეული ოვალურია. მისი ზომა სიგრძეში 0,8 მმ-ია. ამიტომ შეუიარაღებელი თვალით მისი დანახვა შესაძლებელია. ტკიპს აქვს გრძელი მჩხვლეტავ-მწოველი ტიპის ხორთუმი. მდედრებს პირველ, მეორე და მეოთხე წყვილ კიდურებზე მისაწოვრები აქვს, ხოლო მესამეზე – ჯაგრები.

სასოროფტო-სამეურნეო ცხოველების ფსოროფტოზების აღმძვრელებია: *Psoroptes ovis* (ცხვარი), *P.bovis* (მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი) *P.equi* (ცხენი, სახედარი, ჯორი) და *P.cuniculi* (ბოცვერი). არასპეციფიკური მასპინძლის სხეულზე ისინი არ მრავლდებიან.

აღმძვრელის ბიოლოგია. ფსოროფტები მუდმივი პარაზიტებია. მათი განვითარების ფაზებია: კვერცხი, ლარვა, პროტონიმფა, ტელეონიმფა, იმაგო. ოპტიმალურ პირობებში მამრები 14-16 დღეში ვითარდებიან, მდედრები – 18-20 დღეში. ლარვას განვითარებისათვის საშუალოდ 3-6 დღე ესაჭიროება, პროტონიმფას – 3-4 დღე, ტელეონიმფას – 3-7 დღე, ხოლო ტელეონიმფას იმაგო ფორმად გარდაქმნას – 2-3 დღე. მამრი ინდივიდი კოპულირებს მდედრ ტელეონიმფასთან. ფსოროფტები მრავალრიცხოვან თაობებს იძლევიან, რაც დამოკიდებულია კანის ზედაპირის ტენიანობასა და თმის საფარის სისქეზე, აგრეთვე ტემპერატურაზე. მდედრები, რომელთა სიცოცხლის ხანგრძლივობა 60 დღემდეა, კვერცხებს დებენ კანის ზედაპირზე. კვერცხები კანს ემაგრებიან სპეციალური სეკრეტის მეშვეობით. ფსოროფტები მგრძნობიარენი არიან გარემოს ზემოქმედების მიმართ. მათზე დამღუპველად მოქმედებს დაბალი ტემპერატურა და მშრალი ჰაერი.

## ცხვრის ფსოროფტოზი

დაავადება მიმდინარეობს მწვავე და ქრონიკული ფორმებით. მისთვის დამახასიათებელია კანის ქავილი, მატყლის გაცვენა და ორგანიზმის დაბატუნება. ზოგჯერ დაავადება სიკვდილით მთავრდება.

ეპიზოოტოლოგიური მონაცემები. დაავადების ამთვისებელია ყველა ჯიშის ცხვარი, მაგრამ მისდამი განსაკუთრებით მგრძნობიარენი არიან ნაზმატყლიანები და ნახევრადნაზმატყლიანები. დაავადების გავრცელებაში დიდი მნიშვნელობა აქვს კანის ტენიანობის მომატებას, ჯანსაღი და დაინვაზიებული ცხოველების მჭიდროდ შენახვას, არასრულფასოვან კვებას, სხვადასხვა დაავადებას.

ფსოროფტოზი ზამთარში ვლინდება. დაავადება სწრაფად ვრცელდება და ერთი თვის შემდეგ დატკიპიანებულია მთელი

სულადობა. ზაფხულში, გაპარსვის შემდეგ, ფსოროფტოზული პროცესი მინელდება (ლატენტური მიმდინარეობა), მაგრამ შემდგომაზე მთელი ძალით განახლდება.

ბატკნების დაინვაზიება ხდება, როგორ წესი, ზაფხულობით, 1,5-2 თვის ასაკში, ნერბებთან ერთად ყოფნისას. დაავადება ქრონიკულად მიმდინარეობს, მაგრამ შემოდგომაზე, მატყლის წამოზრდისას იგი მწვავე მიმდინარეობაში გადადის.

პათოგენური. ფსოროფტები უპირატესად პარაზიტობენ ისეთ კანზე, რომლისთვისაც დამახასიათებელია ხშირი მატყლი და მაღალი ტენიანობა. ტკიპების გამრავლებისათვის ოპტიმალური პირობები იქმნება წლის ციკ პერიოდში. დაზიანების პირველი კერები ჩნდება გვერდებზე. ცხოველის სხეულზე ცოცვისას ფსოროფტები ჯაგრებითა და მისაწოვრებით აღიზიანებენ კანის რეცეპტორებს და იწვევენ ქავილს. ასეთ ადგილებს ცხვრები კბილებით იქავებენ. ამ დროს ზიანდება კანის ზედაპირი და ნერწყვის გამო მატულობს მისი ტენიანობა, რაც ხელს უწყობს ტკიპების გამრავლებას.

კბენის დროს ფსოროფტები ორგანიზმში ახდენენ ტოქსინებ-შემცველი ნერწყვის ინოკულირებას, რის გამო კანზე ანთებითი პროცესი ვითარდება. მის ზედაპირზე გროვდება ლიმფა. იგი სქელდება, ხმება და აქერცლილ, მკვდარ ეპიდერმისის უჯრედებთან ერთად წარმოქმნის მკვრივ ქერქებს, რომლებიც საუკეთესო არეა ჩირქმბადი მიკრობებისათვის. ტკიპების ცხოველმოქმედების პროდუქტები კიდევ უფრო ართულებენ პროცესს, რაც აისახება ორგანიზმის ზოგად მდგომარეობაზე. კერძოდ იშლება კანის, ცენტრალური ნერვული და რეტიკულო-ენდოთელური სისტემების ფუნქციები, ირლვევა ნივთიერებათა ცვლის პროცესი, იცვლება სისხლის შემადგენლობა.

დაავადების სიმპტომები. უფროსი ასაკის ცხვრებში დაავადების პირველადი ნიშნები (ქავილი, ანთებითი მოვლენები) ჩნდება დაინვაზიებიდან 10-14 დღის შემდეგ, ბატკნებში – 1,5-2 თვის შემდეგ. ფსოროფტოზისათვის დამახასიათებელია მწვავე, ქრონიკული და ლატენტური მიმდინარეობა.

მწვავე მიმდინარეობის დროს, პირველ რიგში, ყურადღებას იქცევს ქავილი. ცხვარი ასეთ ადგილებს იქავებს კბილებით, ფეხებით ან ეხახუნება სხვადასხვა საგანის. დაზიანების კერაში მატყლი ცვივა, კანი გასქელებულია. ახალი კერების წარმოქმნისას ქავილი ძლიერდება. იგი განსაკუთრებით ინტენსიურია ღამით, გადარევის ან წვიმის შემდეგ. 6-8 კვირაში დაზიანებულია მთელი სხეული თავისა და კიდურების გარდა. ცხოველი სწრაფად ხდება, მისი ლორწოვანი გარსები ანემიურია. არასრულფასოვანი კვების დროს დაავადება შეიძლება ლეტალურად დამთავრდეს.

ფსოროფტოზი ქრონიკული ფორმით მიმდინარეობს ბატკნებში ზაფხულში. მოკლე მატყლი, ჰაერის დაბალი ტენიანობა, მზის სხივები, კანის ინტენსიური ზრდა უარყოფით გავლენას ახდენენ ფსოროფტების განვითარებაზე. ამ დროს დაზიანების კერებში ქავილი სუსტად არის გამოხატული, მატყლი მოთელილია, კანზე ანთებითი პროცესია, მაგრამ იგი არ სქელდება. სექტემბერ-ოქტომბერში, როდესაც მატყლი წამოიზრდება და ჰაერის ტემპერატურა კლებულობს, პროცესი აქტიურდება, ხოლო დაავადება მწვავე მიმდინარეობას იძნება.

ლატენტურ მიმდინარეობას განაპირობებს ფსოროფტების განვითარებისათვის არახელშემწყობი პირობები: ცხვრის გაკრეჭვა, მზის სხივები. ასეთ დროს ტკიპები კანის ნაოჭებში არიან და მსუბუქ ქავილს იწვევენ.

დიაგნოზი. დაავადების მწვავე მიმდინარეობის დროს დიაგნოზის დადგენა ხდება დამახასიათებელი კლინიკური ნიშნების საფუძვლზე. საეჭვო და დაავადების ლატენტური მიმდინარეობის დროს აუცილებელია კანის დაზიანებული და ჯანსაღი ფართობების საზღვარზე, დაუნაოჭებელი ზედაპირის რამდენიმე ადგილიდან აღებული ანაფენების გამოკვლევა. შეიძლება მატყლის ძირების გამოკვლევა. შეგროვილ საკვლევ მასალას ათავსებენ პეტრის ფინჯანში, შეათბობენ  $25-30^{\circ}\text{C}$  ტემპერატურამდე და ლუპით ათვალიერებენ შავ ფონზე ან იკვლევენ მიკროსკოპით (მცირე გადიდების ობიექტივი). ფსოროფტებს

თეორი ფერის მოძრავი წერტილების შეხედულება აქვთ. შესაძლებელია კანიდან აღებული ქერქების გამოკვლევაც. ამისათვის ქერქს ათავსებენ პეტრის ფინჯანში, არბილებენ მწვავე ნატრიუმის 10%-იანი ხსნარით ან ნავთით, აფაშარავებენ და იკვლევენ ლუპით ან მიკროსკოპით. ამ დროს საკვლევ მასალაში ნახულობენ ფსოროფტებს და მათ კვერცხებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ქავილი შეიძლება გამოწვეულ იქნეს იქსოდიდური ტკიბების ან ტილების მიერაც, მაგრამ ამ დროს არ ხდება მატყლის გაცვენა.

ფსოროფტოზი უნდა განვასხვავოთ ქორიოპტოზისა და სარკოპტოზისაგან. ქორიოპტოზის დროს ზიანდება კილურები, რაც არ ხდება ფსოროფტოზის დროს. სარკოპტოზით ავადდება უხეშმატყლიანი ცხვარი და პროცესი თავდაპირველად თავზე ვთარდება.


მკურნალობა და პროფილაქტიკა. ფსოროფტოზზე არაკეთილ-საიმედოდ ფარა ითვლება ერთი დაინვაზიებული ცხვრის გამოვლენის შემთხვევაში. ასეთ ფარას გამოყოფენ და გამორიცხავენ ჯანსაღ ფარასთან მის კონტაქტს. ჰაერის ტემპერატურიდან გამომდინარე ცხვრების დამუშავება ხდება სველი ან მშრალი მეთოდებით.

სველი მეთოდის დროს იყენებენ 92% გამა-იზომერის შემცველ ჰემისაქლორანის ან 99-100% გამა-იზომერის შემცველ ლინდანის ემულსიებს. გაბანება ხდება ორჯერ, 10-12-დღიანი ინტერვალით. თუ განმეორებითი გაბანების შემდეგ ქავილი კვლავ გამოვლინდა, ისევ იკვლევენ დაზიანებული აღგილებიდან აღებულ ანაფენებს. დადგითი პასუხის შემთხვევაში იყენებენ სხვა პრეპარატებს: ნეოციდოლის (0,05%-იანი აქტიურად მოქმედი ნივთიერების მიხედვით – ამნ), ვეტიონოლის (0,25%-იანი ამნ-ს მიხედვით), ციოლდრინის (0,25%-იანი ამნ-ს მიხედვით) წყლიან ემულსიებს. მაღალეფექტიანია ივომეკის კანქვეშ ინიექცია დოზით 0,2 გ/კგ. ცხვარი ითვლება ჯანმრთელად თუ ფსოროფტოზი არ გამოუვლინდება მომდევნო წლის შემოდგომა-ზამთრის პერიოდის დადგომამდე.

ზამთარში, როდესაც შეუძლებელია სველი მეთოდის გამოყენება, ცხვრებს დუსტით ამუშავებენ (ღონისძიება ხორციელდება ისევე, როგორც ეს აღწერილია იქსოდიდური ტკიპებით ცხვრის დაინვაზიების მკურნალობის ნაწილში). მკურნალობის შედეგის მიუხედავად ასეთ ცხვრებს, გაკრეჭვის შემდეგ ორჯერ გააბანენ ჰემისაქლორანის ემულსიაში.

## ცხოველთა ქორიოპტოზები

ქორიოფტოზებს იწვევენ *Chorioptes*-ის გვარის ტკიბები – ტყავიჭამიები. ისინი ჰარაზიტობები მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის (*Chorioptes bovis*), ცხენის (*Ch.equi*), თხისა (*Ch. caprae*) და ცხვრის (*Ch.ovis*) სხეულზე.



სურ. 32. *Chorioptes* გვარის ტკიბები

ქორიოფტოზის სხეული ოვალური ფორმისა, ზომით, სიგრძეში – 0,3-0,5 მმ. ხორთუმს ბლაგვი კონუსის ფორმა აქვს. იგი აღჭურვილია ჰელიცერებით. მდედრებს პირველ, მეორე და მეოთხე წყვილ კოლურებზე მისაწოვრები აქვთ, მეოთხეზე – ჯაგრები. მამრებს ყველა კიდურზე მისაწოვრები აქვთ.

ქორიოფტოზის განვითარების ციკლი ისეთივეა, როგორიც ფსოროფტების შემთხვევაში.

ცხვრის ქორიოფტოზი ვლინდება იმ მეურნეობებში, სადაც არ ახორციელებენ ქავანების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ ღონისძიებებს. თავდაპირველად ტყავიჭამიები აზიანებენ კიდურებს. მათი ჰარაზიტობისათვის დამახასიათებელია ეპიდერმისის აქტიურა, ქავილი, ქერქების წარმოქმნა და კანის გასქელება.

დიაგნოზი დგინდება კლინიკური ნიშნებისა და კანის ზედა-

პირიდან აღებული ანაფხეკების გამოკვლევის საფუძველზე.

მკურნალობა და პროფილაქტიკა ისეთივეა, როგორიც ფსო-როფტოზის დროს.

## ცორცისმაჭამელთა ოტოდექტოზი

ოტოდექტოზის გამომწვევია ტყავიჭამია ტკიპი – *Otodectes cynotis*, რომელიც მიეკუთვნება *Otodectes*-ის გვარს. იგი პარაზიტობს ძალლის, კატის, ბეწვიანი ნადირის უერის ნიჟარის შიდა მხარის კანზე, გარეთა სასმენ ხვრელსა და დაფის აპკზე.



სურ. 33. *Otodectes* გვარის ტკიპი (მდედრი)

სამე წყვილი კიდური კარგად განვითარებული აქვთ, მეოთხე – რულიმენტულ მდგომარეობაშია. მათ პირველ და მეორე წყვილ კიდურზე მისაწოვრებია, მესამესა და მეოთხეზე – ჯაგრები. მამრების ყველა კიდური მისაწოვრით ბოლოვდება. ოტოდექტების კვერცხი ოვალური ფორმისაა.

აღმძვრელის ბიოლოგია. მდედრი კანის ზედაპირზე დებს რამდენიმე ათეულ კვერცხს. მათგან იჩეკებიან ლარვები, რომლებიც 2-3 კვირის განმავლობაში სამჯერ იცვლიან კანს და სქესმოწიფებულ ფორმებად ჩამოყალიბდებიან.

ეპოზოოტოლოგიური მონაცემები. ტყავიჭამია ტკიპები გავრცელებულია ყველგან. უფრო ხშირად დატკიპიანებულია ექვს თვემდე ასაკის ცხოველი. დაინვაზიება ხდება ავადმყოფ ცხოველთან კონტაქტის შედეგად, აგრეთვე მოვლის საგნებიდან. მონადირე ძალლი შეიძლება დაავადდეს ნადირობისას, ტყავიჭამია ტკიპებით დაინვაზიებულ მელიებთან ან სხვა მტაცებლებთან კონტაქტის დროს.

მასპინძლის სხეულისაგან მოშორებით, 3-7°C ტემპერატურისა და მაღალი ტენიანობის (80%-ს ზევით) პირობებში ოტოდექტები სიცოცხლის უნარს ერთი კვირის განმავლობაში ინარჩუნებენ. მათზე დამღუმელდება მოქმედებს მაღალი დადგითი, აგრეთვე უარყოფითი ტემპერატურა.

პათოგენები. ლოკალიზაციის ადგილებში ტყავიჭამიები მექანიკურად აზიანებენ კანს, მათი ცხოველმოქმედების პროცესები აღიზიანებენ ნერვულ დაბოლოებებს, რის შედეგად ვითარდება ლოკალური ანთებითი მოვლენები, რომლებიც რთულდება პათოგენური მიკროფლორის შეჭრის გამო. ეპიდერმისის ზედა ფენა იჭმუხნება. დაზიანებული ადგილიდან გამოედინება ქსოვილოვანი სითხე, რომელიც აქერცლილ ეპიდერმისთან ერთად ქმნის ქერქებს, რაც იწვევს სასმენი ხვრელის დაცობას. ანთებითი პროცესი ვრცელდება დაფის აპკზე, ხოლო მისი გახეთქვის შემდეგ – შუა და შიდა ყურზე, რის გამო ცხოველი იღუპება.

დაავადების სიმპტომები. დაავადების საწყის სტადიაში ყურის ნიჟარის მიღამოებში ჩნდება ქავილი. ცხოველი თავს იქნევს და ბრჭყალებით იქავებს ყურს. პროცესის გაღრმავებისას დაზიანებული ადგილიდან სდის ჩირქოვანი ექსუდატი, რომელიც ნიჟარის ქვედა ნაწილში თმის საფარველისა და მკვდარი ეპიდერმისის შეწებების შედეგად ქერქებს წარმოქმნის. თუ ანთებითმა პროცესმა მოიცვა შუა და შიდა ყური, ცხოველს თავი მიტრიალებული აქვს დაზიანებული ყურის მხარეს. ანთებითი პროცესის ტვინის გარსებზე გავრცელების შემთხვევაში ვითარდება კრუნჩხვები, კონველსიები და ცხოველი იღუპება.

დიაგნოზი. ოტოდექტოზზე დიაგნოზი დგინდება კლინიკური

ნიშნების მიხედვით და კანის დაზიანებული ადგილებიდან აღებული ანაფეცების მიკროსკოპიული გამოკვლევით, რომელშიც ნახულობენ ტყავიჭამია ტკიპებს ან მათ კვერცხებს.

მკურნალობა. ოტოლექტოზის დროს იყენებენ ფოს-1-ის და დიკრეზილის 5%-იანი ზეთიანი სუსპენზიის ნარევს, ქაფურის ზეთზე დამზადებულ 3%-იან ქლოროფორს, ჰექსაქლორონის 5%-იან ემულსიას, დამზადებულს სხვადასხვა მინერალურ, ცხოველურ თუ მცენარეულ ზეთებზე, გორდონის 5%-იან ზეთოვან სუსპენზიას, ფენოთაზინის 40%-იან ზეთოვან სუსპენზიას, ჰექსალინის ან ჰექსატალპის ზეთოვან ემულსიებს ჰექსაქლორონის 0,03% გამა იზომერის შემცველობით, ციოდრინის 0,5%-იან წყლიან ემულსიას.

დაავადებული ცხოველის ყურის ნიჟარის არესა და სასმენ ხვრელში უნემსო შპრიცის მეშეობით შეჰყვავთ 30-35°C ტემპერატურამდე შემთბარი ჩამოთვლილიდან რომელიმე სითხე 1-1,5 მლ-ის რაოდენობით, რის შემდეგ ყურზე ფრთხილად აკეთებენ მასაჟს. რამდენიმე დღის შემდეგ ქერქები ჩამოცვია. დაუშვებელია მათი აძრობა პინცეტით, რაღაც ამ დროს შეიძლება დაზიანდეს დაფის აპკი და პროცესი შუა და შიდა ყურზე გავრცელდეს. იმის გამო, რომ ჩამოთვლილი საშუალებები არ მოქმედებენ ტყავიჭამია ტკიპების კვერცხებზე, 5-7 დღის შემდეგ მკურნალობის კურსს იმეორებენ, რაღაც ამ პერიოდში კვერცხებიდან იჩეგია ტკიპების ახალი გენერაციები.

თუ პროცესი გავრცელდა შუა ყურზე, რისი ნიშანიც არის თავის მიბრუნება, რეკომენდებულია შუა ყურის გამორეცხვა რივანოლის ხსნარით (1:1000) ან სტრეპტოციდის 2-3%-იანი ხსნარით, რომლებიც წინასწარ შემთბარი უნდა იყოს 36-37°C ტემპერატურამდე. ეს ხსნარი შეჰყვავთ შუა ყურში რბილი რეზინის კათეტერიანი შპრიცის მეშვეობით ყოველდღიურად 5-6 დღის განმავლობაში, ხოლო შემდეგ – დღეგამოშვებით, გამოჯანმრთელებამდე.

პროფილაქტიკა. აუცილებელია გამოირიცხოს ჯანმრთელი ცხოველების კონტაქტი მაწანწალა და დაავადებულ ცხ-

ოველებთან. დაავადების ნიშნების გამოჩენისთანავე ავადმყოფ ცხოველებს იზოლირებულად ათავსებენ და მკურნალობენ. შენობას, სადაც იმყოფებოდა დაინვაზიებული ცხოველი, მოვლის საგნებს, ძაღლის საყელოებს, თასმებს უტარებენ დეზინვაზიას ქლოროფილის 2%-იანი წყალხსნარით, კრეოლინის ან ლიზოლის 3-5%-იანი ცხელი სუსპენზიით. ძაღლისა და კატის საწოლ ხალიჩებს ცხელი უთოთი აუთოგებენ.


## ცხოველთა სარკოფტოიდოზები

Sarcoptidae-ს ოჯახში, რომელიც ასევე Sarcoptoidea-ს ზეოჯახს მიეკუთვნება, შედიან Sarcoptes-ა და Notoedres-ის გვარები.

Sarcoptes გვარში გაერთიანებული სახეობები იწვევენ ცხენისა და სახედრის (Sarcoptes equi), მსხვილფეხა რქისანი პირუტყვის (S.bovis), ცხვრის (S.ovis), თხის (S.caprae), ღორის (S.suis), ძაღლისა (S.canis) და ბოცვრის (S.cuniculi) სარკოფტოზებს, ხოლო Notoedres-ის გვარის წარმომადგენელი – Notoedres cati იწვევს ძაღლის, კატის, მელიას ნოტოედროზს.

სარკოფტებისა და ნოტოედრების სხეული კუსებრი ფორმისაა. მათ ჭუჭყყიანი თეთრი, ადგილ-ადგილ და ყავისფერი შეფერილობა აქვთ. მდედრის ზომები სიგრძეში 0,2-0,5 მმ-ს შეადგენს, სიგანეში – 0,16-0,4 მმ-ს, მამრის, შესაბამისად, – 0,14-0,27 და 0,12-0,2 მმ-ს. თავი, მკერდი და მუცელი მათ გაერთიანებული აქვთ. სხეულის წინა ნაწილში ნალისებრი ხორთუმია. პირის აპარატი აღჭურვილია მაკრატლის შეგავსი ჰელიცერებით და მჭრელი ფირფიტებით. სხეულის ვენტრალურ მხარეზე გან-


140



სურ. 34. Sarcoptes გვარის ტკიპი

141

ლაგებულია მოკლე, მაგრამ სქელი ოთხი წყვილი ფეხი. მდედრებს კიდურების პირველ და მეორე წყვილზე, ხოლო მამრებს პირველ, მეორე და მეოთხე წყვილებზე აქვთ ზარისებრი მისაწოვრები, ხოლო მისაწოვრებისაგან თავისუფალ კიდურებზე – ქაცვები. ამ სახეობათა ტკიპების მთელი სხეული დაფარულია ჯაგრით. სარკოფტებსა და ნოტოედრებს შორის განმასხვავებელი მორფოლოგიური ნიშანი ის არის, რომ პირველ სახეობებს ანალური და საკოპულაციო ხვრელები სხეულის ბოლოში აქვთ განლაგებული, ხოლო მეორეს – ზურგზე. მათი კვერცხები ოვალური ფორმისაა ( $0,15 \times 0,1$  მმ) და დაფარულია გამჭვირვალე გარსით.



სურ. 35. *Sarcoptes* გვარის ტკიპის მდედრი და მის მიერ დადებული კვერცხი კანის რქოვან გარსში გაკეთებულ ხერელში

აღმძრელთა ბიოლოგია. სარკოფტები და ნოტოედრები პარაზიტობენ კანის ეპიდერმულ ფენაში. მდედრი ინდივიდები აქ ხვრელებს აკეთებენ და ყოველ მათგანში 2-8 კვერცხს დებენ. ერთი ინდივიდი სიცოცხლის განმავლობაში 40-60 კვერცხს დებს. კვერცხებიდან იჩეკებიან ლარვები, რომლებიც გარდაიქმნებიან პროტონიმფებად, ეს უკანასკნელი, თავის მხრივ – ტელეონიმფებად. დროთა განმავლობაში სუბეპიდერმული ფენა

ეპიდერმულად გარდაიქმნება და ტელეონიმფები კანის ზედაპირზე აღმოჩნდებიან, სადაც მამრი ინდივიდები ზრდასრულ ფორმებად ყალიბდებიან. ისინი კოპულირებენ მდედრ ტელეონიმფებთან, რის შემდეგ იღუპებიან. განაყოფიერებული ტელეონიმფები გადაინაცვლებენ კანის ჯანსაღ ფართობზე, ჩადიან კანის სისქეში, იცვლიან კანს, ამთავრებენ ზრდა-განვითარებას და იწყებენ კვერცხდებას. ამრიგად, კანზე ჩნდება დაზიანების ახალი კერა. ოპტიმალურ პირობებში სარკოფტებისა და ნოტოედრების განვითარების ციკლი 2-3 კვირას გრძელდება.

## სორცისმზამელთა სარკოფტოზი და ნოტოედროზი

სარკოფტოზი და ნოტოედროზი ქრონიკულად მიმდინარე დაავადებებია.

ეპიზოოტოლოგიური მონაცემები. სარკოფტები და ნოტოედრები გავრცელებულია ყველგან. ჯანმრთელი ძალლისა და კატის დაინვაზიება ხდება მათ კანზე ამ ტკიპების განაყოფიერებული მდედრი ტელეონიმფების მოხვედრით, რაც ავადმყოფ ცხოველთან თუნდაც ხანმოკლე კონტაქტის შედეგია. აღსანიშნავია, რომ ხელსაყრელ პირობებში სარკოფტები და ნოტოედრები ორი კვირის განმავლობაში ცოცხლობენ დეფინიტური მასპინძლის ორგანიზმის გარეშე, რაც შესაძლებელს ხდის ძალლის დაინვაზიებას საყელოების, სატარებელი თასმების, მოკლის სანების მეშვეობით.

აღსანიშნავია ისიც, რომ გარკვეული დროის განმავლობაში სარკოფტებსა და ნოტოედრებს შეუძლიათ ყოფნა სხვა სახეობის ცხოველის ან ადამიანის სხეულზე, სადაც იწვევენ კანის გაღიზიანებას და ქავილს, მაგრამ ამ პირობებში ისინი არ მრავლდებიან და იღუპებიან.

პათოგენური. სარკოფტები და ნოტოედრები, არღვევენ რა კანის ეპიდერმალური შრის მთლიანობას, მექანიკურად და საკუთარი

ცხოველმოქმედების პროდუქტებით აღიზიანებენ იქ არსებულ ნერვულ დაბოლოებებს, რაც დაზიანების ადგილებში იწვევს ძლიერ ქავილს და კერობრივ ანთებას. ამ ადგილებში შეჭრილი მიკროფლორა კიდევ უფრო აძლიერებს ანთებით პროცესს. სისხლში შეწოვილი ტკიპების ექსკრეტები ტოქსიკურ ზემოქმედებას ახდენენ ცენტრალურ ნერვულ, გულსისხლძარღვთა და რეტიკულო-ენდოთელურ სისტემებზე, რაც იწვევს მათი ფუნქციის მოშლას. დაინგაზიების მაღალი ინტენსიურობის შემთხვევაში პათოლოგიური პროცესები ძლიერდება და ხშირად დაავადება სიკვდილით მთავრდება.

დაავადების სიმპტომები. დაავადების დამახასიათებელი ნიშანია ქავილი. სარკოფტოზის შემთხვევაში პირველადი დაზიანებები ჩნდება თავზე, მკერდზე, კუდის ფუძეზე, მუცელის უთმო ფართობზე, ხოლო ნოტოფიროზის შემთხვევაში – თავზე (შუბლი, წარბზედა რკალები, ცხვირის ზურგი, ყურის ნიჟარის კიდეები და ფუძეები). შემდეგ ტკიპები განსახლდებიან სხეულის სხვა ნაწილებშიც და პროცესი გენერალიზებულ სახეს იძენს. დაზიანების ადგილებში პაპულები და ვეზიკულები ჩნდება, რომლებიც ქერქებით იფარებიან. ცხოველი იქავებს დაზიანებულ ადგილებს, ხშირად სისხლის გამოსვლამდე. ასეთ ადგილას კანი სქელდება, უხეშდება, ნაოჭდება. მასზე მრავალი ნაპრალია, საიდანაც სისხლი სდის. თმის საფარველი ბზინვარებას კარგავს და გროვებად ცვიგა. ცხოველი საკვებს აღარ იღებს, ხდება და დაუძლურების გამო იღუპება.

პათომორფოლოგიური ცვლილებები. ლეში ანემიური და კახექსიურია. კანის მთელი საფარველი დაფარულია ქერქებით, ხოლო ბალანგაცვენილ ადგილებში, რომლებიც გასქელებული და დანაოჭებულია, არის მრავლობითი ნაპრალები, ნაფხეკები, აქერცლილი ქერქები, ჩირქით მათ ქვეშ.

დიაგნოზი. სარკოფტოზსა და ნოტოფიროზზე დიაგნოზი დგინდება კლინიკური ნიშნებისა და მიკროსკოპიული გამოკვლევის შედეგების გათვალისწინებით. ამ მიზნით დაავადებული ცხოველის სხეულზე დაზიანებული და ჯანსაღი ფართის საზღვარზე,

სულ ცოტა 2-3 ადგილას სკალპელით აკეთებენ ანაფხებს (სისხლის გამოსვლამდე). მასალას ათავსებენ პეტრის ფინჯანში და 3-5 წუთის განმავლობაში ამუშავებენ მწვავე ნატრიუმის ან მწვავე კალიუმის 10%-იანი ზსნარით. შემდეგ მასალას ანაწევრებენ საპრეპარაციო ნემსით და მიღებულ სუსპენზიას იკვლევენ მიკროსკოპის მეშვეობით, მცირე გადიდების ობიექტივით.

პრეპარატი შეიძლება მომზადდეს მასალის წინასწარი დამუშავების გარეშეც. ამისათვის ანაფხებს ათავსებენ სასაგნე მინაზე, აწვეთებენ რამდენიმე წვეთ ნავთს, აფარებენ მეორე სასაგნე მინას, რომლითაც მასალას ფრთხილად ჭყლებული, და იკვლევენ მიკროსკოპის მეშვეობით. დიაგნოზი დასტურდება პრეპარატში ტკიპების ან მათი კვერცხების აღმოჩენის შემთხვევაში.

მკურნალობა. მკურნალობის დაწყებამდე აუცილებელია ქერქების დარბილება თბილი წყლით და საპნით, რის შემდეგ ქერქებს აცლიან შპადელის მეშვეობით. ქერქების ქვეშ ჩირქის არსებობის შემთხვევაში ცხოველს უნიშნავენ ანტიბიოტიკებს, ხოლო ორგანიზმის რეზისტენტობის ასამაღლებლად – C, E და B ჯგუფის ვიტამინებს.

დაავადების საწყის სტადიაში, როდესაც ქავანებით დაზიანებულია კანის მცირე ფართობი, იყენებენ (შეზელვის გზით) სხვადასხვა მალამოს (კუპრი – 5 წილი, ვაზელინი – 45 წილი ან კუპრი – 30 წილი, მწვანე საპონი – 30, დალექილი გოგირდი – 10, ვაზელინი – 100 წილი) ან ლინიმენტს (კრეოლინი – 25 წილი, მწვანე საპონი – 50, სპირტი – 500 წილი ან ჰექსაქლორანი – 3 წილი, ვაზელინის ზეთი – 97 წილი), ან მთელ სხეულს ფარავენ (შეზელვით) ჰიპოსულფიტის 50-60%-იანი ზსნარით, რომლის გაშრობის შემდეგ ასხურებენ მარილმჟავას 5%-იან ზსნარს. მაღამოებით და ლინიმენტებით მკურნალობას ატარებენ 2-3-ჯერ 5-7 დღის ინტერვალით, ხოლო ჰიპოსულფიტით დამუშავებას – ორჯერ 3 დღის ინტერვალით.

კანის დიდი ფართობის დაზიანებისას ეფექტიან ღონისძიებად ითვლება ცხოველის გაბანება აკარიციდულ სითხეებში. ასეთებია: ჰექსაქლორანის ემულსია 0,04-0,05% გამა-იზომერის შეცველობით, K საპნის 4%-იანი წყლიანი ემულსია, ქლორო-

ფოსის 2%-იანი წყალხსნარი, ჰომოგენიზირებული კრეოლინის 1%-იანი ემულსია, ბენზილბენზონატის 20%-იანი სუსპენზია.

ძაღლებს აბანებენ სპეციალურ აბაზანებში. სამკურნალო ხსნარის ან ემულსის ტემპერატურა უნდა იყოს  $32\text{--}35^{\circ}$ . პროცედურა ორ წუთს გრძელდება. ძაღლის სხეულს ჩაძირავენ სითხეში ისე, რომ თავი მის ზედაპირზე დარჩეს. კბენის ასაცილებლად ცხოველს პირს უკრავენ თასმით. თავს 2-3 წამით ორჯერ ჩაძირავენ სითხეში, ამასთან ნესტოები დაფარული უნდა იყოს სხელით. გაბანების დროს სხეულზე აკეთებენ მასაუს კუდიდან თავის მიმართულებით, ხოლო კიდურებზე – ქვევიდან ზევით. ამ პროცედურას ატარებენ ორჯერ 6-7 დღის ინტერვალით. წლის ნებისმიერ დროს გაბანება უნდა მოხდეს თბილ, მშრალ, დეზინფიცირებულ შენობაში და ძაღლი იქვე უნდა დარჩეს სრულ გაშრობამდე.

ზოგჯერ ქლოროფორის 2%-იან წყალხსნარში გაბანებისას ძაღლებს ეტყობათ ინტოქსიკაციის ნიშნები (კუნთების კანკალი, სუნთქვის გახშირება). ასეთ შემთხვევაში აუცილებელია კანქვეშ გოგირდმჟავა ატროპინის 1%-იანი წყალხსნარის შეყვანა (პატარა ძაღლებს 0,5 მლ, დიდებს – 1 მლ).

სარკოფტოზისა და ნოტოედროზის დროს მაღალეფექტიანი და ადვილად გამოსაყენებელი პრეპარატია ივერმეკტინი (ივომეკი), რომელიც შეჰყვავთ კანქვეშ ერთჯერად, დოზით  $0,2\text{--}0,3$  გ/კგ, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს პრეპარატი მოქმედებს ღვიძლზე.

პროფილაქტიკა. სარკოფტოზისა და ნოტოედროზის შემთხვევაში პროფილაქტიკის ღონისძიებები ისეთივეა, როგორიც ოტოდექტოზის დროს.


## ცხოველთა დემოდეკოზები

დემოდეკოზებს იწვევენ *Demodex*-ის გვარის ენდოპარაზიტული ტკიბები, რომლებიც მიეკუთვნებიან *Demodecidae*-ს ოჯახს, *Trombidiformes*-ის ქვერაზმს. დემოდექსები პარაზიტობენ თმის

ფოლიკულებსა და კანის ცხიმის ჯირკვლებში. შინაურ ცხოველებზე პარაზიტობენ მათი სპეციფიკური სახეობები: *Demodex bovis* (მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი), *D.ovis* (ცხვარი), *D.equi* (ცხენი), *D.phylloides* (ლორი), *D.canis* (ძაღლი).

დემოდექსების ყველა სახეობა მორფოლოგიურად თითქმის იდენტურია. ისინი მცირე ზომის ტკიბებია. მდედრების ზომა სიგრძეში  $0,3$  მმ-მდეა, მამრების –  $0,2$  მმ-მდე. მათ ჭიისებრი ფორმის სხეული აქვთ, რომელიც შედგება დაუყოფელი თავგრძელისა და მუცელისაგან. თავის მიდამოში კარგად განვითარებული ლირას მსგავსი ხორთუმია. პირის ღრუადჲურვილია პალპებით და ჰელიცერებით. სხეულის წინა ნაწილში, მის ვენტრალურ მხარეზე, განლაგებულია ბრჭყალებით აღჲურვილი მოკლე, მაგრამ მსხვილი ოთხი წყვილი კიდური. მთელი სხეული, რომელიც ღია ნაცრისფერია, განივი რგოლებით არის დახაზული. ძაღლისა და ცხვრის დემოდექსების კვერცხებს თითისტარისებრი ფორმა აქვთ, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისას – ოვალური.

აღმძვრელის ბიოლოგია. ტკიბები იჭრებიან თმის ფოლიკულებსა და ცხიმის ჯირკვლებში, სადაც იწყებენ კვერცხდებას. კვერცხებიდან იჩეკბიან ლარვები, რომლებიც კანს სამჯერ იცვლიან, რის შემდეგ სქესმომწიფებულ ფორმებად ჩამოყალიბდებან. მათი მეტამორფოზის პერიოდი 3-4 კვირა გრძელდება.



სურ. 36. *Demodex*-ის გვარის ტკიბი და მისი კვერცხი

## ქაღლის დემოდეპოზიტი

ეპიზოოტოლოგიური მონაცემები. დემოდეკოზი გავრცელებულია ყველგან. ძირითადად ავადმყოფობები დაბალი რეზისტენტობის მქონე, ექვსი თვიდან ორ წლამდე ასაკის ძალლები, თუმცა არის დაინგაზიების შემთხვევები უფრო ხნიერ ასაკშიც.

მასპინძლის ორგანიზმის გარეშე, ტენიან არეში,  $16-20^{\circ}$ -ზე დემოდექსები ინარჩუნებენ სიცოცხლის უნარს 2-3 კვირის განმავლობაში, დაბალი ტენიანობის დროს – სამ დღემდე. ძალლის დაინვაზიება ხდება ავადმყოფ ცხოველთან კონტაქტით ან მოვლის საგნების მეშვეობით.

პათოგენეზი. ლოკალიზაციის ადგილებში ტკიპები წარმოქმნიან მრავლობით კოლონიებს, რომელებიც შეიცავენ განვითარების სხვადასხვა სტადიაზე მყოფ რამდენიმე ათას დემოდექს. ისინი ტრავმას აყენებენ თმის ფოლიკულებს და ცხიმის ჯირკვლებს, იწვევენ მათ ატროფიას, კანის მთლიანობის დარღვევას და ფუნქციის მოშლას, ხოლო მათი ნივთიერებათა ცვლის პროდუქტები გამაღიზიანებლად მოქმედებენ ნერვულ დაბოლოებებზე. დაზიანებულ უბნებში ვითარდება ანთება, ჩნდება ნეკროზული კერები. პროცესი რთულდება ამ ადგილებში ჩირქმბადი მიკროფლორის შეჭრით, რასაც თან ახლავს ორგანიზმის ინტოქსიკაცია. გენერალიზებული ფორმის დროს დემოდექსები აზიანებენ პარენქიმულ ორგანოებსა და ლიმფურ კვანძებს.

დაავადების სიმპტომები. დაავადება ქრონიკულად მიმდინარეობს და ვლინდება აქერცვლითი (მსუბუქი) და პუსტულოზური (მძიმე) ფორმებით. პირველ შემთხვევაში დაზიანების კერები ჩნდება თავზე (წარბზედა რკალები, ტუჩები, ლოყები, ყურის ნიუარის ფუძის ადგილები), კისერზე, წინა კილურებზე, სადაც ბალანი ცვივა, კანი ნაოჭდება, იფარება ქერცლით და სკდება. ქავილი გამოხატული არ არის.

პუსტულოზური ფორმის დროს, რომელიც ვითარდება კანში მიკროფლორის შეჭრის გამო, გარდა ჩამოთვლილი ადგილებისა პროცესი ვრცელდება მკერდზე, მხრებზე, უკანა კიდურებზე. კანის დაზიანებულ ადგილებში წარმოიქმნება ჩირქოვანი კერები,

რომელთა ხერცელებიდან გამოდის მბაფრი სუნის მქონე შიგ-თავსი. გამონადენი მასა ხმება და წარმოქმნის ფუფხებს. კანი ნაოჭდება და წითელ ფერს იძენს. ცხოველს უგითარდება ანე-მია, კახექსია, სეფსისი და არცთუ იშვიათად იგი იღუპება.

პათომორფოლოგიური ცვლილებები. ძალლის ლეში გამხდარი და ანემიურია. კანი შეშუპებულია და დაფარულია ნაოჭებით, აბსცესებით და ნაპრალებით. დაზიანების ადგილებში ლიმფური კვანძები გადიდებულია.

დაგნოზი. დემოდეკოზის შემთხვევაში დიაგნოზი ისმება კომპლექსურად ეპიზოოტოლოგიური მონაცემების, კლინიკური ნიშნების გათვალისწინებით და ანაფეცების მიკროსკოპიული გამოკვლევით, რომელსაც იღებენ დაზიანებული კანის (ქერცლოვანი ფორმა) რამდენიმე ადგილიდან და პუსტულების (პუსტულოზური ფორმა) შიგთავსიდან.

ანაფეცებს ათავსებენ საათის მინაზე, ასეამენ მწვავე ნატრიუმის ან მწვავე კალიუმის 10%-იან წყალხსნარს და რამდენიმე წუთის განმავლობაში ადუღებები სპირტურის ალზე. გაცივების შემდეგ მიღებული სუსპენზისაგან ამზადებენ ნაცხებს და იკვლევენ მიკროსკოპით, მცირე გადიდების ობიექტივის გამოყენებით. დემოდეკოზის დროს ნაცხებში პოულობენ დემოდექსების სზრდასრულ ფორმებს, განვითარების სხვადასხვა სტადიაზე მყოფ მათ ლარვებს ან თითისტარისებრი ფორმის კვერცხებს.

მკურნალობა. დემოდეკოზით დაავადებულ ძალლს ათავსებენ დათბურებულ, მშრალ შენობაში და კანის ზედაპირზე ტკიპების განადგურების მიზნით აბანებენ K საპნის 5%-იანი თბილი ემულ-სიოთ ან ქლოროფორის 1%-იანი წყალხსნარით.

დაავადების მსუბუქი ფორმის დროს (1-3 კერა) დემოდექსებით დაზიანებულ ადგილებზე კრეჭჭენ თმის საფარს, კანს წმენდენ ბენზინში, ეთერში ან აცეტონში დასველებული ბამბის ტამბონით და უსვამენ იოდის 14%-იან ნაყენს. სამი დღის შემდეგ ამ ადგილებს ფარავენ ვიშნევსკის მალამოთი. ამ პროცედურას იმეორებენ 4-5-ჯერ 5-6 დღის ინტერვალით.

ანალოგიურად ამუშავებენ კანის ზედაპირს დაავადების საშუალო სიმძიმის დროსაც (3-5 კერა), მაგრამ პროცედურას იმეორებენ 5-6-ჯერ და ამასთან კანს ამუშავებენ ქლოროფორის

2%-იანი წყალხსნარით ან კორალის 1%-იანი ემულსიით, ან სევინის 1%-იანი სუსპენზიით. ერთდროულად, პერორალურად უნიშნავენ ქლოროფილს დოზით 25 მგ/კგ.

დაავადების მძიმე ფორმის დროს (დაზიანების გავრცობითი კერები სხეულის სხვადასხვა აღვილებში) მკურნალობას ატარებენ ზემოთ აღწერილი სქემით, იმავე საშუალებების გამოყენებით, მაგრამ მათი მეშვეობით ფარავენ მთელ სხეულს, რის შემდეგ დაზიანების კერებს შეაფრქვევენ აეროზოლ “აკროდექსს“ ან “დერმატოზოლს“, ან უსვამენ ვიშნევსკის მალამოს, რომელსაც დამატებული აქვს 2-3%-იანი სევინი ან დიკრეზილი.

დემოდეკოზის დროს ასევე იყენებენ ივერმეკტინს (ივომეკი), რომელიც შეჰქავთ კანქვეშ დოზით 0,2-0,3 გ/კგ 3-5-ჯერ (დაავადების სიმძიმის მიხედვით), ინექციებს შორის 7-10 დღი-ანი ინტერვალით. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ივერმეკტინი უარყოფით გავლენას ახდენს ღვიძლზე.

ჩირქმბადი მიკროფლორით პროცესის გართულების შემთხვევაში ძალებს უნიშნავენ ანტიბიოტიკებს. ორგანიზმის რეზისტენტობის ამაღლებისათვის აუცილებელია კვების რაციონის გამდიდრება მაღალკალორიული საკვებით.

პროფილაქტიკა. დემოდექსებით დაინვაზიების სიმპტომების გამოვლენისას ძალის ამოფფებენ იზოლირებულად და მკურნალობენ. ამ ინვაზიის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ღონისძიებები ისეთივეა, როგორიც ოტოდექტოზის, სარკოფტოზისა და ნოტოდროზის დროს.

## ფრინველის კემიდოკორფოზი

დაავადების აღმძვრელია ჭკიპი – *Knemidocoptes mutans*, რომელიც მიეკუთვნება *Analgesoidea*-ს ზეოჯახს. კნემიდოკორფტოზით ავადდებიან უფროსი ასაკის ქათმები, ინდაურები, ციცრები, მტრედები, გარეული ფრინველები. კნემიდოკორფტები პარაზი-

ტობენ კიდურების უბუმბლო ნაწილში რქოვანი ფენის ქვეშ.

მდედრი ჭკიპის სხეული თითქმის მრგვალია, ზომით სიგრძეში – 0,5 მმ-დე. მისი ზურგი ამობურცულია, მუცლის მხარე – ბრტყელი. ხორთუმს ნალისებრი ფორმა აქვს. კიდურები ძალიან მოკლე და კონუსისებრებია. ისინი ორმაგი ბრტყელებით ბოლოვდებიან. ზურგის მხრიდან კიდურების მესამე და მეოთხე წყვილი არ ჩანს. მამრი კნემიდოკორფტების სხეულს ოვალური ფორმა აქვს. მის უკანა კიდეზე ჯაგრებია.

აღმძვრელის ბიოლოგია. კნემიდოკორფტების მდედრები ცოცხალმშობები არიან. სიცოცხლის განმავლობაში ისინი შობენ 6-8 ლარვას, რომლებიდანაც ვითარდებიან პროტონიმფები, შემდეგ – ტელეონიმფები, ბთლოს – ომაგო ფორმები. ოპტიმალური პირობების დროს კნემიდოკორფტების განვითარების ციკლი 20-26 დღეს გრძელდება.

ეპიზოოტოლოგიური მონაცემები. დაავადების გავრცელებას ხელს უწყობს ფრინველის მჭიდროდ შენახვა. კნემიდოკორფტოზი გაზაფხულზე და ზაფხულში ვლინდება. კნემიდოკორფტები გარემოში 5-7 დღეს ცოცხლობენ.

დაავადების სიმპტომები დაინვაზიებიდან 4-6 თვის შემდეგ კლინიდება. აღმძვრელი პარაზიტობს კიდურების უბუმბლო ნაწილის ქერცლებშუა არეში, უპირატესად, ტერფის სახსრების მიდამოში, სადაც ანთება ვითარდება. ანთებისათვის დამახასიათებელია გამონალენი, რომელიც მიწასთან შერევისას კიდურებს რუს ფერს ძენს („კირიანი ფეხი“). ანთებითი პროდუქტების გამოყოფისა და ქავილის გამო ფრინველი იკენკავს კიდურებს, რაც იწვევს გართულებას თითქმის ნეკროზის სახით. დაავადების ხანგრძლივი მიმდინარეობისას დანეკროზებული თითები ძვრება.



სურ. 37. *Knemidocoptes*  
გვარის ჭკიპი

დიაგნოზი დგინდება კლინიკური ნიშნების მიხედვით და დაზიანებული ადგილებიდან აღებული ქერცლების გამოკვლევით.

ქურნალობა და პროფილაქტიკა. თუ ფრინველის გუნდში დაგადებულია საერთო რაოდენობის 10%-ზე მეტი, ასეთი ფრინველები უნდა დაიკლას. სხვა შემთხვევაში დაინვაზიებული ფრინველის კიდურებს ერთი წელით ამყოფებენ არყის ხის ფისში ან ნაფტალინიან ნავთში. 10 დღის შემდეგ ამ პროცედურას იმეორებენ. შენობაში, სადაც იმყოფებოდნენ დაინვაზიებული ფრინველები, ატარებენ დეზაკარიზაციას.

## სავატერინარო ენტომოლოგია

სავეტერინარო ენტომოლოგია (entomon – ბერძნულად მწერი, logos – სწავლება) შეისწავლის მწერებს, რომლებიც ზიანს აყენებენ ცხოველებს, და მათ საწინააღმდეგოდ განსახორციელებელ ღონისძიებებს. სავეტერინარო მნიშვნელობის მქონე მწერები განიხილებიან როგორც ექტოპარაზიტები, ინფექციურ და ინვაზიურ დაავადებათა გადამტანები და ზოგიერთი ჰელმინთის შუალედური მასპინძელი. მწერებით გამოწვეულ დაავადებებს ენტომოზები ეწოდებათ.

მწერების მორფოლოგია. მწერების სხეული შედგება თავის, მკერდის და მუცელისაგან. იგი სეგმენტირებულია და დაფარულია ქიტინზებული კუტიკულით.

მწერის თავი მოძრავად არის მკერდს მისახსრული. მასზე არჩევენ პირის აპარატს, თვალებს და ერთ წყვილ ულვაშს (ანტენები). ულვაშები მდებარეობენ თვალებს შორის, თავის წინა მხარეს. ისინი დანაწევრებული და მოძრავები არიან და ასრულებენ შეგრძნებისა და ყნოსვის ფუნქციებს. ულვაშების აგებულება განსხვავებულია, რაც გამოიყენება მწერების მორფოლოგიური დიფერენცირებისათვის. თვალები რთული აგებულებისაა. ისინი მრავალი მცირე თვალისაგან შედგებიან, რის

გამო მათ ფასეტურ თვალებს უწოდებენ. ასეთი თვალები აქვთ მწერების ზრდასრულ და ლარვულ ფორმებს. მათ გარდა მწერების ზოგიერთ სახეობას თხემზე 1-3 მარტივი თვალი აქვს.

მკერდი შედგება წინა, შუა და უკანა მკერდისაგან. ყოველ მათგანს ქვედა მხრიდან მისახსრული აქვს თითო წყვილი კიდური, ხოლო შუა და უკანა მკერდის სეგმენტებს – კიდური, ხოლო შემთხვევაში დაინვაზიებული ფრინველის კიდური, ბუმბულჭამია) ფრთები დაკარგა, ხოლო ორფრთიანებს რედუცირებული აქვთ ფრთების უკანა წყვილი.

მუცელი 12 სეგმენტისაგან შედგება, მაგრამ მათი ნაწილი სახეს იცვლის სასქესო აპარატის კომპონენტებად. ამიტომ ზოგიერთი მწერის მუცელის სეგმენტების რაოდენობა მერყეობს ხუთიდან თერთმეტამდე.

მწერების გამრავლება და განვითარება. განაყოფიერების შემდეგ კვერცხში ხდება ლარვის ფორმირება. ამ პერიოდს ემბრიონული ეწოდება. მწერების განვითარების დანარჩენი პერიოდი ზრდასრული ფორმის ჩათვლით პოსტემბრიონულად იწოდება.

მწერის ზრდა მიმდინარეობს მხოლოდ ლარვების ფაზაში. პოსტემბრიონული განვითარების დროს მეტამორფოზის ორ ტიპის განასხვავებენ: სრულს, როდესაც მწერი გაივლის ლარვის, ჭუპრისა და იმაგოს ფაზებს, და არასრულს, როდესაც განვითარება მიმდინარეობს ჭუპრის ფაზის გარეშე.

მწერების კლასიფიკაცია. ყველა მწერი მიეკუთვნება Arthropoda-ს ტიპს (ფეხსახსრიანები), Tracheata-ს ქვეტის (ტრაქეით მსუნთქავები), Insecta-ს ზეკლასს (მწერები), Insecta-Ectognatha-ს კლასს (ლიაფიანები ანუ ნამდვილი მწერები), Pterygota-ს განაკვეთს (ფრთიანი მწერები). ეს განაკვეთი მოიცავს სრულად გარდაქმნადი მწერებისა (Holometabola) და არასრულად გარდაქმნადი მწერების (Hemimetabola) განყოფილებებს. სრულად გარდაქმნადი მწერების განვითარების ციკლში ოთხი ფაზაა: კვერცხი, ლარვა, ჭუპრი და იმაგო. არასრულად გარდაქმნადი მწერების ციკლიდან ამოვარდინილია ჭუპრის ფაზა.

სრულად გარდაქმნადი მწერების განყოფილებას მიეკუთვნება

Diptera-ს რაზმი (ორფრთიანები ანუ ბუზები და კოლოები), რომელიც იყოფა გრძელულვაშა ორფრთიანების (Nematocera), მოკლეულვაშა პირდაპირნაკერიანი ორფრთიანებისა (Brachycera-Orthorrhapha) და მოკლეულვაშა მრგვალნაკერიანი ორფრთიანების (Brachycera-Cyclorrhapha) ქვერაზმებად.

გრძელულვაშა ორფრთიანების ქვერაზმები გაერთიანებულები არიან კოლოები (Culicidae), ქინქლები (Simuliidae), წიალები (Ceratopogonidae) და პეპლებისებრები (Psychodidae). მოკლეულვაშა პირდაპირნაკერიანი ორფრთიანების ქვერაზმები შედის ბუზანკალების ოჯახი (Tabanidae), ხოლო მოკლეულვაშა მრგვალნაკერიანი ორფრთიანების ქვერაზმები – კანქვეშა ბორები (Hypodermatidae), კუჭის ბორები (Gastrophilidae), ცხვირხანის ბორები (Oestridae), ჩვეულებრივი ბუზები (Muscidae), ლეშის ბუზები (Calliphoridae), ხორცის რუხი ბუზები (Sarcophagidae) და სისხლმწოველები (Hippoboscidae).

გარდა ამისა, სრულად გარდაქმნადი მწერების განყოფილებაში შედის რწყილების რაზმი (Siphonapthera). არასრულად გარდაქმნადი მწერების განყოფილებაში შედის ბუმბულჭამიების (Mallophaga), ტილების (Siphuncata ანუ Anoplura), ნახევრადუხეშფრთიანების ანუ ბაღლინჯოუების (Hemiptera) და ტარაკანისებრების (Blattodea) რაზმები.

## ბორები და მათ მიერ გამოჭვეული დაავადებები

სისტემატიკური კუთვნილების მიხედვით ბორები მიეკუთვნებიან ორფრთიანთა რაზმს (Diptera) და მოკლეულვაშიანთა (Brachycera) ქვერაზმს, რომელიც თავის მხრივ აერთიანებს სამ ოჯახს. ესენია: 1. Hypodermatidae (კანქვეშა ბორები), რომელშიც ცხრა გვარი შედის. მათგან სავეტერინარო მნიშვნელობა აქვთ Hypoderma-ს, Oedemagena-სა და Grivellia-ს

გვარებს; 2. Oestridae (ცხვირხანის ბორები), რომელიც შედგება ხუთი გვარისაგან. მათგან სავეტერინარო მნიშვნელობა აქვთ Oestrus-ის, Cephenomyia-ს, Rhinoestrus-ისა და Cephalopina-ს გვარებს; 3. Gastrophilidae, რომელშიც შედის ერთი გვარი – Gastrophilus.


## მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჰიპოდერმატოზი

ჰიპოდერმატოზი – მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ქრონიკულად მიმდინარე დაავადებაა, რომელსაც იწვევენ კანქვეშა ბორების (ზღმურდლები) ლარვები. დაავადების აღმძვრელია ორი სახეობა: Hypoderma bovis – დიდი კანქვეშა ბორა და Hypoderma lineatum – მცირე კანქვეშა ბორა. ამ სახეობათა ძირითადი მასპინძლია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, თუმცა მათ შეუძლიათ დააინვაზიონ ზებუ, ცხენი, ცხვარი, თხა.

ბორების მორფოლოგია. იმაგო ფორმები დიდრონი მწერებია. მათი სხეული შედგება თავის, მკერდისა და მუცლისაგან და დაფარულია ყვითელი, ნარინჯისფერი და შავი ფერის ხშირი




სურ. 38. Hypoderma bovis - იმაგო ფორმა და მისი კვერცხი ბეწვზე



სურ. 39. Hypoderma lineatum - იმაგო ფორმა და მისი კვერცხი ბეწვზე

ჯაგრით. დიდი კანქვეშა ბორას იმაგო ფორმის სხეულის სიგრძე 16 მმ-დეა. თავის ლატერალურ მხარეს ორი ამობურცული ფასეტური თვალია. მკერდზე მიმაგრებულია წყვილი ფართო ფრთა და წყვილი საბზუილე ფრთა. კიდურები კარგადაა განვითარებული. მათ ბოლოებზე კლანჭები და მისაწოვრებია. მუცელი შედგება ხუთი სეგმენტისაგან. მცირე კანქვეშა ბორა გარეგნულად ძლიერ წააგავს პირველ სახეობას, მაგრამ ზომით მასზე მცირეა (13 მმ). ჰიპოდერმების კვერცხებს მოყვითალო შეფერილობა და წაგრძელებული ფორმა (0,8 მმ) აქვთ.



სურ. 40. მესამე სტადიის ლარვები ვენტრალური მხრიდან მარცხნივ – *H. bovis*; მარჯვნივ – *H. lineatum*.


კვერცხებიდან გამოჩეკილი სტადიის ლარვების სხეულის სიგრძე 0,6 მმ-ია. მათი სხეული, რომელსაც თეთრი ან ღია მოყვითალო ფერი აქვს, შედგება სეგმენტებისაგან. იგი შეიარაღებულია მძლავრი ქაცვებით. ლარვებს უნარი შესწევთ გადაადგილდნენ მასპინძლის სისხლარღვებისა და ნერვული ღეროების გასწვრივ ქსოვილებში და შეაღწიონ ზურგის ტვინის არხში. ლარვების პირის ღრუ აღჭურვილია კაუჭებით. მეორე სტადიის ლარვების სახეობა კანქვეშა არეში, სადაც ამთავრებენ მიგრაციას, იცვლიან კანს და დაახლოებით ერთ კვირაში გარდაიქმნებიან მეორე სტადიის ლარვებად. მათ ირგვლივ ვითარდება კაფსულა ფისტულით, რომლის ხვრელი იხსნება კანის ზედაპირზე. მისი მეშვეობით ლარვა სუნთქვას ატმოსფერულ ჰაერს. 20-30 დღის შემდეგ იგი გარდაიქმნება მესამე სტადიის ლარვად, რომელიც ამოდის ხერელიდან და ვარდება მიწაზე, სადაც 1-2 დღეში ჩაჭუბრდება მის ზედაპირულ ფენებში. გაზაფხულზე ჭუპრიდან გამოდის ბორას ზრდასრული, დაფრთიანებული ფორმა.

ჰიპოდერმების მონაცემები. საძოვარზე პირუტყვის სიმჭიდროვე ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია, რომელიც გავლენას ახდენს ბორების რაოდენობასა და მათი ლარვებით ცხოველების დაინვაზიების ინტენსივობაზე. ჰიპოდერმატოზის ეპიზოოტოლოგიაში ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს კლიმატურ ფაქტორებსაც, რომლებზეც დამოკიდებულია ბორების ცალკეული ფაზების განვითარება და ამ მწერების სიცოცხლის ხანგრძლივობა. კანქვეშა ბორებით უპირატესად მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოზარდეულია დაინვაზიებული.

ჭუპრი და იმაგო. გაზაფხულის თბილი დღეების დადგომის შემდეგ, ნიადაგის ზედაპირულ ფენებში მყოფი ჭუპრებიდან გამოდიან იმაგო ფორმები. მდედრები თავს ესხმიან მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს მარტიდან სექტემბრამდე ჩათვლით. ბორები კვერცხებს დებენ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის კიდურების, მუცელის ქვედა ნაწილისა და ცურის მიდამოში ბალნის ძირებზე. კვერცხდების შემდეგ კანქვეშა ბორების იმაგო ფორმები აღარ იკვებებიან და იღუპებიან.

ჰიპოდერმატური ტემპერატურის (30-32°C) პირობებში ლარვების განვითარება 3-6 დღეში მთავრდება. გამოჩეკვის შემდეგ ისინი გადიან კანში და ვერტიკალური გზით მიგრირებენ კუნთოვანი ფასციებისა და ნერვული ღეროების გასწვრივ. *H. bovis*-ის ლარვები გააღწევენ ზურგის ტვინის არხში, სადაც იმყოფებიან 4-5 თვემდე. *H. lineatum*-ის ლარვები მიგრირებენ საყლაპავის ლორწოვან გარსში და იქ ჩერდებიან 5-6 თვეს. ამის შემდეგ, ორივე სახეობის ლარვები გადაინაცვლებენ ზურგის მიდამოს კანქვეშა არეში, სადაც ამთავრებენ მიგრაციას, იცვლიან კანს და დაახლოებით ერთ კვირაში გარდაიქმნებიან მეორე სტადიის ლარვებად. მათ ირგვლივ ვითარდება კაფსულა ფისტულით, რომლის ხვრელი იხსნება კანის ზედაპირზე. მისი მეშვეობით ლარვა სუნთქვას ატმოსფერულ ჰაერს. 20-30 დღის შემდეგ იგი გარდაიქმნება მესამე სტადიის ლარვად, რომელიც ამოდის ხერელიდან და ვარდება მიწაზე, სადაც 1-2 დღეში ჩაჭუბრდება მის ზედაპირულ ფენებში. გაზაფხულზე ჭუპრიდან გამოდის ბორას ზრდასრული, დაფრთიანებული ფორმა.

ეპიზოოტოლოგიური მონაცემები. საძოვარზე პირუტყვის სიმჭიდროვე ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია, რომელიც გავლენას ახდენს ბორების რაოდენობასა და მათი ლარვებით ცხოველების დაინვაზიების ინტენსივობაზე. ჰიპოდერმატოზის ეპიზოოტოლოგიაში ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს კლიმატურ ფაქტორებსაც, რომლებზეც დამოკიდებულია ბორების ცალკეული ფაზების განვითარება და ამ მწერების სიცოცხლის ხანგრძლივობა. კანქვეშა ბორებით უპირატესად მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოზარდეულია დაინვაზიებული.



სურ. 41. *Hypoderma bovis*-ის განვითარების სქემა

პათოგენეზი. კანქვეშა ბორების ლარვები მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ორგანიზმზე ახდენენ მექანიკურ და ტოქსიკურ ზემოქმედებას. კვერცხებიდან გამოჩეკილი ლარვების კანში შეჭრა მტკივნეული პროცესია, რა დროსაც ცხოველი მოუსვენრად არის. დაზიანებული ადგილიდან გამოედინება ექსუდატი, რომელიც ხმება და ჭრილობა ფუფქით იფარება. მიგრაციის დროს *H.lineatum*-ის ლარვები აზიანებენ საყლაპავის ქსოვილებს, იწვევენ ექსუდატის გამოდენას, რის გამო ვითარდება ანთება შეშუპებით. შემდეგ, დაზიანებულ უბნებში ხდება შემართებელი ქსოვილის ჩაზრდა. *H.bovis*-ის ლარვების დაგროვება ზურგის ტვინის არხში იწვევს მისი ფუნქციის მოშლას, ხშირად ვითარდება დამბლა.

ცხოველს განსაკუთრებით დიდ ზიანს აყენებენ მეორე და მესამე სტადიის ლარვები, რომლებიც კანქვეშ პარაზიტობენ. ლარვების ჩაბუდების ადგილზე კაფსულას წარმოქმნა დაკავშირებულია ანთებითი პროცესის ხანგრძლივ მიმდინარეობასთან, რომელიც ძლიერდება ლარვების ზრდის კვალობაზე. დიდი ინტენსივობით დაინვაზიების შემთხვევაში დაზიანებული კერები ერთდებიან და ცხოველის ზოგადი მდგომარეობა მკვეთრად უარესდება. ცხოველის ორგანიზმში ყოფნისას ლარვები იკვებებიან მასპინძლის ქსოვილების წვენებით. ისინი გამოყოფენ ნივთიერებებს, რომლებიც შლიან ქსოვილებს ლარვების მიგრაციის გზაზე. გარდა ამისა, ცხოველის ორგანიზმზე ძლიერ ტოქსიკურ ზეგავლენას ახდენენ ლარვების ცხოველმოქმედების პროდუქტები.

დაავადების სიმბტომები. პიპოდერმატოზის დროს პირველი კლინიკური ნიშნები ვლინდება ლარვების კანში შეჭრისას ქვილის სახით. დაზიანებული ადგილები შეშუპებული და მტკივნეულია. შემდეგ ეს ნიშნები ქრება, მაგრამ მოგვიანებით, როდესაც ლარვები გადაინაცვლებენ ზურგის მიღამოს კანქვეშა ქსოვილში, დაავადების კლინიკური გამოვლინება მკვეთრად გამოხატულია. ჯერ კანქვეშ ჩნდება მცირე ზომის შესქელება, რომელიც შეიგრძნობა პალპაციით. შემდეგ, იგი მცირე ზომის ბორცვად გადაიქცევა, რომლის ცენტრში ხვრელია. ბორცვზე

ხელის დაჭერისას ცხოველი მტკივნეულად რეაგირებს. ლარვების ზომაში მატებასთან ერთად მატულობს ბორცვების სიღიდე და ხვრელი, საიდანაც გამოედინება ჯერ სეროზული სითხე, შემდეგ – ჩირქოვანი ექსუდატი. მათ მიერ ხდება ბალნის შეწებება. ანთებით პროცესის განვითარების გამო კანი კარგავს ელასტიურობას, იგი მტკივნეულია. ზურგის მიდამოში ბალანი აბურძგნულია. ჩირქოვანი ექსუდატის დიდი რაოდენობით გამოყოფის გამო კანი დაფარულია მომწვანო-მოყვითალო ფერის ნადებით.

პათომორფოლოგიური ცვლილებები. ბორას ლარვებით დაინვაზიების სტადიაში ცხოველის ლეშის გაკვეთისას (ექსპერიმენტის დროს), კანქვეშა უჯრედისში ნახულობენ მცირე ზომის ბუშტებს, რომლებშიც ჩანს 1-5 მმ სიგრძის ლარვები. მათი მიგრაციის გზაზე შეიძჩნევა მუქი მწვანე ზოლები, რომლებიც ლარვების გამონაყოფია. საყლაპავის ლორწოვანი და სეროზული გარსები ჰქონია განვითარებული და შეშუპებულია. ზურგის ტვინის არხში სისხლჩაქცევებია.

მეორე და მესამე სტადიის ლარვების პარაზიტობისას ძირითადი ცვლილებები განვითარებულია ზურგის მიდამოს კანში, კანქვეშა უჯრედისში და კუნთებში. აქ კარგად ჩანს ხვრელიანი კაფსულები, რომელთაც გარს აკრავს ღია მოვარდისფრო ლაბისებრი მასა. მაღალი ინტენსივობით დაინვაზიების დროს ზურგის მთელ მიდამოში განვითარებულია ძლიერი სეროზული ან სეროზულ-ჰქონია ანთებითი პროცესი.

დიაგნოზი დგინდება ზურგის მიდამოს დათვალიერებით და პალპაციისას კანზე ბორცვების გამოვლენით, რაც ნიშნავს კანქვეშ ბორების მეორე სტადიის ლარვების არსებობას.

ბოლო პერიოდში ჰქონდება პიპოდერმატოზის სადიაგნოსტიკოდ შემოთავაზებულია ალერგიული მეთოდი. ალერგენის დასამზადებლად იყენებენ მეორე სტადიის ლარვებს. ეს მეთოდი შესაძლებლობას იძლევა დაავადება გამოვლინდეს მის საწყის სტადიაში ანუ იმპერიოდამდე, სანამ ლარვები გადაინაცვლებენ ზურგის მიდამოს კანქვეშა უჯრედისში.

მკურნალობა და პროფილაქტიკა. ჰქონდერმატოზის წინააღმდეგ ბრძოლის ძირითადი პრინციპია კანქვეშა ბორების პირველი სტადიის ლარვების განადგურება ცხოველის ორგანიზმში. ამისათვის იყენებენ ისეთ ინსექტიციდებს, როგორებიცა: ჰქონდერმინ-ქლოროფონი, დიოქსაფონი, ქლოროფონი, სულფიდოფონ-20. ასევე იყენებენ ივომეპს. ცხოველებს ამუშავებენ შემოდგომით, ორჯერად, 30 დღის ინტერვალით ბორების ფრენის დამთავრების შემდეგ, სექტემბერ-ოქტომბერ-ნოემბერში. დამუშავებას ეკვემდებარება მსხვილფეხა რქოსანი ჰირუტყვის მთელი სულადობა. ინსექტიციდებს ცხოველებს ასხურებენ დოზატორით მინდაოდან დაწყებული ხერხემლის ორივე მხარეს: ჰქონდერმინ-ქლოროფონის 200 კგ-მდე მასის ცხოველს – 16 მლ-ს, 200 კგ-ზე მეტი მასისას – 24 მლ-ს, დიოქსაფონის, შესაბამისად, 12 და 16 მლ-ს, სულფიდოფონ-20-ს, შესაბამისად, 5 და 10 მლ-ს. ივომეპი შეჰყავთ კისრის მიდამოში კანქვეშ, ერთჯერად, დოზით 200 მგ/კგ.


გაზაფხულზე, ჰქონდერმატოზით დაავადებული ცხოველების გამოსავლენად, მთელ სულადობას იკვლევენ ერთჯერად. მეორე და მესამე სტადიის ლარვებით დაინვაზიებული ცხოველების გამოვლენის შემთხვევაში მათ ამუშავებენ ზემოჩამოთვლილი ინსექტიციდებით, იგივე დოზებით და მეთოდით. დაუშვებელია ინსექტიციდებით დაუშუშავებული დაინვაზიებული ცხოველის საძოვარზე გაშვება საქროო ნახირთან ერთად.

## ცხრის სისტროზი

ცხვრის ესტროზის გამომწვევია ცხვრის ბორას – Oestrus ovis-ის ლარვები, რომლებიც პარაზიტობენ ცხვირის ღრუსა და თავის ქალას შუბლისა და რქების წიაღებში.

აღმმერელის მორფოლოგია. დაფრთიანებული ბორას სხეულის სიგრძე 10-12 მმ-ია. მას ყვითელ-მოყავისფრო ან ყვითელ-მორუხო შეფერილობა აქვს. სხეული დაფარულია იშვიათი

თმებით, რომლებიც წამოზრდილი არიან მუქი ფერის მცირე ზომის ბორცვებიდან. თავი მსხვილია და მას ნახევარსფეროს ფორმა აქვს. ფასეტურ თვალებს შორის მდებარეობს შუბლი, რომელზეც სამკუთხად განლაგებული სამი ბორცვია. ბორჯებს პირის ხვრელი არ აქვთ. მის ადგილზე გამჭვირვალე ფირფიტაა, რომლის ქვეშ ჩანან ყბებისა და ხოროუმის რუდიმენტები. მდედრები ცოცხალმშობები არიან. ახალგამოყოფილი ლარვების სხეული, რომელიც 12 სეგმენტისაგან შედგება, თითისტარისებრია, სიგრძეში – 1,27-1,35 მმ-მდე. მას მორუხო-თეთრი შეფერილობა აქვს. კანის ცვლის წინ პირველი სტადიის ლარვების სხეულის სიგრძე 4-5 მმ-ია. მეორე სტადიის ლარვას სხეული თეთრი ფერისაა. მისი სიგრძე 5-12 მმ-ია, სიგანე – 3 მმ. სხეულის პირველი და მერვე სეგმენტები შეიარაღებულია კონუსისებრი ფორმის ქაცვებით. მესამე სტადიის ლარვას სხეულის სიგრძე 10-30 მმ-ია, სიგანე – 30-10 მმ. მისი დორზალური მხარე ამობურცული და შიშველია, ხოლო ვენტრალური – ბრტყელი და შეიარაღებულია მძლავრი კაუჭებით.



სურ. 42. A – *Oestrus ovis* - მდედრი B - ლარვები: ♂ - მესამე სტადიის ლარვა დორზალური მხრიდან და ♀ - ვენტრალური მხრიდან.

სხეულის უკანა ბოლო წინასთან შედარებით გაგანიერებულია. ახალგაზრდა ლარვები თეთრი ფერისაა. მათი პირის ღრუყავისფერი კაუჭებითაა შეიარაღებული. ზრდასრულ ლარვებს ზურგზე მუქი ზოლები გასდევს. ჭუპრის სიგრძე 12 მმ-ია, სიგანე – 5 მმ. მისი ქვედა ბოლო ბლაგვია, ხოლო ზედა, რომელზეც სარქველი მდებარეობს, გადაჭრილია მახვილი კუთხით. ჭუპრს ჯერ მუქი რუხი, შემდეგ მურა შეფერილობა აქვს.

აღმბრულის ბიოლოგია. *Oestrus ovis* სითბოს მოყვარული მწერია. იგი ფრენს  $16-40^{\circ}\text{C}$  ტემპერატურაზე. განაყოფიერებიდან 12-16 დღის შემდეგ მდედრი სუნით ძებნის ცხვარს და ფრენის დროს მას ცხვირში შეაფრქვევს ლორწოვან გროვებს, რომლებშიც 10-დან 20-დე ლარვაა. ცხვირის ღრუში ლარვების 10 პროცენტამდე იძუდებს ცხვირის ხვრელების ლორწოვან გარსზე, ხოლო დანარჩენები იძუბება და ცხვირცემინების დროს გარეთ გამოიყრება. პირველი სტადიის ლარვები ჯერ ცხვირის ღრუში ვითარდებიან, ზომაში მატულობენ, გადაინაცვლებენ შუბლისა და რქების წიაღებში, სადაც კანს იცვლიან და მეორე და მესამე სტადიის ლარვებად გარდაიქნებიან. მომდევნო წლის გაზაფხულზე მესამე სტადიის ლარვები ძირითადად დილის საათებში გამოდიან გარემოში, ცვივიან ნიადაგზე, სადაც ჩაჭუპრდებიან 1-5 სმ-ის სიღრმეზე და 14-15 დღის შემდეგ გარდაიქნებიან იმაგო ფორმებად.

ლარვებით ცხვრის დაინვაზიება ხდება მასისდან სექტემბრის ჩათვლით. წლის განმავლობაში ცხვრის ბორები ორ გენერაციას იძლევიან. ამასთან, ზაფხულ-შემოდგომის გენერაციის განვითარება უფრო ხანმოკლეა (1-6 თვე), შემოდგომა-გაზაფხულის – უფრო ხანგრძლივი (8-10 თვე).

ეპიზოოლოგიური მონაცემები. ესტროზი ხასიათდება ცხვრების დაინვაზიების მაღალი მაჩვენებლებით, ხშირად – 100%-მდე. ასევე მაღალია დაინვაზიების ინტენსიურობის მაჩვენებლებიც. ხშირად ერთი ცხვარი დაინვაზიებულია რამდენიმე ათეული ლარვით, რაც მაქსიმუმს აღწევს აგვისტოს ბოლოს-სექტემბრის დასაწყისში. დაავადების გავრცელებას ხელს უწევთა მდებარებული და განვითარებული ცხვრების მარცვა და გადამდებრების მარცვა მომდევნო წლის გაზაფხულზე მესამე სტადიის ლარვების გარემონა და გადაინაცვლებენ გარდა მესამე სტადიის ლარვებად გარდაიქნებიან. მომდევნო წლის გაზაფხულზე მესამე სტადიის ლარვები ძირითადად დილის საათებში გამოდიან გარემოში, ცვივიან ნიადაგზე, სადაც ჩაჭუპრდებიან 1-5 სმ-ის სიღრმეზე და 14-15 დღის შემდეგ გარდაიქნებიან იმაგო ფორმებად.

ყობს ცხვრების მჭიდრო პირობებში შენახვა.

პათოგენეზი. ბორას ლარვები ორგანიზმზე ახდენენ მექანიკურ და ტოქსიკურ ზემოქმედებას. ცხვირის ღრუში მოხვედრილი ლარვები ქაცვებით აზიანებენ ლორწოვან გარსს და იწვევენ ანთებას. ლორწოვანი გარსი წყლულდება, იჯირჯვება, იწყება დიდი რაოდენობით ექსუდატის გამოყოფა. ანთება შეიძლება გართულდეს მიკროფლორით და ჩირქოვან-ნეკროზული პროცესი გავრცელდეს თავის ტვინის გარსებზე. ანთებითი პროცესი ართულებს სუნთქვის პროცესს. ლარვების ტრაქეაში მოხვედრისას ვითარდება ასპირაციული ქოშინი.

დაავადებების სიმპტომები. დაავადების მიმდინარეობაში სამ პერიოდს არჩევენ. პირველ პერიოდში, როდესაც ლარვები შეიჭრებიან ცხვირის ღრუში და ემაგრებიან მის ლორწოვან გარსს, ცხვარს მტკიცნეული რეაქცია აქვს. იგი თავს იქნევს, აცემინებს, ფრუტუნებს, ცხვირით ეხახუნება სხვადასხვა საგნებს. დაინვაზიებიდან მე-2-3 დღეს ნესტოებიდან გამოდის სეროზულ-ლორწოვანი გამონადენი, ზოგჯერ სისხლის ძაფებით. სუნთქვა გართულებულია, ხშირად ირლვევა საჭმლის მომნელებელი ტრაქტის ფუნქცია. ზამთარში კლინიკური ნიშნები ქრება და დაავადების მეორე პერიოდი ფარული ფორმით, უსიმპტომოდ მიმდინარეობს. გაზაფხულის დადგომისთანავე იწყება მესამე პერიოდი. ამ დროს ლარვები ინტენსიურად იზრდებიან, რაც დაავადების ხელახალ გამწვავებას იწვევს. ნესტოებიდან დიდი რაოდენობით გამოდის სეროზული ან სეროზულ-ჩირქოვანი გამონადენი, ცხვირცემინება გახშირებულია, რა დროსაც სეროზულ-ჩირქოვან გამონადენთან ერთად ხდება მესამე სტადიის ლარვების გამოყოფა ჩაჭუპრებისათვის. დაავადება განსაკუთრებით მძიმედ მოზარდეულში მიმდინარეობს. ბატკნები ჩამორჩებიან ზრდაში. ძლიერი რინიტის გამო ისინი პირით სუნთქვენ, რის გამო ძუძუს ველარ წოვენ და დროზე ადრე იწყებენ ბალახის ჭამას. აღნიშნულის გამო ირლვევა მათი საჭმლის მომნელებელი ტრაქტის ფუნქცია, რაც ხშირი სიკლილიანობის მიზეზი ხდება. თუ პროცესი გავრცელდა თავის ტვინის გარსზე, ვითარდება

მენინგიალური სინდრომი, რომელიც ცნობილია „ცრუ ცენუროზის“ სახელით. ცხოველების ზოგადი მდგომარეობა უარესდება. ისინი დუნდებიან, აღარ იღებენ საკვებს, სწრაფად ხდებიან და გვდებიან.

პათომორფოლოგიური ცვლილებები დამოკიდებულია დაინვაზიების ინტენსიურობაზე, დაავადების მიმდინარეობის ხასიათზე. დაავადების პირველ დღეებში ცხვირის ღრუს, ზოგჯერ ტრაქტისა და ბრონქების ლორწოვანი გარსები დაწყლულებული, ჰიპერემიული და შეშუბებულია, მათზე კატარული ანთებაა. ზამთარში ცვლილებები ნაკლებად გამოხატულია. ლარვების მეორე და მესამე სტადიებში გადასვლის დროს სინუსოვანი ძვლების ლორწოვან გარსებზე ანთებითი პროცესია, ლაბირინთები ავსებულია ლორწოთი ან ჩირქით. ანალოგიური ცვლილებებია შუბლის წიაღსა და რქების ირგვლივ სივრცეებში. იმ უბნებზე, სადაც ნახულობებ დაღუპულ მეორე და მესამე სტადიის ლარვებს, აღინიშნება ნეკროზული კერები.

დიაგნოზი დაინდება კლინიკური ნიშნებისა და დაღუპული ან დაკლული ცხოველის გავნეთის შედეგების საფუძველზე. საჭიროა დიფერენციალური დიაგნოზის გავლება ცხვრის ცენუროზთან, რომლის დროსაც პირუტყვი ასევე წრიულად მოძრაობს, მაგრამ თუ ესტროზის დროს ცხვარი წრიულად მოძრაობს როგორც მარჯვნივ, ისე მარცხნივ, ცენუროზის შემთხვევაში იგი მოძრაობს იმ მხარის საწინააღმდეგოდ, რომელ ნახევარსფეროშიც იმყოფება ცენურუსის ბუშტი. გარდა ამისა, ცენუროზის დროს, ატროფიურების გამო, თავის ქალას ძვლები გათხელებულია და მათი პალპაციისას ფლუქტუაცია შეიგრძნობა, რაც არ არის დამახასიათებელი ესტროზისათვის.

მკურნალობა და პროფილაქტიკა. ესტროზის დროს ახორციელებენ პროფილაქტიკის ზოგად ღონისძიებებს, შემოდგომაზე – ადრეულ ქიმიოთერაპიას, გაზაფხულზე – ავადმყოფი ცხოველების მკურნალობას. დაუშვებელია დაინვაზიებული ცხვრის გაშვება სამოვარზე. ესტროზით დაღუპული ცხვრის გაკვეთისას თავის ქალაში აღმოჩენილი ლარვები უნდა განადგურდნენ,

დაუშვებელია მათი ნიადაგზე მოხვედრა. გაზაფხულზე ცხვარი დიდი რაოდენობით გამოყოფს მესამე სტადიის ლარვებს. ამ დროს აუცილებელია ყოველ ორ კვირაში ერთხელ ფარებების დასუფთავება, ხოლო ნაკელის ნაკელსაცავში გატანა ბიოთ-ერმული გაუვნებლობისათვის. საძოვარზე მყოფ დაინვაზიებულ ცხვარს უტარებენ ადრეულ ქიმიოთერაპიას აეროზოლ „ესტროზოლით“ ან ასმევენ ქლოროფონსის 0,03%-იან ხსნარს ოთხჯერად ან ქლოროფონსის 0,1%-იან ხსნარს – ერთჯერად. ესტროზის აშკარად გამოხატული კლინიკური ნიშნების მქონე ცხვარს, დაინვაზიებულს მეორე და მესამე სტადიის ლარვებით, გაზაფხულზე ცვირში ასხურებენ ქლოროფონსის 4%-იან წყალს ხსნარს.


## კენტჩლიქიანთა გასტროფილოზი

გასტროფილოზის აღმძვრელებია *Gastrophilus*-ის გვარის მრავალი სახეობის ბორების ლარვები, რომლებიც პარაზიტობენ კენტჩლიქიანთა კუჭ-ნაწლავის ტრაქტში. მათგან აღსანიშნავია – *Gastrophilus intestinalis*, – კუჭის დიდი ბორა.

აღმძვრელის მორფოლოგია და ბიოლოგია. *G.intestinalis* – მოყვითალო-მორუქო ფერის მსხვილი ბორაა. მას დიდი თავი აქვს, რომელიც დაფარულია თმებით. თავზე ორი ფასეტური თვალია, ხოლო თხემზე – სამი მარტივი თვალი. ზურგის შუა ნაწილი მუქი ფერისაა, დაფარულია თმებით. ფრთები გამჭვირვალეა. მათზე მუქი ფერის ლაქებია. კიდურები მძლავრად არის განვითარებული. მუცელი დაფარულია თმით. კვერცხს სოლისებრი ფორმა და მოყვითალო შეფერილობა აქვს. მისი ზომა სიგრძეში 1,25 მმ-ია.

კვერცხიდან ახალგამოჩეკილი ლარვა თითოსტარისებრი ფორმისაა, სიგრძეში – 1,0-1,1 მმ-მდე. იგი თეთრი ფერისაა. თავის ბოლოზე მას ორი ბასრი და მოძრავი კაუჭი აქვს, რომელთა ქვეშ პირის ხვრელია. მეორე სტადიის ლარვას სხ-

ეულის სიგრძე 16 მმ-მდეა. თავის ბოლო წაწვეტებულია, კუჭის ბოლო – ბლაგვი. მესამე სტადიის ლარვების სხეული ოვალურ-ცილინდრული ფორმისაა. მისი ზომა სიგრძეში 20 მმ-მდეა. სხეულის სეგმენტები, მეორედან მეათეს ჩათვლით, დაფარულია ორრიგად განლაგებული კაუჭებით.



სურ. 43. კუჭის დიდი ბორა: 1. კვერცხი ბეწვზე; 2. კვერცხი ლარვის შერი-დან; 3. პირველი სტადიის ლარვა; 4. მესამე სტადიის ლარვა; 5. მდედრი; 6. მამრი

კუჭის დიდი ბორას იმავე ფორმა 10-20 დღეს ცოცხლობს. ცხენების დაინვაზიება მას-სექტემბრის პერიოდში ხდება. მდედრი კვერცხებს ფრენის დროს დებს იმ ადგილებში, სადაც ცხენებს შეუძლია კბილებით მიწვდეს (კიდურები, მხრები, გვერდები). ერთ მდედრს შეუძლია ერთი ცხენის სხეულზე 5 ათასამდე კვერცხი დადოს. კვერცხები თმის საფარველს სპუციალური მწებავთ ნივთიერებით ეწებებიან. მათში ლარვების განვითარება 7-16 დღეს გრძელდება, მაგრამ ლარვები მაშინვე არ გამოიჩეკებიან. ისინი 2-3 თვის განმავლობაში ინარჩუნებენ სიცოცხლის უნარს. ლარვას გამოჩეკას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს: ტენიანობა, სითბო ( $37-41^{\circ}\text{C}$ ), რაიმე საგანზე შეხება. თავდაპირველად ხდება ლარვების მცირე ნაწილის გამოჩეკვა. ისინი აღიზიანებენ კანს და იწვევენ ძლიერ ქავილს. ცხენი ასეთ ადგილს კბილებით იქავებს და შესაბამისად, ნერწყვით ასვე-

ლებს. ამ დროს დანარჩები კვერცხებიდან იჩეკებიან ლარვები, რომლებიც ხვდებიან პირის ღრუში და ემაგრებიან ენის ლორწოვან გარსს, სადაც 21-28 დღის განმავლობაში ვითარდებიან. შემდეგ ისინი კანს იცვლიან და გარდაიქმნებიან მეორე სტადიის ლარვებად. მეორე და მესამე სტადიის ლარვების განვითარება კუჭში მიმდინარეობს, სადაც ისინი თავისთ მძლავრი კუჭებით ემაგრებიან ლორწოვან გარსს. მომდევნო გაზაფხულზე მესამე სტადიის ლარვები გადაინაცვლებენ ნაწლავებში და ფეკალთან ერთად გამოიტანებიან გარემოში. ჩაჭუპრება ხდება ფეკალში ან მიწის ზედა ფენაში. ტემპერატურიდან გამომდინარე ჭუპრობის ფაზა 18-52 დღეს გრძელდება, რის შემდეგ ჭუპრიდან ზრდას-რული ბორა გამოდის.

პათოგენები. პირის ღრუში შეჭრილი ლარვები კუჭებით აზიანებენ ლორწოვან გარსს, იწვევენ მის ანთებას და ქსოვილების შემუპებას. თუ ისინი დაგროვილი არიან ენის ძირისა და ხახის მიდამოში, ირლვევა ყლაპვის აქტი. კუჭის კედელზე ისინი ქმნიან კრატერისებრ ჩაღრმავებებს. მუდმივი გაღიზიანების გამო ახლომდებარე ქსოვილები სქელდება და წარმოიქმნება მცირე ზომის წყლულები. შესაძლოა განვითარდეს სისხლდენაც. დაინგაზიების მაღალი ინტენსივობის შემთხვევაში ირლვევა კუჭისა და ნაწლავების სეკრეტორული და მოტორული ფუნქციები.

დაავადების სიმპტომები. დაინგაზიების მაღალი ინტენსივობის დროს ცხენები დაუძლებულებული და კახექსიურები არიან. მათი ბეწვი აბურძგნულია და ბზინვარებადაკარგული, ლორწოვანი გარსები ანემიური, მაგრა მკვეთრად დაქვეითებული, განვითარებულია ქრონიკული გასტროენტერიტი. კუჭიდან თორმეტოჯა ნაწლავში საკვების გადასვლის გართულების გამო ვითარდება ჭვლები. ხახისა და რბილი სასის მიდამოში ლარვების ლოკალიზაცია იწვევს ხველას, საკვების ღეჭვისა და ყლაპვის აქტის გართულებას, ცხენს უჭირს წყლის სმა, წყალი ნესტოებიდან იღვრება.

პათომორფოლოგიური ცვლილებები. კუჭში დიდი რაოდენობით ნახულობენ ლარვებს. მათი დაგროვების ადგილებში ლორ-

წოვან გარსზე კარგად ჩანს ჩაღრმავებები, ჰიპერემია და შეშუპება. ლორწოვანი გარსის ქვედა ფენა ჰიპერპლაზირებულია. ზოგიერთ ადგილას მსხვილი წყლულებია, რომელთა მიერ დაზიანებულია კუნთოვანი ფენაც კი.

დიაგნოზი. ზაფხულში პერიოდულად ათვალიერებენ ბეწვის საფარველს. მათზე კვერცხების აღმოჩნდნის შემთხვევაში ათვალიერებენ პირის ღრუს. ზამთარში და ადრე გაზაფხულზე გასტროფილუსებით დაინგვაზიებაზე საეჭვო ცხენებს აძლევენ ქლოროფორის წყალხსნარს (ქლოროფორი – 40-80 მგ/კგ), რაც იწვევს ლარვების მასობრივად დაღუპვას და ისინი გამოიყოფან ფეკალთან ერთად.


მკურნალობა. იყენებენ ქლოროფორის ზემოთ აღნიშნული დოზით. გარდა ამისა, ერთ კგ ფურაჟს ან თივას ასხურებენ ქლოროფორის 5%-იან ხსნარს და აძლევენ ცხენებს. რეკომენდებულია ქლოროფორის 0,1%-იანი წყალხსნარის ცხენისათვის სასმელად მიცემა. ცხენების დამუშავებას ახდენენ ივლის-აგვისტოში და ოქტომბერ-ნოემბერში.

## პალლის ნეტომოზები

ძაღლის ენტომოზურ დაავადებებს იწვევენ მწერები. კერძოდ, რწყილები (ძაღლის – *Ctenocephalus canis*, კატის – *Ctenocephalus felis*, ადამიანის – *Pulex irritans*), ბალანჭამიები (*Trichodectes canis* და *Heterodoxus longitarsus*) და ტილი (*Linognathus setosus*). ისინი ექტოპარაზიტებია. გარდა ამისა, მწერები არიან ინვაზიური და ინფექციური დაავადებების აღმძვრელთა მექანიკური და ბიოლოგიური გადამტანები. მაგალითად, რწყილები და ბალანჭამიები ლენტისებრი ჰელმინთის – *Dipylidium caninum*-ის შუალედური მასაინძლებია.

რწყილები უფრთო მწერებია. ზრდასრული ფორმების სხეული გვერდების მხარეს შეკუმშულია. იგი შედგება თავისაგან, მკერდისა და მუცლისაგან. თავზე განლაგებულია თვალები,

წყვილი მოკლე ულვაში და მჩხვლეტავ-მწოველი ტიპის პირის აპარატი. მკერდის ნაწილი იყოფა სამ სეგმენტად. ყოველი სეგმენტიდან გამოდის ქაცვებით დაფარული წყვილი დასახ-სრული კიდური. თავის და პირველი სეგმენტის ვენტრალურ მხარეს სავარცხლისებრად განლაგებული ქაცვებია. მუცელიც ასევე სეგმენტებისაგან შედგება. რწყილები მცირე ზომის მწ-ერებია. სხეულის სიგრძე 2-4 მმ-ია. მას ყავისფერი შეფერი-ლობა აქვთ.



სურ. 44. ბალანჭა-  
მია - *Trichodectes  
canis*

სურ. 45. რწყილის (*Ctenoceph-  
alus canis*) ხორთუმის მდებარე-  
ობა სისხლწოვის დროს



სურ. 46. ტილი -  
*Linognathus setosus*

განვითარების ციკლი. რწყილები დროებითი პარაზიტებია. მათი მდედრები დებენ კვერცხებს (ოვალური ფორმის, სიგრძით 0,5 მმ, თეთრი ფერის) თმის საფარველზე, ქვეშსაფენზე, იატაკის ჭრილებში. კვერცხები არ ემაგრებიან თმის საფარველს და მიწაზე ცვივიან. ხელსაყრელი პირობებისას კვერცხებიდან 8-14 დღეში ოჩეკებიან ლარვები, რომლებიც ჭუპრდებიან. ორი კვირის შემდეგ ჭუპრებიდან გამოდიან ზრდასრული ფორმები. სისხლმწოვი არიან როგორც მდედრი, ისე მამრი ფორმები. მასპინძლის ორგანიზმის გარეშე (შიმშილის მდგომარეობაში) მათ შეუძლიათ გაძლონ 18 თვემდე.

ბალანჭამიები მოყვითალო ფერის, უფრთო, მცირე მწერებია, ზომით 1-2 მმ-დე. მათი სხეული ბრტყელია და შედგება ასევე ბრტყელი, თითქმის ოთხუთხა ფორმის თავისაგან, სამსეგმენ-

ტიანი მკერდისა და ცხრასეგმენტიანი მუცლისაგან. ბალანჭა-მიების პირის აპარატი საღრღნელი ტიპისაა და აღჭურვილია ქიტინოვანი კბილებით. მკერდის ყოველ სეგმენტს შეესაბამება წყვილი დასახსრული კიდური, რომელიც მთავრდება ბრჭყალებით. მუცელი უფრო გრძელი და განიერია, ვიდრე სხეულის სხვა ნაწილები ერთად აღებული, და დაფარულია ქაცვებით. ბალანჭამიები კანის ქერცლით და ახალი თმით იკვებებიან.

ტილები მცირე ზომის (1,6-2,4 მმ) უფრთო მწერებია, რომელთაც ბრტყელი სხეული აქვთ. თავზე, რომელიც მკერდთან შედარებით ზომით ორჯერ ნაკლებია, არის წყვილი ხუთსახსრიანი ულვაში და მჩხვლეტავ-მწოველი ტიპის პირის აპარატი. მკერდის სამ სეგმენტს შეესაბამება სამი წყვილი დასახსრული კიდური, რომლებიც ბრჭყალებით მთავრდებიან. მუცელი ოვალური ფორმისაა, შედგება 8-9 სეგმენტისაგან და დაფარულია ქაცვებით. როგორც მდედრი და მამრი ტილები, ისე მათი ლარვები სისხლმწოვი პარაზიტებია.

განვითარების ციკლი. ბალანჭამიები და ტილები მუდმივი პარაზიტებია. მათი მდედრები დებენ მოყვითალო-მოთეთრო ფერის, მცირე ზომის, ოვალური ფორმის კვერცხებს, რომლებიც მათვების დამახასიათებელი მწებავი ნივთიერებით ეწებებიან თმის საფარველს. რამდენიმე დღის შემდეგ მათგან იჩეკებიან ლარვები, რომლებიც 2-3 კვირის განმავლობაში სამჯერ იცვლიან კანს და ჩამოყალიბდებიან ზრდასრულ ფორმებად.

ეპიზოოტოლოგიური მონაცემები. რწყილები, ბალანჭამიები და ტილები პარაზიტობენ ძაღლის სხეულზე წლის ნებისმიერ დროს. ჯანმრთელი ცხოველის დაინვაზიება ხდება ავადმყოფთან კონტაქტის შემთხვევაში, მათ შორის მტაცებელ ცხოველებზე ნადირობისას, აგრეთვე მოვლის საგნებისა და ინვენტარის მეშვეობით. უნდა აღინიშნოს, რომ მწერებით უფრო ხშირია ლეპვებისა და ახალვაზრდა ძაღლების დაინვაზიება.

პათოგენები. სისხლის წოვის დროს რწყილებსა და ტილებს ძაღლის ორგანიზმი შეჰყავთ ნერწყვი, რომელიც ტოქსიკური მოქმედებით ხასიათდება. ძაღლის სხეულზე ცოცვისას მწერები

ბრჭყალებითა და ქაცვებით, აგრეთვე კბენით მექანიკურად აზიანებენ კანის საფარველს, რის შედეგად ვითარდება დერმატიტი, რომელიც შეიძლება გართულდეს პათოგენური მიკროფლორით.

კლინიკური ნიშნები. ენტომოზების შემთხვევაში ძირითადი კლინიკური ნიშანია ქავილი, რომელიც ძლიერდება დაინგვაზიების ინტენსიურობის ზრდასთან ერთად. ცხოველები მოუსვენრად არიან, კბენენ, იქავებენ ან ილოკავენ დაზიანებულ ადგილებს, სადაც შემდეგ ჩნდება დაბეჭილობა, ნაკაწრები, ფლეგმონები, ცვივა თმის საფარი. რწყილებით დაინგვაზიებული ძაღლები ცდილობენ მათ დაჭერას და ამ დროს კბილებს აწკაპუნებენ. ძლიერი დაინგვაზიების შემთხვევაში ლეკვებს უგითარდებათ დერმატიტი, ანემია და არცთუ იშვიათად სიგამხდრისაგან ილუპებიან.

დიაგნოზი. ენტომოზური დაავადებების გამომწვევი მწერების აღმოჩენა ადვილად შესაძლებელია თმის საფარველის დათვალიერებისას.

მკურნალობა. ძაღლის კანზე მწერების გასანადგურებლად იყენებენ პირეტრუმის, 2%-იანი სევინის, 3-5%-იანი ქლოროფილის, 5-12%-იანი ჰექსაქლორანის დუსტებს (10-30 გრამს ცხოველზე). ძაღლების დამუშავება ხდება 10-15 წუთის განმავლობაში სპეციალური ტომრის გამოყენებით. ეს პრეპარატები დამღუპველად მოქმედებენ მწერების ლარვულ და ზრდასრულ ფორმებზე, მაგრამ არა მათ კვერცხებზე. ამიტომ ორი კვირის შემდეგ ახდენენ განმეორებით დამუშავებას.

რწყილების, ბალანჭამიებისა და ტილების წინააღმდეგ ასევე რეკომენდებულია ქლოროფილის 1%-იანი წყალხსნარი, ტრიქლორ მეტაფის 3-ის და კარბოფილის 0,5%-იანი წყლიანი ემულსი, სევინის 0,5%-იანი სუსპენზია, K საპნის 4%-იანი ემულსია, რომლებსაც ასხურებენ ცხოველს. ასევე იყენებენ ზოოშამპუნებს, აეროზოლებს “აკროდეტს“ ან “დერმატოზოლს“ ან კანქეშ შეჰქვთ ივერმეკტინი (ივომეკი) დოზით 0,2-0,3 გ/კგ ერთჯერად.

პროფილაქტიკა. ძაღლების მფლობელებმა არ უნდა დაუშვან თავიანთი ძაღლების კონტაქტი მაწანწალა, უბატრონო ძაღლებთან, რომლებიც ხშირად არიან დაინგვაზიებული მწერე-

ბით, ასევე წარმოადგენენ სხვა ინგვაზიური დაავადებების გავრცელების წყაროს.

აუცილებელია ძაღლის კანის საფარველის ყოველთვიური დათვალიერება. მწერების აღმოჩენის შემთხვევაში ცხოველი უნდა დამუშავდეს ზემოთ ჩამოთვლილი საშუალებებით. შენობის იატაკს, კედლებს, სადაც ამყოფებდნენ დაავადებულ ცხოველებს, მოვლის საგნებს, ინვენტარს უტარებენ დეზინგვაზიას ქლოროფონის 2%-იანი წყალხსნარით, კრეოლინის ან ლიზოლის 3-5%-იანი ცხელი ხსნარით ან გამოწვავენ სარჩილი ლამპის აღით. ქვეშსაფენს ხშირად ცვლიან და შემდეგ წვავენ, ხოლო ძაღლის ხალიჩებს პერიოდულად აუთოებენ ცხელი უთოთი.


## სისხლმწოვი ორფრთიანები

სისხლმწოვი ორფრთიანები – მფრინავი მწერებია. მათ მიეკუთვნებიან კოლოები, ქინქლები, წიალები და მოსკიტები, რომლებიც გაერთიანებული არიან გრძელულვაშა ორფრთიანების ქვერაზმში (*Nematocera*) და ბუზანკალები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოკლეულვაშა ორფრთიანების ქვერაზმს (*Brachycera*). ამ მწერების მრავალი სახეობა არის არა მარტო ექტოპარაზიტი, არამედ ცხოველებისა და ადამიანის დაავადებათა აღმძვრებების გადამტანიც. მათთვის დამახასიათებელია ჰეტეროტროპულობა: კვერცხი, ლარვა და ჭუპრი ბინადრობს წყალში ან ნესტიან სუბსტრატში, იმაგო – ჰაერში.

## პოლოვები

კოლოების სხეულის ზომები სიგრძეში 4-დან 10 მმ-მდე მერყეობს. მათ მცირე ზომის თავი აქვთ, რომელზეც გრძელი, მჩხვლეტავ-მწოველი ტიპის ხორთუმი და წყვილი გრძელი ულვაშია. კოლოებს თვალები არ აქვთ. მკერდი ამობურცული

და მუცელთან შედარებით განიერია. მუცელი 10 სეგმენტი-საგან შედგება. ფრთები გამჭვირვალეა, კიდურები – გრძელი, რომლებიც ბრჭყალებით ბოლოვდება. სხეული რუხი, შავი ან მოყვითალო-მოყავისფრო ფერისაა.



სურ. 47. კოლო – *Aedes caspius*


კოლოები არიან ენცეფალიტის, ინფექციური ანემის, ინფექციური პერიპენევმონიის, ჯილენის, ფილარიატოზის, მალარიის აღმმერელების გადამტანები. მათი კბენა ქავილსა და დაზიანებული კანის ანთებას იწვევს. პარაზიტობენ მხოლოდ მდედრები.

კოლოები კვერცხებს დებენ მდგარ წყალში ან ნესტიან სუბსტრატში. ხელშემწყობი პირობების (ტემპერატურა) არსებობის შემთხვევაში კვერცხებში 2-8 დღეში ვითარდებიან ლარვები, რომლებიც გამოიჩეკებიან. ისინი ოთხჯერ იცვლიან კანს და ჩაჭუპრდებიან. ეს ფაზა 2-4 დღეს გრძელდება, რის შემდეგ ჭუპრიდან გამოდის ზრდასრული ფორმა. ისინი აქტიურები არიან ღამით.

კოლოები არიან ენცეფალიტის, ინფექციური ანემის, ინფექციური პერიპენევმონიის, ჯილენის, ფილარი-

## ქინქლები

ქინქლები მცირე ზომის მწერებია, სიგრძეში 2-დან 6 მმ-მდე. მათ მოკლე, მჩხვლეტავ-მწოველი ტიპის ხორთუმი აქვთ. თავი მრგვალია. იგი განთავსებულია დახრილად, მკერდის ქვედა მხარეს. ქინქლებს თმებით დაფარული და ამობურცული მკერდი აქვთ, რომელზეც მიმაგრებულია სამი წყვილი კიდური და განიერი, დიდი ერთი წყვილი ფრთა. მუცელი სეგმენტებისაგან შედგება. მათი სხეული მოლურჯო-რუხი ფერისაა.



სურ. 48. ქინქლები, განვითარების სხვადასხვა სტადიაზე 1. კვერცხი. 2. ბოლო სტადიის ლარვა. 3. პარკიდან გამოსული ჭუპრი. 4. ზრდასრული ქინქლები A – მამრი B – მდედრი

ქინქლების კვერცხებს მომრგვალო-სამკუთხა ფორმა ( $0,2-0,4 \times 0,1-0,4$  მმ) და ყავისფერი ან შავი შეფერილობა აქვთ. ლარვების სხეული, რომელიც მუქი ყავისფერია, ჭიისებრი ფორმისაა. ჩაჭუპრების წინ მისი ზომა სიგრძეში ერთ მმ-დეა. ლარვას პირის აპარატი მფილტრავი ტიპისაა, რომლის დანიშნულებაა საკვების შეგროვება. ლარვას მკერდზე ორსახსრიანი ფეხია ბოლოში რგოლურად განლაგებული კაუჭებით. სხეულის ბოლოში მდლავრი მისაწოვარია, რომლითაც ლარვა სუბსტრატს


ემაგრება. ჭუპრი ზრდასრულ ფორმას ჰგავს. მკერდის მხრიდან წამოზრდილია სასუნთქი ორგანოები, რომელთაც მიღების ფორმა აქვთ.

ქინქლები კვერცხებს დებენ სწრაფი დინების მქონე ნაკადულებსა და მდინარეებში არსებულ წყალმცენარეებზე ან ფრენის დროს ყრიან მათ წყალში. კვერცხები შეჩერდებიან რაღაც სუბსტრატზე და სათანადო ტემპერატურულ პირობებში მათში 4-15 დღეში ვითარდებიან ლარვები, რომლებიც გამოიჩინებიან. აღსანიშნავია, რომ ქინქლების კვერცხებს შეუძლიათ გამოიზამთრონ წყალში და გაზაფხულის დადგომისთანავე განაახლონ ემბრიონული განვითარება. სათანადო ტემპერატურის პირობებში ( $20^{\circ}\text{C}$ ) ლარვები 15-20 დღეში ჩაჭუპრდებიან, ხოლო ჭუპრიდან 3-10 დღეში გამოდის ზრდასრული ფორმა. ქინქლები ძირითადად აქტიურები არიან ადრე დილით და საღამოს, მაგრამ მოღრუბლულ, გრილ ამინდში ისინი ცხოველებს თავს ესხმიან დღისითაც.

ქინქლების კბენა ძლიერ ქავილსა და დაზიანებულ ადგილას კანის ანთებას იწვევს. ისინი არიან ჯილდების, ტულარემის, ენცეფალიტის აღმძვრელების გადამტანები, აგრეთვე ცხენის ონქოცერკების (ნემატოდა) შუალედური მასპინძლები.

## წიალები

ისხლმწოვ ორფორთიან მწერებს შორის წიალები ყველაზე მცირე ზომისანი არიან. მათი სხეულის სიგრძე 1-2,5 მმ-ია. ზრდასრულ წიალებს დიდი, თირკმლისებრი ფორმის ფასეტური თვალები აქვთ. ხორთუმი მოკლე და მჩხვლეტავ-მწოველი ტიპისაა. მის გვერდით ერთი წყვილი ქვემოთ დაშვებული ულვაშია. მათ გრძელი ფრთები აქვთ, რომლებიც მოსვენებულ მდგომარეობაში ზურგზე ერთმანეთზეა დაფარებული. კიდურები გრძელი და ხუთსეგმენტიანია. ისინი ბრჭყალებით ბოლოვდებიან. კვერცხი წაგრძელებული ფორმისაა, ზომით – 0,12-0,4 მმ სიგრძის.



სურ. 49. Culicoides გვარის წიალების განვითარების სხვადასხვა ფაზები: 1. ლარვა; 2. ჭუპრი; 3. კვერცხი; 4. მდედრი

ლარვას ჭიისებრი ფორმა აქვს. მის ბოლო სეგმენტზე მძლავრი კაუჭებია.

წიალები კვერცხებს დებენ მცირე სიღრმის დამდგარ წყალში ან ნესტრიან სუბსტრატში. ხელშემწყობი პირობების დროს კვერცხის განვითარება 3-6 დღეს გრძელდება, ლარვის განვითარება – 2-3 კვირას, ხოლო ჭუპრისა – 3-7 დღეს.

წიალები აბეზარი სისხლმწოვი მწერები არიან. ისინი თავს ესხმიან ცხოველს არა მარტო საძოვარზე, არამედ შენობაშიც, გამუდმებით აწუხებენ მას, რაც პროდუქტოულობის შემცირებას იწვევს. წიალები არიან სხვადასხვა ინფექციური დაავადებების (ენცეფალიტი, ცხენის აფრიკული ჭირი, ცხვრის კატარული ციებ-ცხელება) აღმძვრელების გადამტანები, ცხენის ონქოცერკების შუალედური მასპინძლები.

## ბუზანკალები

ბუზანკალები სისხლმწოვ ორფრთიან მწერებს შორის გამოიჩინებიან სხეულის დიდი ზომებით (15-30 მმ), რომელიც შედგება მკვეთრად დაყოფილი თავის, მკერდისა და მუცლისა-გან. თავს ძლიერ განივი ფორმა აქვს. მასზე მსხვილი ფასეტური თვალებია. მამრის თვალები ერთმანეთს ეხებიან. მდედრისა კი გაყოფილი არიან შუბლით. ბუზანკალების ზოგიერთ სახეობას თხემზე სამი მარტივი თვალი აქვს. პირის აპარატი წარმოდგენილია მჩხვლეტავ-მჭრელი წვეტიანი ხორთუმით. მის გვერდებზე სამ სეგმენტიანი ერთი წყვილი ულვაშია. მკერდი მასური და განიერია. მასზე სამკუთხა ფარია, რომელიც თმებით არის დაფარული. ფრთები განიერია. მათ უკან საბზუილე ფრთებია, რომლებიც რუდიმენტულ მდგომარეობაში არიან. მუცელი განიერია, მაგრამ შეჭყლებილია დორსოვენტრალური მიმართულებით. კიდურები ბოლოვდება მისაწოვრებით.

აღსანიშნავია, რომ ბუზანკალების მამრები იკვებებიან მცენარეებისა და ხეების წვენებით, მდედრები – მცენარეების წვენებით, აგრეთვე თბილსისხლიანების სისხლით, რომელიც აუცილებელია მათ საკვერცხეში კვერცხების განვითარებისათვის.


მდედრი კვერცხებს დებს წყალმცენარეების ზედაპირზე ან წყლის სიახლოეს. ემბრიონული განვითარება 4-8 დღეს გრძელდება. გამოჩეკილი ლარვები ცვივიან წყალში ან ნესტიან მიწაზე და იცვლიან კანს. ამ დროს მათი სხეული წაგრძელებული ფორმისაა და 12 სეგმენტისაგან შედგება. შემოდგომამდე ისინი განვითარების 5-11 სტადიას გადიან. ზამთრის დადგომისათვის მათი სხეულის ზომა სიგრძეში, სახეობიდან გამომდინარე, 2-3-დან 4-5 სმ-ის ფარგლებში მერყეობს. გამოზამთრებისათვის ლარვები ეფლობიან მიწაში 5-10 სმ-ის სიღრმეზე. გაზაფხულზე ისინი გადაინაცვლებენ უფრო მშრალ ნიადაგში და ჩაჭუპრდებიან. ჭუპრობის ფაზა შვიდი დღიდან 2-3 კვირამდე გრძელდება.

ბუზანკალები თავს ესხმიან ცხენებს, მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს, ადამიანს წლის თბილ პერიოდში. მათი კბენის შემდეგ ცხოველი ძლიერ აღგზნებულია. ისინი არიან ჯილებისა და ტრიპანოსომოზის აღმძრელების გადამტანები.

## მოსკიტები

მოსკიტები მცირე ზომის (1,3-3,5 მმ) მწერებია, რომელთა სხეული დაფარულია ღია მოყვითალო ან მორუხო ფერის თმებით. მოსკიტებს პატარა თავი აქვთ, რომელზეც ფასეტური თვალებია. მკერდი ამობურცულია, ფრთები – განიერი და მახვილბოლონიანი. კიდურები წვრილია და გრძელი, ამასთან მათი უკანა წყვილი წინა წყვილზე დიდია. მუცელი 10 სეგმენტისაგან შედგება. კვერცხს წაგრძელებულ-ოვალური ფორმა აქვს. ლარვის სხეული ჭიისებრია, შედგება 13 სეგმენტისაგან და დაფარულია თმებით. იგი ოთხჯერ იცვლის კანს და ჭუპრდება.

მოსკიტების კვერცხები და ლარვები ვითარდებიან ხრწნადი ორგანული ნივთიერებებიდან მიღებულ ტენიან სუბსტრატში.



სურ. 50. *Phlebotomus*-ის გვარის მოსკიტი

მოსკიტები ბინადრობენ მღრღნელების სოროებში, ხეების ფულუროებში, გამოქვაბულებში, კლდეების ნაპალებში, სახლების სარდაფებში, ნაგვის გროვებში, ცხოველთა სადგომებში.  $26^{\circ}\text{C}$  ტემპერატურაზე კვერცხები შვიდ დღეში ვითარდებიან, ლარვები – 28-35 დღეში, ჭუპრები – 10-12 დღეში. იზამთრებენ მოსკიტების მეოთხე სტადიის ლარვები. დაფრთიანებული ინდივიდები ჩნდებიან აპრილ-მაისში, ხოლო ქრებიან – ოქტომბერში. წლის განმავლობაში ისინი 2-3 გენერაციას იძლევიან.

მოსკიტები სისხლმწოვი მწერებია. საყურადღებოა, რომ სისხლი აუცილებელია მათი კვერცხების განვითარებისათვის. ერთ მიღებაზე ისინი შეიწოვენ 0,4-0,5 მგ სისხლს, რაც საკმარისია 50-70 კვერცხის დასადებად. მოსკიტები აქტიურები არიან საღამოს სათებში – მზის ჩასვლის წინ და მის შემდეგ. მოსკიტების ნერწყვი ტოქსინებშემცველია, რომელიც კბენის ადგილზე იწვევს ძლიერ ქავილს, შესაბამისი

შედეგებით (დერმატიტი, პაპულები). მოსკიტები (*Phlebotomus papatasi*, *Phl.caucasica*) არიან ლეიშმანიოზის აღმმვრელების შუალედური მასპინძლები და გადამტანები.

აღნიშნული მწერების წინააღმდეგ საბრძოლველად ვეტექიმ-პარაზიტოლოგებმა რეგულარულად უნდა ჩაატარონ ენტომოლოგიური დაკვირვებები და გამოკვლევები, რაც გულისხმობს: а) ყველა წყალსატევისა (მ.შ. დროებითის) და დაჭაობებული ფართობის პასპორტიზაციას და მათ აღნიშვნას რაიონის რუქაზე; б) მწერების გამოჩეკვისა და ცხოველებზე მასობრივად თავდასხმის ადგილების დადგენას; გ) ცხოველებზე ფრთიანი მწერების თავდასხმის ინტენსიურობის აღრიცხვას; დ) მწერების სახეობრივი შემადგენლობის შესწავლას. აუცილებელია განხორციელდეს მწერების გამოჩეკვის ადგილის შეზღუდვის, კოლოებისა და ქინქლების პრეიმაგინალური ფორმების, აგრეთვე დაფრთიანებული მწერების წინააღმდეგ ბრძოლისა და საძოვარზე ცხოველების მწერებისაგან დაცვის ღონისძიებები.

მწერების გამოჩეკვის ადგილის შეზღუდვა გულისხმობს სამელიორაციო სამუშაოთა გაშლას და კულტურული სათიბ-საძოვრების შექმნას. კოლოებისა და ქინქლების პრეიმაგინალური ფორმების გასანადგურებლად გაზაფხულსა და ზაფხულში წყალსატევებს ამუშავებენ ინსექტიციდური საშუალებებით (დიფოსის 0,005-0,02%-იანი წყლიანი ემულსია გაანგარიშებით 20-50 გრამი მოქმედი ნივთიერება ერთ ჰექტარ ფართობზე). წყალსატევების დამუშავებას იწყებენ მათში მწერების ლარვების მასობრივად გაჩენის პერიოდიდან. ამავე მიზნით დიდი მნიშვნელობა აქვს არხების გაწმენდას წყალმცენარეებისაგან. პირუტყვის სადგომები უნდა გაშენდეს მშრალ ადგილებში, წყალსატევებისა და დაჭაობებული ფართობებისაგან მოშორებით. მწერების ფრენის პერიოდში მეცხოველეობის ფერმების ირგვლივ ტერიტორიები უნდა დამუშავდეს დიფოსის 1%-იანი

წყლიანი ემულსით, რა დროსაც ხარჯვის ნორმაა 20 მლ/გ<sup>2</sup> (200 ლ/ჰა). ხსნარის შესხურება ხდება ჰიდროპულტით ან სავეტერინარო პრაქტიკაში გამოყენებული სადეზინფექციო დანადგარებით. უშუალოდ ცხოველების დასამუშავებლად იყენებენ სხვადასხვა ინსექტიციდურ აეროზოლებს. მოსკიტების გავრცელების აღკვეთის მიზნით განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს თაგვისებრი მღრღნელების საწინააღმდეგო ღონისძიებებათა რეგულარულად განხორციელებას.

## სარჩევი

<b>სავალინარო აროტოზოლოგია</b>	3
პარაზიტულ უმარტივესთა მორფოლოგია და ბიოლოგია	3
პათოგენური უმარტივესების სისტემატიკა	6
პროტოზოულ დაგვადებათა პათოგენეზი	6
იმუნიტეტი პროტოზოული დაგვადებების დროს	8
პროტოზოულ დაგვადებათა ეპიზოოტოლოგია	9
პროტოზოულ დაგვადებათა სპეციფიკური და არასპეციფიკური თერაპიის საფუძვლები	11
<b>კერძო აროტოზოლოგია</b>	15
<b>სპორიანებით გამოჭვეული დაავალებები</b>	15
ცხოველთა პიროპლაზმიდოზები	16
ცხოველთა ბაბეზიდოზები	21
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის პიროპლაზმოზი	24
ცხვრისა და თხის პიროპლაზმოზი	30
კენტჩლიქიანთა პიროპლაზმოზი	33
ძაღლის პიროპლაზმოზი	37
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ფრანსიელოზი	39
ცხვრისა და თხის ბაბეზიოზი	40
ცხოველთა თეილერიდოზები	42
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის თეილერიოზი	44
ცხენის ნუტალიოზი	50
ცხოველთა კოქციდიდოზები	51
ცხოველთა ეიმერიოზები	53
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ეიმერიოზი	56
ცხვრის ეიმერიოზი	60
ბოცვრის ეიმერიოზი	64
ფრინველის ეიმერიოზი	66

ზორცისმჭამელთა ცისტოიზოსპოროზი	69
ტოქსოპლაზმოზი	72
ცხოველთა სარკოცისტოზები	78
შოლტიანებით გამოჭვეული დაავალებები	83
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ტრიქომონოზი	83
ცხენის დაგრილების დავადება	89
ძაღლის ლეიშმანიოზი	93
ფრინველის ჰისტომონოზი	98
ფამჯამიანებით გამოჭვეული დაავალებები	102
ღორის ბალანტიდოზი	102
დაუზუსტებელი სისტემატიკური მდგრადმობის	
აღმდეგარებით გამოჭვეული დაავალებები	106
ანაპლაზმოზი	106
ფრინველის ბორელიოზი (სპიროქეტოზი)	109
<b>სავალინარო არაქციოლოგია</b>	111
პარაზიტიულმაზე ტკიპები	111
იქსოდოიდური ტკიპები	112
იქსოდოიდური ტკიპები	112
არგასიდური ტკიპები	126
გამასოდური ტკიპები	129
აპარაზიტორმაზე ტკიპები	131
სარკოფლოიდური (ქაგანა) ტკიპები	131
ცხოველთა ფსიორკოფლოზები	131
ცხვრის ფსიოროფლოზი	133
ცხოველთა ქორიფლოზები	137
ზორცისმჭამელთა ოტოდექტოზი	138
ცხოველთა სარკოფლოიდოზები	141
ზორცისმჭამელთა სარკოფლოზი და ნოტოფლოზი	143
ცხოველთა დემოდეკოზები	146

ძალის დემოდეკოზი .....	148
ფრინველის კნემიდოკოფტოზი .....	150
სავეტერინარო მცომოლობია.....	152
ბორები და მათ მიერ გამოწვეული დაავალებები .....	154
შეხვილება რქოსანი პარატიფის ჰიპოდერმატოზი.....	155
ცხვრის ესტროზი.....	161
კენტჩლიქანთა გასტროფილოზი .....	166
ძაღლის ენტომოზები.....	169
სისხლმწოვი ორფრთიანები .....	173
კოლოები .....	173
ქინქლები .....	174
წიაღები .....	176
ბუზანკალები .....	178
მოსკიტები .....	179

---

## **ტექნიკური რედაქტორები:**

**ალექსანდრე კუზანაშვილი  
მაია ლარიბაშვილი**